ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

შოთა ვადაჭკორია

ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ნაკვეთი I (1917 – 1918 წწ.)

თბილისი
2008

94(479. 22) XX+ 323.1(479. 22)

წინამდებარე ნაშრომში ყოველმხრივაა შესწავლილი ქართული პოლიტიკური აზრის დამოკიდებულება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი. ნაჩვენებია, რომ ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამი საფეხური გაიარა: 1)საქართველოს ეროვნულ- ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში; 2)ამიერკავკასიის ერთიანი დემოკრატიულ- ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა და მის შემადგენლობაში საქართველოს უფლებების განსაზღვრის მცდელობა; 3)საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადება. დასაბუთებულია, რომ 1917– 1918 წლების ქართული პოლიტიკური აზროვნება დროის მოთხოვნებს პასუხობდა და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებას მაქსიმალურად ცდილობდა.

დამატების სახით ნაშრომს დართული აქვს ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ერთ- ერთი ლიდერის– გ.გვაზავას მიერ 1929 წელს პარიზში დაბეჭდილი წერილი "საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მესამე)."

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი დოდო ჭუმბურიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. მერაბ ვაჩნაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ვახტანგ გურული
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ავთანდილ სონღულაშვილი

© დაიბეჭდა "სტამბა გრიფონში"
თბილისი
2008 წ.

ISBN 978-9941-0-0248-9 (ყველა წიგნის)
ISBN 978-9941-0-0249-6 (ნაკვეთი I)

შესავალი
საკითხის დაყენებისათვის, ძირითადი წყაროების მიმოხილვა და ისტორიოგრაფია.

საკითხის დაყენებისათვის. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და მისმა შედეგებმა, იმპერიის რღვევის პროცესის დაჩქარება გარდუვალი გახადა. კოლონიზებული არარუსი ერების წინაშე ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალური პერსპექტივა დაისახა. ეს მომენტი სალად მოაზროვნე ქართული პოლიტიკური ა'ხრის მესვეურებს მხედველობის მიღმა არ დარჩენიათ. მათი ძირითადი განსჯის საგანს, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფორმის ძიება წარმოადგენდა. თითოეულ მათგანს კარგად ესმოდა, რომ გაღაჭარბებული რადიკალიზმი იმ ეტაპზე რუსეთის დროებითი მთავრობისათვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მათ მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს, რუსეთის ერთიანობის შენარჩუნებასთან ერთად, ქართული სახელმწიფოებრიობის თუნდაც ნაწილობრივად აღდგენის პრინციპი ''ენდა დადებოდა საფუძვლად. ამ თვალსაზრისით, ქართული პოლიტიკური აზროვნება, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით დაკმაყოფილდა. ამ იდეის რეალურად განხორციელება შესაძლებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაჩნდათ, თუკი რუსეთი დემოკრატიულ– ფედერაციული სახელმწიფოს სახეს მიიღებდა, ხოლო დროებითი მთავრობა რევოლუციის პერიოდში ხალხისადმი მიცემულ დანაპირებს შეასრულებდა.

წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მკითხველ საზოგადოებას მიაწოდოს ქართველ პოლიტიკოსთა ნაა'ზრევი აღნი'შნულ საკითხზე. ამის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან მიმართებაში ქართული პოლიტიკური ა'ხრის კომპლექსური შესწავლა ბოლო 20 წლის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფია'ში არ განხორციელებულა. არადა, ამ მიმართულებით კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს, საქართველოში არსებული პოლიტიკური მიმდინარეობების თვალსაზრისი, ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან მიმართებაში ყოველგვარი მიკერძოების გარეშე იქნას წარმოჩენილი. მითუმეტეს, 1917 –1918 წლების ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხმა სამი საფეხური გაიარა: 1)საქართველოს ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობა'ში; 2)ამიერკავკასიის ეროვანი დემოკრატიულ– ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა და მის შემადგენლობაში საქართველოს

უფლებების განსაზღვრის მცდელობა; 3)საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადება.

ქართული პოლიტიკური აზროვნების შესწავლის ფონზე პრობლემის საფეხურებრივად კვლევა, შესაძლებლობას იძლევა: ა)გარკვეული იქნას იმ ეტაპზე მოქმედი პოლიტიკური მიმდინარეობების დამოკიდებულება ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში; ბ)მათი პოლიტიკური ნააზრევის საფუძველზე დადგინდეს თუ რამდენად შეესატყვისებოდა თითოეული მათგანის მიერ წამოყენებული დებულებები არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას; გ)სწორად აფასებდნენ თუ არა ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილ რეალობას და რა გამოსავალს სთავაზობდნენ ქართულ საზოგადოებას; დ)მათ მიერ შემუშავებული დებულებები მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებდა თუ საკითხის გადაწყვეტის პრაგმატულად გააზრებულ რეკომენდაციებს შეიცავდა.

ამ მიმართულებით პრობლემის კომპლექსური კვლევა, ქართული პოლიტიკური აზრის ევოლუციური პროცესის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობას ქმნის. ამის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობების განცალკევებულად შესწავლამ, ნებსით თუ უნებლიედ მკვლევარები "საკვლევი პარტიების" გაფეტიშებამდე მიიყვანა. ამ ფაქტორმა, ძირითადი "დარტყმის" გადატანა დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის- სოციალ– დემოკრატების მიმართ განაპირობა. ასეთი სახის ცდომილებისაგან თავის დაღწევის ერთად– ერთ საშუალებად, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ფონზე, ქართული პოლიტიკური აზროვნების შესწავლა გვესახება. პრობლემის ამ მიმართულებით კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს: ა)ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ნააზრევის ურთიერთშეპირისპირებით, მიუკერძოებელი დასკვნის გაკეთება; ბ)საქართველოს პოლიტიკური ისტორიის 1917– 1918 წლების ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმით კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს საზოგადოებას მეცნიერულად დასაბუთებული სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ, კერძოდ, სახელმწიფოებრივად რა დონეზე აზროვნებდნენ ჩვენი წინაპრები და რამდენად შეესატყვისებოდა მათი ნაზრევი ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას.

ძირითადი წყაროების მიმოხილვა. 1917– 1918 წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პროცესების ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ასახვის ფორმების შესწავლისა და ობიექტური შეფასებების გაკეთების მიზნით, პირველი რიგის ამოცანას არქივსაცავებში არსებული მასალების საფუძვლიანი გაცნობა წარმოადგენს. ამ მხრივ, ჩვენს მიერ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსა და

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები იქნა დამუშავებული. იგი ქართული პოლიტიკური აზრის შესასწავლად განსაკუთრებული ღირებულების ინფორმაციას იძლევა.

ქართული პოლიტიკური აზრის შესასწავლად ანგარიშგასაწევ მასალებს შეიცავს დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გამოცემული დოკუმენტური მასალები.[1] საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ქართული პოლიტიკური აზრის ევოლუციური პროცესის დამადასტურებელი საინტერესო დოკუმენტები გამოაქვეყნეს ა.სილაგაძემ და ვ.გურულმა,[2] ზ.ავერგიძავ ჭელიძემ,[3] უ.ბახტაძემ[4] და სხვებმა.

რამდენადაც ჩვენი კვლევის სფერო ქართული პოლიტიკური აზრის შესწავლით შემოიფარგლება, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში იმ ეტაპზე საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების პროგრამები[5] და თითოეული პოლიტიკური პარტიის ბეჭდვითი გამოცემები მოექცა. მხედველობაში გვაქვს გაზეთები: "ალიონი," "საქართველო," "სახალხო საქმე," "ერთობა." მასში დაბეჭდილი პუბლიკაციები შესაძლებლობას იძლევა ნაწილობრივად მაინც განისაზღვროს იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნების დონე. გარკვეული იქნას, თუ რამდენად სწორად აფასებდნენ ისინი ამერიკაკავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რა ალტერნატიულ გზებსა და საშუალებებს სახავდნენ ქართველი ერის გადარჩენისა და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის თვალსაზრისით.

1917– 1918 წლების ქართული პოლიტიკური აზრის შესასწავლად პირველადი წყაროს მნიშვნელობას იძენს იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა (ნ.ჟორდანია, ირ.წერეთელი, რ.არსენიძე, აკ.ხინკელი, გრ.ცხილაძე, ივ.გომართელი, გ.ბეაზავა, ვ.ვეშაპელი, თ.ღლონტი და სხვები) მოხსენებები, სიტყვები, ბროშურები[6] და ა.შ. ამ მასალების მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ იგი თითოეული ავტორის მრწამსისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მათეული ხედვის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა.

საკითხის ისტორიოგრაფია. 1917– 1918 წლების საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის "მეცნიერულ" შესწავლას, მართალია ძირითადი საფუძველი საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ დაუდო, მაგრამ იგი იმ დონეზე გააყალბა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა და თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტი უარეყოფითად იქნა შეფასებული. პრობლემისადმი ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება გარკვეულ მიზანმიმართულ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. საბჭოური ისტორიოგრაფიის მიზანს, დამოუკიდებელი საქართველოსა და მისი მმართველი პოლიტიკური ძალის დისკრედიტაციის ფონზე, საქართველოს გასაბჭოების გაფეტიშება წარმოადგენ-

და. ამ მიმართულებით გაწეულმა 70- წლიანმა "მეცნიერულმა" პროპაგანდამ, წარსულის შეფასებასთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერების გამრუდებულად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ასეთი ურთულესი "მემკვიდრეობის" დაძლევის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა საღად მოაზროვნე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები. განგებამ მათ საბჭოური იდეოლოგიური წნეხისგან განთავისუფლება არგუნა წილად. აზრის გამოთქმის თავისუფლების შესაძლებლობამ, მრუდე სარკეში დანახული წარსულის გადაფასების შესანიშნავი პირობები შეუქმნა მათ. ეს მხოლოდ XX საუკუნის 90- იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი.

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული მონაკვეთის, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული შრომებიდან მხოლოდ იმ ავტორთა პუბლიკაციებს შევეხებით, რომლებშიაც ქართული საზოგადოებრივ- პოლიტიკური აზრის კვლევა მეტნაკლებადაა წარმოდგენილი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას უ.სიდამონიძის მონოგრაფია "საქართველოს ბურჟუაზიულ- დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია" იმსახურებს.[7] მართალია, ეს ნაშრომი 70- იან წლებში დაიბეჭდა, მაგრამ მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პრობლემის ობიექტურად შეფასებიდან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან იგი სანიმუშოდ იქნა "დასჯილი." ავტორმა თავისი შეხედულებების სრულად გადმოცემა მხოლოდ 90- იან წლებში დაბეჭდილ საგაზეთო პუბლიკაციებში შეძლო.[8] ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება ა.ბენდიანიშვილის მონოგრაფიის- "საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918- 1921 წწ.)"- მეორე და მესამე თავები.[9]

1917- 1918 წლების მოვლენებია გაშუქებული მ.ვაჩნაძის,[10] ა.სილაგაძისა და ვ.გურულის,[11] შ.ჯაფარიძის,[12] ნ.ხოსიძის,[13] მ.სიორიძის,[14] ე.მესხიას,[15] ო.გოგოლიშვილის[16] და სხვა ავტორთა შრომებში.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის პოლიტიკური ბრძოლის საკითხებია გაშუქებული რ.გრძელიძის ნაშრომის "საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910- 1924) მეორე თავში.[17] 1917- 1918 წლების ქართული საზოგადოებრივ- პოლიტიკური აზრის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო მასალებსა და მოსაზრებებს შეიცავს ვენერალ კონსტანტინე აფხაზისადმი მიძღვნილი გ.საითიძის ნაშრომი.[18]

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ლიდერების დამოკიდებულების წარმოჩენას ისახავს მიზნად ო.ჯანელიძის საყურადღებო მონოგრაფია "ნარკვევები საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიუ-

ლი პარტიის ისტორიიდან." ჩვენს მიერ საკვლევად აღებულ მონაკვეთს ამ ნაშრომის მესამე და მეოთხე თავები ეხება.[19]

ზემოაღნიშნული შრომებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ ყურადღებას დ.ჯუმბურიძის მონოგრაფია "ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს- ის დასაწყისში 1918- 1921 წლები"[20] იქცევს. მისადმი გამორჩეული ინტერესი იმითაც არის განპირობებული, რომ ამ ნაშრომის მესამე და მეოთხე თავებში საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები ქართული საზოგადოებრივ- პოლიტიკური აზროვნების ჭრილშია განხილული. ამ ფაქტორმა, ამა თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი ავტორს მიუკერძოებელი და ობიექტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მისცა.

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის 1917- 1918 წლების მთელ რიგ საკითხებს ეხება ჩვენს მიერ გამოქვეყნებული შრომებიც.[21]

მკითხველი საზოგადოების სამსჯავროს წინაშე წარდგენილი წინამდებარე გამოკვლევა 1917- 1918 წლების ქართული პოლიტიკური აზრის შესწავლის პირველ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს და, ბუნებრივია, ცალკეული ხარვეზებისაგან დაზღვეული არ იქნება. ავტორი მადლიერებით მიიღებს ყველა იმ სამართლიან შენიშვნას, რომელიც ნაშრომის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

თავი I

რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის იდეა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

მეფის რუსეთის ხელისუფალთა მიერ, ქართველი სახელმწიფოებრიობის გაუქმების პარალელურად, ქართველი ერის ცნობიერებიდან ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისაკენ სწრაფვის ამოძირკვის პერმანენტული მცდელობა, უშედეგო აღმოჩნდა. ამის ერთ- ერთ ძირითად საფუძველს, ქართველ მოაზროვნეთა მაღალი ინტელექტი და ეროვნული სულიერების გადასარჩენად 117 წლის განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი შრომა განაპირობებდა. მის ძირითად მიზანს, რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეული საქართველოსათვის სახელმწიფოებრიობის დაბრუნება წარმოადგენდა.

მართალია, ამ საკითხთან მიმართებაში XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული პოლიტიკური ძალების ერთიერთდაპირისპირებას ქონდა ადგილი, მაგრამ, ქართველ მოღვაწეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, ილია ჭავჭავაძის გაკეთებულ გზას მიჰყვებოდა, ერის ფიზიკურად და სულიერად გადარჩენის აუცილებელ პირობად, რუსეთის ფარგლებში საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნას აყენებდა. თუკი აღნიშნული იდეა XX საუკუნის დასაწყისში წმინდა თეორიული ხასიათის მსჯელობის ფარგლებს არ სცილდებოდა, 1917 წლის თებერვალ- მარტის რევოლუციის შედეგებმა, მისი პრაქტიკულად განხორციელების რეალური პერსპექტივები დასახა. ეროვნულ- დემოკრატებისა და სოციალისტ- ფედერალისტების მხარდამხარ, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი სოციალ- დემოკრატებიც (მენშევიკები) გააქტიურდნენ. ისინი არა მარტო საგაზეთო პუბლიკაციებით იფარგლებოდნენ, არამედ, ამ პრობლემას საგანგებო ბროშურებიც კი მიუძღვნეს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას რ.არსენიძის ნაშრომი- "დემოკრატიული რესპუბლიკა" იქცევს. რამდენადაც, საქართველოს უფლებები რუსეთის ფარგლებში უნდა განსაზღვრულიყო, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქცენტირებას რ.არსენიძე, რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად მოწყობის ფორმაზე აკეთებდა. მკითხველისათვის რომ უკეთ გასაგები ყოფილიყო, თუ რატომ ითხოვდა იგი ერთობლიობაში დემოკრატიულ რესპუბლიკას და არა დემოკრატიულს ან რესპუბლიკას ცალ- ცალკე, ამასთან დაკავშირებით რ.არსენიძე გარკვევით მიუთითებდა: რამდენადაც რესპუბლიკა საზოგადო საქმეების- საზოგადოებისგან წარმოებას ნიშნავდა, ხოლო ეს საზოგადოება ფენებად იყოფოდა, "რომელმა უნდა აწარმოოს სა-

ზოგადო საქმეები? რომელი უნდა იყოს ბატონ– პატრონი მთელი სახელმწიფოსი?"- სვამდა კითხვას და იქვე პასუხობდა: "ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი უნდა იყოს მთელი ხალხი, დემოსი და ამიტომ ჩვენ გვინდა რესპუბლიკა დემოკრატიული, ე.ი. ისეთი, სადაც ხალხი, დემოსი, იქნება საზოგადოებრივი საქმის მმართველი და გამგე, კანონმდებელი და აღმასრულებელი. სიტყვა "რესპუბლიკა" ამნაირად აღნიშნავს ფორმას სახელმწიფოსას, სიტყვა "დემოკრატიული" კი ეხება შინაარსს."[1]

რ.არსენიძის ასეთი პოზიცია შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. მის ამოცანას რუსეთისათვის სახელმწიფოებრივი მოწყობის ისეთი ფორმის გამოძებნა წარმოადგენდა, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ ერებს ნორმალური და ცივილიზებული განვითარების შესაძლებლობას მისცემდა. ამ მიზანდასახულობიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპის სინამდვილის ფონზე, სახელმწიფოს მოწყობის რამდენიმე ვარიანტი განიხილა და რუსეთისათვის ერთ– ერთი მათგანის შერჩევას შეეცადა. მხედველობაში გვაქვს შეუსლუდავი– აბსოლუტური და შეზღუდული– კონსტიტუციური მონარქიების სახეები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია დადასტურებული, აბსოლუტურ მონარქიაში, მონარქი ფართო უფლებამოსილებით, ანუ სახელმწიფოებრივი იურისდიქციითაა აღჭურვილი და კანონების გამოცემაც მონარქის სახელით ხდება. ამ შემთხვევაში, რამდენადაც ხალხის ნება– სურვილის იგნორირებას აქვს ადგილი, მართვა– გამგეობის ამ ფორმის რუსეთის სინამდვილეში გადმოტანას რ.არსენიძე მიუღებლად მიიჩნევდა. ანალოგიური პოზიცია ეჭირა მას შეზღუდული– კონსტიტუციური მონარქიის მიმართაც. მართალია, ამ შემთხვევაში მონარქის ხელისუფლება გარკვეულად იზღუდება და უფლებამოსილების გადანაწილება პარლამენტსა და მეფეს შორის ხდება, მაგრამ, რუსეთის სინამდვილისათვის, რ.არსენიძე მმართველობის ამ ფორმასაც გამორიცხავდა და იქვე დასძენდა: "ჩვენც გვქონდა სახელმწიფო დუმა, მაგრამ იქ გაგზავნილ ჩვენს დეპუტატებს მხოლოდ ლაპარაკის უფლება ჰქონდათ... და მათ დადგენილებას თუ სახელმწიფო საბჭო არ მიიღებდა და მეფე არ დაამტკიცებდა, ისე ძალაში შესვლა არ შეეძლო."[2] აქედან გამომდინარე, იგი აყენებდა საკითხს– რუსეთში "უმეფო წყობილების" შემოღების, მთელი ძალაუფლების ხალხისათვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი მოწყობის მისაღებ ფორმას, რ.არსენიძე უპირატესობას "რესპუბლიკანურ წყობილებას" ანიჭებდა. მიუხედავად ამისა, რ.არსენიძე მსჯელობას აქ არ წყვეტდა და იმ პერიოდის აშშ– სა და ევროპის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, რესპუბლიკის ფორმების მისეულ ინტერპრეტაციას სთავაზობდა მკითხველ საზოგადოებას. მან რესპუბლიკის სამი სახეობა– არისტოკრატიული, ბურჟუაზიული– ლიბერალური და დემოკრატიული გამოყო. ამ

ფონზე, კანონზომიერად დასვა კითხვა– რესპუბლიკური წყობილების დროს თუ ვინ უნდა ყოფილიყო კანონმდებელი. მისიცე თქმით, აშშ- ის ორპალატიანი საკანონმდებლო სისტემა– კონგრესი და ზედა პალატა– სენატი, რუსეთის სინამდვილისათვის მიუღებელი იყო, რადგან "ზედა პალატის არსებები ორსართულიანია, ესე იგი, არადემოკრატიული. ამიტომ, თვით ეს ზედა პალატა –წერდა რ.არსენიძე– უმთავრესად შეძლებულ კლასთა წარმომადგენელია. დემოკრატიას კი მასში ცოტა ან სრულად არავითარი გავლენა არ აქვს."[3] ძირითად ალიბად იგი კანონის სამსაფეხურიანი სისტემის (ქვედა პალატა, ზედა პალატა და პრეზიდენტი) გავლის აუცილებლობას ასახელებდა. ამ პროცედურის გამო, კანონი ისე იცხრილებოდა, რომ იგი "ხალხისათვის სრულიად გამოუსადეგარი, ან პირდაპირ მავნებელი ხდებოდა."[4] ამ სისტემას რ.არსენიძე შეზღუდული მონარქიის საკანონმდებლო სისტემას ადარებდა, სადაც ყოველი კანონი მხოლოდ მას შემდეგ შედიოდა ძალაში, როცა მეფის მიერ იქნებოდა ხელმოწერილი. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკაში ზედა პალატასა და პრეზიდენტის ინსტიტუტს, ხალხის ინტერესებისათვის ზედმეტად მიიჩნევდა. ზედა პალატა, რ.არსენიძის ტერმინოლოგიით "პროგრესული კანონმდებლობის ტორმოზი", "სოციალური კანონმდებლობის მტერი" იყო. "ამიტომ– წერდა იგი– ჩვენ უარვყოფთ ორპალატიან სისტემას და მოვითხოვთ ერთ პალატას, ე.ი. ერთ საკანონმდებლო პალატას, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით."[5] რაც შეეხება პრეზიდენტის ინსტიტუტს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, რამდენადაც პრეზიდენტი საკანონმდებლო საქმიანობის მონაწილე ხდებოდა და მის ნებადაერთველად ვერცერთი კანონი ძალაში ვერ შეედოდა. ასეთი პრეზიდენტის ყოლას, რ.არსენიძე დემოკრატიულ რუსეთში მიუღებლად მიიჩნევდა. "ბოლოს და ბოლოს განსხვავება– წერდა რ.არსენიძე– მასა და მეფეს შორის მხოლოდ ისაა, რომ მეფის უფლება მუდმივია, მემკვიდრეობითია, პრეზიდენტის კი ვადიანი, დროებითი. მეფე "ღვთისგან რჩეულია," პრეზიდენტი კი ხალხისგან."[6] რამდენადაც პრეზიდენტი ხალხის ნდობით იყო აღჭურვილი, აქედან გამომდინარე, იგი პრეზიდენტის მხრიდან ძალაუფლების მუდმივად შენარჩუნებაზე ზრუნვას არ გამორიცხავდა. ამ საშიშროებისაგან თავდაღწევის ერთადერთ გამოსავალს რ.არსენიძე, რუსეთში უპრეზიდენტო რესპუბლიკის შემოღებაში ხედავდა. იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთვის უნდა ჩაებარებინათ სახელმწიფოს მართვის სადავეები, რ.არსენიძე შეეიცარიის მაგალითს მიმართავდა, სადაც ქვეყანას 7 კაცისგან ფედერალური საბჭო და მის მიერ ერთი წლით არჩეული თავმჯდომარე მართავდა. სახელმწიფოს მართვის აღნიშნულ მოდელს რ.არსენიძე, რუსეთის სინამდვილისათვის მისაღებად თვლიდა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ იგი საპარლამენტო რესპუბლიკას უარყოფდა და ეპირატესობას დემოკრა-

ტიულ რესპუბლიკას ანიჭებდა. "დემოკრატიული რესპუბლიკა- წერდა რ.არსენიძე- ყველაზე უმჯობესი პოლიტიკური ფორმაა ბურჟუაზიულ წყობილებაში მუშათა კლასისათვის."[7]

ქართული პოლიტიკური აზრის ერთ- ერთი აქტიური წარმომადგენლის რ.არსენიძის მიერ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ასე დაჟინებით ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ ყოფილა. იგი წინა წლების გამოცდილების, კერძოდ, მეფის ხელისუფლების პერიოდში მოწვეული ოთხი სახელმწიფო სათათბიროს მიერ გაწეულ საქმიანობასა და "შედეგებს" ემყარებოდა. იმავდროულად, 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის უნაყოფობასა და რუსეთში ელემენტარული დემოკრატიული უფლებების არარსებობის ფაქტორსაც ითვალისწინებდა. მართალია, იმ ეტაპზე ხელისუფლებაში დროებითი მთავრობა იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, ერთიანი რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს- დამფუძნებელი კრების მოწვევა შეუძლებელი ხდებოდა. აღნიშნულ ფაქტორს, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისა და ქვეყნის დემოკრატიული გზით შემდგომი განვითარების ერთ- ერთ შემაფერხებელ ბარიერად თვლიდნენ, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ რევოლუციის შემდეგაც, რუსეთში მეფის დროინდელი კანონმდებლობა მოქმედებდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივ.გომართელს, როცა პრინციპულად აყენებდა საკითხს,- რევოლუციის შემდგომი პერიოდის რუსეთისათვის ახალი კანონების შემუშავების აუცილებლობის შესახებ. "დღევანდელი რუსეთისათვის- წერდა იგი- საჭიროა ახალი ძირითადი კანონები. რესპუბლიკაში და ყველგან, სადაც კი ქვეყნის მართვა- გამგეობა ხალხის წარმომადგენელთა ხელშია, ასეთ ძირითად კანონებს ეწოდება კონსტიტუცია. რუსეთში ახალი წესწყობილების შესაფერისი ძირითადი კანონები არ არსებობენ; ეს რესპუბლიკა ჯერ- ჯერობით სიტყვიერია, ის დააწესა მუშა ხალხმა და ჯარმა. ეს რესპუბლიკა უნდა დაემყაროს, დამკვიდრდეს შესაფერის კონსტიტუციასე."[8]

ანალოგიური ხასიათის მოთხოვნები იყო დასმული "საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა"-ში[9] და გრ.რცხილაძის ნაშრომში "ამიერკავკასიის თვითმმართველობა." აქ მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია გასათვალისწინებელი, კერძოდ, თუ ივ.გომართველი საერთო სარუსეთო კანონმდებლობაზე აკეთებდა აქცენტირებას, მისგან განსხვავებით გრ.რცხილაძეს საკითხი ამიერკავკასიის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებამდე დაჰყავდა და მეფის ხელისუფლების კანონმდებლობას, ამიერკავკასიის მოსახლეობის იძულებითი რუსიფიკაციის ხელშემწყობის პოზიციიდან აკრიტიკებდა. იგი საკითხს შემდეგი ფორმით აყენებდა: "ძველი რეჟიმის რევოლუციონური ლიკვიდაცია თხოულობს განაპირა ქვეყნების მართვა- გამგეობის ნაცვლად ისეთი წესწყო-

ბილების დამყარებას, რომელიც, უწინარეს ყოველისა, თავისუფალი უნდა იყოს გარუსების პოლიტიკისაგან."[10] ამ მიმართულებით შესაძლო წარმატებას გრ.რცხილაძე, ძველი რეჟიმის მართვა– გამგეობის ლიკვიდაციასთან ერთად, ქვეყნის მმართველობის ახალი სისტემის დაუყოვნებლივ ამოქმედებაში ხედავდა. "ეს ახალი სისტემა– წერდა იგი– უნდა შემუშავდეს და მოეწყოს, რათა ძველის ადგილი დაიჭიროს. რევოლუციის შემოქმედებითი ძალა სწორედ ამ ახალი სისტემის შექმნაში უნდა გამოიხატოს."[11] მართალია, საკითხი სწორი პოზიციიდან იყო დასმული, მაგრამ აუცილებლობა მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის შესაფერისი ნიადაგის მომზადებას საჭიროებდა. ამის ერთ– ერთ წინაპირობად ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები, რუსეთის სივრცეში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ. ამასვე აღიარებდა რუსეთის ეროვნულ– სოციალისტური პარტიების საბჭოს მიერ მიღებული პლატფორმის პროექტიც, რომელიც რუსეთში მაცხოვრებელი ერების მომავალ ბედს რუსეთის დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. "ეროვნული სოციალისტური პარტიები– ვკითხულობთ დოკუმენტში– აღიარებენ, რომ რუსეთის თითოეული ერის ახალი წყობილებისათვის არ კმარა მარტო თვითონ ერის ნებისყოფა, არამედ იგი უნდა დაადასტუროს მთელი რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ ან საკანონმდებლო კრებამ (თუ ერმა დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის ვერ მოასწრო თავისი გადაწყვეტილება, ან შეკვალა შემდეგ)."[12]

დასახული მიზნის მისაღწევად, ერის ძალისხმევაზე დამყარებული ენთუზიაზმი უნაყოფო აღმოჩნდებოდა, თუკი ერის სურვილს, სრულიად რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო– დამფუძნებელი კრება არ გაითვალისწინებდა. ეს ალბათობა რეალობად იქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ ერი დროულად ვერ მიიღებდა არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესაბამის სასიცოცხლო გადაწყვეტილებებს და დამფუძნებელი კრების მოწვევის ფაქტს მოუმზადებელი შეხვდებოდა. ეს ფაქტორი, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს მხედველობის მიღმა არ დარჩენიათ. საზოგადოებისა და თვით პოლიტიკური წრეების მხრიდან, ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილების მიზნით, პრესის ფურცლებზე ისინი თავიანთი პოზიციის გამოხატვას ყოველმხრივ ცდილობდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გ.ქიქოძის სტატია- "დამფუძნებელი კრება და საქართველო" იქცევს. ავტორი, ფართო საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით, ძირითადი დებულებები უმოკლეს დროში იქნებოდა გამოქვეყნებული და იქვე დასძენდა: "ეს გარემოება ყოველ შეგნებულ მოქალაქესა და მამულიშვილს განსაკუთრებულად ინტენსიური მუშაობისაკენ მოუწოდებს. დამფუძნებელმა კრებამ განახლებული რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ძირითადი საძირკვე-

ლი უნდა ნაუკარიოს და მოსალოდნელია, რომ ამ კრების მუშაობის მიხედვით დიდი ხნით გადაწყდება ჩვენი საკუთარი ბედიც.”[13]

როგორც ვხედავთ, საქართველოს მომავალს, გ.ქიქოძე დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. მისი ასეთი პოზიცია შემთხვევითი არ იყო. იგი ძირითადად დროებითი მთავრობის “უმოქმედობას” ემყარებოდა. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოებრივი წყობის ძირითად ფორმებს (დემოკრატიული რესპუბლიკა, საპარლამენტო რესპუბლიკა, კონსტიტუციური მონარქია) შორის რუსეთისათვის არჩევანის ვერგაკეთება, ეროვნული საკითხის გადაუწყვეტლობა და აღნიშნული პრობლემების დამფუძნებელი კრებისადმი გადაბარება. ამ ფაქტორების გათვალისწინებიდან გამომდინარე, გ.ქიქოძე საკუთარი ლოგიკურად სვამდა კითხვას: “მოგვცემს თუ არა დამფუძნებელი კრება იმას, რაც ვერ მოგვცა დროებითმა მთავრობამ?” ამასთან დაკავშირებით იგი კონკრეტულ პასუხს არ იძლეოდა და საკითხს ღიად ტოვებდა. რაც შეეხება ქართველ პოლიტიკოსთა ცნობიერებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს– რუსული დემოკრატიის ხელისუფლებაში მოსვლით ქართველი ერის ჭრილობების მოსალოდნელი განკურნების შესაძლებლობას– გ.ქიქოძეს ეს იმედი არარეალურად მიაჩნდა. მისი აზრით, თუკი დამფუძნებელი კრების წევრები დროებითი მთავრობის წევრებზე უფრო გულუხვნი აღმოჩნდებოდნენ, საქართველო მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებდა თავისუფლებას, “რომელიც ასე გვენატრება დიდი ხანია. მაგრამ თუნდაც ეს არ მოხდეს– დასძენდა იგი– დამფუძნებელი კრება მაინც დიდად საჭიროა ჩვენთვის. ის ჩვენი პოლიტიკური სკოლა... იქნება, თუ ჩვენი თავისუფლების ლაბორატორია არა... იქ თვალებით დავინახავთ და ხელით შევეხებით რუსის დემოკრატიას, რომელსაც აქამდე ოცნებაში ვატარებდით და განვთავისუფლდებით ზოგიერთი ბავშვური ილუზიებისაგან, რომელიც ყოველთვის დიდათ მავნებელია პოლიტიკაში. რას მოგვცემს დამფუძნებელი კრება? ეროვნულ თავისუფლებას ან პოლიტიკურ სიფხიზლეს. ორივე შემთხვევაში მოგებული ვიქნებით. ამიტომ, ჩვენი უპირველესი ვალდებულება არის მზადება დამფუძნებელი კრებისათვის.”[14]

ეს ვრცელი ამონაწერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული პოლიტიკური აზროვნების ერთ– ერთი ლიდერთაგანი, მომავალი დამფუძნებელი კრების გამოყენებას არა მარტო დასახული მიზნის მიღწევისათვის ცდილობდა, არამედ, მისი აზრით იგი, “გაღმერთებული” რუსული დემოკრატიის სარკედაც გადაიქცეოდა და “რუსული დემოკრატიის” შესახებ პოლიტიკურ წრეებში შექმნილი მითი ამ სარკეში უკეთ წარმოჩნდებოდა. მეორე მხრივ, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, საზოგადოებისათვის ნათელი გახდებოდა, თუ რამდენად მართებული იყო მომავალი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის იდეების “რუსულ დემოკრატიაზე” დამყარება. მითუმეტეს, იმ

პერიოდის "რუსული დემოკრატიული" აზროვნება ჯერ კიდეც იმპერიული ზეგავლენისაგან განთავისუფლებული არ იყო. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი "საქართველო" გარკვევით მიუთითებდა: "ჩვენ გვაქვს საბაბი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების პირველშობილი ცოდვა მივანიჭოთ უაღრესად რევოლუციონურ და დემოკრატიულ მთავრობასაც, მართლაც დამაფიქრებელია, რომ რევოლუციის დაწყებიდანვე გამოგვაყრუეს ერთა თვითგამორკვევის საჭიროების ძახილით, მაგრამ,დღემდე ოდნავადაც არ გაკეთებულა რამ ამ პრინციპის განხორციელებისათვის! პირიქით, დღითი– დღე ვრწმუნდებით, რომ ცენტრალურ ჯადოსნურ წრეში ისე მაგრად გაბმია რუს ხალხს აზროვნება, რომ იგი თავისით ვერ დაეხსნება მას."[15]

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებთან მიმართებაში პოლიტიკური აზრის გააქტიურება ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენდა. პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს, ერთა უფლებების შესახებ თავიანთი დასაბუთებული პოზიცია ოფიციალურად უნდა გამოეთქვა და საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლებაზე გარკვეული პოლიტიკური ზეწოლაც განეხორციელებინა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის ეროვნულ– სოციალისტური პარტიების საბჭოს მიერ 1917 წლის ივლისში გამოქვეყნებული ერთიანი პლატფორმის პროექტი. ამ დოკუმენტის მეორე– "დაცვა ეროვნულ უფლებათა" და მესამე– "ყოველ ერს აქვს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება" პარაგრაფები კონკრეტულად ეხებოდა იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების საწუხარს წარმოადგენდა. ეს დოკუმენტი, იმ ეტაპზე პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან, მისი შემდგენლების მიერ ოფიციალურად იქნა გაცხადებული სოციალისტური პარტიების პოზიცია ერისა და ეროვნული უფლებების დაცვასთან მიმართებაში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ეროვნულ– სოციალისტური პარტიების კავშირი მიზნად ისახავდა: 1)სახელმწიფოებრივ დონეზე მმართველობის ისეთი ფორმა შექმნილიყო, რომელიც ეროვნულ ჩაგვრასა და შოვინიზმს შეუძლებელს გახდიდა. სახელმწიფოს მხრიდან დაცული იქნებოდა ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები. რუსეთში მაცხოვრებელი ყველა ეროვნული უმცირესობის ენა საზოგადოებრივი უფლებით ისარგებლებდა. 2)ეროვნულ– სოციალისტური პარტიები დაიცავდნენ რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლების ორ სახეობას: ა)ეროვნულ– ტერიტორიულ ავტონომიას, ბ)ეროვნულ– ტერიტორიულ მოწყობას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოებრივი არსებობის მოთხოვნა განსაზღვრული იქნებოდა ტერიტორიის სისწორით და დემოკრატიულად გამოთქმული ნებისყოფით (წარმომადგენლობითი კრებით, ან რეფერენდუმით), 3)ცალკე ერების

მიერ არჩეული პოლიტიკური მოწყობის ყოველი ფორმა, რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ უნდა ყოფილიყო დადასტურებული.[16]

რამდენადაც, აღნიშნული რეზოლუცია მხოლოდ სოციალისტური პარტიების თვალსაზრისს გამოხატავდა, ბუნებრივია იგი დროებითი მთავრობის მხრიდან მხარდაჭერის გარანტად ვერ ნაითვლებოდა. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია კი ზემოთჩამოთვლილი საკითხების დროებით მთავრობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმებას, კონსესუსის საფუძველზე ერთიანი ოფიციალური დოკუმენტის შექმნას საჭიროებდა. ამ მხრივ, პირველი საცდელი ნაბიჯი 1917 წლის აგვისტოში გადაიდგა. მხედველობაში გვაქვს დროებითი მთავრობისა და რუსეთის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მოსკოვის ერთობლივი თათბირი. თათბირზე სიტყვით გამოსულმა კ.ნეიმეიერმა, ძირითადი ყურადღება ეროვნულ საკითხზე გაამახვილა და რევოლუციური ძალების ერთიანობის შენარჩუნების ერთ- ერთ პირობად მთავრობისაგან დემოკრატიული პროგრამის იმ ნაწილის პრაქტიკულად ამოქმედება მოითხოვა, რომელიც რუსეთში მცხოვრები ერების არსებით მისწრაფებას დააკმაყოფილებდა. კერძოდ: 1)დროებით მთავრობას დაუყოვნებლივ გამოეცა დეკლარაცია, სადაც ყველა ერისათვის თვითგამორკვევის უფლების მიცემა იქნებოდა დადასტურებული, ხოლო მისი სამართლებრივი გადაწყვეტა, დამფუძნებელი კრების პრეროგატივად გამოცხადდებოდა; 2)სასწრაფოდ გამოეცათ დეკრეტი ენათა თანასწორობის შესახებ, რომლის ძალითაც, რუსეთის შემადგენლობაში მაცხოვრებელ ყველა ერს, თავიანთი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების განხორციელების დროს- (სკოლაში, სასამართლოში, თვითმმართველობაში, მთავრობასთან მიმართვის და ა.შ.) მშობლიური ენით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცემოდა; 3)რუსეთში შემავალი ერების წარმომადგენლების ბაზაზე, დროებით მთავრობასთან შექმნილიყო ეროვნულ საქმეთა საბჭოები. ამ ორგანოს საქმიანობა ეროვნულ საკითხზე შესაბამისი მასალების შეგროვება- დამუშავებით, ერთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სათანადო წინადადებების შემუშავებით უნდა შემოფარგლულიყო; 4)რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შენარჩუნების მიზნით, დროებით მთავრობას დამფუძნებელი კრება დაუყოვნებლივ უნდა მოეწვია.[17]

იმავე თათბირზე, საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის სახელით წარმოთქმულ სიტყვაში, ი.მაჭავარიანმა, რუსეთში მცხოვრები ერებისადმი პოლიტიკური თავისუფლების მიცემა, ერებს შორის შეთანხმებისა და რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების განმტკიცების საფუძველთა საფუძვლად მიიჩნია. ამ ფონზე მან გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში საქართველოს პოლიტიკური უფლებების დაუყოვნებლივი აღდგენა მოითხოვა. "მხოლოდ სწორუფლებიან თავისუფალ ერთა კავშირს- ამბობდა ი.მაჭავარიანი-

შეუძლია რუსეთი მიიყვანოს გამარჯვებამდე... მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია მოუპოვოს რუსეთს საპატიო ადგილი კულტურულ პირველხარისხოვან სახელმწიფოთა შორის."[18]

ასეთი საქმიანი და ანგარიშგასაწევი წინადადებების მიუხედავად, თათბირი ვერანაირ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდა და ვერც რაიმე სახის რეზოლუცია მიიღო. ეს ფაქტი აღნიშნული თათბირის უშედეგოდ დამთავრებას ნიშნავდა, რამაც ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა გაღიზიანება გამოიწვია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქართველთა სამართლიანი მოთხოვნები "დიდი თეატრის კედლებშივე ჩაკვდა." ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, "ინოროდცებთან" მიმართებაში, მეფისდროინდელ იდეოლოგიურ ტყვეობას თავი რევოლუციის შემდეგაც ვერ დააღწია. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ "საქართველოს" როცა წერდა: "რანაირი ფართო რეფორმებიც არ უნდა შემოიღონ რუსეთში, თუნდაც რომ უკიდურესი რადიკალური ხასიათი მისცენ სახელმწიფო ცხოვრების გამოსახულებას და სოციალური გარდაქმნაც მოახდინონ, რუსეთის აქაფებული ზღვა ისევ დაუცხრომლად იღელვებს, უკეთუ ეროვნული საკითხი დაუმაყოფილებელი დარჩა და რუსეთში მოსახლე... ერთა მისწრაფებანი ძველებურად ათქვეფილი იქნება ველიკოროსთა უპირატესობაში."[19]

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა იმედები მოსკოვის თათბირმა დაამსხვრია, რუსეთის შემადგენლობაში შემავალი მცირე ერების პოლიტიკური უფლებების საკითხის გარკვევა, მათი მსჯელობის პირველხარისხოვან საგნად რჩებოდა. ამ პრობლემასთან მიმართებაში, მათ წინაშე მეორე მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა. კერძოდ, ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური უფლებების გარანტიის უსრულველსაყოფად, რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობას რა ფორმა დაედებოდა საფუძვლად. პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული პუბლიკაციების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საქართველოში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, დემოკრატიულ საწყისებზე რუსეთის ფედერალური მოწყობის ფორმას უჭერდა მხარს. ამ მხრივ, განსაკუთრებით სოციალისტ– ფედერალისტები აქტიურობდნენ. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას თ.ღლონტის სტატია– "ბრძოლა შეთანხმებისათვის" იქცევს. წერილის ავტორის აზრით, საერთო მიზნის დასაცავად და ძალთა შესათანხმებლად იმ ეტაპზე ობიექტური პირობები მომწიფებული იყო. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა მონათესავე პარტიებისა და ჯგუფების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. მათ უნდა განესაზღვრათ, მოხდებოდა თუ არა აღნიშნულ საკითხში ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და ერთიანი პლატფორმით რუსეთის ფედერაციულ საწყისე-

ბ'ხე მოწყობის მოთხოვნით გამოსელა. მკითხველი საზოგადოების წინა'შე ფედერალი'ზმის უპირატესობის დასაბუთებას თ.ლლონტი, დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ა'ხრის შეხედ'ულებებ'ზე დაყრდნობით ცდილობდა. მისი ა'ხრით, "ფედერალი'ზმი ფორმაა პოლიტიკური წესწყობილებისა, სადაც ეროვნ'ული და ინტერნაციონალ'ური ინტერესები შეთანხმებ'ულნი არიან. ეროვნ'ული და ინტერნაციონალური საკითხები ეხლა პოლიტიკური ბრძოლის ღერძად ითელება და, ცხადია, ჩვენი მოვალეობაა ვიცოლეთ ევროპის პოლიტიკური ა'ხროვნება რა ხასიათს იღებს, 'უარყოფს ფედერალი'ზმს თუ იწონებს."[20] ამ ფონ'ზე, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთ– ერთ წარმატებ'ულ ფორმად, თ.ლლონტი ფედერალი'ზმის მოძღვრების პრაქტიკულ რეალი'ზაციას მიიჩნევდა. თავისი შეხედულების სისწორის დადასტ'ურების მიზნით, იგი შვეიცარიის, გერმანიისა და ავსტრიის სახელმწიფოთა ანალოგიებს მიმართავდა. აქედან გამომდინარე, აკეთებდა დასკვნას: "კარგი იქნება– წერდა თ.ლლონტი– საერთა'შორისო დემოკრატიას ჩვენც მივბაძოთ, ფედერალი'ზმი სახელმძღვანელო პრინციპად გავიხადოთ და საერთო პოლიტიკით გავაძლიეროთ ეროვნული ბრძოლა."[21]

ჩვენს მიერ მოტანილი ამონაწერების მიხედვით თუკი ეიმსჯელებთ, თ.ლლონტის პო'ზიცია საკუთრივ გასაგებია. მას შვეიცარიის, გერმანიისა და ავსტრიის ანალოგიები მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურად მოწყობისა და მის შემადგენლობაში შემავალი ერების უფლებების განსაზღვრისათვის დასჭირდა. ამ შემთხვევა'ში იგი ქართველი ერის ინტერესებიდან ამოდიოდა და ფედერაციულ რუსეთში, ქართველთა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი უფლებების დაცვის მეტ შესაძლებლობებს ხედავდა. ამის უტყუარ დადასტურებას მებრძოლის ფსევდონიმით გამოქვეყნებ'ული სტატია "რა არის ფედერაცია"– წარმოადგენს. მას'ში რუსეთის ფედრაციულად მოწყობის დასაბუთებასთან ერთად, საქართველოს უფლებამოსილების საკითხიცაა გარკვეული. "ფედერაციის დროს– ეკითხულობთ წერილში– ქართველ ხალხს უფლება ექნება წმინდა ქართული საქმეები გაარიგონ ქართულ სეიმში, ქართ'ულ საკანონმდებლო სამმართველო და სასამართლო დაწესებულებებში... ამავე დროს ქართველ ერს უფლება ექნება რუსეთის სხვა ერებთან ერთად თანასწორი ხმით წარმომადგენლები გაგზავნოს რუსეთის ფედერალურ პარლამენტ'ში, სადაც ყველა ერისათვის საერთო საკითხები საბოლოოდ გადაწყდება." იმავე ავტორის აზრით, თუკი რუსეთის ფედერაცია წმინდა დემოკრატიულ საწყისებზე იქნებოდა აგებული, თითო პალატიანი ორი– 1)ეროვნული და 2)საერო პარლამენტი უნდა შექმნილიყო. მისივე მტკიცებით, აუცილებლობას წარმოადგენდა ფუნქციონირება დაეწყო კანტონების საკრებულოს, კანტონების წარმომადგენელთა კრებისა და კანტონების საბჭოს. სამწუხაროდ, ავტორმა ვერ ახსნა აღნი'შნული ორგანოების

სარუსეთო მასშტაბით კომპენტენციასა და მასში შემავალი ერების წარმომადგენელთა უფლებამოსილებას.

ეურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერთა მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, ძირითადად რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ მოწყობაზე აკეთებდა აქცენტს და მხოლოდ იმის მტკიცებას შეიკავდა, რომ რუსეთში ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ერთად-ერთი გზა რუსეთის ფედრაციულად მოწყობაში მდგომარეობდა. ამასთან დაკავშირებით კოკი აბაშიძე სტატიაში- "ეროვნული იდეალის გამარჯვება"- წერდა: "მხოლოდ თავისუფალ ერთა კავშირს, თანასწორი უფლებებით აღჭურვილს, შეუძლია ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა. ცხოვრება სწორედ ამ ეროვნული თავისუფლებისაკენ მიგვაქანებს ანქარებული ტემპით, რადგან ამაშია ხსნა მშრომელი ხალხისა, ეს არის ისტორიული პროცესის აუცილებელი შედეგი და სწორედ ამიტომაც არის, რომ რუსეთის დემოკრატია... და მასთან ერთად ქართველი ერიც ასე მოუთმენლად და სიხარულით ელის დემოკრატიული- ფედერაციული რესპუბლიკის განმტკიცებას რუსეთში."[22]

ამ შემთხვევაში, ძირითადი აქცენტი თანასწორი უფლებებით აღჭურვილ თავისუფალ ერთა კავშირზეა გაკეთებული და მისი სახე რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციულ რესპუბლიკაშია განსახიერებული, მაგრამ არაფერია ნათქვამი სახელისუფლებო ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ სოციალისტ- ფედერალისტთა ზემოთ განხილული შეხედულებები მხოლოდ ზოგადი თეორიული მსჯელობის ხასიათს ატარებს და რუსეთის ფედერაციული მოწყობის დასაბუთების ჩარჩოს არ სცილდება. ბუნებრივია, ასეთი ფორმით გაწეული პროპაგანდა, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. თითქმის ანალოგიური ხასიათის მატარებელია ვ.კოტეტიშვილის ერცელი სტატია- "სოციალ- ფედერალიზმი როგორც აუცილებლობა სოციალ- დემოკრატიისათვის." ამ პუბლიკაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისმა ავტორმა, წამოჭრილი პრობლემა მარქსიზმისადმი დაპირისპირების ფონზე განიხილა და თეორიულად შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ერი, როგორც "ცოცხალი სოციოლოგიური არსი," მარქსიზმის მიერ უარყოფილი იქნა. მარქსიზმის, როგორც პოლიტიკურ -სოციალური მოძღვრების მარცხი, ვ.კოტეტიშვილის აზრით, სწორედ ერის უარყოფაში მდგომარეობდა. ამასთან დაკავშირებით იგი, მარქსიზმის მიმდევრებს შეასხენებდა, რომ "სოციოლოგია მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს, ზიარი ცხოვრების ფენომენებს. ერი კი ამ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა, ამ ზიარი ცხოვრების საუკეთესო გამომხატველია... ერი ის ჭურჭე-

ლია, რომელშიაც არის ნაყენებული საზოგადოებრივი არსებობა და განა შეიძლება ერის მიუღებლობა? ერი ნამდვილი სოციოლოგიური გაგებით მარქსმა უარყო. არ მიიღო ცხადი რეალობა და ეკონომიური თეორიით შექმნა რაღაც აბსტრაქცია."[23]

ერისადმი მარქსიზმის უარყოფითი დამოკიდებულების ასეთი ფონის შექმნით, ვ.კოტეტიშვილი შეეცადა, საზოგადოების ძირითადი ყურადღება ერის გადარჩენისა და მისი უფლებების დაცვის გარანტიების საჭიროებაზე მიეპყრო. იმავდროულად ეჭვქვეშ დააყენა იმ ძირითადი მექანიზმის აუცილებლობა, რომლის ამოქმედების შემთხვევაში, რუსეთში შემავალი ერების თვითმყობადობა და მისი სახელმწიფოებრიობა იქნებოდა დაცული. ამ თვალსაზრისით თუკი განვიხილავთ წინამდებარე პუბლიკაციას, მისი ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1)სოციოლოგიურ მეცნიერებაზე დაყრდნობით, საზოგადოების განვითარება, ადამიანის თვითმოქმედების ზრდა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. ადამიანის ინდივიდუალიზაცია, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში პიროვნული თავისუფლება, ვ.კოტეტიშვილმა ქვეყნის ფედერალურ მოწყობას დაუკავშირა. მისი მტკიცებით, "ფედერალიზმის პრინციპი იმარჯვებს იმის გამო,რომ ანარქიზმის გარდა, იგი არის ყველაზე რადიკალური ფორმა, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მომწესრიგებელი. "ფედერალიზმი ისეთი ფორმაა, –წერდა ვ.კოტეტიშვილი –სადაც პიროვნებას ეძლევა სრული თავისუფლება,... რამდენადაც ამას პიროვნულ და საზოგადოებრივ მომენტთა შეგუება შესძლებს." აქედან გამომდინარე, ფედერაციას იგი მშრომელი ხალხისათვის ბუნებრივ აუცილებლობად აცხადებდა. 2)აღიარებდა რა სახელმწიფოს ერის უფლებების მთავარ შემქმნელად, საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიების მაგალითზე ვ.კოტეტიშვილი რუსეთის სახელმწიფოს ხელოვნურად აღმოცენებულ რკინის სალტეებით შემოვლებულ კონგლომერატად განიხილავდა და დასძენდა: "თითქმის არც კი არსებობს დღეს ისეთი სახელმწიფო, რომ ამგვარი ისტორიული "ცოდვა" არ აწვედეს კისრად. ყველგან არიან დაპყრობილნი და დამპყრობელნი, რაც სწორუფლებიანობის თვალსაზრისით ბოროტებას შეიცავს. უნდა მოხდეს ყველას გათანასწორება უფლებრივად, თუ თანასწორობის პრინციპს,უმაღლეს სამართლად ყაღიარებთ." აქედან გამომდინარე, იგი დამპყრობლებთან დაპყრობილის უფლებრივად გათანასწორების საკითხს აყენებდა. ყველა დაპყრობილი "ერი– წერდა ვ.კოტეტიშვილი– უნდა გამოცხადდეს თავისუფალ ერთეულად და ყველა უნდა გადაიქცეს ხელმწიფე ერად." ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის სახელმწიფოში შემავალ უფლებააყრილ ერებს, სამართლებრივი სტატუსი დაბრუნებოდა და იგი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გამხდარიყო. ამ მიმართულებით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას მოასწავებდა. აქ ერთი

ნიუანსიცაა გასათვალისწინებელი, კერძოდ, როცა საკითხი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ეხება, სოციალისტ– ფედერალისტები და მათ შორის ეკოტეტიშვილი, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას არ გულისხმობდნენ. ქართული სახელმწიფოს ნანასახის– ტერიტორიულ– ავტონომიური ფორმით არსებობის პერსპექტივას იგი მხოლოდ რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციულ საწყისებზე მოწყობაში ხედავდა. ეს მარტო სოციალისტ– ფედერალისტების ლიდერების კაპრი'ზები არ იყო. მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნება რუსეთის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა. ამ მხრივ, რუსეთის სოციალისტური პარტიებისგან მათ გარკვეული მხარდაჭერაც ჰქონდათ. ამის შესანიშნავ დადასტურებას რუსეთის ეროვნული სოციალისტური პარტიების საბჭოს ერთობლივი პლატფორმის პროექტი წარმოადგენს. ამ დოკუმენტში გარკვევით იყო მითითებული, რომ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი "ცალკე ერების ყველა სოციალისტური პარტიები ერთიანდებიან, რათა შეჰქმნან ტერიტორიის მქონე ერებისათვის ადმინისტრაციული ან პოლიტიკური ავტონომია..."[24] ხოლო ისტორიული ტერიტორიის არმქონე ერებისათვის იგივე დოკუმენტი ეროვნულ– პიროვნულ ავტონომიას, ანუ კულტურულ ავტონომიას ითვალისწინებდა. მართალია, არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე საკითხი სწორად იყო დასმული, მაგრამ, არსებითი მნიშვნელობა პოლიტიკურ ძალთა გააქტიურებას და რუსეთის ხელისუფლებაზე ზეწოლის შესაბამისი მექანიზმის შემუშავებას ენიჭებოდა. ამ მხრივ ქართული პოლიტიკური სპექტრი თითქმის უნაკლოდ გამოიყურებოდა. დასმულ პრობლემასთან მიმართებაში ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებმა მიმდინარე პროცესებსა და ქვეყნის შიგნით შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას შესანი'შნავად აუღეს ალღო, ცარიზმის მიერ დაჩაგრული და სახელმწიფოებრიობაწართმეული ერებისათვის ავტონომიის აუცილებლობის მოთხოვნა გაბედულად დააყენეს. ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის ერთ– ერთი ლიდერი გრ.რცხილაძე,ავტონომიის საკითხს შემოქმედებითად მიუდგა და ავტონომიისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის ხარისხის, ავტონომიური მმართველობის კომპეტენციის გარკვევის აუცილებლობა პირველ ხარისხოვან ამოცანად მიიჩნია. "ავტონომიას ეძახიან– წერდა გრ.რცხილაძე– ინგლისის კოლონიების თვითმმართველობასაც, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება სრულიად დამოუკიდებელი მმართველობისაგან საკონსტიტუციო მონარქიებში, მაგრამ, ავტონომიას ეძახიან აგრეთვე სოფლების (კომუნების) და ქალაქების თვითმმართველობასაც, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი სოფლის ან ქალაქის საქმეებს წყვეტს. ავტო-

ნომიას ეძახიან ტერიტორიულ ერთეულებს, მაგრამ ხშირად ავტონომიას ეძახიან აგრეთვე უტერიტორიო კავშირების და ორგანიზაციების თვითმმართველობასაც.'[25] აღნიშნული ამონაწერიდან გამომდინარე, ჩვენს წინაშე ავტონომიის ცნების რამდენიმე სახეობაა მოცემული. ბუნებრივია, საკითხის ზოგად ფორმებში დაყენება არასწორი იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ერთიანი რუსეთის შენარჩუნების მოსურნე დროებით მთავრობას, რუსეთის შემადგენლობაში მცხოვრები ერებისათვის ზემოთჩამოთვლილი ავტონომიების ფორმებიდან, გამორიცხული არ იყო ყველაზე უარესი არჩევანი გაეკეთებინა. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები კანონზომიერად მიუთითებდნენ, რომ "ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად საკმაოდ ვერ ჩაითვლება ავტონომიის მოთხოვნა, თუ ამ ცნებას გარკვეული შინაარსი და მნიშვნელობა არ მიეცა.'[26] აქედან გამომდინარე, რუსეთის ფარგლებში უპირატესობას ისინი ტერიტორიულ ავტონომიას აძლევდნენ. ანალოგიურ პოზიციაზე იდგა ივ.გომართელიც. იგი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებდა ამ საკითხში მიმართებაში სოციალ– დემოკრატიის შიშს და თავისი არგუმენტაციის საფუძვლად პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის მაგალითებს იშველიებდა. იმავდროულად იმის შესახებაც მიუთითებდა, რომ ტერიტორიული ავტონომია სრულ დამოუკიდებლობას არ ნიშნავდა და ნებისმიერი ავტონომიური ერთეული ისევ რუსეთის "მფარველობის" ქვეშ დარჩებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის დროებით მთავრობას ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ჰქონდა განზრახული, გრ.რცხილაძის სიტყვებით რომ ვიქვათ, ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიების შექმნას, რუსეთში "ნაციონალური სახელმწიფოების" დასაარსებლად შესაბამისი საფუძველი უნდა მოემზადებინა. ე.ი. რუსეთში მოსახლე ყველა ტერიტორიულ ერს თავისი ნაციონალური სახელმწიფო უნდა ჰქონოდა. იმავე გრ.რცხილაძის აზრით, რამდენადაც ახლად შექმნილი თითოეული ნაციონალური სახელმწიფო ცალ– ცალკე სუსტი იქნებოდა, სამხედრო და საერთაშორისო საქმეების თვალსაზრისით, მისი რუსეთთან გაერთიანება აუცილებელობას წარმოადგენდა. ე.ი. უნდა მომხდარიყო რუსეთთან დაახლოება და შეკავშირება. ბუნებრივია, რუსეთისათვის შემოღებული ზოგიერთი საქმის გამგებლობა და კანონმდებლობა ნაციონალური სახელმწიფოსთვისაც სავალდებულო იქნებოდა. ამ პრინციპის დემოკრატიული ფორმით გატარება, რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაციონალური სახელმწიფოების ფედერაციული წესით გაერთიანება და ურთიერთობის ამ ფორმის სამართლებრივად დაკანონება, გრ.რცხილაძის აზრით, ეროვნული თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას განაპირობებდა.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზი ადასტურებს, რომ რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციულ რესპუბლიკად მოწყო-

ბის აუცილებლობა, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის, ამ პოლიტიკური ერთეულის სახელმწიფოებრივი ჩანასახის ფორმით იურიდიულად დაკანონებისათვის სჭირდებოდათ. მათი ეს პოზიცია, იმ პერიოდის საერთაშორისო სამართლის ნარჩოში თავსდებოდა და დროებითი მთავრობის მიერ შეპირებული –ერთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკულად რეალიზაციის მცდელობას წარმოადგენდა.

მართალია, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები ერებისათვის რუსეთის შემადგენლობაში ტერიტორიული ავტონომიის მიცემის საკითხს აყენებდნენ, მაგრამ იმავდროულად ამ ავტონომიათა – საკანონმდებლო ორგანოს შექმნას, მისი უფლებამოსილების განსაზღვრას პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდნენ. მათი სამართლიანი მტკიცებით, ერთიანი სარუსეთო კანონების– რუსეთში მაცხოვრები ყველა ერისადმი მისადაგება შეუძლებელი იყო. აუცილებლობა თითოეული ერის სპეციფიკის თავისებურების გათვალისწინებასაც საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, გაუგებრობის აცილების, უკმაყოფილებისა და დაპირისპირებისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებას, ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების– პარლამენტების შექმნაში ხედავდნენ. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, რ.არსენიძე გარკვევით მიუთითებდა, რომ რუსეთში "მცხოვრები ერების განსაკუთრებულ პირობებთან შეთანხმებულად მოქმედება აუცილებლად თხოულობს ამ ადგილებში საოლქო და ეროვნული პარლამენტების დაარსებას, რომელიც არჩეული იქნება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთაგან განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის მიცემით და პროპორციონალური წარმომადგენლობით." იმავე რ.არსენიძის სამართლიანი მტკიცებით, ადგილობრივი პარლამენტები მხოლოდ ამა თუ იმ ერის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული კანონების მიღებით იქნებოდნენ დაკავებულნი. რაც შეეხება ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების უფლებამოსილებასა და კომპეტენციას, იგი სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა განესაზღვრა. ეროვნული პარლამენტებისა და ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების სისრულეში მოყვანის ერთ– ერთ მექანიზმად, რ.არსენიძე ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოს ანუ მთავრობას მიიჩნევდა, რომელიც რუსეთის ცენტრალური მთავრობისა და პარლამენტის "ადგილობრივი განყოფილების" ფუნქციის შემსრულებელი იქნებოდა. იგივე საკითხი იყო დასმული ნ.ჟორდანიას მიერ რსდმპ ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. რ.არსენიძისაგან განსხვავებით, იგი თითოეული ეროვნულ– ტერიტორიული თვითმმართველობისათვის, ანუ ავტონომიისათვის კონსტიტუციის საჭიროებას აუცილებლობად

თელიდა. "თითოეული თვითმმართველი ერის კონსტიტუცია– წერდა ნ.ჟორდანია– როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ეერ შეიცვლება ნეგულებრივი კანონმდებლობითი წესით."[27] ეს იმას ნიშნავდა, რომ ნ.ჟორდანია, კონსტიტუციას კანონის უსენაესობას ანიჭებდა და სხვა დანარჩენი კანონებისათვის საფუძველთა –საფუძვლად მიაჩნდა. მისივე პოზიციიდან გამომდინარე, ავტონომიური ერთეულების კონსტიტუციები, საერთო სარუსეთო კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ უნდა ყოფილიყო. ე.ი. თითოეული მათგანის კომპეტენცია, წინასწარ განსაზღვრული და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოთი უნდა შემოფარგლულიყო. პრობლემის ამ ფორმით გადაწყვეტა ნ.ჟორდანიას, ცენტრსა და პერიფერიებს (ავტონომიებს) შორის ურთიერთობის დარეგულირების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. ასეთი პოზიციის ოფიციალურად გაცხადების მიუხედავად, ქართულმა პოლიტიკურმა ასოციაციებმ, აღნიშნულ საკითხზე გამოთქმული თვალსაზრისი არასრულყოფილად ჩათვალა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ერეთების მოწყობის შესაძლო ვარიანტი საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია. აქცენტირება ძირითადად ორი მიმართულებით იქნა გაკეთებული: 1)რუსეთის ფედერაციაში ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნის, ერთი საადმინისტრაციო ტერიტორიული ერთეულის სახით შესელა'ზე და 2)ამიერკავკასიის სამი ერის– ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ცალ– ცალკე ტერიტორიული თვითმმართველი ერთეულების რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება'ზე. აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, ქართულ პოლიტიკურ ასოციაციებში ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თავიანთი შეხედულების ჭეშმარიტების დასადასტურებლად, თითოეული პოლიტიკური მოღვაწე შესაბამის არგუმენტებს იშველიებდა, რომლის საფუძველზედაც სათანადო დასკვნებსაც აკეთებდა.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ პირველ საკითხს– 1)რუსეთის ფედერაციაში ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს, ერთი ადმინისტრაციული წარმონაქმნის სახით გაერთიანების მიზანშეწონილობას, ამ იდეას ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერი ნ.ჟორდანია იცავდა. თავისი პოზიცია მან რსდმპ ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობაზე (1917 წლის იენისი) გაკეთებულ მოხსენებაში ჩამოაყალიბა. მისი ძირითადი იდეა– საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნაში მდგომარეობდა. როცა ნ.ჟორდანია საკითხს ამ კუთხით აყენებდა: ა)ამიერკავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესაძლებლობა'ზე და სამომავლო საჭიროება'ზე ამახვილებდა ყურადღებას; ბ)იმავდროულად არ ივიწყებდა სამივე ერისათვის (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) დამახასიათებელ

განსაკუთრებულ ნაციონალურ სხვაობას, რომელიც დასახული მიზნის განსახორციელებლად შეიძლება ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი გამხდარიყო. ამ შემთხვევაში, იგი გამოსავალ საშუალებას ორივე პრობლემის კომბინაციაში ხედავდა. მისი აზრით, საჭირო იყო სამივე ერის "ერთად თავმოყრა, ერთ მოქალაქეობრივ ერთიულათ ცნობა და მის სახლერებში ნაციათა მშვიდობიანი დამოკიდებულების განსაზღვრა."[28]

იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას უნდა ეტვირთა ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება, ამ კითხვაზე ნ.ჟორდანია კონკრეტულ პასუხს თავს არიდებდა და ზოგადი ხასიათის დებულებით იფარგლებოდა. "ადგილობრივი ნაციონალური ურთიერთობის მომწყობი— წერდა იგი— უნდა იყოს სამივე ერის დემოკრატია, რომელთა შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის."[29] ასეთი თვალსაზრისის მიუხედავად, სამივე ერის თანამშრომლობის დარეგულირების საუკეთესო საშუალებად ნ.ჟორდანია კონსტიტუციას და ნაციათა შეთანხმების საფუძველზე შექმნილ საერთო ცენტრს მიიჩნევდა. მისი მტკიცებით, ყოველი ცდა ამაო გამოდგებოდა, თუკი პოლიტიკურ ძალთა შეთანხმება და აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ერთიანი სამოქმედო პლატფორმის შემუშავება არ მოხდებოდა. სამივე "ერის დემოკრატიამ უნდა გამოიმუშაოს ერთი პროგრამა, წამოაყენოს საერთო მოთხოვნილება და მის გარშემო დაირაზმოს."[30] იმ შემთხვევაში, თუკი ეს მიზანი განხორციელდებოდა, იგი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას სრულებითაც არ ნიშნავდა. იმ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობა ამიერკავკასიის ერებისათვის მისაღები პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმის შემუშავებას ენიჭებოდა. ეს მომენტი, ნ.ჟორდანიას ყურადღების მიღმა არ დარჩენია. ამ საკითხთან მიმართებაში მას გამოკვეთილი პოზიცია გააჩნდა. მისი აზრით, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შემდეგ ფაქტორებს უნდა დამყარებოდა: 1)ნაციონალური ინტერესების დაცვით უზრუნველყოთ ეკონომიკური საადებმიცემო და ერთა თანასწორობის პრინციპები, რომელიც ერთდროულად ეკონომიკურ და უფლებრივ თანასწორობას დაემყარებოდა. 2)ამიერკავკასიის ერთიანობის ფარგლებში უნდა შექმნილიყო საჯარო უფლების მქონე ნაციონალური ორგანიზაცია, მომხდარიყო სამშობლო ენის გასახელმწიფოებრიობა. რამდენადაც ნაციონალური ენის სახელმწიფო ენად გადაქცევა ეროვნული მთავრობის გარეშე შეუძლებელი იყო, ამ ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სამი ერის ცენტრალური მმართველობითი ორგანოს პარალელურად, ნ.ჟორდანია თითოეული ერის ცალ—ცალკე მმართველობითი ორგანოების არსებობას აუცილებლობად თვლიდა. საკითხის ამ ფორმით გადაწყვეტა, ფაქტობრივად ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ემყარებოდა. თუ როგორ მოიაზრებდა იგი ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას და რას გულისხმობდა ერთა თვით-

გამორკვევის ცნებაში, ამის საილუსტრაციოდ მისივე ნაშრომიდან მოვიტანთ შესაბამის ამონაწერს, სადაც ეკითხულობთ; "თავი და თავია თვით მისანი, სამშობლო ენის მმართველობის ენათ გადაქცევა, რომლის მიღწევა ამიერკავკასიაში მხოლოდ კანტონალური წყობილებით შეიძლება."[31] მისივე თქმით, ამიერკავკასია ერთნაირი კომპენტენციით აღჭურვილ კანტონებად უნდა დაყოფილიყო. ამ სამი კანტონის– პოლიტიკური ერთეულების საფუძველ'ზე მოიაზრებდა იგი ერთიანი ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნას.

ამიერკავკასიის სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ნ.ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული პროექტი, შვეიცარიული მოდელის თავისებურ გააზრებას წარმოადგენდა. იგი დემოკრატიულ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა და შესაბამისი კონსტიტუციით ყოფილიყო გამაგრებული. ამ გაერთიანებაში, ადგილობრივ ერთა დამოუკიდებლობისა და მართვის ბერკეტები საერთო ცენტრს– სეიმს უნდა დაქვემდებარებოდა. ასეთი ფორმით შექმნილი ამიერკავკასიის სახელმწიფო რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციულ რესპუბლიკაში უნდა შესულიყო.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველიანმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ რუსეთის ფედერაციაში ამიერკავკასიის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანების ნ.ჟორდანიასეული მოდელი, სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ მხრივ განსაკუთრებით სოციალისტ– ფედერალისტები აქტიურობდნენ. ყურადღებას იქცევს გრ.რცხილაძის მიერ რამდენიმე წერილის სახით გამოქვეყნებული პუბლიკაცია– "ამიერკავკასიის თვითმმართველობა." ეს ნაშრომი თავის დროზე (1917 წელი) გა'ხეთ "სახალხო ფურცელში" დაიბეჭდა და იმავე წელს ცალკე წიგნაკის სახითაც გამოქვეყნდა. მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გრ.რცხილაძემ წინა პლანზე ამიერკავკასიის ერების პოლიტიკური მოწყობისა და რუსეთის ფედერაციაში მისი შესაძლო გაერთიანების ფორმის გარკვევის საკითხი წამოსწია. ნ.ჟორდანიას მსგავსად, ამიერკავკასიის ერების სპეციფიურობიდან გამომდინარე, გრ.რცხილაძემაც ძირითადად ორი საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მისი მტკიცებით, 1)ამიერკავკასია ტერიტორიულ ერთეულთან ერთად საადმინისტრაციო ერთეულსაც შეადგენდა, რომელსაც ამიერკავკასიის ერების პოლიტიკური მოწყობისათვის განსაკუთრებული როლის შესრულება შეეძლო. "წმინდა საერთო ამიერკავკასიური ინტერესები– წერდა გრ.რცხილაძე– არსებობენ იმდენად, რამდენადაც ამიერკავკასიის ტერიტორიალური მთლიანობა თხოულობს საერთო სატერიტორიო საქმეების საერთო გამგებლობას."[32] 2)ამიერკავკასიაში მაცხოვრებელი ერები, გრ.რცხილაძის სამართლიანი მტკიცებით, ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ ენით, კულტურით, სარწმუნოებით, ეროვნული წარმომავლობით ანუ ეთნიკური განსხვავებულობით.

ზემოაღნიშნული ორიეე ფაქტორის გათვალისწინებით თუკი ვიმსჯელებთ, ამიერკავკასიის ერთ პოლიტიკურ ერთეულად მოწყობაზე ურთიერთგამომრიცხავ და დაპირისპირებულ შეხედულებასთან გვაქვს საქმე. მართალია, გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, პირველი რიგის ინტერესები ამიერკავკასიაში მაცხოვრები ერების ერთ თვითმმართველ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებას დასაშვებად მიიჩნეედა, ხოლო მეორე ფაქტორი ამიერკავკასიის რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დანაწილების აუცილებლობას მოითხოვდა. ამ მიმართულებით, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა გრ.რცხილაძეს საესებით მიზანშეწონილად მიაჩნდა, რადგან ამიერკავკასიის ერთ საადმინისტრაციო ერთეულად გაერთიანება ხელოვნურ სახეს მიიღებდა. აქედან გამომდინარე, ერთიანი თვითმმართველობის სამსხვერპლოზე ამიერკავკასიის ერების ინტერესების მიტანას, იგი შეუძლებლად თვლიდა და საათანადო დასაბუთებასაც იძლეოდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, "ამიერკავკასიის გადაქცევა ერთ თვითმმართველ ერთეულად უარყოფილ უნდა იქნას და იმის მაგიერ უნდა დაარსდეს რამდენიმე ნაციონალური ერთეული მოსახლეობის მიხედვით, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს დაუახლოვდნენ მდინარეების, ტყეების და გზების საერთო საქმის მოსაწყობად ან მუდმივი ან დროებითი კავშირის შეკვრით."[33] ე.ი. ამიერკავკასიის ერთა დაახლოებას და მომავალში დროებითი კავშირის შეკვრის შესაძლებლობას გრ.რცხილაძე არ გამორიცხავდა. ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯის გადადგმას იგი საერთო ეკონომიკურ ინტერესებს უკავშირებდა. მიუხედავად ამისა, გრ.რცხილაძე პრიორიტეტს ერის სულიერ მისწრაფებას ანიჭებდა და ამიერკავკასიის ნაციონალურ– ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის საკითხს პრინციპულად აყენებდა. აქედან გამომდინარე,რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ამიერკავკასიის თითოეული ნაციონალური პოლიტიკური ერთეულის მხოლოდ ცალ– ცალკე გაერთიანებას უჭერდა მხარს.

იმავე პრობლემას შეეხო გ.გვაზავა ერცელ საგაზეთო პუბლიკაციაში– "საქართველოს ავტონომია," რომლის მესამე ნაწილი კავკასიის ავტონომიისადმი იყო მიძღვნილი. ამ წერილის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ კავკასიის ავტონომიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს გ.გვაზავამ უფლებრივი პრინციპი დაუდო საფუძველად და ამ ფონზე შეეცადა საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, თუ რამდენად მისაღები იყო აღნიშნული გაერთიანება საქართველოსათვის. მისი სამართლიანი მტკიცებით, კავკასიის თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, საქართველოც მისი ერთ– ერთი შემადგენელი კანტონი იქნებოდა. იგი შვეიცარიის სახელმწიფოს მასგავსად მოეწყობოდა. ფედერაციული მთავრობისა და კანტონის უფლებები შესაბამისი კანონით (კონსტიტუციით) დარეგულირდებოდა. ასეთი პოზიციის

მიუხედავად, გ.გვაზავა იმ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ ამერიკა კავკასია იმ ეტაპზე რუსეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და მართვა— გამგეობის ბერკეტებიც დროებითი მთავრობის ხელში რჩებოდა. ბუნებრივია, ამერიკა კავკასია მხოლოდ პოლიტიკური ავტონომიური ერთეულის ფორმას მიიღებდა, რაც გ.გვაზავას დაეშვებლად მიაჩნდა. თავისი პოზიციის დასაბუთების ერთ— ერთ არგუმენტად იგი უალრესად ანგარიშგასაწევ ფაქტორს ასახელებდა. კერძოდ, რუსეთის დემოკრატიულ— ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში ამერიკა კავკასიის ავტონომიური უფლებებით შესვლის შემთხვევაში, ამერიკა კავკასიის ავტონომიის სეიმი და მთავრობა უფუნქციო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. გ.გვაზავას მტკიცებით: 1)სახელმწიფოს საყოველთაო საქმეების გამგებლობა რუსეთის ფედერაციის პარლამენტს დაეკისრებოდა; 2)ადგილობრივი საქმეებისა კავკასიის ფედერაციაში შემავალი ავტონომიების პარლამენტების ფუნქცია იქნებოდა. თუ რა უარყოფითი შედეგის მომტანი შეიძლება ყოფილიყო პოლიტიკურ სივრცეში შექმნილი ასეთი ვაკუმი, ამის შესახებ იგივე გ.გვაზავა დასძენდა: "ამ ცარიელი ადგილის ამოსავსებად, ან რუსეთის მთავრობას უნდა ჩამოეცალოს ზოგიერთი უფლებანი, ან ადგილობრივ ავტონომიებს. პირველი შეუძლებელია. საერთაშორისო განწყობილება, ჯარი და სამხედრო ფლოტი, ფულის მოჭრა, გადასახადი და სხვა—...იმდენად საერთოა სახელმწიფოს ყოველი კუთხისათვის... იმდენად ეხება მთელი სახელმწიფოს... საჭიროებას, რომ ამ საქმეების გადმოტანა და გადაცემა კავკასიის ავტონომიაში შეუძლებლად მიმაჩნია. თუ ეს შეუძლებელია, აშკარაა, ცარიელი ადგილი უნდა ავსოს სხვა წყაროდან ადგილობრივი ავტონომიის შეზღუდვით და მისი უფლებების შემცირებით. ეს კი ყოვლად შეუძლებელია. მაშინ საქართველოს მხოლოდ ერობა შერჩება და არა პოლიტიკური ავტონომია. აი ამიტომ, მთელი კავკასიის ერთ ავტონომიად მოწყობა ჯერ- ჯერობით დღევანდელ პირობებში საჭირო არ არის, იგი უსათუოდ შეზღუდავს საქართველოს ავტონომიის უფლებებს, სარგებლობას კი ვერაფერს მოიტანს."[34]

ამ ვრცელი ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის კავკასიის ავტონომიის საკანონმდებლო ორგანოსა და ამ გაერთიანებაში შემავალი კანტონების ხელისუფლებას შორის დაპირისპირება გარდუვალი იქნებოდა. იგი კავკასიის ავტონომიის ხელისუფალთა გამარჯვებით დამთავრდებოდა თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება უფრო ხელსაყრელად ჩათვლიდა ურთიერთობა ჰქონოდა კავკასიის ეროვანი ავტონომიის მთავრობასთან და არა იმავე კავკასიის რამდენიმე ავტონომიური ერთეულის მთავრობებთან. პრობლემის ამ კუთხით გადაწყვეტის შემთხვევაში, კანტონების საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა უფუნქციო სახეს მიიღებდა, ხოლო

თვით კანტონი, გ.გვასავას სიტყვებით რომ ეთქვათ, ერობის უფლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. რამდენადაც ეს არგუმენტი მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციის სიღრმისეულ და ობიექტურ შეფასებას ემყარებოდა, საკვლევით ლოგიკური და დამაჯერებელი იყო. მიუხედავად ამისა, ეს სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ გ.გვასავა, ამიერკავკასიის ყოველგვარი ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგი იყო. იგი ასეთი სახის გაერთიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერდა მხარს თუკი: ა)ამიერკავკასიაში დემოკრატიული პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო შეიქმნებოდა; ბ)რუსეთის ხელისუფლების მიერ კავკასიაში დანიშნული გენერალ- გუბერნატორი მხოლოდ მეთვალყურის ფუნქციით და ვეტოს უფლებით აღიჭურვებოდა; გ)თუკი კავკასიის ავტონომიის უფლებამოსილება კანადისა და ავსტრალიის ავტონომიების სახეს მიიღებდა; დ)კავკასიის ავტონომიის უფლებებს თუკი დაექვემდებარებოდა საბაჟო საზღვარი, ზოგიერთი საერთაშორისო ურთიერთობის საკითხი და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ.გვასავა კატეგორიული ტონით დასძენდა: " თუ... ამ გეგმაზე იქნება კავკასიის ავტონომია მოწყობილი, მაშინ ამის წინააღმდეგ არაყინ იქნება,... კავკასიის ავტონომიასაც ბევრი საქმე ექნება და საქართველოსაც არ მოელის შეკიწროება. საქართველო იქნება ერთი კანტონი ამ დიდის ავტონომიისა, იმ სრული სახელმწიფოებრივი უფლებით რომელიც ეკუთვნის საზოგადოდ კანტონს ან შტატს."[35] რუსეთის ხელისუფლების მხრიდან დათმობაზე წაუსვლელობის შემთხვევაში, ქართველებს, კავკასიის ავტონომიის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ და რუსეთის ფედერაციაში ცალკე პოლიტიკური ავტონომიური წარმონაქმნის სახით შესვლისათვის ებრძოლათ.

იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ერებთან ერთად ამიერკავკასიის ერები რუსეთის ფედერაციაში გაერთიანდებოდნენ, ერთიანი სარუსეთო კონსტიტუციისა და კანონმდებლობის სივრცეში მოექცეოდნენ, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები შეუქცევად პროცესს მიიღებდა. ამიტომ, ამიერკავკასიის ერთიანი პოლიტიკური ავტონომიური ეროვნულით რუსეთის ფედერაციაში შესვლა აზრს კარგავდა. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციაში ამიერკავკასიის კანტონების, როგორც პოლიტიკური ეროვნულების ცალ– ცალკე გაერთიანების გრ.რცხილაძისა და გ.გვასავას მიერ შემოთავაზებული სქემა– მისაღები იყო. იგი, იმ პერიოდის პოლიტიკურ ფონზე, საქართველოს ინტერესებში ჯდებოდა და მაშინდელი პოლიტიკური ელიტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერას იმსახურებდა.

ამრიგად, 1)ქართველი ერის განთავისუფლებისა და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეის თეორიული მსჯელობის საფეხურიდან პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლა, რუსეთში

მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით იყო განპირობებული. ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეების მხრიდან, დასახული ამოცანის განხორციელების რეალური გზის– რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციულ რესპუბლიკად მოწყობაში დანახვა– დროის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. მათ მიერ შემუშავებული ეროვნული პროგრამის ძირითადი იდეა, რადიკალურ სეპარატიზმს გამორიცხავდა და დემოკრატიულ რუსეთში არარუსი ერების ტერიტორიულ– ავტონომიური უფლებების მიცემას ისახავდა მიზნად. 2)ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენელთა მხრიდან, დემოკრატიული რუსეთის კონფედერაციული პრინციპით აგების მოდელი, რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ერთეულების უფლებამოსილების გაზრდას, ცენტრსა და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს შორის ფუნქციების გადანაწილებას ითვალისწინებდა. აღნიშნულ პრობლემაზე პრესაში გამართული დისკუსია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ქართული საზოგადოებრივ- პოლიტიკური აზრის საფუძვლიან მომზადებას და ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან ამ საკითხზე კონსესუსს დაფუძნებული ერთიანი მოქმედების პოლიტიკური პლატფორმის შემუშავებას ისახავდა მიზნად.

თავი II.

ქართული პოლიტიკური აზრი, რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციულ სახელმწიფოში საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიურ ერთეულად მოწყობის შესახებ

რუსეთის სიერცეში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და მისი განაპირა რეგიონების ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ სწრაფვამ, ქართული პოლიტიკური აზროვნების წინაშე, ქართველი ერის სამომავლო ბედის საკითხიც დასვა. კონკრეტულად გამოიკვეთა ის პოლიტიკური ორიენტირები, რომლის საფუძველზედაც თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან შეწონასწორებას ცდილობდნენ და ქართული სახელმწიფოს, ან მისი ჩანასახის შექმნის შესაძლო რამდენიმე მოდელზე აკეთებდნენ აქცენტს. თუკი იმ პერიოდის მასალებს საფუძვლიანად გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ყურადღების ცენტრში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის საკითხი იდგა და დისკუსია მისი უფლებამოსილების რამდენიმე შესაძლო ვარიანტის გარშემო მიმდინარეობდა. ქართველი ერისათვის სასიცოცხლო ამ უაღრესად მნიშვნელოვან დებატებში ქართველი სოციალ– დემოკრატებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას და, პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, თავიანთი წვლილის შეტანასაც ცდილობდნენ. ამ შემთხვევაში, მხედველობაში ნ.ჟორდანიას მოხსენება– "ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში" გვაქვს. მისი შეხედულების ქვაკუთხედი დემოკრატიული რუსეთი იყო, რომლის შემადგენლობაშიც განიხილავდა საქართველოს საკითხსაც. პრობლემისადმი კლასობრივი პრინციპით მიდგომის მიუხედავად, ეროვნული ენის გასახელმწიფოებრიობას ნ.ჟორდანია აუცილებელ პირობად აღიარებდა და "სხვისი ენის დევნას" დანაშაულად თვლიდა. აღნიშნული საკითხის წარმატებულად გადაწყვეტის ერთ– ერთ რეალურ პირობად რუსეთში მცხოვრები ერებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას მიიჩნევდა. "დემოკრატიის პრინციპი– წერდა ნ.ჟორდანია– მოითხოვს ნაციის თვითგამორკვევის სავსებით გატარებას და მისი საქმეების სურვილისამებრ მოწყობას."[1] დასახული მიზნის– საქართველოსათვის თვითგამორკვევის მიღწევის საშუალებას იგი კომპრომისული გზის ძიებაში ხედავდა. "ქართველი ერის ნაციონალური პროგრამა უნდა აშენდეს არა მარტო ქართველის, არამედ დანარჩენი ორი ერის მოთხოვნილებაზეც, ეს გარემოება მისცემს მას ძალას და განხორციელების საშუალებას."[2]

ასეთი პოზიცია სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქართველი ერის კომპრომისული გზის ხარჯზე რომელიმე მეზობელი ერის შოვინისტური მისწრაფებანი დაკმაყოფილებულიყო. საკითხი მხოლოდ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ფორმის შემუშავებას ეხებოდა, სადაც ამა თუ იმ ერის ენა სახელმწიფოებრიობის რანგში იქნებოდა აყვანილი. "მიზანია— წერდა ნ.ჟორდანია— სამშობლო ენა გახდეს დაწესებულებათა ენად. კომპრომისი საჭიროა არა მიზანში, არამედ საშუალებაში, ისეთი წყობილების შემოღებაში, რომელიც საუკეთესოდ ასრულებს მთავარ მიზნს."[3] ამ შემოხვევაში, "მთავარი მიზნის" განხორციელების ერთადერთ საშუალებად მას ამიერკავკასიის ეროვნულ კანტონებად დაყოფა მიაჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნ.ჟორდანია, საქართველოს კანტონის ნაციონალური საბჭოთი შექმნას უჭერდა მხარს. თუკი ამ კუთხით განვიხილავთ საკითხს, გამოდის რომ კანტონალური სისტემის შემოღებით, საქართველოსათვის ფაქტობრივად ნ.ჟორდანია ეროვნულ—ტერიტორიულ ავტონომიას მოითხოვდა. ამას თვით მისი ერთ— ერთი ოპონენტი პ.საყვარელიძეც ადასტურებს. აი რას წერდა იგი ნ.ჟორდანიასეული პროექტის შესახებ; "ნ.ჟორდანიას კანტონალური სისტემა, პირველყოფილისა ტერიტორიული სისტემაა... ხოლო რამდენადაც კანტონი ნაციონალურ- ტერიტორიალურია, შიგნით ნაციონალური მთავრობაა გაბატონებული, ცხადია იმდენად იგი ნაციონალურ— ტერიტორიალური თვითმმართველობა ანუ ავტონომიაა."[4]

ასეთი შეფასების მიუხედავად, პ.საყვარელიძეს არ აკმაყოფილებდა საქართველოს ავტონომიის საკითხზე ნ.ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი პროექტის ძირითადი დებულებები. მხედველობაში გვაქვს იმავე პ.საყვარელიძის მიერ ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის საკითხზე გამოქვეყნებული წერილების სერია, რომელიც გაზეთ "ალიონში" იბეჭდებოდა სათაურით— "რევოლუცია და ეროვნული საკითხი ჩვენში." აღნიშნული პრობლემა მან რუსეთის რევოლუციის შემდგომ ეტაპზე შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე განიხილა და რუსეთის შემადგენლობაში მყოფი არარუსი ერებისათვის პოლიტიკური თავისუფლების მინიჭება აუცილებლობად გამოაცხადა. "რუსეთის დამორჩილებული ერების მდგომარეობის შეცვლა,— წერდა პ.საყვარელიძე— მათი კულტურულ— პოლიტიკური განთავისუფლება, საერთოდ ნაციონალური საკითხის ფართეთ და რადიკალურად გადაჭრა, რუსეთის დიდი რევოლუციის მორიგი მთავარი საკითხთაგანია."[5]

რამდენადაც პ.საყვარელიძე ეროვნული საკითხის გადაწყვეტას რუსეთის რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას უკავშირებდა, რევოლუციის ბოლომდე მიყვანის აუცილებლობიდან გამომდინარე, იგი ყველა პოლიტიკური ძალის გაერთიანებას პრინციპულად მოითხოვდა და იქვე დასძენდა: "თუ რევოლუცია დამარცხდა, რეაქციამ გაიმარჯვა...

მაშინ ერთა განთავისუფლებასა და ავტონომიაზე ფიქრსაც დიდი ხნით უნდა გამოვეთხოვოთ.'[6] რევოლუციისადმი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ პ.საყვარელიძის ეს განცხადება შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, იგი რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნებოდა. აქედან გამომდინარე, ეროვნული საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრას პ.საყვარელიძე კატეგორიული ფორმით მოითხოვდა. "ეროვნული საკითხი– წერდა იგი– ან ახლა უნდა გაირკვეს და გადაიჭრას ან არასოდეს.'[7]

თუ რა ფორმით აპირებდა იგი ეროვნული საკითხის გადაჭრას და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს რა სტატუსს სთავაზობდა, ამის შესახებ იმავე პუბლიკაციაში ეროვნულ– ტერიტორიულ ავტონომიაზეა აქცენტი გაკეთებული. ავტონომიის მისეული მოდელი პ.საყვარელიძეს ქართველი ერისათვის სიცოცხლისა და თავისუფლად განვითარების პირობად პირობად აქვს გამოცხადებული. მართალია, პ.საყვარელიძის აზრით, საქართველოს ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომია რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი იქნებოდა, მაგრამ მისი პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო დაცული. ამასთან დაკავშირებით, იმავე წერილში ეკითხულობთ: "ცენტრალური სრულიად რუსეთის კონსტიტუციის ფარგლებში საქართველოს უნდა ქონდეს მინიჭებული უზენაესი უფლება, ანუ სუვერენული უფლებამოსილება თავის ტერიტორიაზე... რუსეთის კონსტიტუციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიის პატრონი და გამგებელია ქართველი ხალხი და მისი პოლიტიკური წარმომადგენლობა– პარლამენტი– ანუ თუ გნებავთ ეროვნული საბჭო."[8]

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის კომპეტენციას, მის განკარგულებაში ადგილობრივ საკითხებთან ერთად უნდა გადასულიყო საკანონმდებლო უფლება სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სოციალური კანონების მხოლოდ იმ ნაწილში, რომლებიც ხალხის განსაკუთრებულ უფლებრივ მდგომარეობას შეეხებოდა. მასვე უნდა დაქვემდებარებოდა საკანონმდებლო ინიციატივა ზოგადსახელმწიფოებრივი საქმეებისათვის. რაც შეეხება ავტონომიის პოლიტიკურ ფორმას, იგი უნდა ყოფილიყო საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკა. ავტონომიას უნდა ჰყოლოდა ცენტრალურ პარლამენტში თავისი წარმომადგენლები და რაც მთავარია, ავტონომიის აღმასრულებელი ორგანო (ხელისუფლება), ცენტრალური და ადგილობრივი პარლამენტის მიერ გამოცემულ კანონების ავტონომიის ფარგლებში გატარების უფლებებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. თითქმის ანალოგიური ხასიათის მოთხოვნებია დასმული ივ.გომართელის ბროშურაში "საქართველოს ტერიტორიული ავტონომია ანუ ეროვნულ– ტერიტორიული თვითმმართველობა." პ.საყვარელიძისა და ივ.გომართელის

დებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შექმნილი თეზისები ალიონისტების ჯგუფმა რსდმპ ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობას წარუდგინა.[9] სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი ყრილობას არ განუხილავს. აღნიშნული თეზისებისა და პ.საყვარელიძის ზემოთდასახელებულ პუბლიკაციებში გატარებული ძირითადი დებულებები ადასტურებს, რომ "ალიონისტები," რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსთვის ფართო ტერიტორიულ– პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდნენ. ამ პოზიციიდან გამომდინარე, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რომ პ.საყვარელიძემ, ნ.ჟორდანიასეულ პროექტს "მორცხვი ავტონომია" უწოდა და აუცილებლობად მიიჩნია "შისი უფრო მტკიცე აღიარება, უფრო ფართო ფუნქციებით აღჭურვა და სრული უფლებებით შემოსვა."[10] იმავდროულად იგი ტერიტორიული პრინციპის ფართო სივრცეზე გამოყენებისა და ცენტრიდან რაც შეიძლება მეტი უფლებების წამოღების საკითხს აყენებდა. არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე საქართველოსთვის მისაღებად პ.საყვარელიძე მხოლოდ რუსეთის დეცენტრალისტური რესპუბლიკის შექმნას მიიჩნევდა და იქვე, ცენტრისა და ავტონომიის უფლებამოსილებათა კონკრეტულ ჩამონათვალს იძლეოდა.[11]

"ალიონისტთა" ჯგუფის ეს "რადიკალიზმი," ლ.ნათაძისადმი მიულებელი არმოჩნდა. გაზ. "ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილში "რა მინდოდა მეთქვა პარტიულ ყრილობაზე," ლ.ნათაძემ დაწვრილებით განიხილა რსდმპ ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობისადმი "ალიონისტების" მიერ ეროვნული საკითხის შესახებ წარდგენილი თეზისები და მასში მოცემული ძირითადი დებულებები სოციალ– დემოკრატიული პარტიისადმი მიუღებლად გამოაცხადა იმ მოტივით, რომ თითქოს ეს დოკუმენტი პარტიას ნაციონალიზმისაკენ უბიძგებდა. მისი აზრით, რამდენადაც სოციალ– დემოკრატიული პარტია ინტერნაციონალური იყო, მას უფლება არ ჰქონდა ერთი რომელიმე ერის ინტერესების გზა აერჩია და ქართულ ნაციონალურ ნიადაგზე დამდგარიყო. საკითხისადმი ასეთი ფორმით მიდგომამ, ლ.ნათაძე "'ალიონის" ჯგუფის ეროვნული პლატფორმის უარყოფამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, იგი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ "ალიონის" მთელი პლატფორმა ქართველი ერის სასურველად მოწყობას ისახავდა მიზნად, რომ იგი ტერიტორიის მქონე ერებისათვის ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიის, ხოლო უტერიტორიო ერებისათვის ეროვნულ– კულტურული ავტონომიის მიცემას ითვალისწინებდა.[12] ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ "ალიონისტთა" ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი ფორმით მოწყობის მიზანშეწონილობა ლ.ნათაძემ ვერ უარყო,მაგრამ პირადული მეს უგულებელყოფამ და ზოგადის წინა პლანზე წამოწევამ ლ.ნათაძე ალოგიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. "ალიონისტების" კრი-

ტიკით გატაცების გამო, ლ.ნათაძე ნებსით თუ უნებლიედ ქართველებისათვის ტერიტორიული ავტონომიის ნ.ჟორდანიასეულ მოდელსა და რსდმპ ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციასაც კი დაუპირისპირდა.[13]

ჩვენ მიერ ზემოთმოტანილი ფაქტები იმის დადასტურებაა, რომ ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერები, სხვა პოლიტიკური პარტიების მსგავსად, იმ ეტაპზე რუსული ორიენტაციის კურსის მატარებელნი იყვნენ და დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიის მიღებას აუცილებლობად თვლიდნენ.

ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდნენ ქართველი სოციალისტ– ფედერალისტებიც. მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალი გზების ძიებას, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ერის გადარჩენის შესაბამისი მექანიზმის გამოძებნის მცდელობას ემსახურებოდა. ამის ერთ– ერთ შესანიშნავ ნიმუშს გაზეთ "სახალხო ფურცელში" დაბეჭდილი მოწინააღმდეგე წერილი "ფული და მამული" წარმოადგენს. მისი ავტორი, საქართველოს ხელოვნური კოლონიზაციის– ქართულ მიწებზე უცხო ეთნიკური ელემენტების მომრაველების მიმდინარე პროცესების ფონზე, მკითხველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ "მამულის საკითხი ძვირფასია როგორც ყოველი ერისათვის, ისე... შეგნებული ადამიანისათვის... და ვინც შეგნებით და გატაცებით არ იცავს თავის კერას, მამულს, ადვილად იკარგება სხვის ხელში."[14] ასეთი ფონის შექმნით, აღნიშნულ პუბლიკაციაში ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და ქვეყნისადმი სამსახურის აუცილებლობაზეა ყურადღება გადატანილი. იქვე კატეგორიული და გამაფრთხილებელი ფორმით იყო მინიშნებული; "მამული, ტერიტორია ერის ფუძე და არსებობის ფაქტორია. ჰოლანდიელებმა აფრიკაში ეროვნული სახე დაჰკარგეს და ბურებად მოგვეულინენ. ინგლისელები ამერიკაში იანკებად გადაიქცნენ, ხოლო შვეიცარიის ყოველი ფრანგი ამაყად ატარებს შვეიცარიელის სახელს." ამ ამონაწერის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარკვევით მიანიშნებს– ამა თუ იმ ეროვნებათა გადაგვარების საფუძველზე თუ როგორ მოხდა "ახალი ეროვნული" არაბუნებრივი სახის ჩამოყალიბება. ამ დამღუპველი პროცესის თავიდან აცილების მიზნით, იგივე სტატია ქართველ ხალხს შეახსენებდა, რომ "მამულის დაცვა, მამულის შეძენა, დაკარგულის დაბრუნება ყოველი ქართველი მამულიშვილის ქედუხრელ სტიქიონს უნდა შეადგენდეს... მამული– აი უტყუარი თავდები და პირობა სიმდიდრისა,... საყუძველი ერის კეთილდღეობისა,... აქეთკენ მოკუწოდებთ ყველას, 'მინ თუ გარეთ ვისაც სიმდიდრის ყალბი ფორმა– ფული შეუძენია."[15]

რამდენადაც სოციალისტ– ფედერალისტთა ლიდერების მიერ ერის გადარჩენა პრიორიტეტად იყო გამოცხადებული, ბუნებრივია, საქართველოს მომავლის საკითხი მათი ფიქრისა და განსჯის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. განსაკუთრებულ ადგილს ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის რუსეთის შემადგენლობაში მოწყობის ფორმის ძიებას უთმობდნენ. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, სოციალისტ– ფედერალისტთა ლიდერები– თ.ლლონტი და გრ.რცხილაძე საქართველოსათვის ტერიტორიულ ავტონომიას მთელი პრინციპულობით მოითხოვდნენ. იმავდროულად მისი კომპენტენციის განსაზღვრის აუცილებლობის საკითხსაც აყენებდნენ. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს პოლიტიკურ სხეულად აღდგენას გრ.რცხილაძე რუსეთის რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებდა. ფედერალური საბჭოს სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში იგი დამსწრე საზოგადოების წინაშე აცხადებდა, რომ "საქართველოს პოლიტიკური საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება შესაძლებელი შეიქმნება მხოლოდ რუსეთის რევოლუციის შემდეგ და თუ რუსეთში რევოლუცია დამარცხდა, საქართველოს საკითხიც კვლავინდებურად მორიგი საქმიანობის სფეროდან გამოირიყება. რუსეთის რევოლუციის გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა და რამდენადაც ეს გამარჯვება სრული იქნება, იმდენად უფრო აუცილებელი შეიქნება თვით რუსეთისათვის, ფართო გზა გაუხსნას რუსეთში მოსახლე ერებს, დამოუკიდებლად განავითარონ თავისი შინაური ცხოვრება."[16]

ჩვენ მიერ მოტანილი ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ სოციალ– დემოკრატების მსგავსად, სოციალისტ– ფედერალისტებიც რუსული ორიენტაციის მატარებლები იყვნენ, საქართველოს მომავალს რევოლუციის ბოლომდე გამარჯვებასა და რუსეთში დემოკრატიის დამკვიდრებას უკავშირებდნენ. იმავდროულად, საქართველოს პოლიტიკური უფლებების აღდგენას მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდნენ. "ჩვენ ვთხოულობთ არა სეპარატულ გამოსვლას– წერდა არჩ.ჯაჯანაშვილი,– არამედ რუსეთის რევოლუციის მიერ იმის განხორციელებას,რაც ლოდიკურად გამომდინარეობს ერთა თვითგამორკვევის უფლებიდან."[17] ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული კოკი აბაშიძის წერილში "ეროვნული იდეის გამარჯვება." არჩ.ჯაჯანაშვილის მსგავსად, კ.აბაშიძეც საქართველოს მომავალს რუსეთის რევოლუციის საბოლოო გამარჯვებაში ხედავდა, მაგრამ არჩ.ჯაჯანაშვილისაგან განსხვავებით, საქართველოს ტერიტორიულ– პოლიტიკური ავტონომიის აღიარება ეროვნული საკითხის გადაწყვეტად არ მიაჩნდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, ამ აღიარების პარალელურად უნდა გარკვეულიყო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში თუ როგორ განიხილავდნენ

ტერიტორიის საკითხის ცნებას და რა უფლებების მინიჭებას აპირებდნენ ავტონომიური ერთეულების პარლამენტებისადმი.[18]

საკითხის ამგვარად დასმა საესებით ლოგიკური იყო, რადგან, საქართველოსათვის იმ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ავტონომიის მმართველობის კომპეტენციასაც ენიჭებოდა. დროებით მთავრობას ავტონომიის უფლებები შეიძლება იმ დონეზე შეეზღუდა, რომ მისი უფლებამოსილება კულტურული ავტონომიის ჩარჩოს არ გაცილებოდა. ამ შემთხვევაში, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა წინაშე ორი ამოცანა იდგა გადასაწყვეტად: 1)მიეღწიათ საქართველოს ტერიტორიულ– პოლიტიკური ავტონომიისათვის და 2)ებრძოლათ აღნიშნული ავტონომიისათვის შესატყვისი უფლებების სამართლებრივად დასაკანონებლად. ამ მიმართულებით აქტიური მოქმედების აუცილებლობა სოციალისტ– ფედერალისტებმა ერის სასიცოცხლო ინტერესებს დაუკავშირეს და პრინციპულად დააყენეს საკითხი, რომ "თუ დღეს ჩვენ არ მოვიპოვეთ ავტონომია,ეს იქნება უდიდესი დანაშაული ჩვენი ხალხის წინაშე." რაც შეეხება ავტონომიისათვის უფლებების თუნდაც მინიმუმის მოპოვებას, მათივე აზრით, მისი მიღწევა მხოლოდ ერთობლივი მოქმედებითა და უკომპრომისო ბრძოლით გახდებოდა შესაძლებელი. "ყოველი მსხვერპლი– წერდა გაზეთი "სახალხო საქმე"– უნდა შეეწიროს ამას, ყოველი ფიქრი და ზრახვა მიმართული უნდა იყოს ამისკენ. ჩვენი მისწრაფება ამ საქმეში უნდა იყოს მტკიცე და შეურყეველი, სასტიკი და მრისხანე. შეუწყნარებელია რაიმე დათმობა და კომპრომისი, ორჭოფობა და ყოყმანი." ფაქტიურად ეს რუსეთის დროებითი მთავრობისადმი ბრძოლის გამოცხადებას და ამ მიმართულებით პოლიტიკური ძალების ამოქმედებისაკენ მოწოდებას ნიშნავდა. ამის საფუძველს ეროვნულ საკითხში დროებითი მთავრობის უმოქმედობა და დამფუძნებელი კრების მოწვევის უსასრულოდ გაჭიანურება იძლეოდა.

საქართველოს ტერიტორიული ავტონომიისა და მისი ეროვნული პარლამენტის შექმნის საკითხი იყო დასმული სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის მიერ გამოცემულ საპროგრამო ბროშურაში– "საქართველოს ავტონომია." მისი შემდგენლები რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციული რესპუბლიკის ფონზე განიხილავდნენ ზემოაღნიშნულ საკითხს და ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტასა და სამართლებრივად დაკანონებას რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებას უკავშირებდნენ. იმავდროულად, აყენებდნენ საკითხს, რომ ამ მიმართულებით ფაროო საზოგადოებაში შესაბამისი სააგიტაციო სამუშაოები ჩაეტარებინათ და პოლიტიკურ პარტიებთან ერთად იდეოლოგიური თვალსაზრისით ქართველი ერიც მოემზადებინათ. ასეთი პოზიციის მუხედავად, იმავე სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების წევრების უმრავლესობის

მხრიდან კეთილი ნების გამოჩენის შესაძლებლობას ეჭვით უყურებდნენ და შესაბამისი მოქმედების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვდნენ.

მიმდინარე შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური პროცესების ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, არჩილ ჯაჯანაშვილი სავსებით ლოგიკურად სვამდა რიტორიკულ შეკითხვას; იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის დამფუძნებელი კრება უარყოფდა რუსეთის შემადგენლობაში მყოფი არარუსი ერებისადმი ავტონომიური უფლებების მინიჭებას, რა გზას უნდა დადგომოდნენ ისინი. ამ შემთხვევაში იგი ორ გამოსავალს ხედავდა: 1) დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებისადმი დამორჩილება ან 2)არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების დაწყება. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს ტერიტორიულ–პოლიტიკური ავტონომიის საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა არჩ.ჯაჯანაშვილს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პროცედურა დაჩქარებული ტემპით მანამდე უნდა განხორციელებულიყო, ვიდრე მთელი რუსეთის პოლიტიკური ნებისყოფა ოფიციალურად რომელიმე მიმართულებას მისცემდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.[19]

ანალოგიური პოზიცია ეჭირა გრ.რცხილაძესაც. მისი მტკიცებით საქართველოს ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიებს ტაქტიკა უნდა შეეცვალათ და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არ უნდა გადაედოთ. ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას იგი იმითაც ამართლებდა, რომ დროებითი მთავრობის უმოქმედობით საქართველოში საერობო თვითმმართველობაც კი არ იყო შექმნილი.[20]

რუსეთის დამფუძნებელი კრებისადმი უნდობლობის გამოცხადებას სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის ლიდერი ვ.კოტეტიშვილიც საჭიროდ მიიჩნევდა. ამ კრებას იგი საქართველოსათვის "მომავალ უსურპაციად" აცხადებდა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივი მოწვევის საკითხს აყენებდა. ანალოგიური თვალსაზრისი იყო განვითარებული ს.ფირცხალავას წერილში– "ეროვნების პიროვნება." უცხადებდა რა რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდობლობას, ს.ფირცხალავა მთელი პრინციპულობით მოითხოვდა: "'დაუყოვნებლივ... მოეწყოს ცალკე დამფუძნებელი ეროვნული კრებები და მათი დადგენილებების მიხედვით ...შემუშავდეს მომავალი რუსეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება."[21]

მართალია, ეროვნული კრების დაუყოვნებლივი მოწვევისა და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის შესახებ საკითხი პრინციპულად იყო დასმული, მაგრამ, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების პუბლიკაციებში არსად არ ფიგურირებდა თუ ვის უნდა

ეტვირთა ამ მძიმე და საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, წამოჭრილი პრობლემა თეორიული მსჯელობის ჩარჩოს არ სცილდებოდა, ხოლო პრაქტიკული ნაბიჯის გადამდგმელი არცერთი პოლიტიკური პარტია არ ჩანდა.

საქართველოს მომავალი სტატუსისა და მისი უფლებამოსილების საკითხი რამდენადაც დღის წესრიგში იდგა, მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი პრაგმატული მიდგომის საფუძველზე ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა თავიანთი პოზიცია დასაბუთებული ფორმით გასცეთ "საქართველო"– ში დაბეჭდილ პუბლიკაციებში გამოთქვეს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გ.გვასალიას ეკუთვნილი სტატია "საქართველოს ავტონომია" იქცევს. იგი საკითხის ღრმა ცოდნითაა დაწერილი და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა მაგალითების განხილვის ფონზე, საქართველოსათვის შესაძლებელი ავტონომიური მოდელის შერჩევის მცდელობას წარმოადგენს. ევროპისა და აშშ– ის გამოცდილებიდან გამომდინარე, გ.გვასალამ ავტონომიის რამდენიმე სახეობა განიხილა და უპირატესობა ეროვნულ– ტერიტორიულ პოლიტიკურ ავტონომიას მიანიჭა. იმავდროულად ერთმანეთისაგან გამიჯნა ცენტრალური და საქართველოს ავტონომიის ხელისუფალთა უფლებამოსილება. "აქ გადის ხაზი დიდი და გადაულახავი ზოლი– წერდა გ.გვასალია– რომელიც ჰყოფს სახელმწიფოს უფლებათა არეს საავტონომიო უფლებათა არესაგან. ყველა დანარჩენი საქმენი და საკითხნი შედიან ავტონომიური ეროვნულის უფლებათა ფარგლებში... თავის შინაურ საქმეთა მართვა– გამგეობაში საქართველო უნდა იყოს სრულებით თავისუფალი."[22]

რაც შეეხება საქართველოს ავტონომიის საზღვრებს, გ.გვასალია ამ პრობლემას განიხილავდა არა არსებული დემოგრაფიული პრინციპის მიხედვით, არამედ ისტორიული თვალსაზრისით და შესაბამისი არგუმენტების საფუძველზე სავსებით სამართლიანად დასძენდა, რომ "ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრა,... არტაანისა და ოლთისის ოლქი უეჭველად შეადგენს საქართველოს ტერიტორიას, მის განუყოფელ ნაწილს. აქ ჩვენი პოზიცია შეურყეველია სინდისის და საკაცობრიო სამართლის წინაშე."[23]

მართალია, გ.გვასალიას ეს პოზიცია სავსებით მისაღები იყო, რადგან ის ტერიტორიები, რომლებსაც იგი ჩამოთვლიდა, ისტორიულად საქართველოს განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენდა, მაგრამ, პრობლემა სხვა კუთხით იქმნებოდა. მხედველობაში გვაქვს მეზობელი სომხეთის განუზომელი უსაფუძვლო პრეტენზიები, რომელიც ისტორიული ფაქტორის იგნორირებით მხოლოდ დემოგრაფიულ რელიეფს ეჭიდებოდა, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს სომხეთის "საკუთრებად" აცხადებდა. ასეთ პირობებში გამოსავალი გზების ძიება აუცილებლობას წარმოადგენდა. კონსესუსის საფუძველზე ისეთი ფორმა უნდა შე-

მუშავებულიყო, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ამ პირველ საფეხურზე, მეზობელ ერებს შორის საომარი დაპირისპირება არ მომხდარიყო, რათა რუსეთის დროებით მთავრობას ამიერკავკასიის ერებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მიცემაზე უარის თქმის ხელსასაჭიდი საფუძველი არ მისცემოდა. არადა, იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ და მხედველობაში მივიღებთ, რომ დროებითი მთავრობა "ერთიანი რუსეთის" შენარჩუნებას მაქსიმალურად ცდილობდა, მცირეოდენი ინციდენტიც კი ავტონომიის საწინააღმდეგოდ იქნებოდა გამოყენებული. აღნიშნულის გათვალისწინებით ავტონომიის სტატუსის ოფიციალურად დაკანონებამდე გამიჯვნის საკითხის დაყენება, ვფიქრობთ, მიზანშეუწონელი იყო. ამ ნიუანსის გათვალისწინება პოლიტიკური თვალსაზრისით აუცილებლობას წარმოადგენდა.

ჩვენი ასეთი პოზიციისდა მიუხედავად, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ შესანიშნავი იურისტისა და ქართული პოლიტიკური ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენლის გ.გვაზავას მიმართ რაიმე პრეტენზიები გაგვაჩნდეს. პირიქით, იგი ერთ– ერთი იმ პიროვნებათაგანი იყო, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოდელი და მისი კომპენტენცია სხვებზე უკეთ ჰქონდა გააზრებული. ამის დადასტურებას ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე (1917 წლის ივნისი) "საქართველოს ავტონომიის" შესახებ მის მიერ გაკეთებული მოხსენება წარმოადგენს, რომლის ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1)საქართველოს ტერიტორიულ–პოლიტიკური ავტონომიის უფლებები აღდგენილიყო გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში. 2)საქართველოს პოლიტიკური წყობა უნდა ყოფილიყო დემოკრატიული. 3)დემოკრატიულ პრინციპებზე აერჩიათ საქართველოს საკანონმდებლო ორგანო– ეროვნული კრება (პარლამენტი). 4)მოეწყოთ ავტონომიის სასამართლო, ადმინისტრაციისა და განათლების სისტემა. 5)შეემუშავებინათ სამოქალაქო და სოციალური კანონმდებლობა. 6)მოეწესრიგებინათ საფინანსო პოლიტიკა (შემოსავალ– გასავლის ყოველდღიური განხილვა და საავტონომიო ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება). გ.გვაზავა, იქვე განსაზღვრავდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების უფლებებს და საქართველოს ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე დასძენდა, რომ "საქართველოს უნდა ყავდეს თავისი წარმომადგენელი რუსეთის მთავრობაში, სულ ერთია იქნება იგი კომისარი, სტატს– სეკრეტარი თუ უპორტფელო მინისტრი,... რომელიც დაიცავს ჩვენს ინტერესებს საიმპერიო მოთხოვნილებასთან მიმართებაში." როგორც ვხედავთ, გ.გვაზავას მიერ ყრილობის მონაწილეებისადმი შეთავაზებული გეგმა– პოლიტიკური სიფრთხილით იყო შედგენილი

და იგი აქტიურ მოქმედებას მხოლოდ რუსეთის ერთიანობის ჩარჩოში ითვალისწინებდა. უარყოფდა რა გადაჭარბებულ რადიკალიზმს— რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილება, უკიდურესი რადიკალიზმის მომხრეთა მისამართით წარმოთქმულ სიტყვაში იგივე გ.გვასავა აცხადებდა: "ამეტყველებულ გრძნობებს თავი უნდა დავანებოთ. ყველანი საქართველოს ბედს დავსტირით. ძლიერ შორსაც ნუ წავალთ. ეს არ ვარგა. ნუ დავემსგავსებით განთავისუფლებულ მონებს. სიბრძნე გვმართებს. გვაქვს დამოკიდებულება, რომელიც არ არღვევს რუსეთის მთლიანობას და ანიჭებს საქართველოს თავისუფლებას. ჩვენი უპორტფელო მინისტრი რუსეთის მმართველობაში დაიცავს საქართველოს ინტერესებს... საერთო რუსეთის საქმეებში მივიღებთ მონაწილეობას, მაგრამ ეს არის საქმე შეთანხმების, მოლაპარაკების."[24]

ეროვნულ— დემოკრატიული პარტიის ერთ— ერთი ლიდერის ასეთი ფრთხილი პოლიტიკური კურსი, ერილობის მონაწილეთა უმრავლესობისათვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა და რეზოლუციაც შესაბამისი ზოგადი ფორმით— "დამყარდეს საქართველოს პოლიტ. ავტონომია" —მიიღეს. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ეროვნულ— დემოკრატების მიერ იმ ეტაპზე წამოყენებული მოთხოვნები ძირითადად სხვა პოლიტიკური პარტიების (სოციალ- დემოკრატები (მენშევიკები), სოციალისტ- ფედერალისტები, ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ— დემოკრატები) მოთხოვნათა იდენტურ ხასიათს ატარებდა. ამის დამადასტურებელ დამატებით ფაქტად თბილისის საბჭოს 1917 წლის აგვისტოს სხდომაზე გ.გვასავას მიერ წარმოთქმული სიტყვა გამოდგება. სხდომის მუშაობაში მონაწილე დროებითი მთავრობის შრომის მინისტრის მ.სკობელოვის მისამართით გ.გვასავამ განაცხადა: "თუ მართლა გვიყვარს რუსეთი და განვიცდით შიშს მისი ბედის შესახებ, თუ გამოცხადებული ომის მიზეზები არ არის სიცრუე და მოტყუება მთელი კაცობრიობისა, საქართველოს პოლიტიკური უფლებანი უნდა დაუყოვნებლივ აღდგენილი იქნას." ერთიანი მიზნის მიასდწევად, მან სხდომის მონაწილეებს ძმური, მეგობრული და სოლიდარული მუშაობისკენ მოუწოდა. იმავდროულად, თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: "გაუმარჯოს დემოკრატიას! გაუმარჯოს ავტონომიურ საქართველოს თავისუფალ რუსეთში."[25]

ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტები იმის უდაო დადასტურებაა, რომ ეროვნულ— დემოკრატიული პარტიის ლიდერები,სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მსგავსად, საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას ერთიანი დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდნენ. მართალია, მათი მოთხოვნები ამ საკითხში ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოქმედების სფერო განცალკევებული იყო და ხშირად წვრილმან საკითხებში გაუთავებელი დაპირისპირების ხასიათს იძენდა. ეს ფაქტორი, საერთო

საქმისადმი ზიანის მოტანის გარდა არანაირ დადებით შედეგს არ იძლეოდა. ყოველივე აღნიშნულს უკეთებდა რა ანალიზს, გასეთი "სახალხო საქმე"' მოწინავე წერილში "აეტონომიური საქართველო"– წერდა: საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი უფლებების მოთხოვნის აუცილებლობამ "მთელი ქართველობა უნდა შემოკრიბოს... აქ არ უნდა იყოს პოლიტიკური ასრების სხვადასხვაობა. აქ არ უნდა იყოს წინააღმდეგობა რომელიმე წოდებისა და კლასის მხრივ– აქ ყველა ერთის სულით და ერთის მისწრაფებით უნდა იყოს აღფრთოვანებული. დღეს შენდება რუსეთის სახელმწიფოს ახალი წესწყობილება... და არ შეგვიძლია გაბედულად და ერთხმად არ მოვითხოვოთ ჩვენი ეროვნულ– პოლიტიკური უსრენველყოფა."[26]

აღნიშნული ამონაწერი, საქართველოს საკეთილდღეოდ პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების მიმართ შეთანხმებისა და ერთიანი ფრონტით გამოსელისაკენ მოწოდებას წარმოადგენდა. მაგრამ იგი გვერდს უვლიდა არსებით მხარეს, კერძოდ; 1)რა სახით უნდა მომხდარიყო ეს გაერთიანება, 2)ორგანიზაციული საკითხების გაძღოლას რომელი პოლიტიკური პარტია აიღებდა თავის თავზე.

რამდენადაც ზემოაღნიშნული კითხვები პასუხგაუცემელი რჩებოდა, პარტიათა გაერთიანების თვალსაზრისით სრული ყაკანი იყო შექმნილი. არადა, აუცილებლობა კონსესუსის ნიადაგზე ერთიანი წინასწარი სამოქმედო პლატფორმის შემუშაევებასა და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისადმი მაღალ დონეზე მომზადებულ შეხვედრას საჭიროებდა. ამ მიმართულებით პოლიტიკურ მოღვაწეთა მცირე ჯგუფი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას შეეცადა და დააყენეს საკითხი საზოგადოება "საქართველოს დემოკრატიის" დაარსების შესახებ. იმავდროულად მომავალი საზოგადოების პროგრამაც გამოაქეყნეს.[27] ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ამ წამოწყებას წარმატება არ მოჰყოლია. სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული გაზ. "სახალხო საქმეში" გამოქვეყნებული მოწინავე სტატია "დამფუძნებელი კრება და საქართველო." იგი ქართველ ხალხს და პოლიტიკურ პარტიებს შეახსენებდა, რომ "ქართველი ერის ყოველმა ძალამ ერთმანეთის პატივისცემის ნიადაგზე შეიქმნას ორგანო, რომელიც საერთო ეროვნულ გამოსვლას მოაწყობს. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი გამოსვლა დამფუძნებელ კრებაზე, საჭიროა ასეთი გამოსვლა არჩევნებშიაც."

ასეთი თეორიული ხასიათის უსასრულო განცხადებების მიუხედავად, პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საკითხი ადგილიდან არ იძროდა. ქართული პოლიტიკური ასრის მესაჭეები კარგად ხედავდნენ, რომ დროის ფაქტორი მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში არა თუ პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციას, არამედ, ეროვნული საბჭოების შექმნასაც კი მიაღწიეს

(ბალტიისპირეთი, უკრაინა, ფინეთი) და თავიანთი ქვეყნების სახელმწიფოებრიობის აღსადგენად შესაბამისი ნიადაგის შემზადებას შეუდგნენ. ამ ფონზე, ქართული პოლიტიკური ელიტის უმოქმედობა ჰქონდა მხედველობაში გაზეთ "საქართველოს," როდესაც ერთიანი ზეპარტიული ორგანოს– ეროვნული ბიუროს შექმნის საკითხი დააყენა. თუ რა ფუნქციები უნდა დაკისრებოდა ამ ახლადშექმნილ ორგანოს, ამის შეასახებ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ეროვნულმა ბიურომ უნდა შეიმუშაოს "მოქმედების პროგრამა, მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს, რომ დედაქალაქში არსებობს ქართველთა ეროვნული საბჭო და ყველას, ვისაც კი სურს თავისი ცოდნა, შრომა და წვლილი მიიტანოს ერის განთავისუფლების საკურთხეველზე, უნდა მიეცეს საშუალება მიმართოს ამ ბიუროს და მიიღოს მისგან დირექტივები, ცხოვრებაში გასატარებელი. აქ, საქართველოს დედაქალაქში, უნდა დაარსდეს უმთავრესი ეროვნული საბჭო."[28]

როგორც ვხედავთ, გაზეთი მოქმედების კონკრეტულ გეგმასაც სახავდა. დროის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხოლოდ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო. არქივსაცავებში ჩვენს მიერ მიკვლეული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა (სოციალ– დემოკრატები (მენშეევიკები), სოციალისტ– ფედერალისტები, ეროვნულ– დემოკრატები) 1917 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ინტერპარტიული კრების მოწვევა შეძლეს. მის ძირითად მიზანს კონსესუსის საფუძველზე ერთიანი სამოქმედო პოლიტიკური პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა. მართალია, აღნიშნულ საკითხში შეთანხმების მიღწევა აუცილებლობად აღიარეს, მაგრამ შესაბამისი დადგენილების მიუღებლობის გამო საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, რის გამოც იგი მეორე ინტერპარტიულ კრებაზე (1917 წლის 16 აპრილი) იქნა გატანილი. რამდენადაც პოლიტიკურ პარტიებს შორის ერთიანი მოქმედების გეგმის მიღება ამ კრებაზედაც ვერ მოხერხდა, პოლიტიკური პარტიების ლიდერთა წინაშე წამოჭრილი პრობლემისათვის საბოლოო წერტილის დასმა მესამე ინტერპარტიულ კრებას (1917 წლის 3 აგვისტო) მიენდო. წინა კრებებისაგან განსხვავებით, ეს კრება იმით გამოირჩეოდა, რომ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი საერთო მოქმედების გეგმის შემუშავებაზე შეთანხმდა. ასეთი სახის დოკუმენტის შექმნა იმით იყო განპირობებული, რომ იგი ინტერპარტიული ორგანოს – საინფორმაციო ბიუროს დაარსებას უნდა დადებოდა საფუძვლად. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელმა კრებამ (1917 წლის 12 აგვისტო) გადაწყვიტა. მიღებული დადგენილებით, ახლადშექმნილი პოლიტიკური ორგანოს უფლება– მოვალეობანი იქნა განსაზღვრული. "ქართველი ერის ინტერპარტიული ბიურო– ვკითხულობთ დოკუმენტში– დაარსებულია ქართველი ხალხის ყველა პოლი-

ტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ– საზოგადოებრივ საჭიროებათა გასაძღოლათ და დასაკმაყოფილებლად. ერის ყველა მთავარ საჭირბოროტო საკითხებს არკვევს და სწყვეტს ინტერპარტიული ბიურო. მისი დადგენილებანი სისრულეში მოყავს პრეზიდიუმს... თვით ქართველთა ინტერპარტიულ ბიუროში (პლენუმში) შეთანხმება ნიშნავს საქართველოს ინტერპარტიულ შეთანხმებას. პლენუმის შეთანხმებული დადგენილება... ასასრულებელი და სავალდებულოა.'[29]

აღნიშნული დოკუმენტი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ კრების მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა (ეროვნულ– დემოკრატები, სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები), სოციალისტ– ფედერალისტები, სოციალისტ– რევოლუციონერები) სპპარტიული ინტერესების დაძლევის საფუძველზე, გონიერული ნაბიჯი გადადგეს და ერთიანი მოქმედების პოლიტიკური პლატფორმის შემუშავებით, **პირველი ეროვნული პოლიტიკური ორგანო– ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო შექმნეს**. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ, აღნიშნული ორგანოს ფუნქციებისა და მისი მოქმედების არეალის გაზრდის აუცილებლობა პირველხარისხოვან ამოცანად დააყენა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს 1917 წლის 21 აგვისტოს დადგენილება, რომლის ძალითაც ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს სახელი შეუცვალეს **და საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უწოდეს, ხოლო ბიუროს პრეზიდიუმს აღმასრულებელი კომიტეტი.**[30] იმავე დოკუმენტის მიხედვით, ახლადშექმნილი ორგანოს შემადგენლობა და უფლებამოსილება მაქსიმალურად უნდა გაზრდილიყო. რამდენადაც ამ დადგენილების ოქმი ოთხი დღის შემდეგ –25 აგვისტოს იქნა დამტკიცებული, **ქართულ ისტორიოგრაფიაში 1917 წლის 25 აგვისტო საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნის თარიღად სავსებით სამართლიანადაა აღიარებული.**[31]

ყურადღება უნდა მიეაქციოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მიზნებისა და ამოცანების შესახებ მიღებულ სამოქმედო პროგრამაში, საქართველოს მომავალი ბედი რუსეთის დემოკრატიასთან და მის დამფუძნებელ კრებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა, ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებ არ სცილდებოდა.[32] ასეთი სახის დოკუმენტის მიღება შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, თუნდაც იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ მასში დასმული ძირითადი დებულებები ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წევრი პოლიტიკური პარტიების მოთხოვნების მინიმუმს აკმაყოფილებდა და იმ ეტაპზე რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას სავსებით შეესატყვისებოდა. ამ დოკუმენტის შემდგენლებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ნებისმიერ რადიკალურ მოთხოვნებს,

რუსეთის დროებითი მთავრობის გარდუვალი გაღიზიანება მოჰყვებოდა. მითუმეტეს, რუსეთის მოსალოდნელი დაშლის შიშით, დროებითი მთავრობა პროვინციულ სეპარატიზმს უარყოფითად შეხვდა. ამის დადასტურებას ფინეთისა და უკრაინის გამოცდილება წარმოადგენდა. როცა ფინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დროებითმა მთავრობამ ფინეთის სეიმი დაითხოვა და მას რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ ტერიტორიული ავტონომიის უფლება შეუნარჩუნა. იმ შემთხვევაში, თუკი ფინელები სეპარატიზმს გააგრძელებდნენ, ასეთი მისწრაფების აღსაკვეთის მიზნით, დროებითი მთავრობა მათ ძალის გამოყენებით დაემუქრა.[33] რაც შეეხება უკრაინელებს, დროებითმა მთავრობამ უკრაინის რადას უფლებამოსილება შეუკვეცა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამფუძნებელი კრებისათვის გადადო.[34] აღნიშნულ ფაქტზე გაზეთმა "საქართველომ" საგანგებო სტატია გამოაქვეყნა სათაურით "კერენსკის მუშტი," სადაც ფინეთისა და უკრაინის მიმართ რუსეთის მიერ გამოთქმული მუქარა იყო მოყვანილი: "რუსეთი ჯერ ისე არ დაძაბუნებულა, რომ თქვენ შესაფერისად არ გაგიმასპინძლდეთო." ამ შემთხვევაში, დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული კერენსკი, დანაპირებს უყოყმანოდ შეასრულებდა და მაქსიმალურად შეეცდებოდა, რუსეთის ყოფილი კოლონიებიდან დამოუკიდებლად გასვლის არანაირი პრეცენდენტი არ დაეშვა. მან "შესანიშნავად იცოდა— ერთიანი რგოლის თუნდაც მცირეოდენი მოცულობით გაწყვეტა რა შედეგის მომტანი აღმოჩნდებოდა რუსეთისათვის. კერენსკის შიში საფუძვლიანი იყო, რადგან, ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის რორბახის სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთი ხელოვნურად შეკოწიწებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. "იშვიათია ასეთი ხელოვნური სახელმწიფო. რუსეთი წააგავს— წერდა რორბახი— ბილიარდის პირზე გაწყობილ ბურთებს (შარებს). საკმარისია კიი (ბილიარდის ჯოხი) შემოვკრათ, რომ ბურთები დაიფანტნონ." იმავე რორბახის თქმით, რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი პრიმიტიული რგოლებით იყო ერთმანეთთან გადაბმული, რომლის უკარგისი ჭანჭიკები "დღეს არა ხვალ მაინც დატყდებიან."[35]

უკეთებდა რა კომენტარს რორბახის აღნიშნულ შეხედულებას, გაზეთი "საქართველო" დასძენდა: "ვილჰემ პინდენბერგის კიიმ დიდი ხანია შემოჰკრა რუსეთის "ბურთებს" და რომ მათ შერყევას ხედავს კერენსკი, ალბათ ამისი შიშით თუ მოიღერა ის მუშტი. ახალი დროებითი მთავრობა დამოკლეს მახვილქვეშ სდგას."[36] ყურადღება უნდა მიეაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ კერენსკიმ არა მარტო ფინეთისა და უკრაინის მიმართ გააკეთა მკაცრი განცხადება, არამედ, ანალოგიური პოზიცია დაიჭირა საქართველოს მიმართაც. ამის ნათელ დადასტურებას უკრაინაში ყოფნის დროს მის მიერ წარმოთქმული სიტყვის ის ნაწილი წარმოადგენს, სადაც ზოგიერთი კავკასიელი ერის დაუმორ-

ჩილებლობაზე იყო ყურადღება გამახვილებული. "ზოგიერთი კავკასიელი ერი აცხადებს– ამბობდა კერენსკი,– რომ ისინი მეფეესთან პირადი ხელშეკრულებით იყვნენ შეკრულნი, მათ არ სწამთ დროებითი მთავრობა და მეზობელთა ხოცვა– ულეტას მიჰყვეს ხელი."[37]

ცნობილი ფაქტია, რომ კავკასიელი ერებიდან, მეფის რუსეთთან ხელშეკრულებით მხოლოდ საქართველო იყო. ამიტომ, მისი მოსალოდნელი დასჯისა და "ჭკუის სწავლების" ერთ– ერთ ალიბად, კერენსკიმ დროებითი მთავრობისადმი ქართველთა უნდობლობა და იმავე ქართველთა მხრიდან მეზობელი ერების არარსებული ხოცვა– ულეტა დაასახელა. ეს ფაქტი ბევრის მეტყველია. იგი ქართული პოლიტიკური ელიტის მესვეურებს, დროებითი მთავრობის მხრიდან უმკაცრესი სადამსჯელო ღონისძიებების შესაძლო გატარებაზე მიანიშნებდა. ეს გარეგმოება ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს მხედველობის არედან არ გამორჩენიათ და კერენსკის ზემოაღნიშნულ განცხადებას ადექვატური შეფასება მისცეს. ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთმა ლიდერმა გ.გვაზავამ,კერენსკის პოლიტიკური ქარაფშუტა უწოდა.[38] თუკი ეს სიმართლეს შეეფერებოდა, ასეთი პიროვნებისაგან ყოველგვარი სახის საძრახისი ქმედება იყო მოსალოდნელი. ამიტომ, არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქართველთა მხრიდან ისეთი მოქნილი დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო, რომელიც "პოლიტიკურად ქარაფშუტა" კერენსკის გაღიზიანებას არ გამოიწვევდა. ეს აუცილებლობა, საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წევრმა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა კარგად გააცნობიერეს, რასაც იმავე ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 6 სექტემბრის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერებიც ადასტურებს. მათ მიერ წარმოდგენილი პლატფორმის პროექტის მიხედვით, რუსეთის შემადგენლობაში საქართველო ტერიტორიული ავტონომიური ერთეულის სახით იყო გათვალისწინებული, ხოლო უფლებამოსილების განსაზღვრა ცენტრის პრეროგატივად რჩებოდა. რაც შეეხება მის სამართლებრივად დადასტურებას, ამ საკითხის გადაწყვეტა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჰქონდა მინდობილი. აუცილებლობა, აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთებული სახით დროებითი მთავრობისადმი ოფიციალურად წარდგენას საჭიროებდა. შესაფერის მომენტად ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებმა პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი მიიჩნიეს. ბუნებრივია, იმავე სხდომამ ამ საკითხზე საგანგებოდ იმსჯელა და თათბირზე გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობაც (ნ.ჟორდანია, აკ.ჩხენკელი– თავმჯდომარე, ს.მდივანი, შ.ამირეჯიბი) დაამტკიცა.

იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფარგლებში უნდა ემოქმედა დელეგაციის წევრებს და რა მიმართულებით გაემახვილებინათ განსაკუთრებული ყურადღება, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას იმავე კრების

მიერ მიღებული დადგენილება იძლევა. ამ დოკუმენტის მიხედვით, დელეგაციას შემდეგი საკითხები უნდა დაეცვა: 1)სახელმწიფოებრივი გადასვლა მომხდარიყო მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში, 2)გაძლიერებინათ ბრძოლა კონტრრევოლუციასთან, 3)მომხდარიყო რესპუბლიკის აღიარება, მისი დადასტურება და დაცვა. ეღვაწათ ომის დასამთავრებლად, 4)სასაქარიდ მოეწვიათ დამფუძნებელი კრება, 5)მოეხდინათ ერთა თვითგამორკვევის უფლების, ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიის აღიარება, მასთან შეთანხმებით მოქმედება. პრაქტიკულად განეხორციელებინათ; ა)თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერები, ბ)რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოსათვის მიეცათ ეროვნულ– ტერიტორიული თვითმმართველობა, გ)ეროვნული საკითხის საბოლოოდ გადაჭრა დამფუძნებელ კრებაზე მომხდარიყო. 6)საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წარმომადგენლებს შეთანხმებით და ეროსულოვნად ემოქმედათ თათბირზე.[39]

ამ დოკუმენტის მიხედვით, წინასწარ იყო განსაზღვრული თუ რა ჩარჩოში უნდა ჩამჯდარიყო ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის აკაჩხენკელის მიერ პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე (1917 წლის 14– 22 სექტემბერი) გაკეთებული მოხსენების ძირითადი დებულებები. ვინც აღნიშნულ თათბირზე აკაჩხენკელის მიერ წარმოთქმულ სიტყვას გულდასმით გაეცნობა, დამეთანხმება, რომ იგი შეფარული და მოქნილი დიპლომატიური სულისკვეთებითაა დაწერილი. ზედაპირულად დემოკრატიული რუსეთისადმი სამსახურისა და ეროგულების მტკიცების პარალელურად თათბირის მონაწილეების წინაშე აკაჩხენკელი აცხადებდა, რომ ქართველ ერს თავისი ეროვნული პროგრამა გააჩნია და "მოითხოვს საქართველოსათვის ეროვნულ– ტერიტოტიული თვითმმართველობის მიკუთვნებას."[40] იგი საკითხს კიდევ უფრო აკონკრეტებდა და საქართველოსათვის იმ უფლებების აღდგენას მოითხოვდა, რომელიც გეორგიევსკის 1783 წლის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. "ეს უფლებები– ამბობდა აკაჩხენკელი– მას ჰქონდა. ესენი დაცულია ცნობილ ხელშეკრულებაში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შუა დაიდო მაშინ, როდესაც 100 –ზე მეტი წლის წინად საქართველო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, მხოლოდ ეს უფლებები გასთელეს, მნიშვნელობა დაუკარგეს. მაშასადამე ეხლა მათ აღდგენაზე გვიხდება ლაპარაკი."[41]

როდესაც თათბირის მონაწილეებს აკაჩხენკელი რუსეთ– საქართველოს შორის დადებულ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას შეახსენებდა და ამ დოკუმენტით საქართველოსათვის გათვალისწინებული უფლებების აღდგენის საკითხს აყენებდა, ბუნებრივია, ინტერესმოკლებული არ იქნება გავარკვიოთ, თუ რაში მდგომარეობდა ეს უფლებები. მართალია, ეს საკითხი წლების მანძილზე საბჭოური ისტორიკოსებისა და იურისტების დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, მაგრამ, მიუხედა-

ვად ამისა, მის შესახებ ერთიანი ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ძირითადად მიღწეული იქნა. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული დებულებების სამართლებრივი პოზიციიდან განხილვისა და მისი გამოკვეთილი შეფასების თვალსაზრისით ყურადღებას ლ.ალექსიძის მიერ გაკეთებული დასკვნები იქცევს. მისი სამართლიანი მტკიცებით, 1783 წლის აქტი იყო მფარველობითი "დაქვემდებარების ხელშეკრულება," რომელიც რუსეთის მიმართ "ქართლ– კახეთს არა მხოლოდ დამოკიდებულ, არამედ სუვერენიტეტშესლულ მდგომარეობაში აყენებდა. ამ ხელშეკრულებით ქართლ– კახეთი რუსეთის იმპერიას ეკეთლებოდა, ექვემდებარებოდა, მაგრამ მის შემადგენელ ნაწილად არ იქცეოდა, იგი რჩებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, საკუთარი შინაგანი და საგარეო– პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებით... 1783 წლის ხელშეკრულება არის მფარველობითი კავშირი ქართლ– კახეთის რუსეთის იმპერიისადმი დაქვემდებარების პირობით, რომელიც ფორმით ვასალიტეტის ატრიბუტს ატარებდა, მაგრამ არსებითად ორი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შეთანხმება იყო და ორიეე მხარის საგარეო –პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურებოდა.[42] ანალოგიურ დასკვნას აკეთებს რუსეთ– საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ე.მაჭარაძეც.[43] ცნობილი მეცნიერების აღნიშნული დასკვნები თუკი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ გამოდის, რომ პეტროგრადის თათბირზე, გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებების აღდგენის მოთხოვნით, აკჩხენკელს საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის საკითხი კი არ დაუყენებია, არამედ აღდგენის მოტივაციით რუსეთის სახელმწიფოში საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მქონე ქართული სახელმწიფოს შექმნა მოუთხოვია. ამ ჩანაფიქრის იმ ეტაპზე არგამეღავნება და მხოლოდ ეროვნულ– ტერიტორიული თვითმმართველობით შენიღბვა, დროებითი მთავრობის მიერ ფინეთისა და უკრაინის მიმართ განხორციელებული ზემოაღნიშნული ზეწოლიდან გამომდინარე, გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებებს ეფუძნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველ იურისტებს და ისტორიკოსებს გეორგიევსკის ტრაქტატის ტექსტი არ ჰქონოდათ საფუძვლიანად შესწავლილი, საქართველოს შესახებ მასში ჩადებული უფლებები და გარანტიები ვერ გაეგოთ. თუკი ქართველი პოლიტიკოსები ოფიციალურად სეპარატული მოთხოვნებისაგან თავს იკავებდნენ, აქაც პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოს საკითხს დემოკრატიული რუსეთის დამფუძნებელ კრებას უკავშირებდნენ. სხვაგვარად ყოველად შეუძლებელია აიხსნას აკჩხენკელის მოხსენებაში ნათქვამი ფრაზა "პირდაპირ ვიტყვი: ჩვენში, ქართველებში სცემს ეროვნული გრძნობა."[44] ან კიდევ, "ჩვენ შესაძლებელია, მაშინ გამოვიდეთ სეპარატულად, როდესაც ჩვენი დამარცხება აუცილებელი

იქნება." აღნიშნულ ფაქტებს უკეთებდა რა ანალიზს, უ.სიდამონიძე საკუთარი სამართლიანად მიუთითებდა, რომ "აკ.ჩხენკელი, რომელიც ქართველი ხალხის სახელით გამოვიდა დემოკრატიულ თათბირზე... უკვე ლაპარაკობდა სეპარატულ მოქმედებაზე."[45]

ეს ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრებისგან ავტონომიის ოფიციალურად მიღების შემდეგ, გამორიცხული არ იყო, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის უფლებრივი გაფართოების საკითხი დაესვათ.

რამდენადაც ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები, საქართველოს მომავალს რუსეთის დამფუძნებელ კრებას უკავშირებდნენ და არსებული პრობლემის სამართლებრივად გადაწყვეტას მისგან ელოდნენ, ბუნებრივია, საღად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეებში აღნიშნული საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის მზადების აუცილებლობა მთელი პრინციპულობით დაისვა. მსჯელობის ძირითად საგანს ორი საკითხი წარმოადგენდა: 1)საქართველოს პოლიტიკური პარტიები არჩევნებში ცალ– ცალკე გამოსულიყვნენ თუ 2)კონსესუსის საფუძველზე ერთიანი პლატფორმა შეემუშავებინათ და გაერთიანებული ძალებით ემოქმედათ. ამ მხრივ, განსაკუთრებით სოციალისტ– ფედერალისტები აქტიურობდნენ. მხედველობაში გვაქვს გაზეთ "სახალხო საქმეში" დაბეჭდილი პუბლიკაცია– "დამფუძნებელი კრება და საქართველო." მისი ავტორი ქართულ პოლიტიკურ ელიტას შეახსენებდა, რომ საქართველოსათვის იმ ძნელბედობის ჟამს პარტიული ამბიციები გვერდზე გადაედოთ და შეთანხმებულად ემოქმედათ. "განსაკუთრებით საჭიროა ასეთი გამოსვლა– ეკითხულობთ წერილში– დამფუძნებელ კრებაზე, საჭიროა ასეთი გამოსვლა ჩვენშიაც. მაშინ როდესაც ერის ბედ- იღბალი ისტორიის სასწორზეა დადებული, როდესაც გონივრული პოლიტიკა შესძლებს ერის ამაღლებას, ხოლო უბრალო შეცდომა ერს დაღუპავს, ჩვენ ეფიქრობთ, რომ ვერცერთი პარტია ვერ იკისრებს ყოველი მოვლენის პასუხისმგებლობას ერისა და შთამომავლობის წინაშე... ერის სინდისი, ერის კოლექტიური ხელი უნდა შეეხოს ერის უდიდეს საქმეს, ერის განთავისუფლებას– ამისთვის ბრძოლას, რომ ღირსეული სახე მიიღოს ღირსეულმა მიზანმა... დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ქართულ პარტიათა შეთანხმება და დამფუძნებელ კრებაზე ეროვნული სახით გამოსვლა."[46]

ეს ვრცელი ამონაწერი აშკარად მიგვანიშნებს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად ერის კონსოლიდაციისა და პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებული მოქმედების მნიშვნელობა, სოციალისტ– ფედერალისტებს შესანიშნავად ჰქონდათ გაცნობიერებული. სამწუხაროდ, აღნიშნულ და სხვა პუბლიკაციებში კონკრეტულად არ იყო მითითებული თუ ვის უნდა აეღო თავის თავზე ეს საპატიო პასუხისმგებლობა და

პოლიტიკურ ძალთა ერთობლივი გამოსვლა რა ფორმით მომხდარიყო. არადა, შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ძალებს შორის პირველობისათვის ურთიერთდაპირისპირება იმ ეტაპზე პიკს აღწევდა. ეს რეალობა პირველ რიგში იყო გასათვალისწინებელი.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში ერთიანი ძალებით გამოსვლის იდეა იყო ნადებული იმავე გაზეთ "სახალხო საქმეში" დაბეჭდილ მოწინაევე პუბლიკაციაში –"ეროვნული გამოსვლა დამფუძნებელი კრებისათვის." ისევე როგორც ზემოთ დასახელებულ სტატიაში, ძირითადი ყურადღება აქაც პოლიტიკური ძალების მისამართით მხოლოდ შეგონებით ფორმაზე იყო გადატანილი. მისი აეტორი, ქართველი ერისათვის დამფუძნებელი კრების, როგორც საკანონმდებლო ორგანოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას და დასძენდა, რომ არჩევნების დროს უნდა მომხდარიყო "შეთანხმება მინიმუმზე, ბრძოლა მაქსიმუმისათვის– ეი რას გვავალებს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა და ამ მოვალეობას პოლიტიკურმა ჯგუფებმა ანგარიში უნდა გაუწიონ."[47]

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პუბლიკაციებში დასახული მიზნის მიღწევის რეალური გზა გამოკვეთილი არ იყო და თითოეული მათგანი მხოლოდ ზოგად– თეორიული მსჯელობის ჩარჩოს არ სცილდებოდა. ამ მხრივ, გამონაკლისს გრ.რცხილაძის მიერ ფედერალური საბჭოს სხდომაზე 1917 წლის ოქტომბერში წაკითხული მოხსენება წარმოადგენს. მან პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების ერთ– ერთ წინაპირობად ეროვნული თანხმობის მოწვევა და განსაკუთრებული ორგანოს– ეროვნული კომიტეტის არჩევა აუცილებლობად მიიჩნია.[48] მისი აზრით, ასეთი ორგანოს "მკრთალ ჩანასახს... აგვისტოში დაარსებული საქართველოს ინტერპარტიული საბჭო" წარმოადგენდა, მაგრამ მას, როგორც გრ.რცხილაძე აღნიშნავდა– დასახული მიზნის განხორციელება არ ძალუძდა. ეკოტეტი შვილის აზრით, იმ ეტაპზე საქართველოში მოქმედი ინტერპარტიული საბჭო, ქართველების რადად, ანუ სეიმად უნდა ქცეულიყო.[49] მართალია, საკითხი სწორად იყო დასმული, მაგრამ აუცილებლობა მისი სამართლებრივი ფორმის გარკვევას საჭიროებდა. რამდენადაც ინტერპარტიული საბჭოს შემადგენლობა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ვიწრო პარტიული პრინციპების მიხედვით იყო გათვალისწინებული, იგი ქართველი ერის ინტერესების გამომხატველად ვერ ჩაითვლებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველი ერის საკანონმდებლო ორგანოდ მისი გადაქცევა სამართლებრივი თვალსაზრისით მისანშეუწონელი იყო. მითუმეტეს, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა მიზანს დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, სოციალ– დემოკრატიის (ალიონის ჯგუფის) ერთ– ერთი ლიდერი ივ.გომართელი ერთადერთ გამო-

საეკლესიო საქართველოს ეროვნული საეკლესიო ყრილობის მოწვევაში და შესაბამისი ორგანოს არჩევაში ხელადგა.[50] ამის აუცილებლობა, ქართული პოლიტიკური ასპარეზის წარმომადგენელთა უმეტესობას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინაპირობის მოსამზადებლად, შესაბამისი სამუშაოს ჩატარებას გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ. რამდენადაც, იმ ეტაპზე პარტიულ საწყისებზე შექმნილი ინტერპარტიული საბჭო არსებობდა, დასახული მიზნის მისაღწევად და ერთიანი სამოქმედო პლატფორმის შესამუშავებლად, სწორედ აღნიშნული ორგანო იქნა გამოყენებული. ამის პირველ მცდელობას ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე ჰქონდა ადგილი. მსჯელობაში გვაქვს გრ.რცხილაძის მიერ ეროვნული კრების მოწვევის საკითხის დასმა და მის მიერ იმავე კრებისათვის შესაბამისი რეგლამენტის პროექტის წარდგენის ფაქტი. როგორც ირკვევა, პროექტმა სხდომის მონაწილეთა მოწონება ვერ დაიმსახურა, რის გამოც, რეგლამენტის საბოლოო ვარიანტის შესამუშავებლად სპეციალური კომისია (ს.კედია, გრ.რცხილაძე, ნ.ქარცივაძე) იქნა არჩეული. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ეროვნული ყრილობის მოწვევასა და საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრიობის ბედს შეეხებოდა, ამ მიმართულებით შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის ფორმამ, ქართული პოლიტიკური ასპარეზის მესაჭეთა შორის მწვავე დაპირისპირება გამოიწვია. იგი განსაკუთრებით ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 3 ნოემბრის სხდომაზე გამოვლინდა. დოკუმენტური მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ იმავე სხდომაზე სამმა მიმდინარეობამ ინინა თავი. 1)სხდომის მონაწილეთა ერთი ნაწილი (გ.ლასხიშვილი, პ.საყვარელიძე, გრ.რცხილაძე, შ.მესხიშვილი) ეროვნული ყრილობის მოწვევასთან ერთად აეკრძალებინენ საკითხს ამიერკავკასიის ერთა საერთო კრების მოწვევისა და ერთიანი ინტერნაციონალური ორგანოს შექმნის შესახებ, რომლის კომპეტენციას ამიერკავკასიის საქმეების გაძღოლა და მისი მოგვარება დაექვემდებარებოდა; 2)მეორე დაჯგუფება (გ.ეკეშაპელი, დ.ეაჩნაძე, გ.ჟურული) ამიერკავკასიის ერების გაერთიანებული კრების მოწვევასა და საერთო ცენტრის შექმნას ნაადრევად თვლიდნენ; 3)რაც შეეხება მესამე დაჯგუფებას, იგი ეროვნული ყრილობის მოწვევასა და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევდა, იმავდროულად, ამიერკავკასიის ინტერნაციონალური ორგანოს შექმნასაც უჭერდა მხარს. ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართული პოლიტიკური ასპარეზის მესვეურებმა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, კონსენსუსის მიღწევა შეძლეს და მიღებული დადგენილების მეორე პუნქტში გარკვევით მიუთითეს: ინტერპარტიულმა საბჭომ "მოიწვიოს 19 ნოემბრისათვის ეროვნული ყრილობა საქართველოს ყველა პარტიის, სასოგადოებრივ– პოლი-

ტიკურ და კულტურულ– ეკონომიკურ დაწესებულებათა წარმომადგენელთა სახით თავადაზნაურთა ქონების ჩასაბარებლად და მოსავლელად. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საქმის მოწყობას."[51]

ამ დოკუმენტის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეროვნული ყრილობის მოწვევის მიზანს მხოლოდ თავადაზნაურთა ქონების მიღება– ჩაბარება წარმოადგენდა. არადა, ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 16 ნოემბრის სხდომის დადგენილებით, სპეციალური მოხსენების– "თანამედროვე მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა" მომზადება და წაკითხვა ნ.ჟორდანიას დაეკალა. როგორც ჩანს, იმ ეტაპზე შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია, პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან შენიღბული მოქმედების აუცილებლობას განაპირობებდა. მითუმეტეს, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული და ამიერკავკასიის ფრონტიდან გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების დემობილიზაცია მიმდინარეობდა. ასეთ პირობებში იქნა მოწვეული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917 წლის 19 ნოემბერი). მართალია, ყრილობის დღის წესრიგში განსახილველ საკითხთა ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ ნ.ჟორდანიას პოლიტიკურ მოხსენებაზე შევაჩერებთ ყურადღებას. ჩვენი ეს არჩევანი იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნული მოხსენება რუსეთსა და ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ღრმა ანალიზს შეიცავს და ამ ფონზე ახდენს საქართველოს მომავალი ბედის გარკვევას. იგი ქართული პოლიტიკური მაღალი აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. მასში მოტანილი ძირითადი დებულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1)რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხთან მიმართებაში შექმნილი სირთულეების ფონზე, ნ.ჟორდანია არ გამორიცხავდა იმ საშიშროებას, რომელიც საქართველოს "აბობოქრებული ზღვის ტალღებში" მოქცევითა და "რღვევის მორევში" ჩატანით ემუქრებოდა. აქედან გამომდინარე აყენებდა საკითხს პოლიტიკური კურსის ისეთი სიფრთხილით წარმართვის შესახებ, რომელიც ქვეყანას კატასტროფის წინაშე არ დააყენებდა. "ჩვენში– ამბობდა ნ.ჟორდანია– არის გადასაჭრელი ორი კითხვა... პირველი კითხვაა ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვაა– შექმნა საფუძვლის, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალ– კულტურული განვითარების შენობა."[52]

პირველი საკითხის ამ კუთხით დასმა შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. მისადმი განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს გარშემო მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა პროცესებმა წარ-

მოშვა. მხედველობაში გვაქვს; ა)რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური სამხედრო გადატრიალება და ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომის გაჩაღება, ბ)საქართველოს მახლობლად საომარი ფრონტის არსებობა და თურქეთის ფრონტზე მდგომი ნახევრად გაბოლშეკიკებული რუსული ჯარიდან მომდინარე საფრთხე; 2)ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების ერთ– ერთ ძირითად საშუალებას ნ.ჟორდანია სწორი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრაში ხედავდა. მისი აზრით, იმ ეტაპზე რუსული ორიენტაციის შენარჩუნება მიზანშეწონილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთში ცენტრალური რევოლუციური მთავრობის აღდგენა გახდებოდა შესაძლებელი. ამ პროცედურის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება მასთან შეთანხმებულად მოქმედების შესაბამის გეგმას შეიმუშავებდა. ამის აუცილებლობას იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა: "ჩვენს ახლოს– ამბობდა ნ.ჟორდანია– გადაჭიმულია საომარი ფრონტი, მოწინააღმდეგე სახელმწიფოები განადგურებით გვემუქრება. ჩვენ არ ძალგვიძს საკუთარი ძალით ყველა ეს საკითხი მოვაწესრიგოთ. ყოველგვარი სისუსტე კი იწვევს საომარი ფრონტის გარღვევას, ეს კი მოასწავებს აღმოსავლეთის წინაშე ჩვენს წამოჩოქებას, მის პროვინციად გახდომას. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც არის საქართველო, არ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ომი."[3] 3)იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენა შეუძლებელი გახდებოდა, ამიერკავკასიის მხარის სიძლიერეს, ნ.ჟორდანია ადგილობრივი საერთო ორგანოს– სეიმის დაარსებაში ხედავდა, რომელიც დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დეპუტატებით უნდა დაკომპლექტებულიყო. რაც შეეხება აღნიშნული ორგანოს (სეიმის) მოქმედების ძირითად არეალსა და მისი საქმიანობის ფორმას, ნ.ჟორდანიას აზრით, იგი რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მცდელობის პარალელურად, ეროვნული სექციების მიერ მომზადებული და განსახილველად წარდგენილი საკითხებით უნდა შემოფარგლულიყო.

ნ.ჟორდანიას ზემოაღნიშნული მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ მას "რევოლუციური მთავრობის" აღდგენისა და ბოლშევიკების გარდუვალი დამარცხებისა სჯეროდა. ასეთ შემთხვევაში, დამფუძნებელი კრების მოწვევის შესაძლებლობას იგი რეალობად მიიჩნევდა და აყენებდა საკითხს– ქართველი ერი ამ ფორუმს წინასწარი პროგრამული მოთხოვნებით მომზადებული შეხვედროდა. კონკრეტულად, თუ რა ძირითადი მოთხოვნებით უნდა შემოფარგლულიყო საქართველო, ამის შესახებ იმავე მოხსენებაში გარკვევითაა მითითებული, რომ რუსეთის ფარგლებში საქართველოს უნდა მინიჭებოდა შინაური თვითმმართველობა (ტერიტორიული ავტონომია), საჭიროებისამებრ გამოეცა კანონები, მოეწყო ნაციონალური ადმინისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუკი დემოკრა-

ტიულ რუსეთში ჯარის სისტემას შემოიღებდნენ, საქართველოსაც თავისი ეროვნული ჯარი უნდა ჰყოლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი მილიცია. მომხდარიყო ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია და შექმნილიყო ქართული ეროვნული საკანონმდებლო ორგანო ეროვნული საბჭო. "ჩვენი თვითგამორკვევა— ამბობდა ნ.ჟორდანია —დღესაც ისეთივეა, როგორიც იყო ამ ასი წლის წინათ, ამ მხრით ჩვენ ვერ წავედით შორს ჩვენ წინაპრებთან შედარებით."[54]

აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, ნ.ჟორდანია რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსათვის გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებების აღდგენას გულისხმობდა. სამწუხაროდ, არცერთ პოლიტიკურ მოღვაწეს ამ დოკუმენტის შესაბამისი მუხლების ანალიზი ოფიციალურად არ გაუკეთებია და არც საკითხი დაუკონკრეტებია, თუ რა უფლებები იყო ნაღებული რუსეთ— საქართველოს ზემოაღნისნულ ხელშეკრულებაში. როგორც ჩანს, იმ ეტაპზე ისინი, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე რადიკალური ნაბიჯის გადადგმას თავს არიდებდნენ, პრინციპული მოთხოვნების დაყენებასა და გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების წინა პლანზე წამოწევას რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე აპირებდნენ. რაც შეეხება ნ.ჟორდანიას მოხსენებაში გატარებულ პოზიციას, აკადემიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა დემოკრატიული რუსეთის ინტერესების დაცვასთან იყო შეხამებული. იმ ეტაპზე ურუსეთად საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ნ.ჟორდანია შეუძლებლად თვლიდა. ასეთი პოზიციის მიუხედავად, რადიკალური ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას ნ.ჟორდანია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდა, თუკი რუსეთში ანარქიას ბოლი არ მოეღებოდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ვერ მოხერხდებოდა. ასეთ შემთხვევაში "ჩვენ იძულებული ვიქნებით— ამბობდა ნ.ჟორდანია— მოვიწვიოთ ადგილობრივი დამფუძნებელი კრება და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია."[55]

ადგილობრივი საკანონმდებლო (დამფუძნებელი) კრების მოწვევისა და კონსტიტუციის მიღების აუცილებლობაზე განსაკუთრებული ყურადღების გადატანა, ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის დასმას ნიშნავდა. ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადასადგმელად, აჩქარებას ან დაგვიანებას ნ.ჟორდანია მიზანშეუწონლად, ქვეყნის გამოუყალ მდგომარეობაში ჩაყენებად აღიქვამდა. "აჩქარებამ იცით რა მოუტანა რუსეთს— ამბობდა ნ.ჟორდანია— მეორე რევოლუცია იყო ნაჩქარევი და იგი ლამის არის სისხლში ჩააღრჩვეს. ჩვენში უდრიოო დროს აჩქარება გამოიწვევს ექსცესებს და საქმის საბოლოოდ დაღუპვას. არც დაგვიანება არის ხელსაყრელი: რუსეთმა რეა თვე დაკარგა ერთი ადგილის

ტკეპნაში, ამის შედეგია დღევანდელი ანარქია. თუ ჩვენც დავაყოვნეთ ჩავცვივდებით ასეთივე მდგომარეობაში და ეს დაღუპავს საქართველოს.”[56] ეს ამონაწერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული პოლიტიკური აზრის ერთ– ერთი მესაჭეთაგანი, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე შეკრებილ ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტას მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სიღრმისეული გააზრების საფუძველზე ფრთხილი და მოზომილი დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმისაკენ მოუწოდებდა. ამ მიმართულებით სწორი და შესაბამისი სიტუაციისდა მიხედვით მოქმედება, ნ.ჟორდანიას საქართველოს დაღუპვისაგან გადარჩენის ერთადერთ რეალურ საშუალებად მიაჩნდა.

თუკი საქართველოს ეროვნული ყრილობის 20 ნოემბრის სხდომის მასალებს საფუძველიანად გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ამ ფორუმში მონაწილე პოლიტიკური პარტიების (გარდა ბოლშევიკებისა) წარმომადგენლებმა (გრ.რცხილაძემ, გ.ნათაძემ, გ.გვაზავამ) ერთხმად დაუჭირეს მხარი ნ.ჟორდანიას მოხსენების ძირითად დებულებებს. ამის დამადასტურებლად ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთი ლიდერის გ.გვაზავას მიერ წარმოთქმული სიტყვა გამოდგება. “თუ დღევანდელი ამბით ვინმე გრძნობს ბედნიერათ თავს– ამბობდა გ.გვაზავა– უპირველეს ყოვლისა ჩვენი პარტიაა. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით მთლიანობისათვის. ნ.ჟორდანიას სიტყვა გვაერთებს ყველას... სავსებით ვუერთდებით მოხსენებას და არ გამოვდივართ სეპარატული განცხადებით.”[57] ეს იმას ნიშნავს, რომ ყრილობის მონაწილე ეროვნულ –დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იმ ეტაპზე მხარს უჭერდნენ ნ.ჟორდანიასეულ რუსულ ორიენტაციასა და დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ნ.ჟორდანიას მოხსენების ძირითადი დებულებების დადებითი მუხტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წევრმა გ.ქიქოძემ, იმავე წელს გამოქვეყნებულ სტატიაში “ნ.ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია,” ნ.ჟორდანიას ზემოაღნიშნულ მოხსენებას შემდეგი შეფასება მისცა: “საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველმა საზოგადოებამ თითქო ხელახლა აღმოაჩინა თავისი პუბლიცისტი და ტაში დაუკრა მის სხარტულ ფორმულებს. ამ დღეს ნოე ჟორდანია მართლაც მთელი ქართველი ერის მეთაური გახდა... 1917 წლის ნოემბერის დღეებში ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში არავინ ასულა ჩვენი თაობის მეხსიერებაში. ეს მოხდა მაშინ, როცა ნოე ჟორდანიამ ეროვნული ყრილობის წინაშე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაიწერა დიდი ეტრატი თავისუფლებისა.”[58] შეიძლება ზოგი რამ აქ გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ, ერთი რამ ცხადია; ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერის ეროვნულ საწყისებზე დგომა და ამ

პოზიციიდან ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ძიების მისეული მცდელობა, საღად მოაზროვნე ქართული პოლიტიკური აზრის ელიტისათვის საცსებით მისაღები იყო. მათი ასეთი პოზიციის ოფიციალურად გაცხადების მიუხედავად, იმავე ერილობის პოლიტიკური სექციის სხდომაზე, სოციალ– დემოკრატების (მენშევიკების) მიერ ნ.ჟორდანიას მოხსენების საყურძველზე შედგენილი რეზოლუციის პროექტის განხილვამ მწვავე დებატები გამოიწვია. საკითხი ძირითადად აღნიშნული დოკუმენტის პირველ და მეორე მუხლებს ეხებოდა, სადაც ქართველი ერის რუსულ ორიენტაციაზე იყო აქცენტი გაკეთებული. პოლიტიკური სექციის მონაწილეთა ერთი ნაწილის (გ.ლასხიშვილი, გრ.ყეშაპელი, გრ.რცხილაძე, ი.ბაქრაძე, კონიაშვილი) აზრით, რეზოლუციის პროექტიდან რუსული ორიენტაცია –ანუ პირველი და მეორე მუხლები უნდა ამოეღოთ. მათი ასეთი მოთხოვნის საპასუხოდ ნ.ჟორდანია ოპონენტებს შეახსენებდა, რომ "პირველი მუხლი პოლიტიკაა, მეორე ემპირიზმი"–ო. და მართლაც, თუ ისინი მხარს უჭერდნენ ნ.ჟორდანიასეულ მოხსენებას და ანგარიშგასაწევად მიაჩნდათ მომხსენებლის მიერ მოტანილი რუსული ორიენტაციის განმაპირობებელი ფაქტორები, აღნიშნული საკითხი საკამათო საგნად არ უნდა ქცეულიყო. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ვ.ჯუღელს, როცა ხაზგასმით მიუთითებდა: "პირველი მუხლი ჩვენ არ გვაეალებს სამუდამოთ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. პირველი მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დავაშოშმინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კაეკასიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ) ტაქტიკური მოასრებით დარჩეს მოტივაციაც." იგივე შეხედულება განაეითარა პ.საეკარელიძემაც, რომელმაც პოლიტიკური სექციის მონაწილეებს შეახსენა, რომ "ორიენტაციაზე იყო ლაპარაკი მოხსენებაში და ჩვენც უნდა აღვნიშნოთ ეს რეზოლუციაში... ორიენტაცია დარჩეს, ამას მოითხოვს პოლიტიკური სიბრძნე." შემაჯამებელ სიტყვაში, ნ.ჟორდანიამ ერთხელ კიდევ გარკეეეით მიუთითა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის იმ ეტაპზე თუგინდ ფორმალურად, რუსული ორიენტაციის ოფიციალურად აღიარებას. "მე და ჩემს პარტიულ ამხანაგებს– ამბობდა ნ.ჟორდანია– არა გვაქვს სურეილი ეინმეს მოვახეიოთ ჩვენი აზრი. ეს მოტივაცია მარტო ჩემი არაა– ყეელასია. დილემა ისაა, რომ ორი ფრონტის შუა ეართ, რუსეთისა და კავკასიის, მარტო ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებამ რა გამიწვია ფრონტზე? ისა, რომ ჯარებმა ეს ფაქტი გამოეყოფად მიიღეს და განაცხადეს: თუ ასეა, ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ? თქვენ დაიცავით იქეენი ფრონტიო. საჭირო შეიქმნა ლეპეშებითა და შიკრიკებით გაფანტვა ამ ბურუსისა."[9]

რამდენადაც ეს ფაქტები სინამდვილეს წარმოადგენდა, პოლიტიკური სექციის წევრებმა ნ.ჟორდანიასეულ არგუმენტაციას რეალურად ვე-

რაფერი დაუპირისპირეს, პირველი და მეორე მუხლების გაერთიანების მიუხედავად, მისი ძირითადი დებულებები უცვლელი დარჩა.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას სიღრმისეულად ფლობდნენ, მოვლენების გლობალურად გაანალიზების საფუძველზე მოქმედებდნენ, ყოველგვარ მოსალოდნელ სასიშროებას მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ და თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობას დიპლომატიურ მანევრირებაზე აგებდნენ.[60] ასეთი შენიღბული კურსი, კავკასიის გეოპოლიტიკური სიტუაციისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებიდან გამომდინარე, მისაღები იყო. მითუმეტეს, საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად სათანადო ფუნდამენტის მომზადებას ეხებოდა. რუსული ორიენტაციის ოფიციალურად გაცხადება, დასახული ეროვნული საქმის საკეთებლად ხელშემშლელი ბოლშევიკური ძალების პოლიტიკურ ნეიტრალიზაციას ისახავდა მიზნად. ჩვენი აზრით, პოლიტიკური სექციის სხდომაზე ორიენტაციის საკითხზე მიმართებაში გამართული დისკუსია და ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან დემოკრატიული რუსეთის დაცვა, სწორედ ამ რაკურსით უნდა იქნეს განხილული. მითუმეტეს, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ პირველი ქართული ეროვნული საკანონმდებლო ორგანო- ეროვნული საბჭო აირჩია. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საგანგებო კრებების მიერ, თავადაზნაურთა 60 მილიონიანი ქონების ქართველი ერისადმი გადაცემის შესახებ მიღებული დადგენილებების საფუძველზე, ამ სოლიდური ქონების მოვლა- პატრონობა ახლადარჩეულ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაეკალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, "თავადაზნაურთა მიერ გადმოცემული ქონების შესახებ" ეროვნულ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: "თავადაზნაურობის დადგენილებით 29 ოქტომბრის და 8 ნოემბრის თარიღებით მთელი მისი (ორივე გუბერნიის)... კოლექტიური ქონება... აღიარებულია ქართველი ერის აველადიდებათ და უნდა გადაეცეს... საქართველოს ეროვნულ საბჭოს. დაეკალოს ხსენებულ საბჭოს ჩაიბარიოს ქართველი თავადაზნაურობის წინამძროლთა და დეპუტატთა საკრებულოდან... უძრავი და მოძრავი ქონება... იკისროს ამ ქონების მოვლა- პატრონობა და ვალდებულებათა აღსრულება."[61]

ამ ფაქტზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მოსამზადებელი ფინანსური ბაზისის შექმნის პირველი წარმატებული მცდელობა იყო. მეორე მხრივ, ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ეროვნულ საბჭოს ნებისმიერ დროს მისი გამოყენების შესაძლებლობა ეძლეოდა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად რომ გამოკვეთილი კურსი აიღო, ეს საქართველოს თვითმართველობის შესახებ იმავე ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის მერე მუხლიდანაც ჩანს, რომლის ძალითაც, ახლადარჩეული ეროვნულ საბჭოს საქართველოს დამფუძნებელი კრების მოსაწვევად ზრუნვა დაეკალა.[62]

საქართველოს ეროვნული ყრილობის პათოსი და მის მიერ აღებული პოლიტიკური კურსი ქართველი ბოლშევიკებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მათი ნეგატური პოზიცია იმავე ყრილობის 20 ნოემბრის სხდომაზე ფ.მახარაძემ გაახმოვანა. იგი ეროვნული ყრილობის დაკნინებას ყოველნაირად შეეცადა. "დღევანდელი ყრილობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება— აცხადებდა ფ.მახარაძე- თითქოს რაღაც დიდი ისტორიული ამბავი მომხდარიყოს, თითქოს ცხრამეტ ნოემბერს აღდგა საქართველო და საკუთარ ფეხზე დადგა" როგორც ვხედავთ, ქართველი ბოლშევიკების წარმომადგენელი, უმნიშვნელოდ მიიჩნევდა ქართული პოლიტიკური ძალების გაერთიანებას და ქვეყნის გადარჩენისათვის ერთიანი სამოქმედო პლატფორმის შემუშავებას. ამ შემთხვევაში, იგი საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა იდეოლოგიის ჩარჩოს ფარგლებში მოქმედებდა და ეროვნული ყრილობის მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს ნაჩქარევ გადაწყვეტილებად აცხადებდა. ამ პოზიციის ალიბად იგი საბჭოთა რუსეთის მიერ ერთა თვითგამორკვევის შესახებ 1917 წლის 2 (15) ნოემბერს მიღებულ "რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციას" ასახელებდა და დასძენდა: "ჩვენ (ბოლშევიკები) ედგვეართ ერთა თვითგამორკვევის თვალსაზრისზე, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შეეფერება დროსა და პირობებს თუ არა, მაინც უნდა გადაიდგას ნაბიჯი ამ თვითგამორკვევისაკენ. ეს უნდა მოხდეს დროის მიხედვით. ინტერპარტიული საბჭო, რომელსაც ხალხის დაუკითხავად აუღია ხელში ხალხის ინტერესების დაცვა, გაუფრთხილებლად იქცევა."[63]

ამ შემთხვევაში, ფ.მახარაძეს ქართული პოლიტიკური ძალების ერთიანობა და არსებული მძიმე სიტუაციიდან საქართველოს უსაფრთხოდ გამოყვანის შესახებ ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებები აღელვებდა. როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, მართალია, ეროვნულმა ყრილობამ დემოკრატიული რუსეთის ორიენტაცია შეინარჩუნა, მაგრამ საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი სახის პოლიტიკური კავშირის დამყარება კატეგორიულად უარყო. ეს კურსი, რუსეთში განვითარებული მოვლენების საღი გონებით შეფასებას ემყარებოდა და საქართველოს მიმართ ყოველგვარი სახის მოსალოდნელი პროვოკაციის აცილებას ისახავდა მიზნად. სწორედ ეს ფაქტორი ედო საფუძვლად ნ.ჟორდანიას მიერ ფ.მახარაძის საწინააღმდეგოდ წარმოთქმულ სიტყვას. იგი ქართველი ბოლშევიკების ერთ-

ერთ ლიდერს ფ.მახარაძეს შეახსენებდა, რომ ‘სოგადთეორიული მსჯელობის “დრო წავიდა, დღეს საქმის კეთების, რლეეეისა და შენების დროა და რასაც დღეს ვერ მოასწრებ, შეიძლება ვერასოდეს ვერ მოასწრო იგი. საჭიროა და სასურველია არა მარტო ნაციონალური ძალების შეთანხმება,... ჩვენ გვინდა ერების შეთანხმებაც და მიკვირს, როცა სოციალ– დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ამ ელემენტარული ჭეშმარიტების შესახებ დაობს.”[64]

რაც შეეხება ფ.მახარაძის მიერ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის იდეას, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯის გადადგმა ნ.ჟორდანიამ ქართველი ერისათვის დამლუპველად მიიჩნია და ამის ერთ– ერთ ალიბად რუსეთის სამოქალაქო ომი დაასახელა. იმავდროულად, დამაჯერებელი პასუხი გასცა ერთა თვითგამორკვევის საბჭოური მოდელის ფ.მახარაძისეულ არგუმენტებს: “ფ.მახარაძე აცხადებს, –ამბობდა ნ.ჟორდანია– რომ ისინი მომხრენი არიან ერთა თვითგამორკვევის. მაგრამ ეს სიტყვით და როცა ჯერი საქმეზე მიდგება, ისინი არასოდეს არ უჭერენ მხარს ერთა თვითგამორკვევის უფლებას.”[65] ამ შემთხვევაში ნ.ჟორდანია სიმართლეს ამბობდა, რაც არარუსი ერებისადმი, მათ შორის ქართველი ერისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებითაც დადასტურდა.

ეროვნულ საკითხთან მიმართებაში ბოლშევიკების ორპირობისა და მათი სრული სახის ‘სოგადოების წინაშე წარმოჩენის მცდელობას შეიცავდა გაზეთ “ერთობაში” დაბეჭდილი მოწინააღ წერილი “ეროვნული ყრილობის გამო” სადაც არარუსი ერებისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის პოლიტიკურ კურსთან იყო გაიგივებული.[66]

მართალია, ნ.ჟორდანიამ და გაზეთმა “ერთობის” რედაქციამ ღირსეული პასუხი გასცა ეროვნულ ყრილობაზე ფ.მახარაძის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს,მაგრამ ქართველი ბოლშევიკების ლიდერი ამ დამარცხებას ვერ შეურიგდა და დისკუსია პრესის ფურცლებზე გადაიტანა. მხედველობაში გვაქვს იმავე ფ.მახარაძის მიერ გაზეთ “ბრძოლაში” დაბეჭდილი ორი სტატია: 1)”საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა” და 2)”ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება.”[67] აღნიშნული პუბლიკაციები მხოლოდ ქართველი სოციალ– დემოკრატების (მენშევიკების) ლანძღვა– გინებას შეიცავს, ხოლო საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას “ქართველი მენშევიკების სრულ გაკოტრებად” აცხადებს. თუკი აღნიშნული სტატიების ტექსტში საფუძვლიანად ჩაჭერმაუდებით, ადვილად შევამჩნევთ ფ.მახარაძის გაღიზიანების ძირითად მიზეზს. მისი აღშფოთება მხოლოდ იმით კი არ იყო განპირობებული, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველომ ‘ურგი საბჭოთა რუსეთს შეაქცია, არამედ მიზეზთა ძირითად საფუძველს, საქართვე-

ლოს პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია, საკანონმდებლო ორგანოს– საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა წარმოადგენდა. ამ ფაქტით, ქართველი ბოლშევიკები, ქართველი ერის უმრავლესობისაგან გარიყული და სამართლებრივი ნარჩოს მიღმა აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება ეროვნული საბჭოს ორგანიზაციას, მან შემდეგი სახე მიიღო; იმავე საბჭოს პირველივე სხდომაზე (1917 წლის 26 ნოემბერი) არჩეული იქნა 15 კაციანი აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო 28 ნოემბერს- 6 კაციანი პრეზიდიუმი. საქმის უკეთ გაძღოლის მიზნით, იმავე სხდომამ 8 სამუშაო კომისია დაამტკიცა.“ ეს ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეროვნულმა საბჭომ ორგანიზაციის თვალსაზრისით სრულყოფილი სახე მიიღო და, რაც მთავარია, ახლადშექმნილი სამუშაო კომისიების მეშვეობით, ქართველი ერის წინაშე წამოჭრილი ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისათვის ზრუნვა თავის თავზე აიღო. ამ ნაბიჯით, ეროვნული საბჭოს 15 კაციანი პრეზიდიუმი ფაქტობრივად ეროვნული მთავრობის ფუნქციის შემსრულებლის როლში მოგვეკლინა. მისი საქმიანობის ძირითად ამოცანას პირველ საფეხურზე საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციებისა (საქართველოს თვითმმართველობის, სკოლების, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების, ეროვნული ჯარისა და ერობების შექმნის, ფინანსების, ჯანდაცვის და სხვა) და ნაციონალიზაციის პრაქტიკულად განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების მომზადება წარმოადგენდა. რამდენადაც, ახლადშექმნილმა ორგანომ ეროვნული სახელმწიფოსათვის საჭირო პირობების მომზადება იტვირთა, ბუნებრივია, მის წინაშე პროგრესული ორიენტაციის გადახედვის საკითხიც დაისმებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, პირველი სასინჯი ნაბიჯი ამ მიმართულებით ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებმა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე გადადგეს. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ სხდომაზე მოწვეული აშშ– ის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის საელჩოების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან საუბრისას ამ‍ქარად გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნისადმი მათი ნეგატური პოზიცია. სალექმო ჩანაწერებში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ისინი ცნობდნენ მხოლოდ: “ ერთ მთლიან რუსეთს და მის დროებით მთავრობას, ცალკე ერებს კი, როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არ ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობები... ამიერკავკასია უნდა შეუერთდეს სამხრეთ დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა და ციმბირიც,... რუსეთი აღსდგება როგორც ფედერაციული ერთეული.’[9]

ამ დოკუმენტის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ერთგვარ გამაფრთხილებელ ტონთან ერთად იგი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა

მიზნებისა და ამოცანების ოფიციალურად გამჟღავნებასაც შეიცავდა. ამ ფაქტით, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს აშკარად მიანიშნეს, რომ ისინი არ სცნობდნენ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე შექმნილ "წვრილ სახელმწიფოთა" პოლიტიკურ წარმონაქმნებს და ამიერკავკასიას ერთიანი რუსეთის სიერცის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ საქართველო მათი პროგრამის საწინააღმდეგო ზღურბლს გადააბიჯებდა, ევროპის სახელმწიფოებისაგან ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებდა. აღნიშნული გაფრთხილება ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებისაგან პროორუსული ორიენტაციის შენარჩუნებას მოითხოვდა. იმ პერიოდის საარქივო მასალების საფუძველიანი შესწავლა ადასტურებს, რომ საქართველოში მოქმედ არცერთ პოლიტიკურ პარტიას 1917– დან 1918 წლის იანვარამდე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არ დაუყენებია, ძირითადად პრორუსულ ორიენტაციას და დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიური ერთეულის შექმნას უჭერდნენ მხარს.

ამრიგად, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ნააზრევის საარქივო და პრესის მასალების საფუძველზე შესწავლამ დაადასტურა: 1)რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეების წინაშე ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი მთელი პრინციპულობით დააყენა. მათი ძირითადი დებულებები, დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში საქართველოსათვის ტერიტორიული ავტონომიის მინიჭების აუცილებლობით შემოიფარგლებოდა. დასახული მიზნის მიღწევას რევოლუციის საბოლოო გამარჯვებასა და დანფუძნებელი კრების მოწვევას უკავშირებდნენ. ამ შემთხვევაში, ქართველი სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები), ეროვნულ– დემოკრატებისა და სოციალისტ– ფედერალისტების ლიდერთა შეხედულებები, დიპლომატიურ მანევრირებაზე იყო აგებული და არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას შეესატყვისებოდა. ეს ფაქტორი, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებიდან, ქართულ პოლიტიკურ ელიტაზე ყოველგვარი ზეწოლის შესაძლებლობას გამორიცხავდა. 2)ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხთან მიმართებაში, პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ნააზრევის იდენტურობამ და ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად სათანადო ფუნდამენტის წინასწარ მომზადების აუცილებლობის გაცნობიერებამ, საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიები (სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები), ეროვნულ– დემოკრატები, სოციალისტ– ფედერალისტები, სოციალისტ– რევოლუციონერები) კონსესუსამდე მიიყვანა. ეს

შეთანხმება საფუძვლად დაედო ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს (1917 წლის 12 აგვისტო), ხოლო 13 დღის შემდეგ ქართველი ერის ინტერპარტიული საბჭოს (1917 წლის 25 აგვისტო) შექმნას. 3)საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის (1917 წლის 19– 23 ნოემბერი) მონაწილე ქართული პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, სწორად შეაფასეს რა საქართველოს გარშემო განვითარებული ურთულესი პოლიტიკური პროცესები, მიღებული რეზოლუციებით რუსული ორიენტაცია ოფიციალურად დაადასტურეს და დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში, საქართველოსათვის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული უფლებების აღდგენის საკითხი დააყენეს. საარქივო და პრესის მასალების საფუძვლიანმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1917 წლიდან 1918 წლის იანვრამდე არცერთ პოლიტიკურ პარტიას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არ დაუყენებია და რუსული ორიენტაციის უარყოფის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

თავი III.

ამიერკავკასიის ერთიანი დემოკრატიული-ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი

რუსეთის 1917 წლის თებერვალ– მარტის მოვლენების შედეგად, ხელისუფლების სათავეში მოსული დროებითი მთავრობის დამოკიდებულება ყოფილი იმპერიის განაპირა ქვეყნებისადმი თითქმის უცვლელი დარჩა. მხედველობაში გვაქვს რუსეთში შემავალი ერებისადმი სახელმწიფოებრიობის მიუცემლობის ფაქტები. ამის ერთ– ერთ ნიმუშს ამიერკავკასიის რეგიონი წარმოადგენდა. იმ მიზნით, რომ ამიერკავკასიის ერები ერთიანი რუსეთის ინტერესებს არ დაპირისპირებოდნენ, დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) შექმნა და იგი ზემოდან დანიშვნითი წესით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებით დააკომპლექტა. მის შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ: კადეტები ბ.ხარლამოვი (თავმჯდომარე) და მ.პაპაჯანოვი, მუსავათი ნ.ჯაფაროვი, სოციალისტ– ფედერალისტი კ.აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო სოციალ– დემოკრატმა აკბსენკელმა შეცვალა. რაც შეეხება ამ ორგანოს უფლებამოსილების საკითხს, იგი ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი ყრილობის (1917 წლის 18 მარტი) მიერ მიღებული შესაბამისი დოკუმენტით განისაზღვრა, რომლის მიხედვითაც ოზაკომი შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვა. ამ ფაქტით, დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში მისადმი დაქვემდებარებული წარმომადგენლობა ოფიციალურად გააფორმა და მისთვის მისაღები პოლიტიკური კურსის შეუცვლელად გატარება დააკისრა.[1]

დროებითი მთავრობის ეს ნაბიჯი დემოკრატიული პრინციპების აშკარა დარღვევას წარმოადგენდა და ცენტრის ნებასურვილისამებრ ამიერკავკასიის მართვას ითვალისწინებდა. რამდენადაც ამიერკავკასიის და მათ შორის ქართველი ერის უფლებების იგნორირება ხდებოდა, მუშათა დეპუტატების საბჭო და მისი თავმჯდომარე ნ.ჟორდანია ოზაკომისადმი შეუზღუდავი უფლებების გადაცემას არ აპირებდა. იგი ამ მიმართულებით შესაბამის ქმედით ღონისძიებასაც ატარებდა. მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის მუშაოა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა 1917 წლის 18 მარტის ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები. ამ შემთხვევაში მხოლოდ ორ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას; 1)"დროებითი მთავრობის კომპენტენციასთან დამოკიდებულების შესახებ" და 2)"მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კომპენტენცია." პირველი დოკუმენტი ოზა-

კომის მიერ დანიშნულ კომისრებს პირდაპირ მითითებას აძლევდა, რომ მმართველობის ყველა სფეროში შეთანხმებულად ემოქმედათ საგუბერნიო, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად. ხოლო მეორე დოკუმენტის მიხედვით, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები რევოლუციური მართვა– გამგეობის ორგანოდ და რევოლუციური მთავრობის ძალად იყო გამოცხადებული, რომლის ძირითად მიზნად დემოკრატიული პროგრამის პრაქტიკულად გატარება და მთავრობის მოქმედებისადმი კონტროლის დაწესება წარმოადგენდა.[2] აღნიშნული ერილობის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება იმის დამადასტურებელია, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რევოლუციისა და დემოკრატიის მოტივით თავისი უფლებამოსილების განერცობას ამიერკავკასიის რეგიონის მასშტაბით ცდილობდა. იმავდროულად, დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული სახელმწიფო ორგანოს– ოსაკომის საქმიანობის გაკონტროლებაზე აცხადებდა პრეტენზიას. ერილობის მიერ პოზიციის ასეთი ფორმით ოფიციალურად გაცხადება და შესაბამისი რეზოლუციით დადასტურება იმის მანიშნებელია, რომ იმ ეტაპზე ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობა– (ოსაკომი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები) არსებობდა. ეს გარემოება, რუსეთის დროებით მთავრობას მომხდარი ფაქტისათვის ანგარიშის გასაწევად იძულებულს ხდიდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების 1917 წლის 31 მაისის ერილობაზე ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ ნ.ჟორდანია, ხოლო მოადგილეებად ნ.რამიშვილი და ი.ქარცივაძე იქნა არჩეული, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, საბჭოს მხრიდან ძალაუფლებისათვის შეჯარვითი ბრძოლა უკომპრომისო სახეს რომ ატარებდა. ამ მიმართულებით პირველი გაბედული ნაბიჯი ქალაქ თბილისის საბჭოს არჩევნების მზადების პერიოდში გამოიკვეთა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საზოგადოების მხარდაჭერისა და პირველობის მოპოვებისათვის იმ ეტაპზე საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია იბრძოდა. თითოეული მათგანი თავიანთი პროგრამების ძირითადი დებულებების ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ. ეს მომენტი, ქართული პოლიტიკური აზრის დემოკრატიულ ფორმებში ურთიერთდაპირისპირებითა და საქართველოს მოსახლეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ხასიათდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, თბილისის ქალაქის საბჭოს 1917 წლის 30 იელისის არჩევნებში მონაწილე 92677 ამომრჩეველიდან, სოციალ– დემოკრატებმა (მენშევიკები)– 38983 ხმა მიიღეს, ეროვნულ– დემოკრატებმა– 2880, სოციალისტ– რევოლუციონერებმა– 15407, დაშნაკცუთიუნმა– 18482, სოციალისტ- ფედერალისტებმა– 3185, კადეტებმა– 5140, სოციალ–

დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა)– 5083, ებრაელებმა– 1037, პანჩაკისტებმა– 304, მუსლიმანებმა– 1924.[3]

თუკი აღნიშნული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, მიღებული ხმების რაოდენობით სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) შემდეგ სომხური პოლიტიკური პარტია– დაშნაკცუთიუნი ლიდერობდა. სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) ძალისხმევა რომ არა, უდაო გამარჯვება დაშნაკცუთიუნის პარტიის ხელში აღმოჩნდებოდა. ასეთივე დიდი წარმატებით მოიგო ქართულმა სოციალ- დემოკრატიამ (მენშევიკებმა) ქალაქ თბილისის თვითმმართველობის 1918 წლის იანვისის არჩევნები, რითაც არაქართულ ძალებს თბილისის ხელისუფლებაში მოსასვლელად მეორედ გადაულობეს გზა და ისინი მშვიდობიანი მეთოდებით სამუდამოდ ჩამოიცილეს ქალაქის ხელმძღვანელობას. აღნიშნული ფაქტები ჰქონდა მხედველობაში ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ლიდერსა და ქართული პოლიტიკური ასრის ერთ– ერთ მესაჭეს გიორგი გვასავას, როცა 1929 წელს ემიგრაციაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ამ გამარჯვებას მაღალ შეფასებას აძლევდა. "**დავით აღმაშენებელს– წერდა იგი– დასჭირდა 20000 დაქირავებული უცხოელების ჯარი თბილისის ასაღებად. "ერთობამ" (სოციალ- დემოკრატებმა– მენშევიკებმა შ.ვ.) კი ეს 20000 იპოვა თბილისშივე, ერთი კაპეიკი არ დაუხარჯავს, სისხლი არ დაუღვრია,– ქალაქი კი აიღო და ქართველობას ჩააბარა. ქალაქმაც მალე მიიღო ქართული სახე. ეს ისტორიაა. არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის თქმისა... რით ეწინააღმდეგება ეს გამარჯვება მესამოციანელთა თაობის იდეალებს?!**"[4] თუკი ამ კუთხით განვიხილავთ საკითხს, ნათელი გახდება, რომ 1)**საქართველოს სინამდვილეში, პოლიტიკურ პარტიათა შორის იმ ეტაპზე ქართული სოციალ– დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) ლიდერობა გამოკვეთილი იყო, რომლის პლატფორმას მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მხარს, 2)მომხდარი ფაქტით დასრულდა სომხური ბურჟუაზიული პარტიის– დაშნაკცუთიუნის ლიდერთა მეთაურობა ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში და მას ქართული პოლიტიკური ძალები დაეპატრონა. ეს იყო უდიდესი ეროვნული გამარჯვება და იგი ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) სახელთანაა დაკავშირებული.[5] სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ამ მნიშვნელოვან ფაქტს შეგნებულად უვლის გვერდს, რადგან, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის სომეხთა ბატონობისაგან განთავისუფლება და ქალაქის თავად ქართველის არჩევა, ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) უდავო დამსახურებაა.**

ეროვნული ძალების წარმატებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ოსაკომისადმი ქართული პოლიტიკური აზრის ნეგატიური დამოკიდებულება. ამ მხრივ, განსაკუთრებით ქართველი სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები) აქტიურობდნენ. ისინი ოსაკომს უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ორგანოთი მისი დაუყოვნებლივი შეცვლის საკითხს აყენებდნენ. ამ მოთხოვნის ძირითად ალიბად მოსალოდნელი ანარქიისაგან ამიერკავკასიის დაცვას ასახელებდნენ. დასახული მიზნის მიღწევას ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდნენ შესაძლებლად, თუკი ამიერკავკასიაში დემოკრატიული ძალების გაერთიანებას, კომპრომისზე დაფუძნებული პლატფორმის შემუშავებასა და აუტორიტეტული მთავრობის შექმნას შესძლებდნენ. ამ საკითხთან მიმართებაში გაზეთი "ერთობა" მოწინავე წერილში "ანარქია და ჩვენი ტაქტიკა" მკითხველს საზოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენებდა: "ვინაიდან სუსტია ადგილობრივი მთავრობა და მისი ძალა– გაულენა... ჩვენი ვალია ადგილობრივი მთავრობის საკითხი ფართოდ წამოვაყენოთ და რევოლუციონურ პარტიებთან და ერებთან შეთანხმებით შეექმნათ ისეთი მთავრობა, რომელსაც საყოველთაო ნდობით მოპყრობიან და რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგის დაცვას და რევოლუციის განვითარებას."[6]

საკითხის ასეთი ფორმით დასმის მიუხედავად, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ხელისუფლების ახალი ორგანოსა და მთავრობის შესაქმნელად მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას საჭიროებდა. მოსალოდნელი გართულებების აცილების მიზნით, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებმა, ამ მიმართულებით ფართო საგიტაციო– პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. განსაკუთრებით ქართველი სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები) აქტიურობდნენ. მათ მიერ გაზეთ "ერთობაში" დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან ყურადღებას მხოლოდ ერთ– ერთ მათგანზე, კერძოთ, "დემოკრატიული მთავრობის შექმნა"-ზე შევაჩერებთ. ამ სტატიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების სწორად შეფასებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის რეგიონში ძლიერი მთავრობის შექმნის აუცილებლობას სამი ძირითადი ფაქტორით ასაბუთებდა; 1)რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობით; 2)რუსეთში არსებული ანარქიის ამიერკავკასიაში გაერცელების რეალური საშიშროებით; 3)საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობას, ადგილობრივი ძალებით შექმნილ ძლიერ დემოკრატიულ მთავრობაში ხედავდა. "სხვა გზა არ არსებობს, ლენინ– ტროცკის ავანტურამ –წერდა გაზეთი –ამიერკავკასიის მცხოვრებთ მძიმე დილემა დაუყენა

წინ, ან ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის შედგენა, ანდა ეკონომიური და ფინანსური ცხოვრების სრული არეკ– დარეკა და მით გარეშე მტრის ამიერკავკასიაში გაბატონება. მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენს.'" დასახული მიზნის განხორციელების ერთ– ერთ პირობად, პოლიტიკურ პარტიათა შორის კონსენსუსის მიღწევა იქნა აღიარებული. ამ საპასუხისმგებლო საკითხის მოგვარება თავის თავზე სოციალ– დემოკრატებმა (მენშევიკებმა) აიღეს და ამიერკავკასიის პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული თათბირის მოსაწვევად სათანადო ნიადაგიც შეამზადეს.

აღნიშნული თათბირის (1917 წლის 11 ნოემბერი) მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები), სოციალ– დემოკრატების (ბოლშევიკები), სოციალისტ– რევოლუციონერების, სოციალისტ– ფედერალისტების, დაშნაკცუთიუნის, სომხის სოციალ– დემოკრატიული პარტიის "ჰინჩაკის", სახალხო სოციალისტთა პარტიის, ებრაელთა სოციალ– დემოკრატიული პარტიის "ბუნდის", მუსლიმანთა ორგანიზაციების, ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის, თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, თბილისის ქალაქის გამგეობის, ამიერკავკასიის საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის, კავკასიის არმიის სამხედრო საბჭოს, ოსაკომის, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. თათბირის მუშაობას დაესწრო კავკასიის ჯარის მთავარსარდალი გენერალი პრუეველსკი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ– მდივანი, თბილისის გარნიზონის უფროსი პოლკ. ახმეტელაშვილი, მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ელჩების სრული შემადგენლობა.[8]

ჩვენ მიერ მოტანილი ეს მონაცემები იმის დადასტურებაა, რომ თათბირის შემადგენლობა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან წარგზავნილი დელეგატების ფართო სპექტრს მოიცავდა. ამიტომ, მის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას სამართლებრივი სახე ეძლეოდა. სწორედ ამ ფაქტორისა და მოსალოდნელი სამოქალაქო ომისაგან ამიერკავკასიის დაზღვევის აუცილებლობის გათვალისწინებით, კავკასიის ჯარის კომისარი დ.დონსკოი თავის მოხსენებაში პრინციპულად აყენებდა რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დეპუტატებისაგან ადგილობრივი დროებითი აუტორიტეტული ხელმძღვანელი ორგანოს შექმნის საკითხს. "გულზე ხელდაკრეფილი კი არ უნდა შეეცქეროდეთ რუსეთს,– ამბობდა დ.დონსკოი,– უნდა ადგილობრივ ვიმუშაოთ, ვიმოქმედოთ და ამით მეტ სარგებლობას მოვუტანთ საერთო საქმეს.'"[9]

რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების გამო, ამიერკავკასიაში შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციას ოუკი გავითვალისწინებთ, რეგიონის უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების

თვალსაზრისით, დ.დონსკოის მიერ წარმოდგენილი პროექტი მისაღები იყო. ეს აუცილებლობა თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამ საღი გონებით შეაფასა და მისადმი მხარდაჭერა ოფიციალურადაც დაადასტურა. წინააღმდეგი მხოლოდ ქართველი ბოლშევიკები ფ.მახარაძე და მ.ცხაკაია წავიდნენ. ფ.მახარაძის აზრით, წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში ანარქია და არეულობა დარეცა ამიერკავკასიაში გარდუვალი იქნებოდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების ნებადაურთველად არნეული მთავრობა კონტრეველუციურ სახეს მიიღებდა. რაც შეეხება მ.ცხაკაიას, საბჭოებისადმი მიცემული ძალაუფლების გადაცემის აუცილებლობასთან ერთად, ერთა თვითგამორკვა მათ სრულ გამოყოფამდე მიუღებლად მიაჩნდათ.[10] ამ შემთხვევაში, ორივე ქართველი ბოლშევიკი თათბირის მონაწილეებისაგან საბჭოთა რუსეთის მორჩილებას და მისი ინტერესების გათვალისწინებას მოითხოვდნენ. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) წარმომადგენლებს, მათი საერთო პოზიცია დასაბუთებული სახით ნ.ჟორდანიამ იმავე თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ნამოაქალიბა. მისი მტკიცებით, საერთო გადაწყვეტილების მიღებისას პირველ რიგში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული: 1)რუსეთში განვითარებული მოვლენები- სამოქალაქო ომი, 2)ამიერკავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სინამდვილე, 3)ამიერკავკასიისათვის უსაფრთხოების შექმნის აუცილებლობა. არსებული პრობლემების მოგვარების ერთ- ერთ გარანტად ნ.ჟორდანიას, ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებისაგან ნდობით აღჭურვილი ადგილობრივი პასუხისმგებელი მთავრობის შედგენა მიაჩნდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, ასეთ მთავრობაში ქართველები, სომხები, თათრები და რუსები თანაბარი უფლებებით უნდა ყოფილიყვნენ წარდგენილნი. იმავდროულად, სოციალ- დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით მან დ.დონსკოის წინადადებას მხარი დაუჭირა და თათბირის მონაწილეებს შეახსენა, რომ "ჩვენსა და რუსეთს შორის შემაკავშირებელი ძაფი გაწყდა და ჩვენს წინაშე დადგა დილემა: ან საკუთარ ნიადაგზე უნდა დავდგეთ და... თავს ვუშველოთ, ან უნდა დავიღუპოთ. აი ეს აუცილებლობა გვიკარნახებს მოვაწყოთ ადგილობრივი მთავრობა."[11]

როგორც ვხედავთ, ქართული პოლიტიკური აზრის ერთ- ერთმა ლიდერმა ნ.ჟორდანიამ, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, რუსეთში აგორებული ანარქიის ტალღისაგან ამიერკავკასიის რეგიონის გადარჩენისა და მასში მცხოვრები ერების მომავალი ბედის დადებითად გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად, ამიერკავკასიის ადგილობრივი მთავრობის შექმნა მიიჩნია. ანალოგიური პოზიცია თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამაც გაიზიარა. ამის დადასტურებას, სოციალ- დემოკრატების მიერ ნ.ჟორდანიას მოხსენების ძირითადი დებულებების გათვალისწინებით

მომზადებული რეზოლუციისათვის მხარდაჭერა წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაცია ორ ეტაპად უნდა ჩატარებულიყო. პირველი ეტაპი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პარტიათა საწყისებზე შემდგარი საგანგებო თავდაცვის კომიტეტისათვის ხელისუფლების გადაცემას ითვალისწინებდა. ხოლო მეორე ეტაპი, დამფუძნებელი კრების დეპუტატების არჩევნების დამთავრების შემდეგ, რეგიონალური დროებითი მთავრობის მოწყობას. რაც შეეხება მისი უფლებების განსაზღვრას, მას დეპუტატების კომპენტენციად თვლიდნენ და ავტონომიური უფლებების ფარგლებში აძლევდნენ მოქმედების შესაძლებლობას.[12] მართალია, იმავე დოკუმენტის მიხედვით, ამიერკავკასია პეტროგრადის ბოლშევიკურ ხელისუფლებას გაემიჯნა, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური მისასრებებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იმედით, დამოუკიდებლობას არ აცხადებდა, რაც იმას ნიშნავდა რომ იგი ოფიციალურად კელავაც რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ჩრდილოეთიდან მოახლოებული საფრთხე და იმავე ბოლშევიკების მხრიდან კავკასიის ფრონტზე შექმნილი რთული მდგომარეობა, იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა განსჯის საგანი გახდა. საჭირო იყო ქმედითუნარიანი ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოს დაუყოვნებლივ შექმნა. მითუმეტეს, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ოზაკომმა თავისი სამართლებრივი ფუნქცია დაკარგა და ამიერკავკასია ფაქტობრივად მმართველი ორგანოს გარეშე დარჩა. პოლიტიკური სიბრძნე, ზემოაღნიშნული რეზოლუციის მიხედვით მოქმედებასა და ადექვატური ნაბიჯის გადადგმას საჭიროებდა. ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკები) ინიციატივითა და მისი მხარდამჭერი სხვა პოლიტიკური პარტიების ძალისხმევით, 1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის კომისარიატი შეიქმნა. მის შემადგენლობაში შეეკიდნენ: ე.გეგეჭკორი- ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და საგარეო ურთიერთობების საქმეთა სამინისტროების კომისარი, დ.დონსკოი- სამხედრო და საზღვაო სამინისტროების საქმეთა კომისარი, კ.ხარჩიკიანი- ფინანსთა სამინისტროს საქმეთა კომისარი, შ.ალექსი- მესხიშვილი- სახალხო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების საქმეთა სახალხო კომისარი, მ.ჯაფაროვი- ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა კომისარი, ხ.მელიქ- ასლანოვი- გზათა სამინისტროს საქმეთა კომისარი, ა.ნერუჩეევი- მიწათმოქმედების საქმეთა სამინისტროს კომისარი, გ.ტერ- გაზარიანი- სურსათის საქმეთა სამინისტროს კომისარი, ა.ოგანჯანიანი- საზოგადოებრივი მზრუნველობის საქმეთა სამინისტროს კომისარი, ხ.ბ. ხან- მამედოვი- სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა იმ ეტაპზე პოლიტიკურად გამართლებული იყო. სოციალური და ეკონომიკური ხასიათის რეფორმების პარალელურად, მას უნდა მოეხდინა ამიერკავკასიის ერების ძალთა კონსოლიდაცია და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად დროულად გაეტარებინა საჭირო ღონისძიებები. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში თბილისის საქალაქო საბჭოს 1917 წლის 16 ნოემბრის სხდომას, რომელმაც ამიერკავკასიის მთავრობის შექმნა დადებითად შეაფასა და მისასალმებელი საგანგებო წერილი გაუგზავნა.[13] თუკი ქართული პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი ზემოაღნიშნულ ფაქტს მისაღებად და აუცილებლობად მიიჩნევდა, მეორენი უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდნენ. ამ შემთხვევაში, მხედველობაში ქართველი ბოლშევიკები გვყავს, რომლებმაც გაზ. "ბრძოლაში" და "კავკასკი რაბოჩი"– ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ამიერკავკასიის მთავრობა "რაღაც თათბირის" შექმნილად გამოაცხადეს[14] და ყოველგვარი დაფარვის გარეშე მიუთითეს- "მთელი ძალღონით ვებრძვით ახალ გამომცხვარ ამიერკავკასიის მთავრობას-ო,"[15] იმავდროულად, ფრონტზე მდგარ რუს ჯარისკაცებში აგიტაციას ეწეოდნენ, რომ ამიერკავკასია რუსეთს ჩამოსცილდა და დამოუკიდებლობა გამოაცხადაო.[16]

ასეთი ფართომასშტაბიანი სააგიტაციო– პროპაგანდისტული საქმიანობა, ფრონტზე მდგარი რუსული ჯარის ნაწილებს ახლადშექმნილი ამიერკავკასიის მთავრობის საწინააღმდეგოდ განაწყობდა და მასზე დაყრდნობით რეგიონის გასაბჭოებას ითვალისწინებდა. ამ შემთხვევაში, ქართველ ბოლშევიკებს პეტროგრადის საბჭოური ხელისუფლების დახმარების იმედი ჰქონდათ. ამის ერთ– ერთ დადასტურებას, მათ მიერ პეტროგრადში 1917 წლის 23 და 25 ნოემბერს გაგზავნილი დეპეშები წარმოადგენს. ეს დოკუმენტები, ამიერკავკასიის კომისარიატს ნაციონალისტურ და კონტრრევოლუციურ მთავრობად აცხადებდა, ხოლო მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, კავკასიაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის დანიშვნის საკითხს აყენებდა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ ბოლშევიკებს რუსული ჯარის მხარდაჭერისა და ადგილობრივ ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელების იმედი ჰქონდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით იმავე დოკუმენტში ეკითხულობთ: "დაუყოვნებლივ ჯარს და ბაქოს საბჭოს, შეგვიძლია ვაიძულოთ იცნონ თქვენი ხელისუფლება, გვაცნობეთ დეპეშით და პირდაპირი მაგთულით, ველოდებით პასუხს."[17] აღნიშნული და ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალები, ქართველი ბოლშევიკების მხრიდან ფართომასშტაბიანი გამოსვლებისათვის სამზადისზე მეტყველებს. ეს გარემოება ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) ლიდერებს მხედველობის მიღმა არ დარჩენიათ და მოსალოდნელი საფრთხის განმუხტვის მიზნით შესაბამი-

სი ნაბიჯი გადადგეს. მხედველობაში გვაქვს, რუსეთის მუშათა პარტიის ამიერკავკასიის სოციალ- დემოკრატიული ორგანიზაციებისა და თბილისის კომიტეტების, რევოლუციურ– დემოკრატიული ორგანიზაციების მენშევიკურ ფრაქციათა გაერთიანებული სხდომის (1917 წლის 25 ნოემბერი), თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (1917 წლის 28 ნოემბერი) მიღებული რეზოლუციები. ეს დოკუმენტები ადგილობრივ ხელისუფლებას თბილისში წესრიგის დასამყარებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას,– სამხედრო წესების გამოცხადებას აკალებდა.[18]

შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის სიმძიმის მიუხედავად, თავდაცვითი საქმიანობის ორგანიზაცია ქართველმა სოციალ– დემოკრატებმა (მენშევიკებმა) თავის თავზე აიღეს და ოთხი მეტად მნიშვნელოვანი საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგეს: 1)თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 29 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად, 30 ნოემბერს ეჯუღელის რაზმის მეშვეობით სისხლდაღვრელად არსენალი აიღეს, რითაც ბოლშევიკებსა და მის მომხრეებს შეიარაღების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს; 2)ჯარის ნაწილებში ბოლშევიკთა გაკვლენის მაქსიმალურად შესუსტებისა და მათთვის სწორი მიმართულების მიცემის მიზნით, რუსეთის სოციალ– დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის სახელით საგანგებო მოწოდება გააკრცელეს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის ძირითად მიზეზად რუსეთში მიმდინარე ანარქია და რეგიონში რევოლუციური წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა იყო დასახელებული. "ამიერკავკასიის კომისარიატი, ეკითხულობთ მოწოდებაში– თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრის წინაშე... იგი თავის ადგილს დაუთმობს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას... ბოლშევიკებს უნდათ გამოიწვიონ სამოქალაქო ომი... ადგილობრივი რევოლუციური დემოკრატია, ყველა მუშები, მთელი გლეხობა, ამიერკავკასიის ყველა ეროვნება მტკიცედ დაიცავს ამიერკავკასიის კომისარიატს. თქვენ მოგიწოდებთ არ გადადგათ უგუნური ნაბიჯი."[19]

ეს დოკუმენტი ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს გარკვევით მიანიშნებდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა დროებით ხასიათს ატარებდა და იგი მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე იარსებებდა. ასეთი სახის საგიტაციო– პროპაგანდისტული საქმიანობა, ჯარისკაცთა წინაშე ბოლშევიკთა იდეოლოგიურად განიარაღებას ისახავდა მიზნად. ამ მიმართულებით გაწეულმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. ამის დამადასტურებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ფრონტზე მდგარი ჯარის მთელ რიგ ნაწილებში ნატარებული კრებებზე, ამიერკავკასიის დროებითი მთავრობი-

სათვის მხარდამჭერი რეზოლუციები იქნა მიღებული, რომლის საუკეთესო ნიმუშად კავკასიის მეექვსე კორპუსის ჯარის დელეგატთა ყრილობისა და მეხუთე ქართველი პოლკის ჯარისკაცთა მიერ 1917 წლის 25–26 ნოემბერს მიღებული რეზოლუციები გამოდგება.[20] 3)იმავე სოციალ–დემოკრატების (მენშევიკები) ძალისხმევით, ყარსის პოლკის თბილისიდან მშვიდობიანი მეთოდებით გაყვანა გახდა შესაძლებელი, 4)რამდენადაც ქართველი ბოლშევიკები ფრონტიდან დემობილიზებული სამხედრო ნაწილების გამოყენებით თბილისის აღებას ისახავდნენ მიზნად, აუცილებლობა შესაბამისი ნაბიჯის დროულად გადადგმას საჭიროებდა. ამ მხრივ, პოლიტიკური პარტიებიდან და ქართველი პოლიტიკური ა'ხრის მესაჭეთაგან ყველაზე მეტად ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) ლიდერები აქტიურობდნენ. მათ კარგად ესმოდათ,რომ უცხო ძალის მიერ თბილისის აღება, სარკინიგ'ზო ქსელის ხელ'ში ჩაგდების და აღმოსავლეთ –დასავლეთ საქართველოს დაპატრონების ნიშნავდა. რამდენადაც ამ ოპერაციის განხორციელება შეიარაღებული ძალის მეშვეობით იგეგმებოდა, ბუნებრივია, ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო სამოქალაქო ომის წინაშე იდგა.[21]

ბოლშევიკური იდეოლოგიით მოწამლ'ულ და ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკური კ'ურსით განაწ'�'ებულ რუს ჯარისკაცებს ისევ შეიარაღებული ძალა უნდა დაპირისპირებოდა, რომლის შესაძლებლობა იმ ეტაპზე არც საქართველოს ეროვნულ საბჭოს და არც ახლადშექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატს არ გააჩნდა. ასეთ რთ'ულ ჯ'ათარებაში ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) ლიდერები აღმოჩ'ნდნენ მოწ'ოდების სიმაღლე'ზე, რომელთა ინიციატიით ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების საგანგებო ყრილობა'ზე (1917 წლის 22 დეკემბერი) აღნიშნული საკითხი მთელი პრინციპულობით იქნა დასმ'ული. თავის მოხსენებაში ნ.ჟორდანია ყრილობის დელეგატებს შეახსენებდა: "ჩვენში რომ სამოქალაქო ომი გაჩაღდეს, ეს ნამდვილი უბედურება იქნება, ვინაიდან იგი გადაიქცევა ნაციონალ'ურ ომად. საჭიროა რეალ'ური ძალა, უნდა შევადგინოთ წითელი გვარდია გლეხებისაგან და მუშებისაგან, მაშინ ვერც ერთი ბოლშევიკ'ური სამხედრო ნაწილი ვერ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლას, როცა დაინახავს, რომ ჩვენ ზ'ურგს გვიმაგრებს შეიარაღებ'ული გლეხობა და მ'უშები."[22]

ნ.ჟორდანიას აღნიშნ'ული წინადადება ყრილობის მონაწ'ილეებისათვის მისაღები აღმოჩ'ნდა და ამ საკითხ'ზე სოციალ– დემოკრატების მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტსაც მხარი დაუჭირეს. "კავკასიის მუშათა დეპ'უტატების საბჭ'ოს მესამე ყრილობა,– ვკითხ'ულობთ დოკ'უმენტ'ში,- წინადადებას აძლევს კავკასიის ყველა მ'უშათა, ჯ'არისკაცთა და გლეხთა დეპ'უტატებს "წითელი გვარდიის" შექმნით პრაქ'ტიკ'ულად გაატარონ ცხოვრება'ში ხალ'ხის შეიარაღების საქმე... ყრილობა ადგენს, რომ "წითელი გვარდია" უნდა იყოს მ'უშათა, ჯ'არისკაც-

თა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და სრულიად მას უნდა ემორჩილებოდეს."[23]

რამდენადაც საბჭოთა რუსეთისაგან ფინანსურად უსრულიელყოფილი ბოლშევიკური ორგანიზაციების მიზანს, თბილისის აღება და ამიერკავკასიაში ხელისუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გააქტიურება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ ერზინჯანში თურქეთთან დადებულ დროებით საზავო ხელშეკრულებას (1917 წლის 5 დეკემბერი) დაამთხვიეს. ამ ხელშეკრულებამ ყარსისა და სარაყამიშის ფრონტებიდან რუსი ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნება დააჩქარა, რომლის გამოყენებასაც ცდილობდნენ ბოლშევიკები. თუ რა ძალებსა ლაპარაკი, ამის შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ ორ დოკუმენტზე გავამახვილებთ ყურადღებას; 1)ქართველი სამხედრო კომიტეტი სარაყამიშიდან იტყობინებოდა, რომ ბოლშევიკებმა სამთო ზარბაზნებით შეიარაღებული 7000 რუსი ჯარისკაცი თბილისის ასაღებად დარაზმა.[24] 2)ყარსიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ბოლშევიკებმა საკუთარი ჯარის პარალელურად რუსი ოფიცრების, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების ბაზაზე იარაღის ქვეშ 9000 კაცი დააყენეს. იმავდროულად ქართლში და სამხერის რაიონებში ამბოხებისათვის სომხებსა და ოსებს ამზადებდნენ. ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას რუსი სოციალისტების სხვადასხვა პარტიები უწევდნენ.[25]

ჩვენ მიერ მოტანილი ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, დასახული გეგმის განსახორციელებლად ბოლშევიკებს სულ მცირე 16000 ჯარისკაცი ჰყავდათ თავის განკარგულებაში, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში აჯანყებული სომხური და ოსური შეიარაღებული მოსახლეობა დაემატებოდა. ყოველივე ეს აშკარად მიგვანიშნებს, თუ რა დიდი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა ქალაქი თბილისი. **ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, "წითელი გვარდიის" შექმნა პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯს წარმოადგენდა. იგი ძირითადად ბოლშევიკების შეიარაღებული მხარდამჭერებისადმი არა მარტო ფიზიკურ დაპირისპირებას ითვალისწინებდა, არამედ საქართველოს მოსახლეობაში მათ იდეოლოგიურ განიარაღებასაც ისახავდა მიზნად.**

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა უმრავლესობას, მოსალოდნელი საფრთხის სიმძიმე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და იმ ეტაპზე ქვეყნის გადარჩენის მიზნით სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) გატარებულ ღონისძიებებს მხარს უჭერდნენ. ამის ერთ– ერთ დადასტურებას საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ქართველი ერისადმი გაკეთებული მოწოდება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე,

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა პოზიციას გამოხატავდა. მეორე მხრივ, მასში კონკრეტულად იყო მითითებული იმ გარდუვალი საფრთხის შესახებ, რომელიც ქართველ ხალხს ემუქრებოდა. ამის გამო, ერთად– ერთ გამოსავალ საშუალებად ძლიერი ეროვნული ჯარის შექმნა, მესობელ ერებთან შეთანხმებული მოქმედება და დემობილიზებული რუსი ჯარისკაცების მშვიდობიანად სამშობლოში გასტუმრება იყო დასახელებული. იმავდროულად, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმედს გამოთქვამდა, რომ "მთელი ქართველი ერი, საქართველოს ყველა მოქალაქე... მხურვალედ გამოეხმაურება ამ მოწოდებას ...დადგა დიადი წამი როდესაც ყოველმა ქართველმა პირნათლად უნდა შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოს... წინაშე. დადგა დრო, როცა ყოველი თქვენთგანი იარაღით ხელში დარაჯად.. დაუდგეს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას."[26]

საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიურად მომზადების მიზნით გაწეული სააგიტაციო– პროპაგანდისტული საქმიანობის პარალელურად, ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) მეთაურობით, შესაბამის პრაქტიკულ ღონისძიებებსაც მიმართავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხედრო ცენტრთან შეთანხმებით, ქართული სოციალ– დემოკრატების ინიციატივა– რუსი ჯარისკაცების სამშობლოში შამქორის გზით გაგზავნის გადაწყვეტილება იქცევს. ეს იყო იმ ეტაპზე კარგად გათვლილი და სწორი ნაბიჯი.

ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ შამქორის ოპერაციის შედეგად, "მცირედი სისხლის ფასად" ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო სამოქალაქო ომს გადაურჩა. მხედველობაში გვაქვს შეიარაღებული რუსი ჯარისკაცების 16 ეშელონის განიარაღება. თუ რამდენად მაღალორგანიზებულ დონეზე მიმდინარეობდა ეს პროცედურა, ამის დამადასტურებლად შემდეგი ფაქტები გამოდგება: 1918 წლის 9– დან 12 იანვრის ჩათვლით, დროის ამ მცირე ოთხდღიან მონაკვეთში ქართული ჯარის ნაწილებმა შამქორთან ბოლშევიკების აგიტაციას აყოლილი რუსი ჯარისკაცების ხუთი ეშელონი განაიარაღა და მათ 15000 თოფი, 70 ტყვიამფრქვევი, 20 ზარბაზანი და სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა ჩამოართა.[27] ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს გაზეთი "ერთობა" მოწინავე წერილში "ამიერკავკასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს" გარკვევით წერდა: "თბილისის განადგურება უკანასკნელი ეშელონების მიერ ერთ დროს ბეწვზე ეკიდა, მაგრამ დემოკრატიული ორგანიზაციების მეცადინეობით რკინის გზის მიმოსვლა ისე მოეწყო, ეშელონები ცოტა დაშოშმინდნენ და თავიდან აგვაცილეს ქვეყნის აოხრების, განადგურების და ბოლშევიკე-

ბის გაბატონების საფრთხე. საშინელმა ქარტეხილმა, რომელიც სტიქიურის სიძლიერით დაგვატყდა თავს, გადაიარა და ჩვენმა ქვეყანამ ცოტა შვება იგრძნო."[28]

შექმნილი მძიმე სიტუაციიდან სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) მიერ სწორი გამოსავალის პოვნით, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების დარბევისაგან თბილისის გადარჩენის მიუხედავად, ამ საპასუხისმგებლო საქმის წარმატებით გადაწყვეტის შეფასებაში ქართული პოლიტიკური აზრი ერთგვაროვანი არ იყო. ამის დადასტურებას ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში წარმოადგენს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის ერთ– ერთმა ლიდერმა– თ.ლლონტმა, ქართველი სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები) ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების აუჩქარებლად გადაწყვეტასა და უმოქმედობაში დაადანაშაულა. ზემოაღნიშნული უდიდესი საფრთხის თითქმის უმტკივნეულოდ მოხსნის ფაქტის გათვალისწინების ფონზე, ქართველი სოციალ– დემოკრატების მისამართით თ.ლლონტის მიერ გამოთქმული პრეტენზიები უსაფუძვლო იყო. ამიტომ მისადმი ადექვატური დასაბუთებული პასუხის გაცემა ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე ნ.ჟორდანიას არ გასჭირვებია. "ჩვენ რომ ის ბეგმა მოქმედებისა მიგვეღო, რომელზედაც აქ ლაპარაკობდა თედორე ლლონტი– ამბობდა ნ.ჟორდანია– დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საქართველო აქამდის განადგურებული იქნებოდა, აქ მოლაპარაკეთ ავიწყდებათ, რომ ნახევარი მილიონი რუსის ჯარის აქედან გასტუმრება სახემარო საქმე არ იყო და შესაფერი საშუალება რომ არ გვეხმარა, სამწუხაროდ ის დაგვემართებოდა, რაც დაემართა ყუბანსა და სხვა ადგილებს. რაც ჩვენ შევძელით ამ მხრით, სხვამ ვერ მოახერხა, თვით ფინლანდიამაც კი და ყველამ ვიცით, რაც მოუვა სხვაგან ჯარის შინდაბრუნებას."[29]

ვინც ამ საკითხში შესაბამის ფაქტობრივ მასალებს იცნობს, დამეთანხმება,რომ ამ შემთხვევაში ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერი სრულ ჭეშმარიტებაზე მიუთითებდა. სამწუხაროდ, მაშინდელმა ქართულმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, თბილისის რეალური დარბევისა და საქართველოს გაბოლშევიკებისაგან გადარჩენის ფაქტი თითქმის უყურადღებოდ დატოვა, ხოლო საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ არაობიექტური შეფასება მისცა. ყოველივე ეს იმით იყო განპირობებული, რომ ზემოაღნიშნული წარმატებული ოპერაცია ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) სახელთანაა დაკავშირებული. ამ დიდი ეროვნული საქმის ობიექტური შეფასება მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი. მხედველობაში ვგულისხმობ ეროვნულ –დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთი ლიდერის გ.გვასავას მიერ 1929 წელს პარიზში დაბეჭდილი წერილი "საქართველო და ეროვნულ– დემოკრატიული პარტია." აი რას ეკითხულობთ აღნიშნულ პუბლიკაციაში

ჩვენოვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით: "დრო გამოიცვალა...— წერს გ.გვაზავა— რუსეთმა ჯვარი გადააგდო და ააფრიალა წითელი დროშა. აქ კი ქართველი ხალხი აღმოჩნდა უფრო ფხიზელი და გადაუხადა: იმანაც ააფრიალა წითელი დროშა! და როცა დადგა საშიშროება, როცა ასი ათასი მშიერი და თავზე ხელაღებული ლაშქარი მოჰწყდა ოსმალეთის ფრონტს და მოადგა თბილისს, მის წითელ დროშას საქართველომ წინ დაუყენა წითელივე დროშა. თბილისი გადაურჩა განადგურებას. ეს იყო დიდი ეროვნული საქმე. თბილისის აკლებით და დაკარგვით რუსები და სომხები არაფერს ჰკარგავდნენ, საქართველო კი ჰკარგავდა ყველაფერს. რა ჭკუაა ვიდავოთ იმაზე— არის თუ არა ჭეშმარიტება ან ჯვარში, ან წითელ დროშაში? დაფასების კრიტერიუმი სულ სხვაგან ჰდევს."[30]

ჩვენ მიერ მოტანილი ამ ამონაწერის მიხედვით კარგად ჩანს თუ რა დანიშნულებისათვის გამოიყენა ქართულმა სოციალ— დემოკრატიამ ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ დღესაც საქილიკოდ ქცეული "წითელი გვარდია" და მისი "მენშევიკური წითელი დროშა." იმ ძნელბედობის გათვალისწინების ფონზე, მომხდარი ფაქტის დაფასების ამოსავალი კრიტერიუმი მხოლოდ საქართველოს გადარჩენაში მდგომარეობს. როცა ქართული სოციალ— დემოკრატიის (მენშევიკები) მოღვაწეობის ჩვენ მიერ საკვლევად აღებულ წლებს ვეხებით, მათ მიერ მეორე პერიოდში დაშვებულმა შეცდომებმა, მესამე პერიოდის შეფასებაში ობიექტურობა არ უნდა დაგვაკარგვინოს. არსებული დოკუმენტური მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ქართული სოციალ— დემოკრატიის (მენშევიკები) ქვეყნის წინაშე დამსახურების შესახებ გ.გვაზავას სიტყვებით რომ ვთქვათ— სიმართლის თქმის არ უნდა გვეშინოდეს.[31]

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნამ და რუსული ჯარის საქართველოდან გაყვანის ორგანიზაციული საკითხების წარმატებით გადაწყვეტამ, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა წინაშე ამიერკავკასიის ერების ერთიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის საკითხი პრინციპულად დასვა. იგი აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც რეგიონის გარშემო პოლიტიკური მდგომარეობა დაიძაბა და თურქული აგრესიის საფრთხე გარდუვალი შეიქმნა. ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა, არსებული მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის ერთ— ერთ რეალურ საშუალებად, ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს მოწვევას მიიჩნევდა. მითუმეტეს, ამის შესახებ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბრის თაობირმა მიიღო შესაბამისი დადგენილება;

"თუ შეუძლებელი გახდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა– ეკითხულობთ დოკუმენტში– უნდა მოწვეული იქნას ამიერკავკასიის დეპუტატებისგან ადგილობრივი სეიმი, რომელიც გაუძღვება ადგილობრივ საქმეებს."[32] როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტში მომავალი საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება და ზოგადად მისი ფუნქციაცაა მითითებული. ისიც საყურადღებოა, რომ სეიმის მოწვევის იდეა, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დათხოვნის შემდეგ პოლიტიკურ წრეებში უაღრესად აქტუალური გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ქართველი სოციალ– დემოკრატები აქტიურობდნენ, რადგან ამიერკავკასიის კომისარიატმა იმ ფუნქციის სრულად შესრულება ვერ შეძლო, რაც პოლიტიკური მოვლენების ცვალებადობამ დღის წესრიგში დააყენა. მიუხედავად ამისა, სეიმთან მიმართებაში ქართული პოლიტიკური აზრი ეროგაროვანი არ იყო. ყოველი მათი თვალსაზრისი სათანადო არგუმენტებს ემყარებოდა და საყურადღებო მოსაზრებებს შეიცავდა. ამის შესანიშნავ ნიმუშს საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანერის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში წარმოადგენს. მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის სეიმის იდეას განსაკუთრებით ქართველი სოციალ– დემოკრატები იცავდნენ. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის ფონზე, ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე, ამიერკავკასიის სეიმის შესახებ მოხსენება ნ.ჟორდანიამ გააკეთა. ამიერკავკასიის რეგიონის ანარქიისაგან გადარჩენის აუცილებელ პირობად მან ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს– სეიმის შექმნა პირველხარისხოვან ამოცანად გამოაცხადა. ამის აუცილებლობას იგი სამი გარემოებით ამართლებდა: 1)რუსეთში გამეფებული ანარქიიდან გამომდინარე, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევის ლოდინი და ამ იმედით ამიერკავკასიაში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს შეუქმნელობა დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდა; 2)ამიერკავკასიაში მოსალოდნელი ანარქიის თავიდან აცილებისა და წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა რეგიონის მმართველობითი ორგანოს პრეროგატივა უნდა გამხდარიყო. ამის აუცილებლობას იგი იმ ეტაპზე ამიერკავკასიის გარშემო პოლიტიკური სიტუაციის განსაკუთრებული დაძაბულობის ფაქტებით ასაბუთებდა. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალ გზად ნ.ჟორდანიას, რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატების ბაზაზე ამიერკავკასიის სეიმის შექმნა ესახებოდა. იმავდროულად, ამ საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა რაოდენობის 120 კაცამდე გაზრდის საკითხს აყენებდა; 3)იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთში წესრიგი აღდგებოდა და დამფუძნებელ კრებას მოიწვევდნენ, ამიერკავკასიაში დამყარებული წყობილების აღიარება მისთვის სავალდებულო იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამიერკავკასიის ერები ყოველგ-

ეარ რეაქციას ერთიანი ძალითა და ადგილობრივი ძლიერი ჯარით უნდა დაპირისპირებოდნენ. მეორე მხრივ, ამიერკავკასიის საქმეებში საბჭოთა რუსეთის ჩარევის ნებისმიერი მცდელობის აღკვეთის სამართლებრივი საფუძველი, ამიერკავკასიის სამთავრობო სტრუქტურა უნდა გამხდარიყო.[33]

ნ.ჟორდანიას მოხსენების ძირითადი დებულებების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული მოსაზრების პრაქტიკული რეალიზაცია, ამიერკავკასიის რეგიონისათვის უსაფრთხოების შექმნასთან ერთად, მისი სახელმწიფოებრიობისათვის სათანადო ნიადაგის მომზადებასაც ისახავდა მიზნად. ამ მიმართულებით, ქართველი სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) თვალსაზრისი, დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და სრულყოფილ სახეს ღებულობდა. ამის დადასტურებას სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დეპუტატების ბაზაზე მოწვეული საგანგებო კრების (1918 წლის 22 იანვარი) ამსახველი მასალები წარმოადგენს. აღნიშნულ კრებას, დამფუძნებელი კრების 25 დეპუტატი (სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები), სოციალისტ– რევოლუციონერები, დაშნაკცუთიუნი, მუსავათი) და ამიერკავკასიის კომისარიატი მთელი შემადგენლობით დაესწრო. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის სეიმის უფლებამოსილების შესახებ მოხსენება აქაც ნ.ჟორდანიამ გააკეთა. მან ძირითადი ყურადღება ამიერკავკასიის ერთიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის ორგანიზაციულ მხარეზე და მისი უფლებამოსილების საკითხზე გაამახვილა. იმავდროულად, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისა და ერთიანი ცენტრის არარსებობის გამო, ამიერკავკასიის სეიმის შექმნა და ადგილობრივი მთავრობის მოწყობის აუცილებლობა იძულებით ნაბიჯად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით იგი დასძენდა: "ჩვენ იძულებული შევიქენით საკუთარი ძალ-ღონით უზრუნველგვეყო ჩვენი არსებობა."[34] მისივე აზრით, რამდენადაც ამიერკავკასიის მთავრობის შექმნა სეიმის პრეროგატივას წარმოადგენდა, აღნიშნული საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირების დაწყებამდე, რეგიონის დროებითი მმართველობა ამიერკავკასიის კომისარიატის ხელში უნდა დარჩენილიყო.[35] რამდენადაც სეიმის იდეა საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში იმ ეტაპზე აქტუალური იყო, იგი თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1918 წლის 28 იანვრის სხდომის მსჯელობის საგანი გახდა. ამიერკავკასიის სეიმის შესახებ მოხსენება ე.ჯუღელმა გააკეთა. კავკასიაში და მის გარშემო შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, მან სეიმის არა მარტო მოწვევა მიიჩნია აუცილებლობად, არამედ იგი კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის საუკეთესო გარანტად დასახა. ამ დებულებიდან გამომდინარე, კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში გარკვეით იქნა მითითებული, რომ "თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საჭიროთ

მიაჩნია, დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ამიერკავკასიის სეიმის შექმნა საკანონმდებლო ფუნქციებით. რევოლუციური ორგანიზაციები ვალდებულია მხარი დაუჭიროონ სეიმის ყველა ნაბიჯს ნაციონალური და კონტრრევოლუციონური წრეების წრიდან მასობრივი, შოვინისტური და რეაქციონური მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომ ამით შესაძლებელი გახდეს რევოლუციონური დემოკრატიის განვითარება და განმტკიცება."[36]

როგორც ეხედავთ, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომამ დაადასტურა ნ.ჟორდანიას "სემოაღნიშნული დებულებები- სეიმის საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვა, მისი დროებითობა რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალაქის საბჭოსა და მისი სოციალ– დემოკრატიული ფრაქციის შემადგენლობას რუსეთში პოლიტიკური ცვლილებების– დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენის იმედი ჰქონდათ. ამის გამო, იმ ეტაპზე მხოლოდ ამიერკავკასიის სეიმისადმი მხარდაჭერით იფარგლებოდნენ.

მართალია, ქართველი სოციალ– დემოკრატები და მისი ლიდერი ამიერკავკასიის სეიმს რეგიონის უსაფრთხოებისა და მისი პოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრი ერთგვაროვანი იყო და მისი ყველა წარმომადგენელი ამ შეხედულებას იზიარებდა. ამას ადასტურებს, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე ამიერკავკასიის სეიმის ირგვლივ გამართული დისკუსია. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულ ინტერესს იმავე სხდომაზე ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთი აქტიური წევრის გ.ქიქოძის გამოსვლა იქცევს. მისი მტკიცებით, სეიმი სოციალ– დემოკრატიის იმედებს ვერ გაამართლებდა, იგი ვერ აღმოფხვრიდა რეგიონში მიმდინარე ანარქიულ პროცესებს, თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ შეუძლებელი გახდებოდა ამიერკავკასიის ერთიანი საფინანსო სისტემის შექმნა და, რაც მთავარია, ამიერკავკასიის ერების დამოუკიდებელი ეროვნული მთავრობების შექმნისაკენ მისწრაფების შეჩერება.[37] ასეთი პოზიციის მიუხედავად, ამიერკავკასიის სეიმისადმი გ.ქიქოძე მხარდაჭერას გამოთქვამდა მხოლოდ ორი მოტივით; 1)ეროვნულ– დემოკრატებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ იმ ეტაპზე პარტიული ტაქტიკა– ეროვნულ ტაქტიკად გამოეცხადებინათ და 2)ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, რათა სოციალ– დემოკრატებს შესაძლებლობა მისცემოდათ სრულად ამოეწურათ "თავიანთი ილუზია." აქედან გამომდინარე, იგიყე გ.ქიქოძე დასძენდა: "ჩვენ მხარს ვუჭერთ სეიმის შედგენას იმ სახით, როგორც მომხსენებელმა (ნ.ჟორდანიამ შ.ე.) განაცხადა, მხოლოდ უფლებებს ვიტოვებთ თვით სეიმში ოპოზიცია

ვაწარმოეოთ." ეს იმას ნიშნავდა, რომ სეიმის ქმედითუნარიანობაზე ან მის შესაძლო უუნარობაზე, გ.ქიქოძე ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა და ამ ორგანოს წარუმატებელი საქმიანობის შემთხვევაში მისი მმართველი ძალის ოპონირებას ამჯობინებდა. რაც შეეხება იმავე ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ლიდერს გ.გვაზავას,იგი სეიმის კომპეტენციის წინასწარი განსაზღვრის საკითხს აყენებდა, ხოლო გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებულ სტატიაში "ამიერკავკასიის სეიმი" ამ ორგანოს უდღეურად და მომაკვდავად აცხადებდა იმ მოტივით, რომ "იგი მოკლე დროშიეე მიებარებოდა მიწას." ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანის მიუხედავად, იმავე სტატიის დასკვნით ნაწილში სეიმისადმი მხარდაჭერა მან ოფიციალურად აღიარა. "ამრიგად, რაც გინდ უდღეური იყოს ამიერკავკასიის სეიმი– წერდა გ.გვაზავა– გარდამავალ მომენტში იგი საჭიროა. მან უნდა გადაწყვიტოს ორი ძირითადი საკითხი– ზავის და სახელმწიფოებრივი განსაზღვრის. ეს აუცილებელი საფეხურებია და როცა შეედგებით და გავიართ ამ საფეხურებს, მეისევე ჩადგება თავის უფლებრივ კალაპოტში საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრება."[38]

ამ ამონაწერის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ამიერკავკასიის სეიმს, გ.გვაზავა გარდამავალი პერიოდისათვის აუცილებლობად მიიჩნევდა იმ თვალსაზრისით, რომ მას, იმ ძნელბედობის ჟამს, თურქეთთან დირსეული საზავო ხელშეკრულების დადებისათვის უნდა მიეღწია და იმავდროულად, ამიერკავკასიის ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი გადაეწყვიტა. მისივე აზრით, ამ ორი საფეხურის გავლის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგება. ეს იმას ნიშნავს, რომ 1918 წლის 1 თებერვალს გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული სტატიის დასკვნითი ნაწილის მიხედვით, გ.გვაზავა ამიერკავკასიის სეიმთან მიმართებაში სოციალ– დემოკრატიის ლიდერთა ძირითად თვალსაზრისს იზიარებდა.

ამიერკავკასიის სეიმის შესახებ ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე გ.ლასხიშვილმა (სოციალისტ– ფედერალისტი), ნ.ჟორდანიას მოხსენებას მხარი დაუჭირა და პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა, ზავის შეკვრა და ტერიტორიული გამიჯვნის მოწესრიგება ამ ორგანოს გადასაწყვეტ ძირითად ამოცანად გამოცხადა. მიუხედავად ამისა, იგი სეიმს დროებითად თვლიდა და ეროვნული საბჭოების ფუნქციონირების შენარჩუნების მიზანშეწონილების საკითხს აყენებდა.[39]

ამიერკავკასიის ძლიერი და პასუხისმგებელი მთავრობის შექმნას სოციალისტ– რეოლუციონერმა გ.ნათაძემაც დაუჭირა მხარი.[40] რაც შეეხება ეროვნულ– რადიკალური პარტიის წარმომადგენელ დჩიქოვანს, მისი აზრით, ამიერკავკასიის სეიმი ვერ შეძლებდა რეგიონში ანარქიის მოსპობას, ზავის შეკვრას და ამიერკავკასიის ერების ტერიტორიულ

გამიჯვნას. ასეთი პოზიციის მიუხედავად, იგი აცხადებდა: "ჩვენ მაინც ვეამრობით მომხსენებლის აზრს, მაგრამ ამავე დროს ვეჭვობთ, რომ მისი დებულებანი განხორციელდეს."[1] როგორც ვხედავთ, დ.ჩიქოვანი ერთის მხრივ მხარდაჭერას უცხადებდა ნ.ჟორდანიას მოხსენების ძირითად დებულებებს, ხოლო მეორე მხრივ, ეჭვს გამოთქვამდა ამიერკავკასიის სეიმისადმი დაკისრებული "სემოადნიშნული ფუნქციების შესრულების შესაძლებლობაზე. ამ შემთხვევაში იგი სრულ ალოგიკურ მდგომარეობაში ეარდებოდა, რადგან კოლეგებს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულების გარდა ალტერნატიულ გზას ვერ სთავაზობდა.

ზემოთ მოტანილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერთა მხრიდან ამიერკავკასიის სეიმის ქმედითუნარიანობისადმი დაეჭვების მიუხედავად, მათი უმეტესობა, აღნიშნული ორგანოს მიზანშეწონილობას იმ ეტაპზე აუცილებლობად თვლიდა და ამ საკითხთან დაკავშირებით ნ.ჟორდანიას მოხსენებაში გატარებულ შეხედულებებს უჭერდნენ მხარს. ეს გარემოება, ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერებს მომხსენებლის ძირითადი დებულებების ახალი არგუმენტებით "გამაგრებისა" და ოპოზიციის მხრიდან გამოთქმული ეჭვების გაბათილების შესაძლებლობას აძლევდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე ე.გეგეჭკორის გამოსვლა იქცევს. მისი მტკიცებით, ამიერკავკასიის სეიმი სოციალ– დემოკრატებს პანაციად არ მიაჩნდათ. იმ ეტაპზე იგი მხოლოდ ამიერკავკასიის ძალთა გაერთიანებისა და რეგიონისათვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების საშუალებად ესახებოდათ. მისივე აზრით, ამ ფუნქციის შესრულება და ხალხის განსაცდელისაგან ხსნა, იმ ძნელბედობის ჟამს ეროვნულ საბჭოს არ შეეძლო. "ჩვენი მდგომარეობა –ამბობდა ე.გეგეჭკორი –სხვა ერთა შორის ისეთია, რომ ჩვენი მოქმედების ნაციონალურ კალაპოტში ჩაგდებით– მთლად დავამსხვრევთ ჩვენს ეროვნულ იდეალებს... სწორედ ამაში იქნება დიდი უბედურება ყველასათვის და განსაკუთრებით კი ჩვენის ერისათვის. ამისთანა დროს განზე დგომა არის არასწორი პოლიტიკა. საჭიროა ყველა ძალების შემოკრება, რომ შეიქმნას ძლიერი მთავრობა, უამისოდ, ვიმეორებ საშინელი საფრთხე მოგველის."[2] იმავე ე.გეგეჭკორის მტკიცებით, ამიერკავკასიის სეიმი მხოლოდ მაშინ შეძლებდა მასზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით შესრულებას, თუკი იგი ამიერკავკასიის კომისარიატის მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა, ამიერკავკასიის ერებისაგან სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას მოიპოვებდა.

ქართული პოლიტიკური აზრის ერთ– ერთი ლიდერის ეს თვალსაზრისი ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავდა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნებოდა. თუკი ობიექტურად შეავფასებთ იმ ეტაპზე ამიერკავკასიის რეგიონში და მის

გარშემო განვითარებული მოვლენებს, დაერწმუნდებით, რომ სხვებთან ერთად, ქართველი ერი დამპყრობელი ძალების მხრიდან დიდი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. საკითხი ერის ფიზიკური გადარჩენისა და იმპერიული ამბიციების მქონე სახელმწიფოებისაგან მონობის მოსალოდნელი უღლის აცილებას ეხებოდა. ამის მიღწევის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) გზად ეგეგეკორს ამიერკავკასიის ერთიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა და მის მიერ არჩეული ძლიერი მთავრობა ესახებოდა. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიის სეიმის მი'სანშეწონილობის ეჭვქვეშ დაყენება მას არასწორად მიაჩნდა.

ამიერკავკასიის სეიმისადმი სკეპტიკურად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს პ.საყვარელიძე შეახსენებდა, რომ პირველ რიგში ანგარიში გაეწიათ სეიმისათვის, როგორც მომხდარი ფაქტისადმი. "ეხლა ლაპარაკი იმაზე, სასარგებლო იქნება იგი თუ მავნე... გვიანდაა, უნდა ვეცადოთ სასარგებლოთ გამოვიყენოთ... ხელი შევუწყოთ სეიმის შეკრებას და მუშაობას. იგი დროებითი ორგანოა. მან უნდა შეკრას 'საკი, შექმნას ძლიერი მთავრობა, მოახდინოს ერების გამიჯვნა ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულებად. ამას უნდა მოჰყვეს თითოეული ერების დამფუძნებელი კრებების მოწვევა, ურომლისოდაც შეუძლებელია დამყარდეს ცხოვრების წესრიგი."[43]

მართალია, ამიერკავკასიის სეიმს, პ.საყვარელიძე დროებითად თვლიდა, მაგრამ, იმავდროულად დიდ დატვირთვას აძლევდა იმ თვალსაზრისით, რომ მისი წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში, როგორც თვითონ ფიქრობდა, რეგიონის ცხოვრებისეული წესის მოწესრიგებასთან ერთად თითოეული ერის დამფუძნებელი კრების მოწვევაც გახდებოდა შესაძლებელი. ანალოგიური თვალსაზრისი განავითარა ოპონენტებისადმი საპასუხო სიტყვაში ნ.ჟორდანიამაც. "ჩვენ ვფიქრობთ- აცხადებდა იგი- საზოგადო ცხოვრების ძლიერ კალაპოტში მოქცევას და ამ კალაპოტის ძებნაში ვართ თუ რანაირი ორგანო შევქმნათ, რანაირი ჩარჩო გამოვძებნოთ, რანაირი სახე მივცეთ ცხოვრების მიმდინარეობას, რათა შევინარჩუნოთ რევოლუციის მონაპოვარი და თავიდან ავიცილოთ ანარქიის ტალღა. ჩვენი გეგმა ამ საჭიროებაზეა დამყარებული და არა ილუსიაზე... დღეს ერთი გეგმა გამოდგება, ხვალ სხვა. ერთი სიტყვით, ვაკეთებთ და ვამაგრებთ დამბებს, რომ არევ- დარევის ტალღამ არ წაგვლეკოს. თუ ეს ილუსია ჰგონიათ, ეს დიდი შეცდომაა."[44]

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის აუცილებლობა, ნ.ჟორდანიას რეგიონის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად და მოსალოდნელი რეალური საფრთხის შესაძლო აცილების ერთ- ერთ საშუალებად მიაჩნდა. "სეიმი- ამბობდა ნ.ჟორდანია- ჩვენ მიგვაჩნია -ამ მდგომარეობიდან... გამოსვლის საშუალებად და თუ იგი ვერ გვიშველის, სხვა უნდა გამოვძებნოთ."[45]

ერთი რამ ცხადია, ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერი დარწმუნებული იყო, რომ ამიერკავკასიის ერთიანი საკანონმდებლო ორგანო, რეგიონის ძალთა კონსოლიდაციას შეძლებდა და ამიერკავკასიის ერთა თანადგომით, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოახლოებულ საფრთხეს ღირსეულად გაუმკლავდებოდა. ამ თვალსაზრისს თავგამოდებით იცავდა გაზეთი "ერთობა" და მხარდამჭერთა მოპოვების მიზნით, ამ მიმართულებით საზოგადოებაში შესაბამის აგიტაციასაც ეწეოდა. ამის ერთ– ერთ ნიმუშს, იმავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატია– "სეიმი და მისი დანიშნულება" წარმოადგენს. "დღეს,– ეკითხულობთ აღნიშნულ პუბლიკაციაში, მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ ორგანოს (სეიმს შ.ვ.) შეუძლია წესრიგი დაამყაროს კავკასიაში და ხანგრძლივი ანარქიისაგან იხსნას იგი. ამიტომ, ჩვენი ვალია სეიმის მუშაობას და მისი ავტორიტეტის ამაღლებას ხელი შევუწყოთ და მით ქვეყანა არეულობისა და სამოქალაქო ომისაგან ვიხსნათ."[46]

რამდენადაც მოსალოდნელი საფრთხისაგან ამიერკავკასიის რეგიონის გადარჩენის ერთადერთ რეალურ საშუალებად იმ ეტაპზე პოლიტიკური პარტიების უმეტესობას რეგიონის ძალთა კონსოლიდაცია ესახებოდა, ამ ფაქტორმა ოპოზიციური პარტიების მხრიდან ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე სეიმისადმი მხარდაჭერის საფუძველი შექმნა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური აზრის მესაჭენი– განსაკუთრებით სოციალისტ– ფედერალისტები სეიმს დროებით მოელენად თელიდნენ და ამისთვის შესაბამისი არგუმენტაციაც გააჩნდათ. მართალია, სოციალ– დემოკრატებსაც (მენშევიკები) სეიმი დროებით ორგანოდ ესახებოდათ, მაგრამ, სოციალისტ– ფედერალისტებისაგან განსხვავებით, მისი არსებობის ხანგრძლიობას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას უკავშირებდნენ. ამის შესახებ გაზეთ "ერთობაში" გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში "სეიმი და მისი დანიშნულება" გარკვევით იყო მითითებული: "სეიმი მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე იარსებებს და ადგილობრივ საკითხებში საკანონმდებლო ფუნქციებს შეასრულებს... მაგრამ თუ შექმნილი პირობების გამო რუსეთის დამფუძნებელი კრების იდეა მოკვდა, შესაძლოა სეიმი დამფუძნებელ კრებად გადაიქცეს."[47]

რამდენადაც რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევის იმედი თითქმის იმ ეტაპზე ამოწურული იყო, ბუნებრივია, ამიერკავკასიის სეიმს საკანონმდებლო ფუნქციები უნდა შეესრულებინა და იმ ურთულესი საკითხების გადაწყვეტას შეჭიდებოდა, რომელიც ამიერკავკასიის ერების წინაშე იდგა. ეს გარემოება, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა ერთ ნაწილს ამიერკავკასიის სეიმის სასარგებლოდ ფართო საგიტაციო– პროპაგანდისტული მუშაობის შესაძლებლობას აძლევდა. მათ გამოსვლებში, სეიმი ამიერკავკასიის ერების გადარჩენის

ერთ– ერთ საშუალებად იყო დასახული. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ისინი საკითხს შედარებით ვიწრო ფარგლებში განიხილავდნენ და ამოსავალ საფუძველად ქართველი ერის ინტერესების წინწამოწევას დებდნენ. ამ მხრივ ყურადღებას სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის ერთ– ერთი ლიდერის თ.ღლონტის სტატია- "პარლამენტარიზმი საქართველოში" იქცევს. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის საფუძველზე, იგი ქართველი ერის გადარჩენის აუცილებელ პირობად დემოკრატიული პარლამენტარიზმისა და ეროვნული მთავრობის საკითხის დადებითად გადაწყვეტას მიიჩნევდა. ამ შეხედულების ძირითად არგუმენტად იგი საქართველოში იმჟამად მოქმედ სამ მმართველობით ორგანოს (კომისარიატი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ეროვნული საბჭო) ასახელებდა და აღნიშნულ ტრიუმვირატს, მისი უსუსურობიდან გამომდინარე, ბაბილონის გოდოლს ადარებდა და სვამდა კითხვას– "სად არის მთავრობა?" და იქვე პასუხობდა: "არსად, კომისარიატიც უძლურია, ჯარისკაცთა საბჭოც და ეროვნული საბჭოც! ტრიუმვირატის პოლიტიკამ გარყვნა პარლამენტარული იდეა და ამიტომ პოლიტიკური პროსტიტუცია გამეფდა ყველგან."[48] ასეთი პრეამბულის შემდეგ იგი ხსნას მხოლოდ პარლამენტარიზმის დამკვიდრებაში და რამდენიმე მმართველობითი ორგანოს– პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი ერთი ეროვნული მთავრობით შექმნაში ხედავდა.

თ.ღლონტის აღნიშნული შეხედულება ანგარიშგასაწევი იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ იმ ეტაპზე ამიერკავკასიის რეგიონში არსებული რთული სიტუაციიდან გამომდინარე, სამი მმართველობითი ორგანო პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტას მხოლოდ შეაფერხებდა. პოლიტიკური სიტუაცია კი ძლიერი მთავრობის საჭიროებას მოითხოვდა. თუკი იმ ეტაპზე თ.ღლონტი ერთადერთ გამოსავალ საშუალებად მხოლოდ ეროვნული მთავრობის შექმნას ასახელებდა, მისგან განსხვავებით, სოციალისტ– ფედერალისტთა აქტიური წევრი არჩ.ჯაჯანაშვილი, ამიერკავკასიის ერების პოლიტიკური არსებობის გარანტს რეგიონის ერთა ურთიერთშეთანხმებაში და თანამშრომლობაში ხედავდა.[49]

სოციალ– დემოკრატების (მენშევიკები) მსგავსად, იგი რეგიონის ერთა შეთანხმების მაკოორდინირებელ საშუალებად ამიერკავკასიის სეიმს ასახელებდა და იქვე ამ ორგანოს დროებითობაზე, მის გარდამავალ საშუალებაზე ხაზგასმით მიუთითებდა. ანალოგიური თვალსაზრისია გატარებული გაზეთ "სახალხო საქმეში" დაბეჭდილ პუბლიკაციაში– "ამიერკავკასიის სეიმი." აღნიშნული ორგანო ამიერკავკასიის ერების კავშირის გამოხატვის ერთ– ერთ საშუალებადაა გამოცხადებული. იმავდროულად, დასმულია საკითხი, რომ "სეიმმა, როგორც დროებითმა ორგანიზაციამ, ამ საერთო რღვევის დროს უდიდესი ენერ-

გია უნდა გამოიჩინოს და ნიადაგი შეამზადოს იმ მთავრობისათვის, რომელიც შეცვლის მას და რომელიც იქნება ცალკე ერთა შეთანხმების ნაყოფი და წარმომადგენელი."[50] ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ეტაპზე ამიერკავკასიის სეიმის არსებობას, შესაბამისი მოტივაციიდან გამომდინარე, სოციალისტ– ფედერალისტებიც მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ. ანალოგიური თვალსაზრისი ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე გ.ლასხიშვილმა ოფიციალურად დაადასტურა. სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის სახელით იგი სეიმს, როგორც გარდამავალ საშუალებას მხარდაჭერას უცხადებდა.[51]

ჩვენ მიერ მოტანილი მასალები იმის დადასტურებაა, რომ იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭენი ძირითადად სეიმისადმი მხარდამჭერის როლში გამოდიოდნენ. მათი ასეთი პოზიცია შემთხვევითი არ იყო, რადგან სეიმს უდიდესი საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტას უსახავდნენ მიზნად. კონკრეტულად თუ რა მისიის განხორციელება უნდა ეკისრა სეიმს, ამის შესახებ ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე პ.საყვარელიძე დეპუტატთა ყურადღებას სამ ძირითად საკითხზე მიაპყრობდა: 1)თურქეთთან ზავის მიღწევა; 2)ამიერკავკასიის ძლიერი მთავრობის შექმნა; 3)ეროვნულ– ტერიტორიული გამიჯვნა. მისი მტკიცებით, დასახული მიზნის მიღწევა, ამიერკავკასიის ერთა ურთიერთთანადგომის საფუძველზე გახდებოდა შესაძლებელი.[52] აღნიშნული საკითხები იმ ეტაპზე იმდენად აქტუალური იყო, რომ იგი ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა ფართო მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. თითოეული მათგანი პრობლემის დაუყოვნებლივი გადაწყვეტის თავისებურ ფორმას სთავაზობდა პოლიტიკურ ელიტას და ამ საქმეში სეიმის როლზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა. ამის ერთ– ერთ დადასტურებას ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ლიდერის გ.გვაზავას პუბლიკაცია– "ამიერკავკასიის სეიმი" წარმოადგენს. წერილის ავტორი, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, თურქეთთან ზავის მიღწევის აუცილებლობასაც ეხებოდა და იქვე დასძენდა: "ამ საკითხის დაყენება, გადაწყვეტა და შეიძლება მოწესრიგებაც არის ერთადერთი საქმე სეიმისა."[53]

ზავის საკითხში ანალოგიური პოზიცია ეჭირა სოციალისტ– ფედერალისტებსაც. ამასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე გ.ლასხიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ "სეიმის უპირველესი მიზანია შეკრას ზავი ოსმალეთთან, სეიმი, როგორც ამიერკავკასიის სარევოლუციო დემოკრატიის წარმომადგენელი, სხვანაირ ზავს ვერ შეკრავს თუ არა ღირსეულსა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულს."[54]

მეორე ძირითად საკითხს, რომელიც ქართველი პოლიტიკოსების მსჯელობის ყურადღების ცენტრში მოექცა და მის გადაწყვეტას ამ-

იერკავკასიის სეიმს უკავშირებდნენ, ამიერკავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნა წარმოადგენდა. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც იმ ეტაპზე მისი გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ერების ეროვნულ– ტერიტორიული ეროვნულების შექმნას აყვერხებდა. რამდენადაც პრობლემა ურთულეს პროცესებთან და თვით ამიერკავკასიის ერთა შორის კონსესუსის მიღწევასთან იყო დაკავშირებული, ბუნებრივია, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი გადამწყვეტ როლს სეიმს აკისრებდა. ამასთან დაკავშირებით გ.გვაზავა, ერთ– ერთ პუბლიკაციაში– "ამიერკავკასიის სეიმი" წერდა; "როცა "დაისმება კითხვა ტერიტორიული განსაზღვრისა, ე.ი. იმ სახელმწიფოებრივი საზღვრებისა, რომლის ფარგლებში უნდა ნაისახოს ესა თუ ის ეროვნული ცხოვრება, ეს... საკითხი... უნდა გადაწყვიტოს ამიერკავკასიის სეიმმა."[55]

ამიერკავკასიის ერთა გამიჯვნის აუცილებლობაზე მიუთითებდა სოციალისტ– ფედერალისტი არჩ.ჯაჯანაშვილი. მისი მტკიცებით, ტერიტორიული გამიჯვნა იმითაც იყო აუცილებელი, რომ ამ პროცედურის დროს ამიერკავკასიის ერების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლინება ყველაზე მეტად გახდებოდა შესაძლებელი. "თუ გამოიერკვა– წერდა იგი,– რომ ამიერკავკასიის ერნი ადვილად შეთანხმდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიულ გამიჯვნაზე, მაშინ ეერავითარი გარეშე ძალა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ვერ გატეხავს, მაგრამ თუ გამიჯვნის პროცესში... რეალურ ნაყოფს ვერ გამოვიტანთ.... ყველასათვის ცხადი გახდება, რომ ამიერკავკასიის ერთა შორის არ ყოფილა წრფელი სურვილი მეზობლური თანამშრომლობისა... და შეგნება საერთო პოლიტიკური ინტერესებისა."[56] ამ ამონაწერის მიხედვით, ტერიტორიული გამიჯვნა ამიერკავკასიის ერთა არა მარტო ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის საექსპერიმენტო ფორმადაა მიჩნეული, არამედ, მათი პოლიტიკურად მომწიფებისა და მოსალოდნელი საფრთხისადმი ერთიობლივი ინტერესების დონის წარმოჩენა– გარკვევის საუკეთესო საშუალებადაა დასახული. მართალია, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები ამიერკავკასიის ერთა ტერიტორიულ გამიჯვნას სეიმის პროგრამატივად აღიარებდნენ, მაგრამ, სირთულე ამ პროცედურის მექანიზმის შემუშავებაში მდგომარეობდა. ისმებოდა კითხვა, თუ რა პრინციპი უნდა დადებოდა საფუძვლად ამიერკავკასიის ერების გამიჯვნას. როგორც მასალების შესწავლით ირკვევა, იგი ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე ამ საკითხზე გლასხიშვილმა სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის პოზიცია შემდეგნაირად წარმოადგინა: "ჩვენ, ფედერალისტები, გამიჯვნას საფუძვლად ვუდებთ პრინციპს რეალური მოსახლეობისას, ეთნიკურ პრინციპთან შეგვაქვს ერთი კორექტივი: მცხოვრებთა დაკითხვა.რეფერენ-

დუმი იმ განაპირა ადგილებში, რომელნიც ეროვნული ტერიტორიის საზღვარზეა. ეს პრინციპი აადგილებს ერთა გამიჯვნის საკითხს და ურთიერთშესაძლებელი დათმობით ნელენ შეეძლებთ ამ დაწყებული პირობების გადაჭრას. მიუხედავად საკითხის სიძნელისა, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე შეფერხებულია ამ საქმის კეთილად დაბოლოება, მე მწამს, რომ თუ სეიმმა გულწრფელად მოისურვა მისი ასრულება, ჩვენთვის ამ საშინელ საკითხს ბოლო მოეღება."[57]

ამ ამონაწერის მიხედვით ირკვევა, რომ სოციალისტ– ფედერალისტები, ამიერკავკასიის ერების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ტერიტორიულ გამიჯვნას საფუძვლად უდებდნენ არა ტერიტორიის ისტორიულ კუთვნილებას, არამედ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ მოსახლეობას და, რაც მთავარია, ამ მოსახლეობაში რეფერენდუმის ჩატარება მისაღებად მიანდათ. ამ ფორმის გამოყენებაში და ურთიერთდათმობის შესაძლებლობაში ხედავდნენ ისინი პრობლემის გადაჭრის რეალურ გზას. თუკი იმ პერიოდის საქართველოს დემოგრაფიულ რუკას გადავხედავთ, სოციალისტ– ფედერალისტების აღნიშნული თვალსაზრისი საქართველოს სინამდვილისათვის მიუღებელი იყო, რადგან მისი განხორციელების შემთხვევაში ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკიდან ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდებოდა. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი სომხეთისა და აზერბაიჯანის კუთვნილება გახდებოდა. ამიერკავკასიის სეიმისადმი სოციალისტ– ფედერალისტების მიერ შეთავაზებულ გამიჯვნის ფორმას თუკი საქართველოს ეროვნული საბჭო გაიზიარებდა და მის პრაქტიკულად გატარებას დათანხმდებოდა, ქართველი ერის წინაშე უდიდესი ეროვნული დანაშაული იქნებოდა ჩადენილი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის სეიმის იმავე სხდომაზე, ქართველმა სოციალ– დემოკრატებმა (მენშევიკები), გ.ლასხიშვილის მიერ წარმოდგენილი ტერიტორიული გამიჯვნის ფორმას შეგნებულად აუარეს გვერდი, იგი დისკუსიის საგნად არ აქციეს და პრობლემის მოწესრიგება სეიმის მიერ არსებული ამიერკავკასიის მთავრობის პრეროგატივად გამოაცხადეს.[58] ეს იყო საკუთარი სწორი გადაწყვეტილება, რადგან იმ ეტაპზე ამიერკავკასიის ერების წინაშე ოსმალო აგრესორებისაგან ტერიტორიის დაცვის საკითხი იდგა დღის წესრიგში. მიუხედავად ამისა, სოციალისტ– ფედერალისტმა გრ.რცხილაძემ, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომაზე, ამიერკავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი ისევ დააყენა. მისი მტკიცებით, ჯერ ტერიტორიული გამიჯვნა უნდა მომხდარიყო და ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ ეზრუნათ მის დაცვაზე. ქართველი სოციალ– დემოკრატიების ლიდერის-ნ.ჟორდანიას აზრით, გრ.რცხილაძის მიერ ეროვნული საბჭოსადმი შეთავაზებული წინადადება მიუღებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ

იგი ანგარიშს არ უწევდა ამიერკავკასიის ერთა შორის შექმნილ თითქმის სიომარ ურთიერთობას, "და სწორედ ამისთანა დროს— ამბობდა ნ.ჟორდანია— ტერიტორიული გამიჯვნის საკითხის დაყენება ადვილად წარმოსადგენია, რა სიმამდე გააძწვავებს ამ დამოკიდებულებას. საკმარისი როდია, ოთახში იჯდე და მშვენიერი გეგმები შეადგინო ერთა მოწყობის შესახებ. საქმე ასე არ კეთდება. ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულია. ამიერკავკასიაში მარტო ჩვენ რომ ვიყოთ, როგორც ყუბანის ოლქებია, მაშინ შესაძლებელი იქნება ამ საქმის მოგვარება, ჩვენ კი ორი ფრონტი გვაკრავს. ერთის მხრივ რუსის ეშელონებისა და მეორეს მხრით სომეხ— თათარსა. მიაქციეთ ყურადღება თუ რა ხდება ახალციხეში, აბასთუმნში და სხვაგან. როცა ასეთი მდგომარეობაა, მაშინ ასეთი ლაპარაკი, რომელიც აქ მოვისმინეთ, მხოლოდ გაზეთის ფურცლებსე შეიძლება და არა ეროვნულ საბჭოში. ჩვენი პოლიტიკა შემდეგია: იმ ისტორიულ— ეთნოგრაფიულ პირობებისა, რომელშიაც საქართველო იმყოფება, ჩვენს პოლიტიკას... ყოველთვის შეეუფარდებთ ამისთანა პირობებს."

ეს ერცელი ამონაწერი შესანიშნავად მიანიშნებს, თუ რა განმაპირობებელი ფაქტორებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი სოციალ— დემოკრატები 1918 წლის იანვარ— თებერვალში ამიერკავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის დაუყოვნებლივ დაწყებას. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საერთოდ ტერიტორიული გამიჯვნის წინააღმდეგნი იყვნენ. პირიქით, ტერიტორიული გამიჯვნა აუცილებლობად მიაჩნდათ, მაგრამ, მის პრაქტიკულად განხორციელებას ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირებდნენ. ამის დადასტურებას ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე, ამიერკავკასიის სეიმის შესახებ ნ.ჟორდანიას მიერ გაკეთებული მოხსენების ის ნაწილი წარმოადგენს, სადაც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული გამიჯვნის აუცილებლობაზე ხაზგასმით იყო მითითებული.

ამიერკავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის აუცილებლობის პარალელურად, ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენელთა წინაშე მეორე მნიშვნელოვანი საკითხი წამოიწია წინა პლანზე. კერძოდ, ტერიტორიულად გამიჯნულ ერებს რა უფლებებით უნდა ესარგებლათ. ამასთან დაკავშირებით ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება არსებობდა. ქართველი სოციალ— დემოკრატების აზრით (ნ.ჟორდანია), თითოეულ ერს თავის ტერიტორიაზე საკუთარი თვითმმართველობა უნდა ჰქონოდა, ყოლოდა მთავრობა და შეიარაღებული ძალა მილიციის სახით, რომლის საშუალებითაც იგი შინაურ და საერთო წესრიგს დაიცავდა სხვა ერებთან შეთანხმებით. ტერიტორიული გამიჯვნისთანავე ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და თითოეული ერის დამფუძნებელი კრებები

მოწვეულიყო. იმავე ნ.ჟორდანიას მტკიცებით, ეროვნულ–ტერიტორიული თვითმმართველობის საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი ცენტრი ამიერკავკასიაში მოსახლე ერების მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.[59]

ყურადღება უნდა მიექცეოთ იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის ერების ტერიტორიულად გამიჯვნის შემდეგ, ნ.ჟორდანია, თითოეული ერისათვის მხოლოდ საკუთარი ტერიტორიული თვითმმართველობის შექმნის საკითხს აყენებდა. როგორც ცნობილია, საკუთარი თვითმმართველობის ცნებაში ნ.ჟორდანია ყოველთვის ტერიტორიულ ავტონომიას გულისხმობდა. ამ შემთხვევაშიაც იგი ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ტერიტორიული ავტონომიების შექმნას უჭერდა მხარს. იმავდროულად, თითოეული მათგანის დამფუძნებელი კრებების მოწვევას და ამიერკავკასიის საერთო ცენტრში გაერთიანებას აუცილებლობად მიიჩნევდა. ასეთ ორგანოდ მას ამიერკავკასიის სეიმი ესახებოდა.

ამიერკავკასიის ერების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ავტონომიების შექმნისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ მმართველობაში მათი გაერთიანების საკითხს სოციალისტ–ფედერალისტებიც აყენებდნენ. მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე გ.ლასხიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება. მისი თქმით, ამიერკავკასიის სეიმს ადგილი უნდა დაეთმო ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულების ფედერალური სეიმისათვის, რომლის პრეროგატივა ერთიანი მთავრობის შექმნა იქნებოდა.[60] იმავე გ.ლასხიშვილის მტკიცებით, ამიერკავკასიის ფედერალური სეიმის შექმნა მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, როდესაც ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები საკუთარ დამფუძნებელ კრებებს მოიწვევდნენ და ეროვნულ მთავრობებს შექმნიდნენ. აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი, კერძოდ: აღნიშნული დამფუძნებელი კრებები და საკუთარი მთავრობები მხოლოდ თითოეული ავტონომიური ერთეულის მმართველობითი ორგანო იქნებოდა. ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული არჩაჯანაშვილის სტატიაში "ამიერკავკასიის სეიმი." წერილის ავტორის მტკიცებით, მხოლოდ სეიმის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი ამ ორგანოს ამიერკავკასიის ფედერალური საბჭოთი შეცვლა. სეიმი "ადგილს დაუთმობს–წერდა არჩაჯანაშვილი–ამიერკავკასიის ფედერალურ საბჭოს, როგორც ახალსა და მუდმივ ორგანოს ამიერკავკასიისას."[61]

იმავე პრობლემატიკას შეეხო ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ორგანოში–გაზეთ "საქართველოში" დაბეჭდილი პუბლიკაცია–"საქართველოს კონსტიტუცია." მასში კონკრეტულად იყო მითითებული ამიერკავკასიის ერების ეროვნულად ნამოყალიბებისა და საკუ-

თარი სახელმწიფოებრიობის შექმნის აუცილებლობის შესახებ. წერილის ავტორის აზრით, ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის სქემა მხოლოდ ამიერკავკასიის თითოეული ერის ეროვნულ ცენტრებს უნდა შეემუშავებინა და ტერიტორიულ გამიჯვნაზე შეთანხმებისათვის სრულება ერი– ერთ პირველხარისხოვან ამოცანად დაესახათ. რაც შეეხება ამიერკავკასიის სეიმის უფლებამოსილებას, ამასთან დაკავშირებით იმავე პუბლიკაციაში ეკითხულობთ: ამიერკავკასიის "სეიმი და მთავრობა მხოლოდ ფორმალურ დასტურს დასდებს ეროვნული საბჭოების ნამუშევარს."[52] როგორც ეხედავთ, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ეროვნული საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეძლეოდა, ხოლო სეიმი, ან ფედერალური საბჭო, ფორმალურად დამადასტურებლის ფუნქციას შეასრულებდა. ყოველივე ზემოაღნიშნულს უკეთებდა რა საერთო ანალიზს, გაზეთი "ერთობა" პუბლიკაციაში "სეიმი და მისი დანიშნულება" გარკვევით მიუთითებდა, რომ ყოველი სამოქმედო გეგმა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით უნდა შედგენილიყო და ამ ფონზე მომხდარიყო მისი სარგებლიანობის დადგენა. აქედან გამომდინარე, იმავე გაზეთის აზრით, ამა თუ იმ საკითხში არსებული გადაწყვეტილების მიღება უარყოფითი შედეგების მომტანი იქნებოდა. ასეთი ფონის შექმნის შემდეგ, გაზეთი "ერთობა" ოპოზიციური პარტიების მისამართით წერდა: "ცალკე ერების დამფუძნებელი კრებების მოწვევა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გარკვეული იქნება ამიერკავკასიის თითოეული ერის ტერიტორია, ხოლო ვინ არ იცის, რომ ახლაევ გამიჯვნის დაწყება –ეს მოასწავებს ერთა შორის შეჯახების გამწვავებას."[53]

იმ უაღრესად რთულ პირობებში, მაშინ როდესაც ამიერკავკასია თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იმეოფებოდა, ტერიტორიული გამიჯვნის წინა პლანზე წამოწევა, ვფიქრობთ მიზანშეუწონელი იყო, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საზღვრების დადგენის საკითხი ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთდაპირისპირების რეალური საფუძველი გახდებოდა. მითუმეტეს, სომხური მხარე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე უსაფუძველო პრეტენზიებს აცხადებდა.[54]

ანალოგიური პოზიცია აზერბაიჯანის მხარესაც ეჭირა. ამ შემთხვევაში, ქართველების მხრიდან მცირეოდენი კომპრომისიც კი გამორიცხული იყო. ზემოაღნიშნული ფაქტორების და გარეშე ძალების მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების გათვალისწინებით, იმ ეტაპზე ტერიტორიული გამიჯვნის დაწყება დაუშვებელი იყო, რადგან იგი კავკასიის ერთა საომარი ურთიერთდაპირისპირების რეალური საფუძველი გახდებოდა. აქედან გამომდინარე, იმ მომენტში ტერიტორიული გამიჯვნისაგან თავშეკავების შესახებ გაზ. "ერთობის" პოზიცია მისაღები იყო. მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ არსე-

ბული პრობლემის შესახებ მსჯელობა უსასრულოდ გაგრძელებულიყო და ამ საკითხთან მიმართებაში რეალური გადაწყვეტილება არ მიეღოთ. სამწუხაროდ, იმავე პუბლიკაციაში ამის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი.

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალებიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ ტერიტორიულ გამიჯვნასთან დაკავშირებით პირველი ქმედითი ნაბიჯი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 2 მაისის სხდომაზე გადაიდგა. მხედველობაში გვაქვს ამიერკავკასიის გადამიჯვნის კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შეყვანილნი იქნენ: ნ.რამიშვილი, იუსუფბეკოვი და სააკიანი. იმავე კომისიაში ეროვნული საბჭოებიდან სამ– სამი წარმომადგენელი აირჩიეს. საქართველოს მხრიდან აღნიშნული კომისიის წევრებად ალ.მდივანი, გ.ყეშაპელი და დ.ონიაშვილი დაამტკიცეს. იმავე სხდომის გადაწყვეტილებით, კონსულტანტებად პ.ინგოროყვას, ფ.გოგიჩაიშვილისა და სხვა მცოდნე პირთა მიწვევა სასურველად იქნა მიჩნეული. მიღებულ დადგენილებაში ეკითხულობთ: "დაეკალოს ქართველ წევრებს სისტემატურად იმუშაონ ეროვნულ საბჭოში და მომზადებულნი წავიდნენ კომისიის საერთო სხდომებზე."[65] ჩვენი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნული კომისიის სხდომების მასალების მიკვლევა ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა. ამ სფეროში შექმნილ ვაკუუმს ნაწილობრივად საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 9 მაისის სხდომა ავსებს. იგი ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკურ–ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი ამ სხდომაზე საგანგებოდ იქნა განხილული. ერცელი მოხსენება იმავე კომისიის თავმჯდომარემ ნ.რამიშვილმა გააკეთა. იგი დაწვრილებით შეეხო სასაზღვრო საკითხზე წარმოქმნილ დაპირისპირებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. იმავე მოხსენებიდან კარგად ჩანს სომხური და აზერბაიჯანული მხარის ის მტაცებლური მისწრაფებანი, რომელსაც ისინი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებთან მიმართებაში იჩენდნენ. ნ.რამიშვილის მოხსენების ძირითადი დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: კომისიის მიერ 1)ბაქოს გუბერნია აზერბაიჯანის კუთვნილებად იქნა მიჩნეული, მაგრამ, სომხებმა განჯის გუბერნიაში შემავალი ტერიტორიები– ყარაიაზის მაზრის ნაწილი, შუშისა და ჯევანშირის მაზრები სადაოდ გახადეს და მისი ერევნის გუბერნიის შემადგენლობაში შეყვანა მოითხოვეს. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, სომხების მხრიდან, ფაქტობრივად, განჯის გუბერნიის თითქმის ნახევრის მითვისების მცდელობას ჰქონდა ადგილი; 2)კომისიამ, საქართველოს უფლებები ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებზე ცნო, მაგრამ, სომხები აქაც პრეტენზიებს აცხადებდნენ. ისინი ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრე-

ბის ერევნის გუბერნიისადმი მიერთებას მოითხოვდნენ; 3)აზერბაიჯანელები ზაქათალას თავიანთ კუთვნილებად თვლიდნენ და მისი ნაწილის დათმობაზედაც კი სასტიკ უარზე იდგნენ. იმავდროულად აცხადებდნენ: "ახალქალაქის და ბორჩალოს... მაზრებიდან ჩვენ არაფერს მოვითხოვთ იმ შემთხვევაში, თუ იქედან სომხებს არა დაეთმობა რაი."[66] ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებთან მიმართებაში აზერბაიჯანის მხარეს შეფარვითი პრეტენზიები გააჩნდა. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული და სომხური მხარეები ორმხრივ დათმობაზე წავიდოდნენ და საპრეტენზიოდ ქცეული ქართული ტერიტორიებიდან სომხებს, თუგინდ მცირეოდენი ნაწილიც რომ შეხვედრიდა, აზერბაიჯანის მხარე თავის კლანჭებს მაშინვე გაშლიდა და აღნიშნულ მაზრებზე ოფიციალურად პრეტენზიებს წამოაყენებდა. სასაზღვრო საკითხთან მიმართებაში ეროვნული საბჭოს სხდომაზე გაკეთებულმა ზემოაღნიშნულმა ინფორმაციამ, საბჭოს წევრთა მწვავე დებატები გამოიწვია. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ეროვნული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ გ.ლასხიშვილმა შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: "ეროვნულმა საბჭომ მოისმინა მთავრობის კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ ტფილისის გუბერნიის შესახებ საკითხი მხოლოდ საზღვრების მცირე შესწორებას შეიძლება შეეხოს. ამიტომ აქ ლაპარაკი ამა თუ იმ ნაწილის დათმობის თაობაზედ მე პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია."[67] ეროვნული საბჭოს იმავე სხდომამ ტერიტორიული გადამიჯვნის მცირე კომისია აირჩია გ.ხატისოვის, შეიხულისამოვის და ალ.მდივნის შემადგენლობით. მათი ძირითადი მოვალეობა გადამიჯვნის პროექტის მომზადებაში და კომისიისადმი წარდგენაში მდგომარეობდა.

ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციისა და ტერიტორიული გადამიჯვნის საკითხში, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის გათვალისწინებიდან გამო, კომისიამ, მის წინაშე მდგომი პრობლემის დადებითად გადაწყვეტა ვერ შეძლო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, სომხური და აზერბაიჯანული მხარეები, საქართველოს ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიებს ერთდროულად ეპოტინებოდნენ და მის მიტაცებას ლამობდნენ. სხვისი უბედურების ხარჯზე თავიანთი ქვეყნის ბედნიერების აგებას ცდილობდნენ. გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ ასეთი მეზობლების შემყურე ქართული სოციალ–დემოკრატიის ლიდერები, კავკასიური სახელმწიფოს შექმნაზე და ქართულ– სომხურ– აზერბაიჯანული ერთიანი სამხედრო ძალებით, კარსმომდგარი დამპყრობლებისადმი დაპირისპირებაზე ოცნებობდნენ. ამ შემთხვევაში "რომანტიზმი" სჭარბობდა რეალურ პოლიტიკურ სინამდვილეს. მათი მხრიდან ასეთ მეზობლებზე თავგამოდებული ზრუნვა, ქართველ სოციალ– დემოკრატებს ალოგიკურ მდგომარეობაში აყენებდა.

ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეები სწორად აფასებდნენ რა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ამიერკავკასიის რეგიონის წინაშე აღმართულ გარდუვალ საფრთხეს, გამოსავალი გზების ძიებისას, როგორც ერთ- ერთ ფაქტორთაგანზე ყურადღებას ეროვნულ საბჭოებზე აჩერებდნენ. ეროვნულ -დემოკრატ ა.ასათიანის აზრით, არსებულ რთულ სიტუაციაში საქართველოს ეროვნულ საბჭოს ის გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა, რომელიც საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.[68] აღნიშნული საკითხი საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომის ფართო მსჯელობის საგანი გახდა. ეროვნულ- დემოკრატმა გ.ქიქოძემ პირველი რიგის ამოცანად ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის აუცილებლობა მოითხოვა არა პარტიული ნიშნით, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტერესების გათვალისწინებით. მისი აზრით, ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ იმავე საბჭოს საქართველოს მთავრობა უნდა აერჩია, რომელიც შესაბამის საფუძველს მოამზადებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. "ჩვენ იმ აზრისა ვართ- დასძენდა გ.ქიქოძე,- რომ თავი უნდა დავანებოთ ამიერკავკასიაში არბიტრის როლის თამაშობას. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი ეროვნული ენერგია მოვახმაროთ სხვა ერების ერთმანეთში მორიგება დაშოშმინებას. მოელი ჩვენი მისწრაფება იქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ შევქმნათ და ვაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ფინანსური და მილიტარული ძალა, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყნის მიწა- წყალი."[69]

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში გ.ქიქოძე იმ პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ მიდიოდა, რომელსაც ქართველი სოციალ- დემოკრატები (მენშევიკები) ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მისნით ანხორციელებდნენ. იგი აყენებდა საკითხს; სოციალ- დემოკრატებს ამიერკავკასიაში "არბიტრის როლის თამაშისათვის" თავი დაენებებინათ, ეროვნული ძალების კონსოლიდაციის, მისი გაძლიერებისათვის ეზრუნათ და მხოლოდ მასზე დაყრდნობით დაეცვათ ქართული მიწა-წყალი. სამწუხაროდ, იმავე გ.ქიქოძის გამოსვლაში არ ჩანს, თუ რამდენად გახდებოდა შესაძლებელი თურქული აგრესიისადმი და ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი ბოლშევიკური საფრთხისადმი მარტოდმარტო გამკლავება და, რაც მთავარია, კონკრეტულად ვის უნდა ეტყვირთა ამ საკითხზე პასუხისმგებლობა. სოციალ- დემოკრატების მიერ შემოთავაზებული გეგმის დაწუნება და ეროვნულ- დემოკრატთა მხრიდან წამოყენებული წინადადებებისადმი უპირატესობის მინიჭება კარგად გააზრებასა და შესაბამის დასაბუთებას საჭიროებდა. ამის აუცილლებლობას ქართული პოლიტიკური ელიტისაგან იმ ეტაპზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია მოითხოვდა. უნდა შემდგარიყო პროგრამა, რომელშიაც საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების

წარმატებით გადაწყვეტის რეალური გზები იქნებოდა წარმოჩენილი. სამწუხაროდ, ასეთი სახის პროგრამული პროექტი არცერთ პოლიტიკურ პარტიას ეროვნული საბჭოსადმი არ წარუდგენია. მათი ლიდერების გამოსვლები მხოლოდ ზოგად მოსაზრებებსა და სურვილებს ემყარებოდა. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, იგი იმავე ეროვნული საბჭოს სხდომაზე თ.ლლონტმა დააყენა და ამ მძიმე ტვირთის ტარება ეროვნული საბჭოს მიერ არჩეულ ეროვნულ მთავრობას დააკისრა. მისი აზრით, წარმატება– წარუმატებლობის შემთხვევაში ეროვნული მთავრობა, ეროვნული საბჭოს წინაშე იქნებოდა პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე, იგი ყოველგვარი ერთიანი ცენტრის შექმნის წინააღმდეგი იყო.[70] იმავდროულად აყენებდა საკითხს, რომ ამიერკავკასიის სეიმის რეკონსტრუქცია ეროვნული პარლამენტის სასარგებლოდ მომხდარიყო.

ეროვნული საბჭოს ფუნქციონირების შენარჩუნებისა და მისი –უკეთეს შემთხვევაში სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დეპუტატებით შევსების საკითხი, ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე სოციალისტ– ფედერალისტმა გ.ლასხიშვილმა დააყენა.[71]

საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევასა და საქართველოს მთავრობის შექმნის აუცილებლობას მოითხოვდა ეროვნულ– რადიკალი დ.ჩიქოვანი.[72] ხოლო პ.საყვარელიძის (ალიონის ჯგუფი) აზრით, ამიერკავკასიის თითოეული ერის დამფუძნებელი კრებების მოწვევა მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, როცა სეიმი ტერიტორიულ გამიჯვნას მოახდენდა და რეგიონში ცხოვრების ნორმალურ წესრიგს დაამყარებდა. მისივე მტკიცებით, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა ეროვნული საბჭოს პრეროგატივა უნდა გამხდარიყო.[73] მართალია, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები, როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა ეროვნული საბჭოს, ქვეყნის დამფუძნებელი კრების მოწვევას უსახავდნენ მიზნად და ამ პროცესს რეგიონის ტერიტორიული გამიჯვნის დამთავრებას უკავშირებდნენ, მაგრამ, კონკრეტულ ვადებს არ ასახელებდნენ. ასეთივე ზოგადი თვალსაზრისი იყო გატარებული იმავე ეროვნული საბჭოს სხდომაზე ოპონენტებისადმი ნ.ჟორდანიას საპასუხო სიტყვაშიაც. "ვიდრე ეროვნულ– ტერიტორიალური თვითმმართველობითი ერთეულები შეიქმნებოდნენ,– ამბობდა ნ.ჟორდანია– ჩვენი ეროვნული საბჭო იარსებებს ყით სუროგატი ეროვნული მთავრობისა. შესაძლებელია მოხდეს მისი რეორგანიზაცია პროპორციონალური თვალსაზრისით, როგორც ეროვნულ ყრილობაზე იყო ნათქვამი."[74]

რამდენადაც ზემოთ განხილული საკითხების უშუალო გადაწყვეტას ქართული პოლიტიკური ელიტა ძირითადად ამიერკავკასიის სეიმს უკავშირებდა, ამ ფაქტორმა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ლიდერთა უმრავლესობა იმ ეტაპზე ამიერკავკასიის სეი-

მის მოწვევის საჭიროების აღიარებამდე მიიყვანა. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომის მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, მათი ძირითადი მოთხოვნა, სეიმისადმი მხოლოდ ზოგადი ხასიათის საკითხების დაქვემდებარებაში მდგომარეობდა. თუ რამდენად გახდებოდა შესაძლებელი ამ მოთხოვნის გათვალისწინება, იგი მომავლის საქმეს წარმოადგენდა და მისი დადებითად გადაწყვეტა დიდად იყო დამოკიდებული მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. იმავე მასალებიდან კარგად ჩანს, რომ სეიმის პირველი რიგის ამოცანას ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა წარმოადგენდა, რადგან ამიერკავკასიის კომისარიატმა თავისი ფუნქცია გარკვეულწილად შეასრულა და მისი შესაძლებლობებიც ამოწურა. პოლიტიკური მოვლენების ცვალებადობიდან გამომდინარე, აღნიშნული ორგანო იმ ეტაპზე სახელმწიფოებრივი მართვისათვის საჭირო მოთხოვნებს სრულად ვეღარ აკმაყოფილებდა. აუცილებელი ხდებოდა დროის მოთხოვნილების შესაბამისად ამ სტრუქტურის რეორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ბირთვის დაუყოვნებლივ შეცვლა. თუ რამდენად აქტუალური იყო ეს საკითხი, კარგად ჩანს ეროვნული საბჭოს იმავე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშებიდან. თავის მოხსენებაში ნ.ჟორდანია გარკვევით მიუთითებდა, რომ "სეიმმა უნდა მოახდინოს ადგილობრივი მთავრობის რეორგანიზაცია, იმ მთავრობას, რომელიც ეხლა არსებობს ამიერკავკასიის კომისარიატის სახით,... იგი თავისი შემადგენლობით არავის აკმაყოფილებს, საჭიროა... მისი სრული რეორგანიზაცია."[75] იმავე ნ.ჟორდანიას აზრით, მომავალი მთავრობის შედგენაში ამიერკავკასიის ყველა პოლიტიკური ძალა უნდა ყოფილიყო ჩართული და იგი ამ ძალების "კომბინაციას დამყარებოდა." ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის მომავალი მთავრობის შედგენას ინტერპარტიული პრინციპი დაედებოდა საფუძვლად. ასთმა კურსმა პოლიტიკურ ძალთა კონსესუსის მიღწევას შეუწყო ხელი. ამის მკაფიო დადასტურებას, ამიერკავკასიის სეიმთან მიმართებაში, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 21 იანვრის სხდომაზე მომხდარი შეთანხმება წარმოადგენს, რომლის შედეგად, 1918 წლის 10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა შესაძლებელი გახდა. ამ ორგანოში შემდეგი პოლიტიკური პარტიები იყო წარმოდგენილი: 1)სოციალ– დემოკრატები (მენშევიკები); 2)სახალხო თავისუფლება; 3)სოციალისტ– რევოლუციონერები; 4)დაშნაკცუთიუნი; 5)სოციალისტ– ფედერალისტები; 6)მუსავათი; 7)ეროვნულ– დემოკრატები; 8)მუსლიმანური სოციალისტური ბლოკი; 9)რუსეთის იტიხად ისლამი; 10)გუმეტი (მემარჯვენე ნაციონალისტური ფრთა). ამ ახლადშექმნილ საკანონმდებლო ორგანოში ყველაზე ძლიერი ფრაქცია ქართველ სოციალ– დემოკრატებს (მენშევიკები) ჰყავდათ– 32 დეპუტატი, მუსავათს– 30, დაშნაკცუთიუნს– 27.[76] სეიმის თავმჯდომარედ ცნობილი ქართველი სოციალ– დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იქნა

არჩეული. კონკრეტულად თუ რა ფუნქციების შესრულება აიღო თავის თავზე ამიერკავკასიის სეიმმა, ამის შესახებ ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ნ.ჟორდანია გარკვევით მიუთითებდა, რომ "თუ წინათ ჩვენ ვფიქრობდით, რომ სეიმს ექნებოდა საკანონმდებლო ფუნქციები, ეხლა ვამბობთ, რომ სეიმი კანონმდებლობს. იგი სწყვეტს და არკვევს ყველა საკითხს ჩვენი საზოგადოებრივ– პოლიტიკური და საეკონომიო ცხოვრებისას."[77] ეს იმის დამადასტურებელია, რომ ამიერკავკასიის სეიმმა, რეგიონის მმართველობის უფლებამოსილება მის პრეროგატივად გამოაცხადა და თითქმის ყველა ძირითადი საკითხის მოწესრიგების პასუხისმგებლობაც თავის თავზე აიღო. დასახული ამოცანის გადაწყვეტისა და ორგანიზაციული საკითხების უკეთ გაძღოლის მიზნით, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 10 თებერვლის სხდომაზე ხუთი კომისია და მისი წევრთა შემადგენლობა იქნა დამტკიცებული: 1)აგრარული–19 კაცი; 2)თავდაცვის– 14; 3)საპარლამენტო– 5; 4)მეშვიდეთა– 12; 5)სასურსათო– 21. აღნიშნული კომისიები, ნ.ჟორდანიას სიტყვებით რომ ეთქვათ, ამიერკავკასიის ერთიან მთავრობას უნდა დაქვემდებარებოდა და რეგიონის მართვის საქმეში ხელშემწყობის ფუნქცია შეესრულებინა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზიდან გამომდინარე, იგივე ნ.ჟორდანია, ამიერკავკასიის მონოლითური და ძლიერი მთავრობის შექმნას პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდა. "ასეთ საშიშ დროს– ამბობდა იგი– ყველაზე მეტად საჭიროა ძლიერი მთავრობა, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს მთელი მხარის ცხოვრებას და მოსპოს ანარქია." როგორც ვხედავთ, რეგიონში ანარქიის მოსალოდნელი გაღრმავების რეალური შესაძლებლობის შიში, ნ.ჟორდანიას მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომ, თითქმის ყველა მის გამოსვლაში ამ საკითხთან მიმართებაში აკეთებდა აქცენტს. ამ შემთხვევაში, რუსეთიდან ამიერკავკასიისაკენ დაძრული ანარქიის ძლიერი ტალღა ჰქონდა მას მხედველობაში. იმავდროულად იგი რეგიონში ბოლშევიკების საქმიანობის გააქტიურებასაც ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, სეიმის მონაწილე პოლიტიკურ ძალებს წინადადებას აძლევდა– დაუყოვნებლივ მოეწვიათ სეიმის ფრაქციების შეკრება, სათანადო გეგმა შეემუშავებინათ და დასახული ამოცანის გადაწყვეტას შედგომოდნენ, რადგან დაყოვნება ამიერკავკასიის რეგიონისათვის იმ ეტაპზე ზიანის მომტანი აღმოჩნდებოდა.[78]

თუკი სიღრმისეულად გაანალიზებთ რეგიონის გარშემო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას,– თურქეთთან საომარ მოქმედებას, მიმდინარე პროცესებში ამიერკავკასიის კომისარიატის უსუსურობასა და თაგაურთმეობას, ეს ფაქტორები ამიერკავკასიის სეიმს მთავრობის შესაქმნელად პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის წინაშე აყენებდა. მითუმეტეს, თურქეთთან წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად, რე-

გიონის ძალთა კონსოლიდაცია და საათანადო ორგანიზაციული სამუშაოების დაუყოვნებლივი ჩატარება იყო საჭირო. აქედან გამომდინარე, ნ.ჟორდანიას ზემოაღნიშნული მოთხოვნა კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

რამდენადაც რეგიონის ძველი სახლვრების შენარჩუნება და თურქეთთან საზავო ხელშეკრულების მიღწევა ამიერკავკასიის მთავრობის პრიორიტეტულ ამოცანად იყო აღიარებული, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სეიმის იმავე სხდომაზე ნ.რამიშვილმა ამიერკავკასიის ახალი მთავრობისადმი სამხედრო და შინაგანი ძალების დაქვემდებარების საკითხი დააყენა.[79]

სეიმის სხდომის მასალებიდან ირკვევა, რომ სეიმის წევრთა დამოკიდებულება ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არაერთგვაროვანი იყო. მაგ. გ.გეგაზავას აზრით, ჯერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინათ, თურქეთთან ზავი შეეკრათ და შემდეგ აერჩიათ ძლიერი მთავრობა. იგი არ ასახელებდა, თუ ვის უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული პროცესებისადმი და ვინ იქნებოდა თურქეთთან ურთიერთობაში წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე პასუხისმგებელი. რამდენადაც სეიმის დეპუტატთა უმრავლესობა, აღნიშნულ საკითხში პასუხისმგებლობას მთავრობას აკისრებდა, ამ ფაქტორისა და ამიერკავკასიის კომისარიატის უფლებამოსილების ოფიციალურად შეწყვეტის გათვალისწინებით, ამიერკავკასიის სეიმის პრეზიდიუმის 1918 წლის 23 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიის მთავრობის შედგენა ე.გეგეჭკორს დაეკალა, რომლის თავმჯდომარედაც თვითონვე იქნა არჩეული.[80]

კონკრეტულად თუ რა მიმართულებით აპირებდა ე.გეგეჭკორის მთავრობა მუშაობას და რა ძირითადი საკითხების გადაწყვეტას ითვალისწინებდა, ეს კარგად ჩანს ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 13 მარტის სხდომაზე მთავრობის სახელით ე.გეგეჭკორის მიერ წაკითხული დეკლარაციის ტექსტიდან. ამ დოკუმენტის მიხედვით, ე.გეგეჭკორის მთავრობა პრიორიტეტად მიიჩნევდა: 1)თურქეთთან საპატიო ზავის შეკვრას და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას, 2)ამიერკავკასიის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, 3)აგრარული რეფორმის გატარებასა და მიწების გლეხებისადმი უფასოდ გადაცემას, 4)შრომის უფლებების დაცვასა და 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, 5)ეროვნებათაშორისი უფლებების დაცვას, ეროვნებათა ტერიტორიული გამიჯვნის მოგვარებასა და ეროვნულ– ტერიტორიული კანტონების დაარსებას.[81]

მართალია, ეს დოკუმენტი ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარებას ისახავდა მიზნად, მაგრამ მისი შესრულება განპირობებული იყო ამიერკავკასიის ერების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) შეთანხმებაზე, მათ კეთილ ნებაზე. აღნიშნული დეკლარაციით,

ქართული სოციალ- დემოკრატიის ლიდერი ერთიანი ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნას უსვამდა ხაზს და მასში რეგიონის უსაფრთხოების გარანტს ხედავდა. სამწუხაროდ, იგი ვერ ითვალისწინებდა სომხური და აზერბაიჯანული პოლიტიკური ელიტის იმ შეფარულ პრეტენზიებს, რომლებიც საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებთან მიმართებაში მათ გააჩნდათ და რომლის აალება, ტერიტორიული გამიჯვნის საკითხის დასმისთანავე მოხდებოდა.

ამიერკავკასიის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი სეიმის წინაშე მთელი პრინციპულობით დააყენა. იგი თურქეთთან დამძიმებული სამხედრო- პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. მხედველობაში გვაქვს: 1)ბრესტის საზავო ხელშეკრულებით თურქეთისათვის მინიჭებული უფლებები და მისი რეალიზაციის მიზნით, თურქეთის მხრიდან საომარი ოპერაციების დაწყება; 2)ტრაპიზონის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციის მხრიდან ამიერკავკასიის დელეგაციისადმი დასმული შეკითხვა- ამიერკავკასია რუსეთის ნაწილი იყო თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 8 აპრილის სხდომაზე აკ.ჩხენკელის მიერ ზავის საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ მოხსენებაში გარკვეითაა მითითებული, რომ საკითხის გაურკვეველობის გამო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი. მართალია, აკ.ჩხენკელი ოსმალეთის დელეგაციის "დარწმუნებას" შეეცადა, რომ 1917 წლის ოქტომბრიდან ამიერკავკასია საკუთარი მთავრობით დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმს წარმოადგენდა და არავის ემორჩილებოდა, მაგრამ, იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მისი მცდელობა ამ შემთხვევაში უშედეგო აღმოჩნდა. თავისი პოზიციის დასაცავად იმ მომენტში აკ.ჩხენკელს არანაირი ხელჩასაჭიდი მყარი არგუმენტი არ გააჩნდა. ბუნებრივია, ამით ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ- ბეიმ შესანიშნავად ისარგებლა და აკ.ჩხენკელს პირდაპირ განუცხადა: "მათ არაკითარი ცნობა არა აქვთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, რომ ჯერ არცერთი სახელმწიფოსგან იგი არ არის ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას გულისხმობენ ვით რუსეთის ნაწილს. მაშასადამე, ბრესტის ზავის შესახებ- აცხადებდა რაუფ- ბეი- არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ აღსრულებაში მოვიყვანოთ ბრესტის ზავის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ამიერკავკასიას და შევკრათ თქვენთან მეგობრობის კავშირი."[82] ამ შემთხვევაში, ოსმალეთის დელეგაცია ორმაგი დიპლომატიური თამაშის ხერხს მიმართავდა: 1)ამიერკავკასიის დელეგაციის მხრიდან ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარების აუცილებელ ალიბად იგი რეგიონის დამოუკიდებლობის გამოუცხადებლობას, იმ ეტაპზე ჯერ კიდევ არშემდგარი ამიერკავკასიის სახელმწიფოს არსებობას და რუსეთის

შემადგენელ ნაწილად მოაზრებას ასახელებდა, 2)ამ არგუმენტებით, აკჩხენკელის დელეგაციას, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობაზე მიანიშნებდნენ, მაგრამ, შეგნებულად ყურადღების მიღმა ტოვებდნენ ამიერკავკასიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს– დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში რა ბედი ეწეოდა თურქეთისაგან საპრეტენზიოდ ქცეულ ტერიტორიებს და ამიერკავკასია მიიღებდა თუ არა რაიმე შეღავათს. სამწუხაროდ, ეს კითხვა აკჩხენკელის დელეგაციის წევრებს თურქეთის წარმომადგენლობის წინაშე არ დაუყენებია, რაც გარკვეულ დიპლომატიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. იმავე აკჩხენკელის მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი ფაქტობრივად ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობისას გადაწყდა. "პირველი ქვა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საძირკვლისა– ამბობდა აკჩხენკელი– სწორედ ტრაპიზონში დაიდვა. ყველა ეროვნების წარმომადგენელნი ეროის აზრით დაბრუნდა იქედან. ეს არის ამიერკავკასიის მთლიანობა და დამოუკიდებლობა."[33]

მართალია, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი ფაქტობრივად ტრაპიზონში გადაწყდა, მაგრამ, მისი კანონზომიერებისა და მიზანშეწონილობის სხვადასხვა კუთხიდან განხილვა და შეფასება, ზემოაღნიშნულ მოხსენებაში აკჩხენკელს არ მოუცია. ამ შემთხვევაში მის ამოცანას ამ პრობლემის ყოველმხრივი განზოგადება და ანალიზი არ წარმოადგენდა. ბუნებრივია, აღნიშნულმა ფაქტორმა ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურთა მხრიდან საკითხისადმი განსაკუთრებული ინტერესი განაპირობა. ამის დადასტურებას იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენს, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას არჩაჯანაშვილის სტატია– "ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული გამიჯვნა"– იქცევს. მისი მტკიცებით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა ყოფილიყო გარკვეული: 1)ამიერკავკასიის ერებში ეროიანი სახელმწიფოს შესაქმნელად არსებობდა თუ არა სრული თანხმობა და ინტერესთა შეთანხმება, 2)ამიერკავკასიის ერების მისწრაფებას წარმოადგენდა თუ არა ურთიერთსაპირისპირო ორიენტაცია, ე.ი. ცალკე სახელმწიფოების შექმნა, 3)ამიერკავკასიის ერები ერთნაირად იყვნენ თუ არა დაინტერესებულნი დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული ფაქტორები ამიერკავკასიის სამივე ერის ინტერესთა თანხვედრი არ აღმოჩნდებოდა, არჩაჯანაშვილის აზრით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ფიქცია იქნებოდა და იგი ამ ერების სატანჯველად გადაიქცეოდა. იმავდროულად, არჩაჯანაშვილი ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების მომხრეებს გამაფრთხილებელი ტონით შეახსენებდა; "ჩვენ გავბედავთ და პირდა-

პირ ვიტყვით, საშიშია ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადება იმ დრომდე, სანამ ცხადი არ გამხდარა ყველასათვის ამიერკავკასიის რომელ ერს რა განზრახვა უდევს გულში და ისეთი ხასიათისაა ეს განზრახვანი, რომ შეთანხმებას ხელს არ შეუშლის. სანამ დამოუკიდებლობა ფიქციად იქცეოდეს უნდა ვიცოდეთ, ზურგს უმაგრებს თუ არა ამ დამოუკიდებლობას ყველა ერის სოლიდარობა."[34]

არჩ.ჯაჯანაშვილის ასეთი პოზიცია შემთხვევითი არ იყო, რადგან ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნასა და მის დამოუკიდებლობას, სამივე ერის (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ერთგულება და ურთიერთთანადგომა უნდა დადებოდა საფუძვლად. შეძლებდნენ კი სომხები და აზერბაიჯანელები ქართველებთან ერთად ამ საპასუხისმგებლო უღლის გაწევას და თურქული აგრესიისადმი ერთიანი ძალებით დაპირისპირებას? სწორედ ეს კითხვა აწვალებდათ ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს, როცა ზემოაღნიშნული საკითხების წინასწარ გარკვევას მოითხოვდნენ. მითუმეტეს, ქართულ ტრადიციაში სომხები არასაიმედო პარტნიორებად იყვნენ მიჩნეულნი. ამის დამადასტურებლად საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII– ის სომხებისადმი დამოკიდებულება გამოდგება. "ადვილად გამცემი ქვეყნისა სომეხი ერთს გროშსე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა ან სხვათა ქვეყანაში არა აქვს რა შესატკივარი გულისა,... დღესაც მოსაცდუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაც არიან გაბნეულნი მათნი რომელნიმე, მარადის მოვისყიდით ჯაშუშათ სომეხთა უნებურთა და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა. ასეა მათი ბუნება. დიდად მავნეა ჩემის სამეფოსათვის თესლი ესე გაბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოთა ნათესაობითა. ვითარცა ეაჭარნი საჭირონი არიან, ქვეყნისა მცხოვრებნი დიდათ საშიშნი და მოსარიდებელნი; არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი საწუთროისა, სადა და ოდეს დაედევნენ და ვისა მიემხრონ: ოსმალსა თუ ყიზილბაშსა."[35]

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, მათ ორიენტაციაზე გადამწყვეტ როლს რელიგიური სარწმუნოება და თურქეთთან გენეტიკური ნათესაობა განსაზღვრავდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მიზანშეწონილობაში, არჩ.ჯაჯანაშვილის დაეჭვება კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ და პასუხი გაეცეს კითხვას; თუ რამ განაპირობა თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის დასმა მაშინ, როდესაც ბრესტის სასავო მოლაპარაკების პროცესში ამიერკავკასიას რუსეთის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკური აზრის მეცნიერებს გამოკვეთილი პოზიცია გააჩნდათ და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის ფონზე დასმულ კითხვას ძირითადად სწორ პასუხს სცემდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს რ.ინგილოს სტატია "ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, როგორც საშუალება"– იქცევს. მისი აზრით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აუცილებლობა არსებული პოლიტიკური ვითარებიდან და საერთაშორისო უფლებების ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეობდა. სწორედ ამ არგუმენტს იშველიებდა თურქეთის წარმომადგენლობა, როცა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, როგორც რ.ინგილო აღნიშნავდა, თურქეთს ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა დასახული; 1)თურქეთის დაუძინებელი მტერი– რუსეთი, კავკასიის ქედის მიღმა ყოფილიყო უკუგდებული და ოსმალეთს ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საშიშროების ნეიტრალიზება მოეხდინა. ამის მიღწევას იგი კავკასიის საერთო სახელმწიფოს შექმნით ფიქრობდა, რომელიც ამ შემთხვევაში თურქეთსა და რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოს როლს შეასრულებდა; 2)ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, თურქეთის დიპლომატებს იმისთვის სჭირდებოდათ, რომ საზავო კონფერენციის დადგენილებებს იურიდიული ძალა და საერთაშორისო საალდებულო ხასიათი მისცემოდა.[86] ამ შემთხვევაში, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა თურქეთისათვის ორმხრივად იყო ხელსაყრელი, ხოლო თვით ამიერკავკასიის ერებისათვის, განსაკუთრებით ქართველებისა და სომხებისათვის ნაკლებად მისაღებად უნდა ჩათვლილიყო იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული ფაქტით, თურქეთისაგან ძალისმიერი გზით მიტაცებული ტერიტორიების სამართლებრივად დაკანონების იურიდიული მექანიზმის ამუშავების საფრთხე იქმნებოდა. ჩვენი აზრით, ეს ფაქტორი განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდა ქართული სოციალ– დემოკრატიის (მენშევიკები) ლიდერებზე,როცა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე თავს იკავებდნენ. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ა.ასათიანი პუბლიკაციაში– "ეროვნული პოლიტიკა" გარკვევით მიუთითებდა, რომ "ამიერკავკასიის... სეიმისა და მთავრობის ხელმძღვანელი მენშევიკების პარტია დღემდის არ თანხმდება ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას, და მაშასადამე რუსეთიდან საბოლოოდ გამოყოფას, რასაც ფრიად დიდ მნიშვნელობას აძლევს ოსმალეთი."[87]

იმავე სტატიაში არაფერი იყო ნათქვამი იმ ძირითად მიზეზებზე, რომელიც აღნიშნულ საკითხში სოციალ– დემოკრატების თავშეკავებას დაედო საფუძვლად. მოუმეტეს, ალ.ასათიანის ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 46 დღით ადრე, ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომაზე ნ.ჟორდანიამ თავისი პოზიცია შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა; ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გადასაწყვეტად

"ანქარებითი ნაბიჯის გადადგმა საფრთხილოა, გვეშინიან თათრებისა და ოსმალეთის ბრძოლებში არ ნაცვლიდეთ, ჩვენ ვამბობთ, სანამ ისეთ მოკავშირეს არ დავინახავთ, რომელიც მართლაც გულწრფელად დაიცავდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ჩვენ ისე ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ." ეს შიში, იმ ეტაპზე ანგარიშგასაწევი იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი რეალური საფრთხის წინაშე მდგომი ამიერკავკასიის ერების მფარველი სახელმწიფოს არგამოცდილ გამომდინარეობდა. თუკი, რომელიმე სახელმწიფო ასეთ მისიას იკისრებდა, ნ.ჟორდანიას მხოლოდ მაშინ მიაჩნდა მიზანშეწონილად ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადება, რადგან ამ შემთხვევაში ხედავდა იგი დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას. მითუმეტეს, ამის აუცილებლობა იქედანაც გამომდინარეობდა, რომ ოსმალთა ინტერესების საწინააღმდეგოდ, ქართული სოციალ- დემოკრატიის ლიდერები ბრესტის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიღებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე ნ.ჟორდანიას მიერ გაკეთებული მოხსენება წარმოადგენს. იგი სეიმის მონაწილეთა წინაშე კატეგორიული ფორმით აცხადებდა, რომ პეტროგრადის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ზავის პირობების მიღებას პატიოსნად სიკვდილს ამჯობინებდა."[38]

აღნიშნული ფაქტით კარგად ჩანს ქართული სოციალ- დემოკრატიის (მენშევიკები) დამოკიდებულება საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისადმი და ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ისინი იმ ეტაპზე მომავალი თაობების წინაშე ინერდნენ. სწორედ ამ კუთხით უნდა შეფასდეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი მათი დროებითი თავშეკავება.

ტრაპიზონის კონფერენციაზე წარუმატებლობამ და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გართულებამ, ამიერკავკასიის სეიმი იძულებული გახადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი საგანგებო მსჯელობის საგნად ექცია. ამ შემთხვევაში, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 22 თებერვლის სხდომა გვაქვს მხედველობაში. ძირითადი მოხსენება- ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ ნ.ჟორდანიამ გააკეთა. მისი აზრით, ბრესტის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთისათვის გადაცემული ტერიტორიების (ბათუმის, ყარსის, არდაგანის ოლქები) შესანარჩუნებლად, ამიერკავკასიის ერების შემჭიდროება, ერთ პოლიტიკურ პლატფორმაზე დგომა და ძალთა კონსოლიდაცია იყო საჭირო. იგი ორიენტაციის საკითხსაც შეეხო და თავისი პოზიცია შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა: "როცა ჩვენ გვეუბნებიან რუსეთი თუ ოსმალეთი, ჩვენ ვამბობთ რუსეთი, როცა გვეუბნებიან ოსმალეთი თუ დამოუკიდებლობა, ჩვენ ვამბობთ დამოუკიდებლობა."[39] რამდენადაც, რუსეთის გასაბჭოების გამო, რუსული ორიენტაცია მოხსნილი იყო, ხოლო ოს-

მალური მიუღებელი, ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერის წინაშე მხოლოდ ერთადერთი გზა– ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ნ.ჟორდანია სიფრთხილეს იჩენდა და აყენებდა საკითხს: დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაეზუსტებინათ, თუ რა აზრისანი იყვნენ სხვა სახელმწიფოები ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მეორე მხრივ, იგი ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებაში, ამიერკავკასიის ერების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ბაზაზე ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას ხედავდა. "ჩვენ– აცხადებდა ნ.ჟორდანია– პრინციპულად უნდა გადავწყვიტოთ, რომ საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადება,... რომ ეს დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებმაც სცნონ და ამიერკავკასიის ყველა ეროვნებათა სოლიდარობით შეექმნათ ერთი მთლიანი ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო."[90] არსებული პრობლემის ამ ფორმით დასმის მიუხედავად, სიტყვაში გამოსულმა დეპუტატებმა: ხან– ხოისკიმ, სემიონოვმა, გობეზიამ, ვრაციანმა, ტიგრანიანმა და სხვებმა, საგანგებო კომისიის შექმნისა და დამოუკიდებლობის დეტალების დაზუსტება– შემუშავების შემდეგ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის სეიმის სხდომაზე გატანა. მართალია, ნ.ჟორდანია და დ.ონიაშვილი კომისიისათვის საკითხის გადაცემის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ, უმრავლესობის ზემოქმედების შედეგად, სეიმმა მათი პოზიციის საწინააღმდეგო რეზოლუცია მიიღო; "განვიხილეთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი და მივიღეთ რა მხედველობაში, –ეკითხულობთ დოკუმენტში– თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდა ამიერკავკასია, მის დამოუკიდებლობას პრინციპულად ვაღიარებთ, საჭიროდ ვცნობთ ეს საკითხი გადაეცეს სპეციალურ კომისიას დეტალურად შესამუშავებლად სულ მოკლე ვადით."[91]

როგორც მასალების შესწავლით ირკვევა, "სულ მოკლე ვადა" 46 დღე გაგრძელდა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების შესახებ შესაბამისი რეზოლუციის მიღება მხოლოდ 1918 წლის 9 აპრილს გახდა შესაძლებელი. პირველ რიგში რსდმ პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სხდომა (ესწრებოდნენ: ნ.ჟორდანია, ნ.რამიშვილი, რ.არსენიძე, ა.სალუქვაძე, ვ.თევზაია, ვ.წულაძე; საკონტროლო კომისიის წევრი ნ.ჩხეიძე და სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ.ახმეტელაშვილი) გვაქვს მხედველობაში. დღის წესრიგში მხოლოდ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი იდგა და შესაბამისი დადგენილებაც იქნა მიღებული: "გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად– ეკითხულობთ დოკუმენტში– სამი მთავარი ტერიტორიული ერთეულით: სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი. დანარჩენი ეროვნებები იღებენ ავტონომიას შესაბამის ტერიტორიაზე."[92]

ამ ფაქტზე ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ, რომ სხდომის მონაწილეთა პოზიცია გვესვენებინა აღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ მიღებულ დოკუმენტს მხარი 9 კაცმა დაუჭირა, წინააღმდეგ წაიდა ერთი– კარაჯაევი, თაი შეიკავა ერთმა– ნ.ჟორდანიამ. თუკი იგი 1918 წლის თებერვალს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს, გადამწყვეტ მომენტში, მაშინ როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი დადგა დღის წესრიგში, მან ორჭოფული პოზიცია დაიჭირა და პრობლემის გადაწყვეტის მომენტში თავშეკავება ამჯობინა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმავე დღესვე შეკრებილმა ამიერკავკასიის სეიმმა, ერთ– ერთ საკითხად ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების მიზანშეწონილება განიხილა და შესაბამისი რეზოლუციაც მიიღო, რომელსაც ცნობილი ქართველი სოციალ– დემოკრატის დავით ონიაშვილის მოხსენების ძირითადი დებულებები დაედო საფუძვლად. აღნიშნულ დოკუმენტში ეკითხულობთ; "გამოცხადებულ იქნას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული– დემოკრატიული რესპუბლიკა, ეცნობოს ეს სხვა სახელმწიფოებს."[33] იმავე სხდომაზე კ.ჩხეიძემ წაიკითხა ე.გეგეჭკორის განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ. "ვინაიდან, მთავრობის წევრთა შორის ზავის საკითხმა უთანხმოება გამოიწვია, –აცხადებდა ე.გეგეჭკორი– მთავრობას აუცილებლობად მიაჩნია სამსახურიდან გადადგეს."[34]

სეიმის იმავე სხდომის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიული– ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შედგენა აკაკი ჩხენკელს დაევალა, რომელმაც სეიმს მთავრობის შემდეგი შემადგენლობა წარუდგინა: აკ.ჩხენკელი– მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ნ.რამიშვილი– შინაგან საქმეთა მინისტრი, ა.ხატისოვი– ფინანსთა მინისტრი, ხ.ბ.მელიქ– ასლანოვი– გზათა მინისტრი, ფ.ხანხოისკი– იუსტიციის მინისტრი, გრ.გიორგაძე– სამხედრო მინისტრი, ნ.ხომერიკი– მიწათმოქმედების მინისტრი, ნ.ბ.უსუბეკოვი– სახალხო განათლების მინისტრი, მ.გაჯინსკი– ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ა.სააკიანი– სასურსათო საქმეთა მინისტრი, რ.კარაბანუნი– სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი, ა.ერზინკიანი– შრომის მინისტრი, ი.ბჰაიდაროვი– სახელმწიფო კონტროლიორი.[35]

ახლადშექმნილი ამიერკავკასიის მთავრობის მომავალი საქმიანობის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ დაწერილებით იყო საუბარი იმავე აკ.ჩხენკელის მიერ ამიერკავკასიის მთავრობის სახელით წაკითხულ დეკლარაციაში, რომლის ძირითადი დებულებები რამდენიმე პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1)ამიერკავკასიის მთავრობას უნდა ეზრუნა ამიერკავკასიის ფედერაციულ– დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებაზე; 2)ამიერკავკასიის მთავრობა განახორციელებდა ამ-

იერკავკასიის ერთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრული ურთიერთობის პრინციპებზე დამყარებულ პოლიტიკას; 3)ამიერკავკასიის მთავრობა, ამიერკავკასიის ერთა თავისუფალი განვითარების ძირითად პრინციპად ამიერკავკასიის ერების ტერიტორიულად გამიჯვნის დროულად გადაჭრას აღიარებდა. ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენელი თითოეული ერთეულის საზღვრის დადგენა ურთიერთ დათმობისა და შეთანხმების გზით უნდა განხორციელებულიყო; 4)ამიერკავკასიის მთავრობა მიზნად ისახავდა თურქეთთან სამხედრო მოქმედებების შეჩერებას, საკის მიღწევას, ამიერკავკასიის სამხედრო ძალის ორგანიზაციასა და საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული გზით ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დაცვას; 5)დეკლარაციაში დასმული იყო საკითხი სამხედრო ძალების განმტკიცებისა და მისი მთავრობისადმი დაქვემდებარების შესახებ; 6)ერთ– ერთ პირველხარისხოვან ამოცანად იყო მიჩნეული: აგრარული რეფორმის გატარება, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, საკუთარი ფინანსური სისტემის შექმნა, სასურსათო საქმეების მოწესრიგება, სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა, ახლადშექმნილი სახელმწიფოსათვის შესატყვისი ფორმით მთავრობის დაწესებულებების მოწყობა.[96]

როგორც ეხედავთ, დეკლარაცია ამიერკავკასიისათვის სასიცოცხლო და ურთულესი საკითხების გადაწყვეტას აკალებდა ახლადშექმნილ მთავრობას, რომლის წევრები სხვადასხვა ორიენტაციისანი იყვნენ. კერძოდ; ქართველები– გერმანიის, სომხები– ინგლისის, აზერბაიჯანელები– თურქეთის. ფაქტიურად ეს იყო ურთიერთდაპირისპირებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისაგან შედგენილი მთავრობა, რომლის თითოეული წევრი ქვეცნობიერად მხოლოდ თავისი ერის გადარჩენისათვის გამოსავალი გზის ძიებაში იმყოფებოდა. საერთო საქმესე ზრუნვა კი, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვან ადგილს იჭერდა. ამიტომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ასეთ პირობებში მყოფ მთავრობას რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და მისი პრაქტიკულად განხორციელება შეძლებოდა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 13 აპრილის სხდომამ აკაჩხენკელის მთავრობისადმი მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. "მოისმინა რა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის პირველი მთავრობის დეკლარაცია,– ვკითხულობთ დოკუმენტში– სეიმს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება შინაურ და საგარეო პოლიტიკაში და აღუთქვამს მთავრობას სრულ მხარდაჭერას."[97]

ყურადრება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იმავე სხდომაზე, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხზე ირ.წერეთლის მიერ გაკეთებული მოხსენება არა თუ საზეიმო, არამედ თავის მართლების ფორმას ატარებდა. ირ.წერეთელის აზრით, რამდენადაც რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვებით, ხალხსა და დემოკრატიას სასიკვდილო

განიხილეს გამოუტანეს, პოლიტიკურ მიმდინარეობათა წინაშე დადგა საკითხი: "'ან ნაეაღრნოთ ჩვენი ხალხი ისე, როგორც ეს მოხდა... რუსეთში, ან გამოეაცხადოთ დამოუკიდებლობა. ჩვენ ვერ გადავწყვეტეთ ჩვენი ხალხის დაღუპვა და ვარჩიეთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფლების შენარჩუნება."[98] ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც საკითხი ხალხისა და ქვეყნის გადარჩენას შეეხო, პრიორიტეტული ორიენტაციის მქონე ირ.წერეთელმა მიმდინარე პოლიტიკური სიტუაცია სალი გონებით შეფასა, თავის პირველ-დელ შეხედულებას სურგი შეაქცია და უპირატესობა დამოუკიდებლობას მიანიჭა. ამ შემთხვევაში იგი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან არსებულ იმ რეალურ საფრთხესაც ითვალისწინებდა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს დაღუპვით ემუქრებოდა. რამდენადაც დამოუკიდებლობის გამოცხადების გარდა იმ ეტაპზე სხვა ალტერნატივა არ არსებობდა, ირ.წერეთელი თავისი პოზიციის ცვალებადობას შემდეგნაირად ამართლებდა: "ჩვენ ვერ შეეურიგდებით ჩვენი ხალხის განადგურებას, მაშასადამე, დამოუკიდებლობა ენდა გამოგვეცხადებია– ბოლშევიკები ბრესტ– ლიტოვსკის ხელშეკრულების აღიარებას გვკარნახობდნენ... ეს მოასწავებდა ამიერკავკასიის სიკვდილს და წარმოიშვა საკითხი დამოუკიდებლობის შესახებ."[99] იმასთან დაკავშირებით, თუ რით იყო განპირობებული ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დაგვიანება და კონკრეტულად რა პირობებში განხორციელდა იგი, ამის აღიარება ირ.წერეთელს იმავე სხდომაზე მოუხდა. "ჩვენ გვეგონა– ამბობდა ირ.წერეთელი,– რომ რუსეთი აღდგებოდა, ამიერკავკასიის დემოკრატია იცდიდა, სანამ მას დანა არ დააჭირეს ყელში და დიდი დანაშაული იქნებოდა თუ ასეთ პირობებში ამიერკავკასია არ გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას რუსეთის აღდგენის მოლოდინში." მოტანილი ფაქტების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აუცილებლობამდე ქართველი სოციალ– დემოკრატები იძულებამ მიიყვანა, რადგან ერის გადარჩენის სხვა გზა იმ ეტაპზე (ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დროს) მათ არ ესახებოდათ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობას იგივე ირ.წერეთელი თბილისის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრის სხდომაზედაც (200– მდე წევრი ესწრებოდა) თავგამოდებით იცავდა. ამ ნაბიჯის გადადგმის მიზანშეწონილობას იგი თურქეთთან დამარცხებას უკავშირებდა. დემოკრატიული რუსეთის აღდგენისათვის ლოდინი, მას ქვეყნის დაღუპვის ტოლფასად მიაჩნდა. რაც შეეხება ბოლშევიკურ რუსეთთან შეთანხმებას და მასთან ერთად მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხს, რასაც იმავე სხდომაზე სოციალისტ– რევოლუციონერი ნ.ბერიოზოვი მოითხოვდა, ირ.წერეთელი გამოუსწორებელ შეცდომად მიიჩნევდა და იქვე დასძენდა: "რუსეთი აიტანს დღევანდელ მდგომარეობას მაგრამ ამას ვერ

შეიძლებს ქართველები, სომხები, მუსლიმანები. ამიტომ გემართებს დიდი სიფრთხილე. განა შეიძლება იმის თქმა, რომ იქ გოლგოთაზე ჯვარ'ცეა გაკრული რეაოლ'უციონური რუსეთი და წაიყვანეთ თქვენი ხალ'ხიო... ვინც ფიქრობს, რომ ადგილობრივ ერთა დაღუპვით უნდა მოხდეს ჩრდილოეთის აღდგენა, ასეთ ადამიანებს ჩვენ სასტიკად შეებრძოლებით.[100] რაც შეეხება სოციალ— დემოკრატიის მეორე ლიდერს კ.ჩხეიძეს, იმავე სხდომაზე მის მიერ გაკეთებული მოხსენების მიხედვით, იგი დამოუკიდებლობას დემოკრატიისათვის აუცილებელ ნაბიჯად თვლიდა, მაგრამ არც იმას უარყოფდა, რომ ეს პროცესი ოსმალეთის ულტიმატუმით იყო განპირობებული. "ოსმალეთი— ამბობდა კ.ჩხეიძე— გვიყენებს ულტიმატურ წინადადებას— ვისი სახელით გველაპარაკებით, რა გქვიათ სახელიო." აქედან გამომდინარე, იმავე კ.ჩხეიძის აზრით, "დამოუკიდებლობის გამოცხადება... დღეს ერთადერთი გ'ხაა, რომელზედაც მტრებ შემოსეული ამიერკავკასიის დემოკრატია უნდა დადგეს."[101] ასეთი პოზიციისდა მიუხედავად, იგი ორი რუსეთის ფონ'ზე დემოკრატიულ რუსეთს მისტიროდა და სინანულით დასძენდა: "დღესაც ორი რუსეთი არსებობს. ერთია "ბოლ'შევიზმის" რუსეთი და მეორე კი დემოკრატიული. პირველმა რუსეთმა ჩვენ გაგვრიყა, დამოუკიდებლობაში გადაგვაგდო." ან კიდევ; "'დიახ, ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას,... დეე იცოდეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა, მთელი ქვეყნის დემოკრატიამ, რომ ჩვენ გვაიძულეს ასე მოვქცეულიყავით, რომ ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას ეშმაკების, ჯიჯოხეთის ძალთაგან."

დამოუკიდებლობისადმი ასეთი სინანულნარევი ფონის შექმნის მიუხედავად, იგივე კ.ჩხეიძე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომის მონაწილეებს მოუწოდებდა, ამიერკავკასიის სეიმის მიერ 1918 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის შესახებ მიღებული რეზოლუცია შესაბამისი მხარდამჭერი დოკუმენტით დაედასტურებინათ. რამდენადაც კ.ჩხეიძის ავტორიტეტი განუსომლად დიდი იყო, მის სიტყვასაც გასავალი ჰქონდა. ამიტომ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ საბჭოს დეპუტატების უმრავლესობამ სოციალ— დემოკრატების მიერ წარდგენილ რეზოლუციას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. "ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც მოახდინა ამიერკავკასიის მცხოვრებთა სრულუფლებიან წარმომადგენლობამ— სეიმმა, —ეკითხულობთ დოკუმენტში— აღიარებული იქნას როგორც ისტორიული აუცილებელი აქტი და ერთადერთი გამოსავალი შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობიდან მთელი ქვეყნისათვის, რომელიც იძულებულია დაიცვას დამოუკიდებელი არსებობა, როგორც სამხრეთიდან მომავალი იმპერიალიზმისაგან, ისე ყოვლის დამრღვევ ანარქიზმიდან, რომელიც ჩრდილოეთიდან მოიწევს."[102] თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრი, იმავდროულად მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიას, რეგიონის ნამდ-

ვილი დამოუკიდებლობისა და რევოლუციის ძლევამოსილების შესანარჩუნებლად, ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებული ჯარის შექმნისაკენ მოუწოდებდა. თუ რამდენად შესძლო ამიერკავკასიის სეიმმა და მისმა მთავრობამ დასახული მიზნის განხორციელება, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჯერად მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამიერკავკასიის სეიმმა იმ ეტაპზე თურქეთის ხელისუფალთა ოფიციალური მოთხოვნების ერთი მხარე დააკმაყოფილა და იგი მის წინაშე წარსდგა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ფაქტი ეროვნულ- დემოკრატებმა დადებითად შეაფასეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი "საქართველო" პუბლიკაციაში- "დამოუკიდებელი საქართველო" გარკვევით მიუთითებდა: "სეიმის გადაწყვეტილებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამიერიდან ახალგაზრდა სახელმწიფო არა მარტო ფაქტიურად, არამედ იურიდიულადაც საერთაშორისო... [სამართლებრივ სახეს იძენს 'მ.ვ] და მას უფლება აქვს ზავი შეკრას და ურთიერთობა იქონიოს სუვერენულ სახელმწიფოსთან."[103] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იგივე ეროვნულ- დემოკრატები, ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების დაგეგმვებას დიდ შეცდომად მიიჩნევდნენ და ამის შესახებ დაუფარავად საყვედურობდნენ იმ პოლიტიკური პარტიების ელიტარულ ნაწილს, რომლებმაც მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ფეხი ვერ აუწყო და დროულად მისაღები გადაწყვეტილების აუცილებლობა მხედველობის მიღმა დარჩათ. ამ საკითხთან დაკავშირებით ალ.ასათიანი მის ვრცელ პუბლიკაციაში- "ეროვნული პოლიტიკა" გარკვევით წერდა: "დღეს ყველა ხედავს თუ რა დიდი შეცდომა ჩაიდინა ჩვენი პოლიტიკის ხელმძღვანელებმა, როდესაც ოსმალეთს ის უკვე აღიარებული ქონდა ბრესტ- ლიტოვსკის ხელშეკრულებამდე."[104] ეფიქრობთ, ამ შემთხვევაში ალ.ასათიანი 1917 წლის 5 დეკემბრის ერზინჯანში ოსმალეთისა და ამიერკავკასიის წარმომადგენლობას შორის გაფორმებულ დროებით საზავო ხელშეკრულებას გულისხმობდა. მართალია, თურქი გენერლის ყეხიბ ფაშას მიერ კავკასიის არმიის სარდლის ი.ოდიშელიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1918 წლის 1 იანვრითაა დათარიღებული, ამიერკავკასიის კომისარიატი კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობად სამჯერაა ნახსენები,[105] მაგრამ, იმ ეტაპზე თურქეთის მხრიდან ეს დიპლომატიური რევერანსი იყო, რათა კავკასიის ფრონტის სარდლობა საომარი მოქმედებების შეჩერებაზე დათანხმებინა. თუკი ოსმალეთი 1917 წლის 5 დეკემბრიდან 1918 წლის 1 იანვრის ჩათვლით გაცემული დოკუმენტების მიხედვით სახელმწიფოებრივ დონეზე მაროლაც აღიარებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ბუნებრივად ისმება კითხვა; რაში დაჭირდა იმავე ოსმალეთის წარმომადგენლობას ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის ისევ დასმა და იმის

"გარკვევა," თუ ვისი სახელით ლაპარაკობდა ტრაპიზონში ჩასული აკჩხენკელის დელეგაცია. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ არც ერზინჯანში და არც ბრესტში, ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ოსმალეთის მხრიდან ოფიციალურად აღიარებული არ ყოფილა. იგი ოსმალეთმა მხოლოდ 1918 წლის აპრილში აღიარა. ამის დამადასტურებლად გამოდგება ვეხიბ– ფაშას მიერ აკჩხენკელისადმი გაგზავნილი დეპეშა (1918 წლის 15 აპრილი), რომლის პირველ პუნქტში გარკვევითაა მითითებული, რომ "1)ოტომანის საიმპერიო მთავრობამ სცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და აცნობა ეს თავის მოკავშირეებს."[106]

ამრიგად, ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტები და მისი ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1)რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ იმპერიის ფარგლებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომი) შექმნა ქართული პოლიტიკური ელიტისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ ორგანოს უფლებამოსილების შეკვეცასა და რევოლუციური ორგანიზაციებისადმი მის გადანაწილებას ისახავდა მიზნად ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მომხდარი ფაქტით, რეგიონალური საბჭოები ცენტრის მიერ შექმნილ ორგანოს დაუპირისპირდა და ამიერკავკასიაში ორხელისუფლებიანობას დაუდო სათავე; 2)ქალაქ თბილისის თვითმმართველობის არჩევნებში ქართული პოლიტიკური ძალების გამარჯვებამ და ქალაქის თავად ქართველის არჩევამ, თბილისის თვითმმართველობა დაშნაკცუთიუნის პარტიის ბატონობისაგან გაანთავისუფლა. ეს ფაქტი, ქართული პოლიტიკური ძალების სიძლიერის, მისადმი მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერის დადასტურებას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, იგი რუსეთის დროებით მთავრობას ქართველი პოლიტიკური ელიტისადმი ანგარიშის მეტი დოზით გაწევის აუცილებლობისაკენ მიანიშნებდა; 3)რუსეთში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა წინაშე ამიერკავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი სავსებით კანონზომიერად დასვა. არსებული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ამიერკავკასიის კომისარიატის შესაქმნელად მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი დროის მოთხოვნას შეესატყვისებოდა. მის ამოცანას, იმ ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების რეგიონისადმი აცილება და უსაფრთხოების გარანტიის შექმნა წარმოადგენდა; 4)ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს

იდეიის პრაქტიკაში დანერგვა და მისი საკანონმდებლო ორგანოს— სეიმის შექმნა რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სამხედრო ძალთა კონსოლიდაციას და ოსმალო დამპყრობლებისადმი მის დაპირისპირებას ისახავდა მიზნად; 5)ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების დაგვიანებას განსაკუთრებული სიფრთხილე და მფარველი სახელმწიფოს ძიების აუცილებლობის მოტივაცია ედო საფუძვლად. მეორე მხრივ, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა მიზანს, პრობლემის საერთაშორისო დონეზე გატანა და მისადმი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულების გარკვევა წარმოადგენდა; 6)მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული— ფედერაციული სახელმწიფოს შექმნაში ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების იდეა იყო ჩადებული, საწყის ეტაპზევე იქნა დაშვებული შეცდომა: ა)არ შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა აღნიშნულ გაერთიანებას. ბ)სომხური და აზერბაიჯანული პოლიტიკური ელიტის მხრიდან საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისადმი მტაცებლური დამოკიდებულება. ამ ორმა ფაქტორმა ამიერკავკასიის ფედერაციულ გაერთიანებას ბუტაფორიული სახე მისცა, რის გამოც იმ დატვირთვის შესრულება ნაწილობრივადაც ვერ შეძლო, რასაც იმ ძნელბედობის ჟამს უსახავდნენ მიზნად.

* * *

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართველ პოლიტიკოსთა წინაშე მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის გარკვევის აუცილებლობა პრინციპულად დაისვა. შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, სოციალისტ— ფედერალისტებს ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობა რეალობად ესახებოდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით თ.ღლონტი სტატიაში "პარლამენტარიზმი საქართველოში" გარკვევით წერდა: "რამდენადაც არ უნდა ვიტრიალოთ... გარდა ფედერალიზმის პრინციპისა ხსნა, არსად არის."[107] ეს იმას ნიშნავს, რომ თ.ღლონტი, ამიერკავკასიის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვა ალტერნატიულ გზას იმ ეტაპზე ვერ სედავდა. მიუხედავად ამისა, იგი პრობლემის სიღრმისეულ განხილვას რატომღაც მოერიდა და მხოლოდ ზემოაღნიშნული ზოგადი განცხადებით შემოიფარგლა. რამდენადაც, ფედერაციის იდეა სოციალისტ— ფედერალისტთა პარტიის ერთ— ერთ საპრო-

გრამო მოთხოვნას წარმოადგენდა, ბუნებრივია, ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის დასმამ, მათი გააქტიურება განპირობა. ამის დადასტურებას გაზეთ "სახალხო საქმეში" დაბეჭდილი პუბლიკაციები წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ყურადღებას არჩ.ჯაჯანაშვილის სტატიაზე "ამიერკავკასიის სეიმი" –შეეაჩერებთ. წერილის ავტორის აზრით, ამიერკავკასიის ფედერაციულად მოწყობა იძულებითი მოვლენა კი არა, არამედ დროებითი სახელმწიფოებრივი საალმშენებლო საქმიანობა იყო. მისი მტკიცებით, თუკი ამიერკავკასია ფედერაციულად მოეწყობოდა, რუსეთის დამფუძნებელი კრების აღდგენის შემთხვევაშიაც კი ეს ორგანო, ამიერკავკასიაში შექმნილი ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის გაუქმებას ვერ შეძლებდა. იმავე არ.ჯაჯანაშვილის მტკიცებით, ამიერკავკასიის ფედერაცია რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის რეალიზაციის შედეგი იყო. ამ შემთხვევაში, არჩ.ჯაჯანაშვილს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე (1918 წლის 6 იანვარი) ჩერნოვის მოხსენების საფუძველზე –"რუსეთის ერთა უფლებების შესახებ" მიღებული რეზოლუცია ჰქონდა მხედველობაში. ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერის სუვერენული უფლებები იყო აღიარებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი პირველი რიგის ამოცანად ამიერკავკასიის ერთა შორის თანხმობის მიღწევას ასახელებდა. "ვისაც გულწრფელადა ჰსურს– წერდა არჩ.ჯაჯანაშვილი– ამიერკავკასიის პოლიტიკური წესწყობილების ჩამოყალიბება, უპირველესად ყოველისა უნდა შეეცადოს თანხმობის დამყარებას ამიერკავკასიის ერთა შორის."[108] აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ წრეებს აფრთხილებდა, რომ რეგიონის რთული პოლიტიკური სიტუაციის გაუთვალისწინებლობა და ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოებრივი საკითხების დროული გადაუწყვეტლობა, ამიერკავკასიის ერებს გარდუვალი საფრთხის წინაშე დააყენებდა. "ის, ვინც გარეშე ძალებზე ამყარებს თავის იმედებს და ამით გატაცებული გაურბის ერებთან შეთანხმებას,– წერდა არჩ.ჯაჯანაშვილი– ძირს უთხრის არა მარტო დანარჩენ ერებს, არამედ თავის თავსაც, რადგანაც გარეშე ამიერკავკასიის ერთა შეთანხმებისა, ამიერკავკასიის არცერთ ერს პოლიტიკური არსებობა არ შეუძლია."[109] მისივე აზრით, ამ პოლიტიკური არსებობის ხანგრძლივობის ერთ–ერთ საშუალებას ამიერკავკასიის ფედერაციული მოწყობა წარმოადგენდა. თ.ლლონტის მსგავსად, არც არჩ.ჯაჯანაშვილს წარუდგენია მკითხველი საზოგადოებისათვის ამიერკავკასიის სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის სქემა. მათგან განსხვავებით, ამიერკავკასიის ფედერაციული მოწყობის მოდელის შექმნის მცდელობაა მოცემული ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე გ.ლასხიშვილის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში. მისი აზრით, ამიერკავკასიის მოქმედი სეიმი სოციალისტ– ფედერალისტთა მოთხოვნებს ვერ აკმაყ-

ოფილებდა იმ თვალსაზრისით, რომ ამიერკავკასიის ერთა კავშირის შექმნის მცდელობა ხელმოდან განხორციელდა, მაშინ როდესაც იგი ქუეშოდან უნდა დაწყებულიყო. იგივე გ.ლასხიშვილის სამართლიანი მტკიცებით, პირველ რიგში, ამიერკავკასიის ერების ეროვნულ– ტერიტორიული ავტონომიები უნდა შექმნილიყო და ეს სახელმწიფო წარმონაქმნები დადებოდა საფუძვლად ამიერკავკასიის ფედერალურ სეიმს. ამის აუცილებლობის ძირითად არგუმენტად ამიერკავკასიის ერების ერთიანი კანონებით მართვის შეუძლებლობას ასახელებდა. "ამ ერების ერთიანი კანონმდებლობით მართვა– ამბობდა გ.ლასხიშვილი– იქნება ერთ და იმავე ალაგას ტორტმანი, საბოტაჟი ერთი ერისა მეორის წინააღმდეგ. კანონმდებელი იძულებული იქნებოდა ერთი და იგივე კანონი სამი და ოთხი რედაქციით დაეწერა, გამონაკლისები დაერთო ყოველი კანონისათვის ამა თუ იმ ერისათვის."[110] ამ მოსალოდნელი სიძნელეებისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად, გ.ლასხიშვილს ფედერალური კანონმდებლობისა და ფედერაციული მმართველობის შემოღება მიაჩნდა. მისივე მტკიცებით, რეალური ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი აღნიშნული კანონმდებლობა და მმართველობა ეროვნულ– ტერიტორიულ ერთეულებს დაემყარებოდა. ამ შემთხვევაში, მას ეროვნულ– ტერიტორიული ერთეულების (ავტონომიების) დამფუძნებელი კრებების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტები და ამავე კრებების მიერ წარგზავნილი დეპუტატების ბაზაზე შექმნილი ფედერალური სეიმი ჰქონდა მხედველობაში. იმავდროულად იგი საკითხს შემდეგი კუთხითაც აყენებდა; ამიერკავკასია ფედერაციულ თუ კონფედერაციულ სახელმწიფოდ მოეწყოთ. სამწუხაროდ, მისი გამოსვლიდან არ ჩანს თუ რომელ მოდელს ანიჭებდა უპირატესობას. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ავტონომიური ერთეულებისა და მისი საკანონმდებლო ორგანოების შექმნის ბაზაზე ამიერკავკასიის ფედერაციული მმართველობის გ.ლასხიშვილისეული გეგმა რეალობასთან ახლოს იდგა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ სამი ერის (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) პოლიტიკურ– სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზე იქნებოდა დაფუძნებული და საერთო ცენტრში– ფედერალურ სეიმში თითოეული ერის წარმომადგენლები თანასწორი უფლებებით ისარგებლებდნენ. ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა იმედებს გაამართლებდა თუ არა ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით, მომავლის საქმეს წარმოადგენდა.

მართალია, ამიერკავკასიის ფედერაციული მოწყობის საკითხი ქართული პოლიტიკური აზრის მსჯელობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, მაგრამ, ამ ფონზე ისინი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ახლადშექმნილ საერთო ფედერაციულ ცენტრში შემავალი თითოეული პოლიტიკური

ერთეულის უფლებამოსილების გარკვევას ანიჭებდნენ. რამდენადაც ამ საკითხის გადაწყვეტა კონსტიტუციის პრეროგატივას წარმოადგენდა, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ მიღებული დოკუმენტების მიხედვით, პირველ რიგში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციების შედგენა უნდა მომხდარიყო, რომელიც ამიერკავკასიის დემოკრატიულ– ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციებს საფუძვლად დაედებოდა. ჩვენი აზრით, აღნიშნული ნაბიჯი ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არარსებული პოლიტიკური ერთეულების კონსტიტუციების შექმნას ითვალისწინებდა. როცა საკითხი ასეთი ფორმით დაისვა, აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური წარმონაქმნების არსებობა. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის მთავრობა ამ გზით არ წავიდა. ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის 24 კაციანი შემადგენლობიდან 9 კაცი ამიერკავკასიის მთავრობის რეკომენდაციით იქნა დამტკიცებული, ხოლო საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანის მხარეებს, ხუთ– ხუთი წევრის წარდგენის უფლება მიეცათ. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 2 მაისის სხდომის გადაწყვეტილებით, კომისიაში შეეყანილნი იქნენ: გ.გვაზავა, პ.საყვარელიძე, შ.მესხიშვილი, ი.არსენიძე და ი.გობეჩია.[111]

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის შექმნის საკითხი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 9 მაისის სხდომასაც იქნა დასმული, მაგრამ, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა.[112] გაურკვეველი დარჩა კონსტიტუციის მომზადების ვადებიც. რამდენადაც ქართველი სოციალ–დემოკრატები (მენშევიკები) ამიერკავკასიის რეგიონის სახელმწიფოებრივ მოწყობას პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდნენ, ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების მომზადების საკითხი საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 12 მაისის სხდომის საგანგებო მსჯელობის საგნად აქციეს. ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შემუშავების შესახებ მოხსენება სერგო ჯაფარიძემ გააკეთა. მისი მტკიცებით, კონსტიტუცია ამიერკავკასიის სასღვრებში არსებული რესპუბლიკების (ასეთი სუბიექტები იმ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არსებობდა) ფედერაციული გაერთიანების პრინციპს უნდა დაფუძნებოდა. ამის აუცილებლობის დასაბუთების მიზნით, იგი სამ ფაქტორს იშველიებდა: 1)ქართველი ერის სიმცირეს. აქედან გამომდინარე, მისი მტკიცებით, მფარველი სახელმწიფოს ან უკიდურეს შემთხვევაში ძლიერი გაერთიანების წევრობის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო; 2)საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის (ტყე, მადნეული, შავი ქვა, წყლები და სხვ.) მიუხედავად, ნავთის უქონლობის გამო, ამიერკავკასიის ქვეყნებთან (განსაკუთრე-

ბით ასურბაიჯანთან) ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებისა და მისი მოწესრიგების მეტი შესაძლებლობის შექმნას; 3)თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და მოწინააღმდეგისადმი პასუხის გაცემის რეალური გარანტიებისადმი საყურადღების მომზადებას.

რაც შეეხება ამერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული სახელმწიფოს მთავრობის უფლებამოსილებას, იმავე სჯაფარიძის აზრით, მას უნდა დაქვემდებარებოდა საგარეო პოლიტიკა, სამხედრო საქმე, ფინანსური– ფულის სისტემა, რკინიგზები, ფოსტა– ტელეგრაფი, განათლება, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, შრომის უფლებების დაცვა. "ჩვენში,– ამბობდა სჯაფარიძე– უნდა იყოს ერთიანი წარმომადგენლობითი პალატა, სადაც დეპუტატებს ირჩევს... ხალხი საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების წესით. საკითხები ამ პალატაში წყდება... ხმების უმრავლესობით."[13]

ამერკავკასიის სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობის სჯაფარიძისეული პროექტის მიხედვით, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების განმსაზღვრელი და გადამაწყვეტი უფლებები ცენტრის, ანუ ამერკავკასიის სეიმის პრეროგატივად რჩებოდა. მისი განხორციელების შემთხვევაში, ეროვნული საბჭოები სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოს დანიშატ სახეს იძენდა, რადგან, მას მხოლოდ აღმასრულებელ ფუნქციებს უტოვებდნენ. ფედერაციული გაერთიანების ისეთი მოდელი, როგორიც სჯაფარიძემ შესთავაზა ეროვნული საბჭოს დეპუტატებს, ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა უმრავლესობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც წინა თავებშიაც გვქონდა აღნიშნული, ქართული პოლიტიკური აზრი, დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსათვის გაზრდილ უფლებებს მოითხოვდა და მის დაცვას მაქსიმალურად ცდილობდა. ამ ფონზე, ამერკავკასიის ფედერალურ გაერთიანებაში ნებაყოფლობით შესული საქართველოსათვის, სახელმწიფოებრივი უფლებები მინიმალურ ზღვრამდე იყო დაყვანილი. სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული, რომ სჯაფარიძის მიერ ეროვნული საბჭოსადმი წარდგენილ პროექტს, იგივე სოციალ– დემოკრატი (ალიონელი) ჰ.საყვარელიძე დაუპირისპირდა. მან არა მარტო დაიწუნა აღნიშნული პროექტი, არამედ, იმის დასაბუთებასაც კი შეეცადა, რომ იგი არც ფედერაციის და არც კონფედერაციის მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა.

ამერკავკასიის ერების კულტურული და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის გამო, ამერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება ჰ.საყვარელიძეს მიუღებლად მიაჩნდა. იგი სამივე ერისათვის მისაღები ფორმის გამოძებნის საკითხს აყენებდა.[14] სამწუხაროდ, ეროვნული საბჭოს წევრებს მან დასაბუთებული ფორმით ალტერნატიული ვარიანტი ვერ შესთავაზა, რის გამოც საკითხი ისევ ღიად დარჩა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სჯაფარიძის მიერ წარდგენილი პროექ-

ტის მიმართ პ.საყვარელიძისეულ შეფასებებს მხარი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ- ერთმა ლიდერმა გრ.რცხილაძემაც დაუჭირა. მისი მტკიცებით, ზემოაღნიშნულ პროექტს არანაირი მსგავსება არ ჰქონდა არც ფედერაციასა და არც კონფედერაციასთან. ასეთი პრეამბულის შემდეგ, იგი ამიერკავკასიის ერებს შორის წარსული ურთიერთობის გამაწონასწორებელ ფაქტორებს შეეხო და მათ შორის მშვიდობიანი განწყობის არსებობის ძირითად პირობად რუსული ძალა დაასახელა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის აეტორების მისამართით განაცხადა: "ის ძალა, რომელიც ჩვენში ერთა წონასწორობას ამყარებდა დღეს აღარ არსებობს,... მაგრამ სად არის ძალა, რომელიც ამ წონასწორობას შექმნის?... შეუძლებელია ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ერთნაირად იქნება მისაღები ყველა ერისათვის... რას დაუყენებენ... პროექტის შემომტანნი წინ იმ ერებს, რომელნიც მათი პოლიტიკით უკმაყოფილონი დარჩებიან? ასეთი ძალა არ გაქვთ და მაშასადამე ვერც დაუყენებთ მას."[115] ამ შემთხვევაში გრ.რცხილაძის მხრიდან საკითხი საკმაოდ მართებულად იყო დასმული. თუკი იმ ეტაპზე ამიერკავკასიის ერებს შორის დროებითი მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა, იგი რეგიონის გარშემო შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციით და იმ უძლურებით იყო განპირობებული, რომელიც მეზობელი ერის წინააღმდეგ, თითოეულ მათგანს იარაღის აღმართვის შესაძლებლობას არ აძლევდა. რამდენადაც, ურთიერთობის ამ ფორმის სრულად დარეგულირებას და მის სანგრძლივად შენარჩუნებას გრ.რცხილაძე საეჭვოდ მიიჩნევდა, ცენტრისადმი მხოლოდ ოთხი ძირითადი საქმის (საგარეო პოლიტიკა, სამხედრო, საბაჟო, საფინანსო) გადაცემას უჭერდა მხარს. დანარჩენის მოწესრიგება და მასზე პასუხისმგებლობა თითოეული ერის სახელმწიფოს უნდა მინდობოდა. უფლებამოსილების ასეთი ფორმით გადანაწილების აუცილებლობიდან გამომდინარე, სოციალისტ– ფედერალისტთა ფრაქციის სახელით გრ.რცხილაძე თავის შეხედულებას შემდეგი ფორმით აყალიბებდა: "ჩვენ არც წმინდა ფედერაციის და არც წმინდა კონფედერაციის მომხრენი არა ვართ... ვემხრობით ისეთ შერეულ კონსტიტუციას, სადაც ორივე ელემენტი გამოსჭვივის."[116] ამ შემთხვევაში, ეროვნული საბჭოს წევრებს გრ.რცხილაძე ახალს არაფერს სთავაზობდა, ვერც იმას აკონკრეტებდა,– ფედერაციისა და კონფედერაციის ელემენტების ურთიერთშერწყმის საფუძველზე რა ფორმის გაერთიანება უნდა შექმნილიყო. ფაქტობრივად, მან პ.საყვარელიძის ზემოაღნიშნულ დებულებას დაუჭირა მხარი.

რამდენადაც, ეროვნული საბჭოს წინაშე მდგომი პრობლემის გადაწყვეტაში, ქართველმა სოციალ– დემოკრატებმა და სოციალისტ– ფედერალისტებმა სიახლე ვერ შეიტანეს, ამ გარემოებამ, თავისი პოზიციის დახვეწილი ფორმით წარსადგენად ეროვნულ –დემოკრატიული პარტიის

ლიდერებს მეტი გასაქანი მისცა. მხედველობაში გვაქვს, იმავე ეროვნული საბჭოს სხდომაზე გ.გვეზავას მიერ წარმოთქმული სიტყვის ძირითადი დებულებები. იგი ეყრდნობოდა რა ს.ჯაფარიძის, პ.საყვარელიძისა და გრ.რცხილაძის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, ამიერკავკასიის ფედერაციულ ან კონფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა. მეორე მხრივ, ასეთი სახის გაერთიანება არამყარად მიაჩნდა იმ თვალსაზრისითაც, რომ თურქეთთან ომში ქართველებს აზერბაიჯანელები არ გაყვებოდნენ, ხოლო, თუკი იმავე ქართველებს რუსებთან მოუხდებოდათ სამხედრო შეტაკება, სომხები ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერდნენ. იმავე გ.გვეზავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ორივე შემთხვევაში მთელი სიმძიმე ქართველობას დააწვებოდა. აქედან გამომდინარე, იგი სოციალ– დემოკრატების მისამართით აცხადებდა: "დროა შეეწყვიტოთ ფანტაზიორობა და დავადგეთ რეალურ გზას... ოქვენ გინდათ მოაწყოთ რაღაც ფედერაცია თუ კონფედერაცია და ერთხელ კიდევ დაასამაროთ საქართველოს ბედი ამ უცნაური შენობის წამოხუხულავებით.[117] კონკრეტულად თუ რას გულისხმობდა გ.გვეზავა "რეალურ გზაზე" დადგომაში და "საქართველოს ბედის დასამარებისაგან" გადარჩენაში, ეს კარგად ჩანს ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის დადგენილების იმ ტექსტიდან, რომელიც ეროვნული საბჭოს იმავე სხდომაზე იქნა მის მიერ წაკითხული. აღნიშნულ დოკუმენტში გარკვეით იყო მითითებული: "ა)საქართველო უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, ბ)კავკასიის სახელმწიფოთა საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად დაარსებული უნდა იქნას მუდმივი ორგანო კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლობისაგან."[118] პ.საყვარელიძის შენიშვნაზე– "ეს ხომ იგივე კონფედერაცია გამოვიდა," გ.გვეზავამ უპასუხა; "სრულებითაც არა, კონფედერაცია უსათუოდ ჰგულისხმობს რაიმე ძალის, რაიმე უფლების გადატანას ცენტრში, ჩვენს წინადადებას კი აზრად აქვს უბრალო კომისიის შექმნა, რომელსაც არავითარი ძალა და უფლება საქმეების გადასაწყვეტად არა აქვს.[119]

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ გ.გვეზავას განცხადება– საქმეების გადასაწყვეტად ძალაუფლებას მოკლებული მხოლოდ უბრალო კომისიის შექმნა აშკარად ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული დადგენილების (ბ) პუნქტს, რომელიც კავკასიის სახელმწიფოთა საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად, კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლობისაგან მუდმივი ორგანოს დაარსებას ითვალისწინებდა. ბუნებრივია, ძალაუფლებას მოკლებული უბრალო კომისია, "კავკასიის საქმეების მოსაწესრიგებლად" ნამდვილად არ გამოდგებოდა. რაც შეეხება დადგენილების პირველ პუნქტს– საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ, თუკი ეს ნაბიჯი გადაიდგმებოდა, გ.გვეზავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში

საბოლოო და გადამწყვეტი ძალაუფლება დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს პარლამენტს უნდა ჰქონოდა. პოლიტიკურ ა'ხრთა ასეთი ჭიდილის გამო, პოლიტიკური პარტიის ლიდერები კონსენსუს'ზე ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც ამიერკავკასიის და საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ კამათი საქართველოს ეროვნული საბჭოს 14 მაისის სხდომა'ზედაც გაგრძელდა. ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები; კაფხა'ი, რ.გაბა'შვილი, გ.ყეშაპელი და შ.ქარუმიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ გ.გვაზავას მიერ დასმულ საკითხს აღრმავებდნენ და თავიანთ შეხედულებებს შესაბამისი არგუმენტებით ამაგრებდნენ. მათი სამართლიანი მოთხოვნით, საქართველოს დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში საერთაშორისო პრინციპით უნდა განსაზღვრულიყო. უკიდურეს შემთხვევა'ში, თუკი ფედერაცია გარდუვალი იქნებოდა, პირველ რიგში ისინი ეროვნული პოლიტიკური ერთეულების შექმნას მოითხოვდნენ და ამის შემდეგ აყენებდნენ საკითხს, არსებული სუბიექტების ურთიერთშეკავშირების ფორმის გამოძებნის შესახებ. ვფიქრობთ, ეროვნული საბჭოს პოლიტიკური პარტიების ლიდერებისათვის ეს წინადადება იმ ეტაპზე მისაღები უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერებმა იგი მიუღებლად მიიჩნიეს და ისევ ს.ჯაფარიძისეული პროექტის დაცვას შეეცადნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით რ.არსენიძე აქტიურობდა. კავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია და უცხო სახელმწიფოებიდან მოსალოდნელი საფრთხე მან ამიერკავკასიის ერთიანი მტკიცე სახელმწიფოს საჭიროების ძირითად არგუმენტად გამოიყენა. "ამიერკავკასიის მთლიანობას– ამბობდა რ.არსენიძე– უფრო მკვიდრი ნიადაგი ფედერაციის დროს ექნება. ფედერაცია სწორედ იმიტომ გვსურს, რომ მუსლიმანთა ორიენტაცია მოსწყდეს ოსმალეთს. საჭიროა იმოდენა ძალების ყოლა, რომ ოსმალეთმა ადვილად არ გადაგვიაროს თავზე. ჩვენ დღეს უნდა შეეცადოთ შეეკავშიროთ ყველა ერები, რომ შესაძლებელი იყოს ეკონომიური განვითარება."[120] ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ქართველი სოციალ– დემოკრატიის ლიდერებს, ამიერკავკასიის ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა მტრისადმი დაპირისპირების ერთ– ერთ საშუალებად ჰქონდათ გათვალისწინებული. იმავდროულად, ასეთი სახის გაერთიანებას რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ბერკეტადაც მიიჩნევდნენ. მართალია, მიზანი კეთილშობილური იყო და არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალი გ'ხის ძიების მცდელობას წარმოადგენდა, მაგრამ, მისი გადაწყვეტის ფორმა არასწორ ხასიათს ატარებდა. ამ შემთხვევა'ში ეროვნულ– დემოკრატები საკუთრივ მართალნი იყვნენ, როცა პირველ რიგ'ში ეროვნული– სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნასა და მისი უფლებამოსილების კონსტიტუციურად დაკანონებას

მოითხოვდნენ. ლოგიკურად გამართლებული იქნებოდა თუკი მათი პოლიტიკური გაერთიანების საკითხი ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ დაისმებოდა.[121] ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების შექმნა ტერიტორიული გამიჯვნის გადაწყვეტასაც საჭიროებდა. იგი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საკითხის ადგილიდან დაძვრისთანავე, საქართველოსადმი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული პრეტენზიები წინა პლანზე მაშინვე წამოიწეოდა. ამიტომ, გამორიცხული არ იყო, რომ ეს ფაქტორი ამიერკავკასიის ერების ურთიერთდაპირისპირების საფუძველი გამხდარიყო. ამის რეალურ საშიშროებაზე მიუთითებდა არნჯაჯანაშვილი გაზეთ "სახალხო საქმეში" დაბეჭდილ სტატიაში "ამიერკავკასიის ავტონომია."[122]

თურქეთთან არსებული საომარი სიტუაციის ფონზე რეგიონის შიდასახელმწიფოებრივი დაპირისპირება, ამიერკავკასიის თითოეული ერისათვის იმ ეტაპზე დამლუპველი აღმოჩნდებოდა. ამ შემთხვევაში მოგებული მხოლოდ თურქული მხარე იქნებოდა. საფიქრებელია, რომ საქართველოს ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად გამოცხადებაზე ქართული სოციალ- დემოკრატიის ლიდერთა თავშეკავება ამ ფაქტთაც იყო განპირობებული. გამოსავალი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრივი სუბიექტის შექმნის ოფიციალურად გამოცხადება იმ ეტაპზე საზღვრების ჩვენების გარეშე მომხდარიყო. სამწუხაროდ, ქართული სოციალ- დემოკრატიის ლიდერები, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ გზით არ წავიდნენ.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის საკითხთან მიმართებაში ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა შორის გამართულმა დისკუსიამ დაადასტურა, რომ 1)ამიერკავკასიის ფედერაცია და მისი ფედერალური მმართველობა, პირველ რიგში ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ეროვნულ- ტერიტორიულ პოლიტიკურ ავტონომიებს უნდა დაყრდნობოდა. მეორე მხრივ, აღნიშნულ ავტონომიათა საკანონმდებლო ბაზა- კერძოდ კონსტიტუცია, ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების კანონშემოქმედებით საქმიანობას უნდა დადებოდა საფუძვლად; 2)ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს უფლებამოსილებაზე სოციალ- დემოკრატიის პროექტი, ეროვნულ- დემოკრატებისა და სოციალისტ- ფედერალისტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა იმ ელემენტარული მიზეზების გამო, რომ მისი პრაქტიკულად რეალიზაცია ფედერაციის შემადგენელი ავტონომიური ერთეულების საკანონმდებლო ორგანოების უფლებების იგნორირებას ახდენდა. რამდენადაც ისინი პოლიტიკურ ელიტას უკეთეს ალტერნატივას ვერ სთავაზობდნენ, ამ ფონზე, ეროვნულ-

დემოკრატების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დაყენება სავსებით კანონზომიერად მოჩანს.

* * *

ტერიტორიულ საკითხში ამიერკავკასიის ერების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) შინაგანი დაპირისპირება, ოსმალეთის იმპერიული მისწრაფებების აღსრულების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა. ქართული მიწების მიტაცების მეოცნებე სომხური და აზერბაიჯანული პოლიტიკური ელიტის მესვეურები, ძალთა გაერთიანებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ, რადგან ეს პროცედურა, ქართველთა წინააღმდეგ ნაფიქრებული ვერაგული გეგმის ხელშემშლელად ესახებოდათ. არადა, არსებული პოლიტიკური სინამდვილე– თურქული აგრესიის გარდუვალობა ამიერკავკასიის ერებს, განსაკუთრებით სომხებსა და ქართველებს, ტერიტორიების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აყენებდა. ამ მიზეზ დარტყმის მოსალოდნელი შედეგები ქართულ მხარეს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული და ამ საქმეში ბოლშევიკური რუსეთის განსაკუთრებულ როლსაც ხედავდნენ. ამის შესახებ გაზეთი "ერთობა" სტატიაში "ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა" მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა, რომ ბოლშევიკურ მთავრობას ამიერკავკასიის სხეულის ორად გაჭრა და თავისი ბატონობის შენარჩუნების მიზნით ოსმალეთისათვის ბათუმის, ყარსისა და არდაგანის გადაცემა ჰქონდა განზრახული.[123] შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, იგივე გაზეთი ადექვატური ნაბიჯის გადასადგმელად, ძალთა გაერთიანებისა და ოსმალეთისადმი დაპირისპირების საკითხს აყენებდა. სამწუხაროდ, აღნიშნულ სტატიაში არაფერი იყო ნათქვამი, თუ რამდენად რეალური იქნებოდა ქართულ– სომხურ– აზერბაიჯანული ერთობლივი სამხედრო შენაერთებით თურქეთის მხრიდან საპრეტენზიოდ ქცეული –ბათუმის, ყარსისა და არდაგანის შენარჩუნება. არსებული რეალობა, პრობლემისადმი სულ სხვა კუთხით მიდგომას საჭიროებდა. აუცილებელი გახდა შესაბამისი ალტერნატიული მექანიზმის შემუშავება და დროული გადაწყვეტილების მიღება. ასეთ რთულ სიტუაციაში მყოფი რეგიონისათვის პოლიტიკურ აზრთა დაპირისპირება ნაკლები შედეგის მომტანი იყო, მითუმეტეს, თუკი დაპირისპირებული მხარეები საზოგადოებას დასაბუთებული ფორმით გამოსაყალ საშუალებებს ვერ სთავაზობდნენ. ამ მხრივ, ჩვენს ყურადღებას ა.ასათიანის ვრცელი სტატიის "ეროვნული პოლიტიკა" მესამე წერილი იქცევს. იგი ქართულ სოციალ– დემოკრატიას (მენშევიკები) "რუსეთის დემოკრატიის" მემკვიდრეობისაგან განთავისუფლებასა და ეროვნული პოლიტიკისაკენ შემობრუნებას ურჩევდა. იმავდროულად, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დროულად გამოუცხადებლობას საყვედურობდა, მაგრამ, გვერდს

უელიდა იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც 1)ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და მის უსაფრთხოებას უსრულყოფდა. მხედველობაში გვაქვს შეიარაღებული ძალა. ამ მხრივ, ამიერკავკასიის ერები უსუსურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ; 2)ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება მარტო ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკები) პრეროგატივას არ წარმოადგენდა. შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად სამივე ერის (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) შეთანხმება და კოორდინირებული მოქმედება იყო საჭირო. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, ამ ერებს შორის შინაგანი დაპირისპირება მძლავრობდა. ორივე ფაქტორი საბჭოთა რუსეთისათვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომ, ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების მეშვეობით მის გამოყენებას მაქსიმალურად ცდილობდა. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კ.ნხუი

პარტიის ლიდერები ქართველ სოციალ- დემოკრატებსა და ამიერკავკასიის მთავრობას ბრესტის ხელშეკრულების უარყოფაში და თვით ამ საზავო კონფერენციაში მონაწილეობაზე უარის თქმაში ადანაშაულებდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით ა.ასათიანის პუბლიკაცია "ეროვნული პოლიტიკა" (ნაწილი I)[125] და ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 ივნისის სხდომაზე ი.მაჭავარიანის გამოსვლა გამოირჩევა.[126] ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იგივე ი.მაჭავარიანი, არა მარტო ბრესტში წაუსვლელობაზე გამოთქვამდა გულისწყრომას, არამედ, ბათუმისა და სრულიად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაკარგვის ბრალდებას სოციალ- დემოკრატებს უყენებდა. მისი მტკიცებით, "ბათუმი და მასთან სამაჰმადიანო საქართველო... დაკარგეთ... მხოლოდ მომენტის შეუგნებლობით, დაკარგეთ იმის გამო, რომ ჩვენს თავზე კი არ ეხრუნავდით, საქართველოს კი არ ვანთავისუფლებდით, არამედ უპირველეს ყოვლისა ვანთავისუფლებდით ოსმალეთის სომხებს,... ამიერკავკასიის სომხებისათვის და ასერბაიჯანისათვის... ვებღაუჭებოდით იმ მომენტში... განუხორციელებელ ამიერკავკასიის ერთი მთლიანი სახელმწიფოს იდეას."[127]

აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, ი.მაჭავარიანმა, ქართული სოციალ- დემოკრატიის ლიდერებს მძიმე ბრალდება წაუყენა. ამ შემთხვევაში პირველ რიგშია გასათვალისწინებელი, რომ ზემოაღნიშნული პრეტენზიები განვლილი პოლიტიკური პროცესების, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ იქნა გამოთქმული და იგი 1918 წლის 16 ივნისამდე გატარებული პოლიტიკური კურსის შეჯამების მცდელობას შეიცავდა. იმის გასარკვევად, თუ რამდენად ობიექტური იყო ი.მაჭავარიანის მხრიდან მხოლოდ სოციალ- დემოკრატების დადანაშაულება, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: 1)არსებობდა თუ არა ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში წაუსვლელობის განმაპირობებელი ფაქტორები და რა პოზიცია ეჭირა ამ საკითხთან დამოკიდებულებაში თავის დროზე ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ლიდერებს; 2)ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ძირითადი სამოქმედო დებულებების შემუშავებისა და დამტკიცების მომენტში, რა დამოკიდებულება გამოავლინეს ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა; 3)ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ძირითადი ბირთვი უჭერდა თუ არა მხარს ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნასა და მის დამოუკიდებლად გამოცხადებას.

რაც შეეხება პირველ საკითხს- 1)ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში წაუსვლელობას, ამ ფაქტის შეფასებაში ქართული ისტორიოგრაფიაში არაერთგვარი შეხედულებაა გამოთქმული. ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ბრესტ- ლიტოვსკის კონფერენციის იგნორირებას პროფ. მ.სვანიძე შეცდომად მიიჩნევდა[128] იმ თვალსაზრისით, რომ

ამ გარემოებით თურქეთს თავისი მოთხოვნის "კანონზომიერებაში" გერმანიისა და მისი მოკავშირეების დარწმუნების შესაძლებლობა მიეცა.[129] მისივე თქმით, ამიერკავკასიის მთავრობას უკიდურეს შემთხვევაში უკრაინის მსგავსად კონფერენციაზე წარმომადგენლები მეთვალყურის სტატუსით მაინც უნდა გაეგზავნა.[130] ამიერკავკასიის დელეგაციას ამ ფორმანტშიაც რომ ემოქმედა, პრობლემის შემობრუნებას თავის სასარგებლოდ ვერ შეძლებდა თუნდაც იმ ელემენტარული მი'ზეზის გამო, რომ ბრესტში მისული გერმანიის წარმომადგენლობა თურქეთთან წინასწარ შეთანხმებული და და'ზუსტებული სქემით მოქმედებდა. აღნი'შნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის დოკუმენტებ'ზე დაყრდნობით ჩვენ მიერ გამოთქმული იქნა მოსა'ზრება, რომ გერმანიას წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, გამარჯვებული სახელმწიფოს მდგომარეობაში მეოფ თურქეთს, ტერიტორიული პრეტენ'ზიების დაკმაყოფილებაში დახმარებოდა. აღნი'შნულის გათვალის'წინებით, ბრესტში ჩასული ამიერკავკასიის დელეგაცია კო'საკის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან, "ეკომპრომისო ბრძოლა უძლიერეს სახელმწიფოთა შორის ტერიტორიების გადასანაწილებლად მიმდინარეობდა და ამიერკავკასიის დელეგაციას მხოლოდ "დამადასტურებლის "ეფლეტ ბებს" უტოვებდნენ.[131] ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების თურქეთისადმი გადაცემის წინასწარი სამ'ზადისი გერმანიის მხრიდან ბრესტის საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე რომ მიმდინარეობდა, ეს კარგად ჩანს ოულაი დურანის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან, რომლის ქართული თარგმანის პუბლიკაცია რეკვრელი'შეილმა განახორციელა. ამ მასალების მიხედვით, ტერიტორიების "დაბრუნების" საკითხში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ კიულმანი, გერმანიის მოკავშირე თურქეთს ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამდა[132] და იმასაც დასძენდა, რომ "თუ თქვენ ამ ტერიტორიებს მიიერთებთ, ჩვენც ქმაყოფილები დავრჩებითო."[133] ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მცირეაზიაში ინგლისთან დამარცხებული და ტერიტორიებდაკარგული ოსმალეთი იმ ეტაპზე კომპენსაციის მიღებას ამიერკავკასიის ერების ხარჯზე ცდილობდა. მისი სურვილის აღსრულება, მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესებიდან– კერძოდ, ინგლის –ოსმალეთს შორის შესაძლო გარიგების თავიდან ასაცილებლად, გარკვეულწილად გერმანიის ინტერესებშიაც შედიოდა. ამას თავის მოგონებებში ლუდენდორფიც აღასტურებდა. "ჩვენთვის (ოსმალთა) სურვილები– წერდა იგი–უმნიშვნელო იყო. მათი განხორციელება შეეფერებოდა ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობასაც."[134]

თუკი ყოველივეს გავითვალის'წინებთ, ამიერკავკასიის წარმომადგენლების ბრესტში გაგზავნა ფორმალური თვალსაზრისითაც კი უშედეგო აღმოჩნდებოდა. როცა აღნიშნულ საკითხს ვეხებით, ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანს'ზე უნდა იქნას გადატანილი. მხედველო-

ბაში გეაქვს ტერიტორიების მეზობელი ოსმალეთისათვის გადაცემასთან დაკავშირებით შედგენილ ოქმზე ამიერკავკასიის წარმომადგენლობის მხრიდან ხელის მოუწერლობა. ეს ფაქტი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ბრესტის საზავო ხელშეკრულების მეოთხე და იმავე ხელშეკრულების დამატებითი ნაწილის მეორე მუხლებს კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებდა. რამდენადაც ამიერკავკასიის ერების ისტორიული ტერიტორიების მეზობელი სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა ამ ერების წარმომადგენლობის გარეშე, საბჭოთა რუსეთის დელეგაციის ცალმხრივი თანხმობითა და ხელშეკრულებაზე მათივე ხელმოწერით მოხდა, ბრესტის საზავო ხელშეკრულების შესაბამისი მუხლებით ოსმალეთისათვის გადაცემული ტერიტორიები საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში არ თავსდებოდა. მითუმეტეს, ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი საბჭოთა ხელისუფლებას არ ცნობდა, ხოლო სეიმის მიერ მიღებული დოკუმენტით ბრესტის საზავო ხელშეკრულება ოფიციალურად იყო უარყოფილი. ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ოსმალეთის ხელისუფლება ტერიტორიების საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტილად არ თვლიდა. ამიტომ: ა)ბრესტის საზავო ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ტერიტორიების ოსმალეთისათვის გადაცემის სამართლებრივად დადასტურება, ოსმალეთი ჯერ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის საზავო დელეგაციისა და მთავრობისაგან, ხოლო სიტუაციის ცვალებადობიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმომადგენლობისაგან შესაბამისი ხელშეკრულებით მოითხოვდა. ბ)ბათუმის საზავო ხელშეკრულების (მასში ბრესტის საზავო ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ტერიტორიები უცვლელად იყო შეტანილი) რატიფიკაციის დაჩქარების საკითხი ოსმალეთის ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობის წინაშე კატეგორიული ფორმით რამდენჯერმე დააყენა. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების მოსურნე ოსმალეთის ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ბრესტის საზავო ხელშეკრულების ფარგლებში სამართლებრივად დაკანონება მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი შესაბამის იურიდიულ დოკუმენტზე საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლობის ხელმოწერა აღმოჩნდებოდა და მას ქართველი ერის საკანონმდებლო ორგანო გაუკეთებდა რატიფიკაციას.

რაც შეეხება ქართული პოლიტიკური აზრის პოზიციას აღნიშნულ საკითხში, იმ ეტაპზე კონსესუსის სახეს ატარებდა. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 და 16 თებერვლის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები წარმოადგენს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ნ.ჟორდანიას მოხსენებაში, თურქეთთან დაუყოვნებლივი

ზავის დადების აუცილებლობასთან ერთად, კატეგორიული ფორმით იყო უარყოფილი თურქეთის მიერ წამოყენებული ის წინასწარი საზავო პირობები, რომელზედაც საბჭოთა რუსეთი თანხმობას აცხადებდა და რომლის შესახებაც ამიერკავკასიის კომისარიატი საქმის კურსში ჩააყენა. "ისეთ ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვთავაზობენ –ამბობდა ნ.ჟორდანია– ჩვენ ხელს არ მოვაწერთ, უმჯობესია ადგილზევე დავიხოცოთ, ვინემ თავი მივცეთ შთამომაველობას წყევლა– კრულვისათვის." ნ.ჟორდანიასეული ეს პათოსი, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომის მონაწილეებმაც (მათ შორის ეროვნულ–დემოკრატებმაც) გაიზიარეს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომაზე, თურქეთთან ზავის შესახებ აკაჩხენკელის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში, ოსმალეთთან 1914 წლის ომამდელი საზღვრების შენარჩუნების აუცილებლობაზე იყო ყურადღება გადატანილი.[135] პრობლემის ამ ფორმით დასმამ ეროვნული საბჭოს წევრთა ერთსულოვანი მხარდაჭერა განაპირობა. არცერთ მათგანს ბრესტში დელეგაციის გაგზავნის საკითხი არ დაუყენებია, პირიქით, ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმის მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს მხარდაჭერას უცხადებდნენ. ამის შესახებ იმავე ეროვნული საბჭოს სხდომაზე, ნ.ჟორდანია, ეროვნულ–დემოკრატების მისამართით აცხადებდა: "ჩვენ არ შეგვეძლო წასვლა ბრესტში, რადგან ფრონტზე დიდი ჯარი იდგა. მე მახსოვს, რომ თვით ეროვნულ– დემოკრატი გამარჯველი მომხრე იყო ამ პოლიტიკის."[136] ნ.ჟორდანიას ეს საპასუხო განცხადება, ეროვნულ– დემოკრატებმა უპასუხოდ დატოვეს, რადგან იგი სიმართლეს შეესაბამებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში გაგზავნის საკითხის გადაწყვეტა, მარტო ქართველი სოციალ–დემოკრატების პრეროგატივას არ წარმოადგენდა. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯის გადასადგმელად ამიერკავკასიის სეიმის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული პოლიტიკური ძალების წინასწარი შეთანხმება, კონსესუსზე დაფუძნებული ერთიანი სამოქმედო გეგმის მიღება იყო საჭირო. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმის არცერთ პოლიტიკურ ძალასა და ფრაქციას, დღის წესრიგში ეს საკითხი თავის დროზე არ დაუყენებია.

2)რაც შეეხება ი.მაჭავარიანის მეორე ბრალდებას– ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგაციის მხრიდან "ოსმალეთის სომხების განთავისუფლებისათვის" თავგამოდებას, შემთხვევითი არ იყო. საზავო დელეგაციის ასეთ პოზიციას, წინასწარ შემუშავებული და სეიმის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა განსაზღვრავდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 16 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში იქცევს. მასში გარკვევითაა მითითებული, რომ თურქეთ-

თან საზავო მოლაპარაკებისათვის შესაბამისი მიმართულებები, სეიმის მიერ არსებული და დამტკიცებული საგანგებო კომისიის მიერ იქნა შემუშავებული. მისი ძირითადი დებულებები სეიმის იმავე სხდომის მონაწილეებს ნ.რამიშვილმა გააცნო. ამ დოკუმენტის მიხედვით, 1)ამიერკავკასიის სეიმი უფლებამოსილი იყო ოსმალეთთან მუდმივი ზავი დაედო. 2)საზავო ხელშეკრულებას რუსეთ– ოსმალეთს შორის 1914 წელს არსებული სახელმწიფო საზღვარი უნდა დადებოდა საფუძვლად. 3)დელეგაციას, აღმოსავლეთი ანატოლიის ერებისათვის თვითგამორკვევის უფლება, კერძოდ, ოსმალეთის შემადგენლობაში "ოსმალეთის სომხეთისათვის" ავტონომია უნდა მოეთხოვა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გ.გვაზავამ წინადადება შეიტანა, რომ აღნიშნული მუხლი შემდეგი ფორმულირებით– "ოსმალეთის სომხეთს და ოსმალეთის საქართველოს (ლაზისტანს) მიეცეს" ავტონომია– ყოფილიყო წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით ნ.რამიშვილის პასუხი შემდეგში მდგომარეობდა: "ამ შესწორების შეტანის წინააღმდეგნი ვართ არა პრინციპული მოსაზრებით, არამედ იმიტომ,რომ თვით ლაზებისაგან ამის შესახებ დასტური არ მიგვიღია."[137] ეს განმარტება საკვლევით მისაღები აღმოჩნდა გ.გვაზავასათვის, რომ მას თავისი შესწორება მოეხსნა. რაც შეეხება წარმოდგენილ დებულებას, სეიმის იმავე სხდომამ უცვლელად დაამტკიცა. სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მოქმედებდა ტრაპიზონში ჩასული ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია.

3)ამიერკავკასიის ერთიანი მთლიანი სახელმწიფოს განუხორციელებელი იდეისადმი, მხოლოდ სოციალ– დემოკრატების "ზაბღაუჭების" ი.მაჭავარიანისეულ მესამე პრეტენზიაზე უნდა განვაცხადოთ, რომ ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს– სეიმის მოწვევას, იმავე სახელმწიფოს ძლიერი მთავრობის შექმნასა და თვით ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას თავის დროზე, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული ეროვნულ– დემოკრატებიც უჭერდნენ მხარს იმ მოტივით, რომ მას გარდამავალი პერიოდის აუცილებლობად მიიჩნევდნენ. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას ისინი თურქეთთან ღირსეული საზავო ხელშეკრულების შესაძლო მიღწევასა და ამიერკავკასიის ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის გადაწყვეტას უკავშირებდნენ. მეორე მხრივ, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ტრაპიზონის საზავო კონფერენციის პირველივე სხდომაზე, ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ რაუფ ბეიმ, ამიერკავკასიის დელეგაციის წინაშე პრინციპულად დააყენა საკითხი– კონფერენციისათვის წარედგინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციის შესახებ შესაბამისი დეკლარაცია, პასუხი გაეცათ კითხვაზე, არსებობდა თუ არა ყველა ის პირობა, რომელიც საერთაშორისო სამართლის

წესით სახელმწიფოსათვის იყო საჭირო.[138] ეს იმას ნიშნავდა, რომ თურქეთი, ამიერკავკასიის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივად არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტს ითხოვდა. ესე იგი, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს არსებობით თურქეთიც იყო დაინტერესებული.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები და მისი ანალიზი ცხადყოფს, რომ 1918 წლის დასაწყისში დაშვებული ზოგიერთი პოლიტიკური შეცდომა, ძირითადად ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი მიმდინარე რთული პროცესებით იყო განპირობებული. ამიტომ, ამ საკითხში პასუხისმგებლობის სიმძიმე, იმ ეტაპზე მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას მეტნაკლები დოზით უნდა დაეკისროს და იგი, მხოლოდ ქართული სოციალ- დემოკრატიის "კუთვნილებად" არ უნდა გამოცხადდეს.

რამდენადაც ამიერკავკასიის ფედერაციულ- დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ერთ- ერთ საფუძველს, ერთიანი ძალებით თურქეთისადმი დაპირისპირება წარმოადგენდა, ქართული პოლიტიკური ასპრის მესაჭეებს- განსაკუთრებით სოციალ- დემოკრატებს ეგონათ, რომ საზავო მოლაპარაკების მიზნით, ტრაპიზონში გაგზავნილი დელეგაციის წევრები წინასწარ შეთანხმებულ ერთობას ბოლომდე შეინარჩუნებდნენ. ეს ოპტიმიზმი, ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 16 თებერვლის სხდომაზე ნ.რამიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენებიდანაც კარგად ჩანს. "რა ძალა იქნება ის ძალა, რომელსაც დაეყრდნობა ჩვენი დელეგაცია?" სვამდა კითხვას ნ.რამიშვილი და იქვე პასუხობდა: "ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის ერთი უძლეველი ძალა, რომელსაც ქვეყიან ხალხთა ერთობა და რომელსაც ჩვენ დაეყრდნობით, და თუ ჩვენ აქ, ამიერკავკასიის სეიმში მოვახერხეთ ერთი ენით ამეტყველება, მაშინ ჩვენს დელეგაციას ისეთი ძალა ექნება, რომელსაც ყველა ანგარიშს გაუწევს."[139]

მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, სამწუხაროდ, ნ.რამიშვილის იმედები არ გაამართლა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან სხვისი ტერიტორიების მიტაცების დაუოკებელი მიზნის მქონე მეზობელი ერების პოლიტიკურ მეთაურებთან საერთო ენის გამოძებნა წარმოუდგენელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული შინაგანი წინააღმდეგობა წინა პლანზე წამოწეულიყო და იგი ურთიერთდაპირისპირების ერთ- ერთი საფუძველი გამხდარიყო. მეორე მხრივ, არსებითი მნიშვნელობა აზერბაიჯანული და თურქული მოსახლეობის გენეტიკური და რელიგიური ნათესაობის ფაქტორსაც ენიჭებოდა. ამიერკავკასიის ერებს შორის არსებულმა შინაგანმა დაპირისპირებამ, ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დაწყებისთანავე იჩინა თავი. ამის შესახებ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მეთაური, ქართული სოციალ- დემოკრატიული პარტიის ერთ- ერთი ლიდერთაგანი აკჩხენკელიც მიუთითებდა.

მისიას თქმით, ტრაპიზონში ჩასული დელეგაცია, მაიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იმის გამო, რომ "ოფიციალური დელეგაციის გარდა იქ გაჩნდნენ სხვადასხვა დელეგაციები მუსლიმანებისა, რომლებიც ოფიციალური დელეგაციის დამოუკიდებლად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. ამ გარემოებამ— ამბობდა აკჩხენკელი— ჩვენი დელეგაციის ავტორიტეტი დასცა, როგორც ოსმალეთის, ისე ოთხთა კავშირის თვალშიაც. მსოფლიოში ჯერ ამის მსგავსი მაგალითი არ ყოფილა."[140]

აღნიშნული ფაქტი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა უმეტესობამ დროულად ვერ შეაფასა აზერბაიჯანელთა პროოსმალური ორიენტაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რის გამოც მის დაბლოკვას ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნითა და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეეცადა. ამის აღიარება ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 26 მაისის სხდომაზე ირ.წერეთელს მოუხდა. "ჩვენ— ამბობდა ირ.წერეთელი— ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადების დღეს, მთელს იმედებს ვამყარებდით იმაზე, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩაეკალით ერთიმეორის მოწინააღმდეგე ინტერესები ამიერკავკასიის ერთა შორის. ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, ჩვენ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს იმედები დაიმსხვრა. შემაერთებელი ძალები უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე გამოიშველი. ოსმალთა მოახლოებამ გააძლიერა მუსლიმანთა მისწრაფება ოსმალეთისაკენ."[141] აღნიშნული ტენდენცია, როგორც შესაბამისი მასალებიდან ირკვევა, აზერბაიჯანელთა მხრიდან ღალატში გადაიზარდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი "ერთობა" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში— "საქართველოს დამოუკიდებლობა" ხასგასმით წერდა: "მუსლიმანობამ არა თუ გაგეიწია დახმარება ოსმალეთთან ბრძოლაში, პირიქით, მან აშკარა მოღალატური მოქმედება დაიწყო ჩვენს წინააღმდეგ და ოსმალეთის ჯარს ამიერკავკასიის საზღვრებში შემოუძღვა. იმავე დროს, ეს მუსლიმანობა ებრძოდა ჩვენს ჯარს, უნგრევდა რკინის გზებს, აფეთქებდა ხიდებს და სხვ."[142]

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში მეოფი აზერბაიჯანის მმართველი პოლიტიკური პარტიის "მუსავათის" წარმომადგენლები, მუსლიმანთა არალეგიტიმური დელეგაციის ყოველგვარ ქმედებასთან მიმართებაში დუმილს ამჯობინებდნენ. აღნიშნულმა ფაქტორმა უდიდესი ხელშემშლელის როლი შეასრულა აკჩხენკელის დელეგაციის თუგინდ მცირეოდენი წარმატების მიღწევის საქმეშიაც კი. მიმდინარე მოვლენებმა, ამიერკავკასიის ერების საერთო ნიადაგზე დგომისა და ერთობის შესახებ არსებული წარმოდგენა ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს ნამსხვრევებად უქცია. რამდენადაც, ამიერკავკასიის დაცვის საკითხის მოგვარება დიპლომატიურ სფეროში და ბრძოლის ველზე ქართველობას დააწვა კისერზე, ადექვატური ნაბიჯის გადადგმა აუცილებლობას

წარმოადგენდა. ამ საკითხში ქართული პოლიტიკური აზრი ამიერკავკასიის ერთიანობის ადრინდელ თვალსაზრისს გაეზიარა და ერთადერთ გამოსავალ საშუალებად თავისი თავის პატრონობა აღიარა. დასახელი მიზნის განხორციელების რეალურ გზას, ამიერკავკასიის ტერიტორიულ გადამიჯვნაში და მის ფარგლებში პასუხისმგებელი ეროვნული მთავრობის ფუნქციონირებაში ხედავდნენ. მითუმეტეს, როგორც გაზეთი "ერთობა" წერდა, ღალატის გამო "საქართველოს დემოკრატიას არ შეეძლო... ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რადგან ეს მის ძალებს აღემატებოდა."[143] შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი გზა, მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებაში მდგომარეობდა.

ამრიგად: 1)საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბრესტის საზავო ხელშეკრულების უღიარებლობის გამო, ეროვნულ– დემოკრატების მხრიდან მხოლოდ სოციალ– დემოკრატების დადანაშაულება არაკორექტული იყო იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომის მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი (მათ შორის ეროვნულ– დემოკრატებიც) ოსმალეთის მიერ წამოყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებს უარყოფდნენ და 1914 წლის ომამდელი საზღვრების ფარგლებში მოითხოვდნენ საკითხის განხილვას; 2)ამიერკავკასიის ერთა შორის დაპირისპირებამ, ერთიანობის მაღალ შეგნებას გადაწონა და მტრისადმი (ოსმალეთისადმი) გაერთიანებული ძალებით წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის ილუზიების მსხვრევა დააჩქარა. ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებამ აშკარად წარმოაჩინა აზერბაიჯანელთა პროოსმალური ორიენტაცია და ის ღალატი, რომელიც განსაცდელში მყოფი საქართველოსთან ჩაიდინა. აღნიშნულმა ფაქტორმა ერთიანი ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნისა და ძალთა კონსოლიდაციის საფუძველზე მტრისადმი დაპირისპირების შესაძლო იდეა ნამსხვრევებად აქცია. ქართველი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ განსაცდელის ჟამს მყოფი ქართველი ერი მეზობელი ერების კეთილი ნების გამოხატვის იმედს არასოდეს არ უნდა დაყრდნობოდა და გადარჩენის გზები მხოლოდ საკუთარ თავში ეძებნა.

თავი IV

საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან მიმართებაში, ქართული პოლიტიკური აზრის ევოლუციაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუკი 1917 წლის დეკემბრის ნათელით მათი მსოფლმხედველობა დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიითა და მისი უფლებების განსაზღვრით შემოიფარგლებოდა, 1918 წლის იანვრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს აყენებდნენ. ამ შემთხვევაში, ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთი ლიდერის გ.გვა'ასავის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 2 იანვრის სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაყენება[1] გვაქვს მხედველობაში.

ნიშანდობლიეა, რომ ეს საკითხი მთელი პრინციპულობით იქნა დასმული ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე (1918 წლის იანვარი), გ.გვასავის, გრ.ყეშაპელისა და გ.ქიქოძის მოხსენებების საფუძველ'ზე მიღებულ რეზოლუციაში. ამ დოკუმენტში გამოკვეთილი ფორმით იქნა მითითებული, რომ "სუვერენობა საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის საქართველოს ერს; საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას; დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს საქართველოს დროებითი მთავრობა,რომელიც შეკრებს ლაშქარს და ფინანსებს, დაიცავს ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს ზავის ნამოგდების დროს და მოიწვევს საქართველოს დამფუძნებელ კრებას. საქართველოს მთავრობის ორგანიზაცია და ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს მთელი ერის სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით."[2]

აღნიშნული დოკუმენტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეროვნულ– დემოკრატებმა, თავიანთი საქმიანობის უპირველეს ამოცანად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიღწევასთან ერთად, ეროვნული საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის შექმნა დაისახეს. ეს პოზიცია, ეროვნულ– დემოკრატთა 1918 წლის 5 თებერვლის მიტინგ'ზე გ.გვასავის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში კიდევ უფრო გაღრმავებული ფორმით იქნა ნამოყალიბებული. იგი საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების აუცილებლობაზე მიუთითებდა.[3] ამ მოთხოვნასთან ერთად, გ.ვასავა განსაკუთრებულ პოლიტიკურ

სიფრთხილეს ინენდა და ანგარიშს უწევდა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომლის ხელშიაც იმ ეტაპზე პოლიტიკური ძალაუფლება იყო. ამ ფაქტორის გათვალისწინებით იგი თანაპარტიელებს შეახსენებდა თუ რა მძიმე შედეგი შეიძლებოდა მოყოლოდა პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსულობასა და ერთიერთდაპირისპირებას.[4] ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ გგვაზავას სიღრმისეულად ჰქონდა გაცნობიერებული ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი რთული სიტუაცია. ამ შემთხვევაში იგი ქვეყნის გადარჩენის რეალურ გზას, პოლიტიკურ ძალთა ერთობაში ხედავდა და მის შესანარჩუნებლად პარტიული ინტერესების უკანა პლანზე გადატანა აუცილებლობად მიაჩნდა. ასეთი პოზიციის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ეროვნულ –დემოკრატების პრიორიტეტულ მოთხოვნად რჩებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს საკითხი მათი მხრიდან მთელი პრინციპულობით ეროვნული საბჭოს 1918 წლის 12 მაისის სხდომაზედაც იქნა დასმული. მხედველობაში გვაქვს იმავე გ.გვაზავას მიერ ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის დადგენილების– საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა და გადამწყვეტი ძალაუფლებით აღჭურვილი საკანონმდებლო ორგანოს– პარლამენტის შექმნის აუცილებლობის მოთხოვნა.[5] ანალოგიური თვალსაზრისი განაცხადა ეროვნული საბჭოს 14 მაისის სხდომაზე რ.გაბაშვილმა, მ.მაჩაბელმა და შ.ქარუმიძემ.[6]

პრობლემის ასეთი რადიკალური ფორმით დასმის მიუხედავად, იმავე ეროვნულ– დემოკრატებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ იმ მძიმე პოლიტიკური სიტუაციის ფონზე ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მითუმეტეს, საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოსმალეთს ქონდა დაკავებული, ხოლო ზოგიერთი განაპირა მხარე საქართველოსაგან განცალკევებას ცდილობდა. სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებდა გაზეთი "საქართველო", როდესაც მოწინავე სტატიაში- "საქართველოს კონსტიტუცია"- წერდა: "საქართველოს ეროვნული სხეული არ არის გაერთიანებული და შედუღებული. ის ერთმანეთთან მებრძოლი პარტიებისა, წოდებებისა და კლასებისაგან შედგება და როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა ასე დაიქსაქსა და დაიშალა,... დიდ სიძნელეს წარმოადგენს მთელი საქართველოს თავის მოყრა, შეერთება და ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად გადაქცევა. ასეთ პირობებში ძნელია საქართველოს თავისუფლების აშენება ისე, როგორც ამას ქართველი ხალხის ინტერესები მოითხოვს." ამ შემთხვევაში, გაზეთი გამოსავალს მხოლოდ ეროვნული ძალების გაერთიანებაში ხედავდა. მისი მტკიცებით, თუკი ამ ნაბიჯის გადადგმა მოხდებოდა, დამოუკიდებელი და თავისუფალი პოლიტიკური წყობილებით უზრუნველყოფილი ქართველი ერი შეუფერხებლად შეძლებდა ეკონომიკისა

და კულტურის ზრდა— განვითარებას.[7] იგივე სტატია გვერდს უელიდა უაღრესად აქტუალურ საკითხს; კერძოდ, იმ ეტაპზე გაანალიზა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოს შენების რეალური შესაძლებლობა. ამ კითხვასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება ეროვნულ— დემოკრატმა ალ.ასათიანმა გამოთქვა სტატიაში -"გერმანიის მფარველობა." მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზით, ქვეყნის მომავალ ბედს იგი ხელმძღვანელ პოლიტიკურ ძალთა მხნეობას, გამბედაობასა და გამჭრიახობას უკავშირებდა. "მათმა შემცდარმა ნაბიჯმა— წერდა ალ.ასათიანი— შესაძლოა დიდი ხნით დაუსშოს ქართველ ერს ეროვნული აღორძინებისა და განვითარების გზები. მათ მიერ სწორად აღებულმა პოლიტიკურმა გეზმა კი იქნებ სამუდამოდ უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული არსებობა და მისი ეკონომიკურ— პოლიტიკური აზრთა— განვითარება." რამდენადაც ალ.ასათიანი ქვეყნის მომავალს, პოლიტიკური მოღვაწის სწორად გააზრებულ გადაწყვეტილებებს უკავშირებდა, ნებისმიერ საბედისწერო შეცდომას დასახული მიზნის შეფერხებად თვლიდა. აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური ელიტისაგან პრინციპულად მოითხოვდა: მიუდგომელი პოზიციიდან მოეხდინათ შინაური და გარეშე ძალების შეფასება და რაც მთავარია, უკუეგდოთ ვიწრო ჯგუფური და პარტიული ინტერესები. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იყო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო იმ ეტაპზე გარდუვალი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. მხედველობაში გვაქვს მეზობელი სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით შემოჭრისა და დამკვიდრების მცდელობის ფაქტები. ასეთ რთულ სიტუაციაში მყოფი საქართველოს დამოუკიდებლობა ალ.ასათიანს უპერსპექტივოდ ესახებოდა. ანალოგიური პოზიცია ეჭირა მას საკისა და საზღვრების უსაფრთხოების გარანტიის შექმნის უზრუნველყოფაშიაც. თავისი პოზიციის დაცვის მიზნით, იგი ოპონენტთა მისამართით კითხვას შემდეგი ფორმით სვამდა: "შეგვწევს თუ არა ძალა და საშუალება... ამჟამად იდეალურად მინნეულ პირობებში შეექმნათ საკუთარი ნამდვილი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და უზრუნველეყოთ ჩვენი ერის თავისუფალი განვითარება?" მისი აზრით, აღნიშნულ კითხვაზე გულწრფელი და გაბედული პასუხის გაცემა ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის მოვალეობას შეადგენდა. რაც შეეხება თვით ალ.ასათიანს, "გულწრფელი პასუხი— წერდა იგი— შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი— არა!"[8]

იმ ფონზე, როცა ეროვნულ— დემოკრატიული პარტიის ლიდერების უმეტესობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაბეჯითებით მოითხოვდა და ამ საქმეში სოციალ— დემოკრატებს (მენშევიკებს) "აუჩქარებლობაში" დებდა ბრალს, ალ.ასათიანის ზემოაღნიშნულ განცხადებას ეროვნულ— დემოკრატთა შეხედულებების ერთიანობა-

ში გარკვეული დისონანსი შეიქმნება. მიუხედავად ამისა, ალ.ასათიანი სიმართლის თქმას არ გაურბოდა და თავისი პოზიციის სასარგებლოდ შემდეგ არგუმენტს იშველიებდა: 1)ალ.ასათიანის აზრით, ბუშმენების, ჰოტენტოტებისა და ბოლშევიკური რუსეთის მსგავსი, თუკიდ დაბუკოლ-ბელი სახელმწიფოს შექმნა ქართველებისათვის მიუღებელი იყო; 2)თავისუფალი სახელმწიფოს არსებობა ამა თუ იმ ერისათვის მისაღებად მიაჩნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაცული იქნებოდა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება, მოქალაქეობრივი თანასწორობა, თავისუფლება, ადამიანის სიცოცხლე, ქონება, პიროვნული თავისუფლება, აღმოიფხვრებოდა უსამართლობა და თვითნებობა, დამკვიდრდებოდა კანონის უზენაესობა, სათანადო პირობები შეიქმნებოდა ერის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

აღნიშნული მოთხოვნებით, ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენელთა წინაშე ალ.ასათიანი ისევ სვამდა რიტორიკულ შეკითხვას: "შეგვიძლიან თუ არა ჩვენი საკუთარი ძალებით და საშუალებებით ასეთი სახელმწიფოებრიობის შექმნა?" და იქვე პასუხობდა: "ამისათვის საჭიროა... გონებრივი, ზნეობრივი, ქონებრივი, ერთგვარი სკოლა, პოლიტიკური აღზრდა და დისციპლინა... ჩვენ ვფიქრობდით,რომ ყოველივე ეს უხვად მოგვეპოვებოდა, მაგრამ... საკმაო საბუთები ...გვაქვს აშკარად მეტყველი და მდაღადებელი, რომ არცერთი ეს ნამდვილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესაქმნელად საჭირო თვისებები ჩვენ არ გვქონია საკმაოდ განვითარებული და ჩვენი საკუთარი ძალით და საშუალებით ვერ შევქმნით ისეთ სახელმწიფოებრიობას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ერის ბუნებრივ განვითარებას." მისი აზრით, ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ამ სინამდვილის შეგნების უნარი არ შესწევდა,"პოლიტიკური დაწინაურებისა და გამჭრიახობის ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ იყო მოქცეული" და მისი ყოველი ქმედება ქართველ ერს სასიკეთოს არაფერს უქადდა. ასეთი უიმედო ტონის მიუხედავად, გამოსაყალ პოლიტიკურ გზას ალ.ასათიანი ევროპულ ორიენტაციაში ხედავდა.

მაშინ, როდესაც ეროვნულ- დემოკრატები ქვეყნისათვის მფარველი სახელმწიფოს ძიების საკითხს აყენებდნენ, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმაზე მსჯელობდნენ. თუ რა სახით წარმოედგინათ მათ საქართველოს სახელმწიფო, ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას თ.ლლონტის სტატია- "პარლამენტარიზმი საქართველოში" გვიქმნის. აკტორის აზრით, ჭეშმარიტი დემოკრატიის განსახიერებას პარლამენტარიზმი წარმოადგენდა. საქართველოს მომავალს იგი აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში ხედავდა. აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს თ.ლლონტი შეახსენებდა, რომ "პარლამენტარიზმი საქართველოში მოგვიტანს არა მარტო კანონს, არამედ

მთავრობასაც. ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე, საჭირო კი პირველიც არის და მეორეც."[10] ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი რიგის ამოცანად იმ ეტაპზე თ.ღლონტს ეროვნული მთავრობისა და ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის შექმნა მიაჩნდა, რადგან პარლამენტის წიაღში წარმოშობილი მთავრობა ქვეყნის ხსნის საშუალებად ესახებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მომავალს პარლამენტსა და პარლამენტის მიერ არჩეულ მთავრობაში ხედავდა. "ეს მთავრობა,– დასძენდა თ.ღლონტი– უნდა იყოს ერთადერთი მთავრობა, რომელიც პასუხს მისცემს მხოლოდ პარლამენტს. არავითარი სხვა საბჭო, არავითარი სხვა პარტია ვერ გამოდგება მთავრობის როლის გამნაწილებლის როლში... ვიდრე პარლამენტს არ დაემორჩილება საქართველოს ყველა პარტია და არ უარეყოფს მრავალი მთავრობის პოლიტიკას, მანამდის ხსნასა და რევოლუციის გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტია."[11]

როგორც ვხედავთ, აქ საკითხი ფართოა პოზიციიდანაა დანახული. ამა თუ იმ პარტიისა და მიმდინარეობის შეხედულებათა მიხედვით, ქვეყნის სამომავლო პრობლემების გადაწყვეტას თ.ღლონტი დამლუპველად აცხადებდა. საქართველოს მძიმე სიტუაციიდან გამოყვანის ერთად– ერთ საშუალებას იგი მხოლოდ ეროვნული საკანონმდებლო კრებისა და მთავრობის შექმნაში ხედავდა. ეს იდეა ქართველმა სოციალისტ– ფედერალისტებმა დახვეწილი და დასაბუთებული ფორმით საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მოხსენების სახით (1918 წლის 8 მარტი) წარუდგინეს. ამ დოკუმენტს ეროვნული საბჭოს წევრები: გრ.რცხილაძე, თ.ღლონტი, ს.დადიანი და ს.ბარათაშვილი აწერდნენ ხელს. მასში გაანალიზებული იყო ეროვნული საბჭოს 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წელის მარტამდე გაწეული საქმიანობა. შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობით დასაბუთებული იყო, რომ ეროვნული საბჭო მხოლოდ პროპაგანდისტული ფუნქციებით იფარგლებოდა და ერის წინამძღოლობის ტვირთის ტარებას გაურბოდა. აქედან გამომდინარე, მისი შემდგენლები პრინციპულად მოითხოვდნენ, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის შექმნას ეროვნული საბჭო დაუყოვნებლივ შედგომოდა. თავიანთი პოზიციის გამართლების ძირითად ალიბად, ამიერკავკასიის მთავრობის მხრიდან ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემების (აგრარული, სანდო საადმინისტრაციო მმართველობის, ერთიანი შეიარაღებული ძალების და ა.შ.) გადაუწყვეტლობას ასახელებდნენ. რაც შეეხება ამიერკავკასიისა და ეროვნული მთავრობებს შორის ურთიერთობის დარეგულირების ფორმას, სოციალისტ– ფედერალისტები ამას ფუნქციათა გადანაწილებაში ხედავდნენ. იმ შემთხვევაში, თუკი ეს საკითხი დაუყოვნებლივ არ მოწესრიგდებოდა, მათი მტკიცებით, კატასტროფა გარდუვალი გახდებოდა.[12]

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სოციალისტ- ფედერალისტების შიში საფუძველს არ იყო მოკლებული. მითუმეტეს, ტრაპიზონში თურქეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებამ და 1918 წლის აპრილიდან საომარი ოპერაციების განახლებამ, საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. შექმნილი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, ამიერკავკასიის სეიმმა სამხედრო ძალთა კონსოლიდაცია და მისი კოორდინირებული მართვა ვერ შეძლო. ასეთ პირობებში, სიმძიმის მთელი ტვირთი ქართული მხედრობის სატარებელი აღმოჩნდა. მითუმეტეს, ოსმალეთის რეგულარული ჯარის ნაწილები ბათუმისაკენ მოიწევდნენ. ოსმალეთის მიერ ბათუმის ოლქის, მესხეთის დიდი ნაწილისა და ოსურგეთის დაკავების შემდეგ, ოსმალეთის ჯარის კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეჰიბ- ფაშა, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებაზე დათანხმდა. ამის შესახებ იგი აკნიხერკელს 1918 წლის 11 აპრილით დათარიღებული დეპეშით აცნობებდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, მოლაპარაკება ბათუმში უნდა გამართულიყო.[11]

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შექმნილი მძიმე სიტუაციით, საბჭოთა რუსეთის მხარე ხელის მოთბობას ცდილობდა და ბათუმის მოლაპარაკებაში რუსეთის წარმომადგენლობის ნართვას პრინციპულად მოითხოვდა. ამის დამადასტურებლად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გ.ჩიჩერინის მიერ 1918 წლის 15 მაისს გრაფ მირბახისადმი გადაცემული ნოტა გამოდგება, რომლის იდენტური ტექსტი ბერლინში მყოფი რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ოფიციალურ გადაეგზავნა. ამ დოკუმენტის მიხედვით, საბჭოთა მთავრობა რუსეთისაგან კავკასიის გამოყოფას არ ცნობდა, ამიერკავკასიის სეიმს არალეგიტიმურად აცხადებდა. იმავდროულად, ბათუმის მოლაპარაკებაში რუსეთის წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის "დაჟინებითი მოთხოვნით" "ასაბუთებდა" და იქვე გამაფრთხილებელი ტონით დასძენდა: "რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის დაუსწრებლად ის არ ცნობს არავითარ ხელშეკრულებას."[14] ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთი, ამიერკავკასიის რეგიონზე პრეტენზიას აცხადებდა და მის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის წარმომადგენლის გარეშე ამიერკავკასიის საკითხთან მიმართებაში დადებული ყოველგვარი ხელშეკრულების არასამართლებრივად მიჩნევა და მისი არცნობის მუქარა, იმ პერიოდის საერთაშორისო სამართლის არანაირ ჩარჩოში არ თავსდებოდა. აღნიშნული ფაქტი ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ და გ.ჩიჩერინის ნოტას დასაბუთებული პასუხი გასცეს. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას გაზეთ "ერთობაში" დაბეჭდილი პუბლიკაცია- "ამიერკავკასიის მტრები" იქცევს. მასში მოტანილი ძირითადი დებულებების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების, ანუ ულენინ-

ჯუღაშილის მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი ნიკოლოზ რომანოვის იმპერიალისტურ პოლიტიკურ კურსთანაა იდენტიფიცირებული; 2)მეფის რუსეთისაგან განსხვავებით, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ, რუსული სამხედრო ნაწილების გაბოლშევიკებისა და სამშობლოში დაბრუნების შედეგად, ამიერკავკასიის ფრონტის ხაზი დაუცველი დატოვა; 3) ადგილობრივი ხელისუფლების დამხობის მიზნით, ქართველმა ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთის დაფინანსებით რამდენიმე შეიარღებული აჯანყება მოაწყვეს და იგი თურქეთთან ქართული საჯარისო შენაერთების სისხლისმღერელ ბრძოლებს დაამოხვიეს. ამ ქმედებით, თურქეთის მხარეს წინსვლისა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაპყრობის შესაძლებლობა მისცეს. აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება და იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შეფასებული. ბუნებრივია, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები საბჭოთა რუსეთის ქმედებაზე გულისწყრომას ვერ მალავდნენ და შეურიგებელ პოზიციას აშკარად ამჟღავნებდნენ. "ბოლშევიკური მთავრობა– ეკითხულობთ იმავე სტატიაში– არ გვასვენებს და აჩრდილივით თან დაგვდევს. ის ბათუმის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებას ითხოვს და თანაც აცხადებს– ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ ზავი ნამოაგდოსო. გათახსირებული კომისართა საბჭო ვერ ბედავს პირდაპირ გამოამჟღავნოს თავისი იმპერიალისტური სულისკვეთება, ამიტომ ის აშკარა ტყუილებს მიმართავს... ატყუებს გერმანიას: ამიერკავკასიის სეიმს არ ცნობს არც ქართველები და არც სომხები, ქართველი და სომეხი დეპუტატები პროტესტის ნიშნად სეიმს ტოვებენო და სხვა. ბოლშევიკური მთავრობის უტიფრობა იქამდე მიდის, რომ ის ატყუებს გერმანიას: აღმოსავლეთი ამიერკავკასია, ე.ი. მუსლიმანებიც მოითხოვენ რუსეთის დელეგაციის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას... ბოლშევიკურმა მთავრობამ კარგად იცის, რომ თავისი მოღალატური გამოსვლით... ამიერკავკასიას ვერ დაიბრუნებს... ოსმალეთის გაბატონებას კი ხელს შეუწყობს."[15]

ჩვენ მიერ მოტანილი ეს ვრცელი ამონაწერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს, ამ შემთხვევაში ქართველ სოციალ– დემოკრატებს (მენშევიკებს), კარგად ქონდათ გაცნობიერებული ამიერკავკასიის რეგიონთან მიმართებაში საბჭოთა რუსეთის მიზნები და ამოცანები. ისინი იმასაც შესანიშნავად ხედავდნენ, რომ რუსეთის ზემოაღნიშნულ ნოტას, საზავო მოლაპარაკების მხოლოდ ხელშემშლელის ფუნქციის როლი ეკისრებოდა, რადგან იმ ეტაპზე რუსეთს ძალისმიერი მოქმედების რეალური შესაძლებლობები არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, იმპერიული მენტალიტეტი პრაქტიკულ შესაძლებლობებს ჩრდილავდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, დამოუკიდებლობისაკენ მავალი მეზობელი სახელმწიფოს ქმედება მასში გან-

საკუთრებულ გალიზიანებას იწვევდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ "ერთობაში" დაბეჭდილ სტატიაში "ბოლშევიკების მუქარა" ეკითხულობთ: "ბოლშევიკებმა კარგად იციან, რომ მათი ასეთი მუქარა ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობასაა მოკლებული. მათ ძალა არ შესწევთ, თორემ აქამდის ქვა– ქვაზე არ დატოვებდნენ "კონტრრევოლუციონურ" ამიერკავკასიაში. არც იურიდიული საფუძველი აქვს მათ პროტესტს... ისინი იმას ემყარებიან, რომ ჩვენ ერთ დროს რუსეთის ნაწილს შევადგენდით და ამიტომ ნებაც არა გვაქვს დამოუკიდებლად ცხოვრების მოწყობისა."[16]

ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები იმასაც ხედავდნენ, რომ შესაძლებლობის მიცემისთანავე ბოლშევიკური რუსეთი ურჩი ამიერკავკასიის მიმართ "ჭკუის სწავლების" მიზნით სადამსჯელო ღონისძიების გატარებას არ მოერიდებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასია და მათ შორის საქართველოც, მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან ორმხრივი– ჩრდილოეთისა და სამხრეთის საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ასეთ პირობებში მყოფი ქვეყნისათვის თავის გადარჩენის შესაბამისი გზების ძიება აუცილებლობას წარმოადგენდა. თუ რუსეთი იმ ეტაპზე პრაქტიკულად სადამსჯელო ღონისძიებებს ვერ განხორციელებდა, ამ ფუნქციას იმპერიული ამბიციების მქონე ჩვენი სამხრეთელი მეზობელი– ოსმალეთი ასრულებდა. ბათუმში საზავო მოლაპარაკების დაწყების მიუხედავად, იგი შეტევით სამხედრო ოპერაციებს არ წყვეტდა და მთელი ამიერკავკასიის დასაპყრობად ისწრაფვოდა. შექმნილ რთულ სიტუაციას ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურები სადი გონებით აფასებდნენ და იქვე დასძენდნენ: "მტერი საქართველოს ტერიტორიას გარს არტყია და წინ მოიწევს, ამხედრებს ადგილობრივ თათრებს ჩვენს წინააღმდეგ. სიტყვით იგი დამოუკიდებლობასაც კი გვპირდება, მაგრამ რა ფასი აქვს სიტყვას." როგორც საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, თურქეთის ხელისუფალთა სიტყვა და საქმე ურთიერთგამომრიცხავ ქმედებას შეიცავდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან იგი საქართველოზე მოკარნახის უფლებების მოპოვებას ცდილობდა. თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ჩვენი ქვეყანა, დასახული მიზნის განხორციელების შემთხვევაში, ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს. ამიტომ იყო, რომ ისინი მტრის ჩანაფიქრის ჩაშლის მიზნით ადექვატური მექანიზმის შემუშავებას მოითხოვდნენ. "ოსმალეთი ცდილობს– წერდა გაზეთი "ერთობა"– ჩაგვიჭიროს თავის კლანჭებში. ასეთ ვერაგულ პოლიტიკას ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ჩაშლის ოსმალეთის განზრახვას. რასაკვირველია, ქართველი ერის პოლიტიკა პირველ ყოვლისა მის საკუთარ ძალას უნდა ემყარებოდეს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ძალები არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის."[17]

მტრისადმი დასაპირისპირებელ ძალთა უკმარისობაზე ამახვილებდა ყურადღებას თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე (1918 წლის მაისი) წარმოთქმულ სიტყვაში ირ.წერეთელი. იმავდროულად იგი აყენებდა საკითხს დამხმარე სამხედრო ძალის საჭიროების აუცილებლობის შესახებაც. სანამ ქართული პოლიტიკური ელიტა მფარველი სახელმწიფოს სამხედრო შენაერთების ძიებაში იყო, თურქეთის ხელისუფლება ნანფიქრის პრაქტიკულ რეალიზაციას ახდენდა. ასეთ პირობებში მეოთხ ქართველ ერს, დროებითი გამოსავალი საშუალებები თავისთავში უნდა ეძია. ამიტომ, შემთხვევითობად არ უნდა მივინიშნოთ ის ფაქტი, ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის მიტინგზე (1918 წლის 5 თებერვალი) გ.გვაზავამ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა დროებით ურთიერთდაპირისპირების შეწყვეტისა და ეროვნული ფრონტის ერთიანობის შენარჩუნების საკითხი რომ დააყენა. "ეხლა განხეთქილება– ამბობდა გ.გვაზავა– საბედისწერო იქნება. ეხლა არ უნდა დავარღვიოთ ეროვნული ფრონტი და არ ავტეხოთ შინაური ჩხუბი და დავიდარაბა. ცოხე შიგნიდან ტყდებაო და თუ შინ დავიწყეთ ბრძოლა, ყოველი მტერი წაგულეკავს. ეხლა ყველამ უნდა შეიგნოს, რომ დროებით მაინც გადადებულ... იქნას ყოველი კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მოვა ამისი დროც. იცოდეთ, რომ ყოველი მტერი საქართველოსი ეხლა ცდილობს გამოიწვიოს ეს შინაური განხეთქილება. ჩვენმა მტრებმა ძალიან კარგად იციან, რომ შინაური ბრძოლა დასცემს საქართველოს და გახდის მას ადვილად გადასაყლაპავ ლუკმად."[18]

ქართული პოლიტიკური აზრის ერთ– ერთი მესაჭის ეს გაფრთხილება იმ ეტაპზე ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის ლიდერისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ძალთა კონსოლიდაციის გზით შეიძლებოდა იმ რთული სიტუაციიდან სრულად თუ არა, ნაწილობრივად მაინც გამოსვლა. მართალია, ქართული პოლიტიკური სპექტრი ეროვნული საჯარისო შენაერთების აუცილებლობის საკითხს აყენებდა, მაგრამ იმ ძნელბედობის უამს, ამ ურთულესი პრობლემის ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. შესაბამისი რეფორმის გატარება გარკვეულ დროსა და დიდ ფინანსებს საჭიროებდა. თურქეთთან მიმდინარე სამშარი მოქმედებები და ქვეყნის მძიმე ფინანსური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. გამოსავალი მხოლოდ ძლიერი მფარველი სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელ დახმარებაში მდგომარეობდა. ეს გარემოება ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ამის ერთ– ერთ დადასტურებას გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებული ტ.მარგველაშვილის წერილი –"ჩვენი ორიენტაცია" წარმოადგენს. ავტორის პოზიცია დასავლეთევროპული ორიენტაციისკენაა მიმართული და გერმანიასთან კავშირი საქართველოსთვის

მიმგებიანადაა გამოცხადებული. ამ თვალსაზრისის დასაბუთებას ტ.მარგველაშვილი შემდეგი არგუმენტებით ცდილობდა: 1)გერმანიასთან ნებაყოფლობითი პოლიტიკური კავშირით, საქართველო მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში მოექცეოდა და უცხო კაპიტალის ბოხდევის რეალური შესაძლებლობა შეექმნებოდა; 2)მსოფლიოს პირველხარისხოვან საკაჟრო გზაზე საქართველოს უშუალოდ გასვლა ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარება საქართველოში იაფფასიანი უცხოური ნაწარმის შემოტანისა და აღგილობრივი ნედლეულის საერთაშორისო ბაზარზე გატანის შესაძლებლობას შექმნიდა; 3)გერმანიის ამოცანას, რამდენადაც ბეჭერულად სახელმწიფოებით რუსეთის შემოსაზღვრა და აღმოსავლეთის ბიმარიულებით გასასვლელი დერეფნის საქართველო– ასერბაიჯან–თურქესტანის ხაზის დაუფლება წარმოადგენდა, საქართველოს მხრიდან ნებაყოფლობითი მოკავშირეობა პოლიტიკურად იყო მისაღები; 4)გერმანიის მოკავშირე ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა გეგმა რამდენადაც საქართველოს დამოუკიდებლობას არ ეწინააღმდეგებოდა, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უსრულყოფა რეალურ სახეს იღებდა. ხოლო გერმანიასთან ეკონომიკურ კავშირში შესვლა იმ ეტაპზე საქართველოსათვის პოლიტიკური თვალსაზრისით მიმგებიანი ჩანდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტ.მარგველაშვილი მკითხველი საზოგადოების წინაშე რიტორიკულ შეკითხვას სვამდა თუ რომელი ორიენტაცია იყო მისაღები და იქვე პასუხობდა: "ინგლის- რუსეთის ორიენტაცია ჩვენ პოლიტიკურ თავისუფლებას ვერ მოგვცემს, რადგან ვერც საფრანგეთი, ვერც ინგლისი თავის მოკავშირე რუსეთის პატარა ქვეშევრდომი ერის სეპარაციას ხელს ვერ შეუწყობს. ეს იქნებოდა ვაგლახად მის შინაგან საქმეებში ჩარევა. ეკონომიურათ კი საშინლად გავიქცევებით ისედაც ჩამორჩენილ რუსეთთან და დაქვეითების გზაზე დაქანებულ საფრანგეთ– ინგლისთან ერთად. დაგვრჩა გერმანიის ორიენტაცია, რომელიც პოლიტიკურს დამოუკიდებლობას ხელს უწყობს და ეკონომიურადაც უკეთეს პირობებში გვაყენებს."[19]

ამ შემთხვევაში, სტატიის ავტორი არ ტყუოდა. ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ინგლისის მიზანს რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში შენარჩუნება და მისი ყოფილი განაპირა კოლონიებისათვის მხოლოდ ავტონომიის მინიჭება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, გერმანიაზე გაკეთებული არჩევანი, იმ ეტაპზე ყოველმხრივ გამართლებას პოულობდა. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი სიტყვა ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობების ლიდერებს ეკუთვნოდათ. ამ შემთხვევაში, მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის საღი გონებით შეფასებასა და უცდომელი გადაწყვეტილების მიღებას უმნიშვნელო-

ვანესი დატვირთვა ეძლეოდა. მითუმეტეს, წარუმატებლობის შემთხ-ვევაში ნებისმიერი პოლიტიკური ძალა პასუხისმგებელი აღმოჩნდებო-და მომავალი თაობების წინაშე. ასეთ პირობებში, განსაკუთრებული როლი ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული ქართული პოლიტიკური ა'ხრის მესაჭეთა პოლიტიკურ გამჭრიახობასა და გამბედაობას უნდა შეესრულებინა. მითუმეტეს, რეალური გარანტიის არარსებობის პირობებ-ში, მცირეოდენ ცდომილებიან ნაბიჯს საქართველოს ეროვნული არ-სებობისა და მისი ეკონომიკის სამუდამო დასამარება შეიძლება მოჰყ-ოლოდა. ე.ი. საქმე საქართველოს აწმყოსა და მომავლის უსრუნველყ-ოფის საფუძელის მომზადებასა, ან მის სრულად გაქრობას ეხებოდა. ასეთ პირობებში საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ლიდერის მხრიდან სარისკო საქმეს წარმოად-გენდა. საჭირო იყო ყველა ნიუანსის გათვალისწინებით, პოლიტიკურ ა'ხრთა ურთიერთშეჯერებით მიღებული გადაწყვეტილება. მეორე მხრივ, ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ნების-მიერი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადასადგმელად, მოსახლეობის იდეოლოგიური მომზადების თვალსა'ხრისით, შესაბამისი სამუშაოს წინასწარი ჩატარების აუცილებლობას მოითხოვდა. ამ მიზანმიმა-რთულ საქმეს ემსახურებოდა იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე გამო-ქვეყნებული პუბლიკაციები, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს ა.ასათიანის სტატია "გერმანიის მფარველობა" იწვევს. მისი მნიშ-ვნელობა იმაშიაც იკვეთება, რომ ა.ასათიანი მკითხველ საზოგადოე-ბას დაწვრილებით აცნობდა ყოფილი კოლონიების მიერ დამოუკიდე-ბელი სახელმწიფოების შექმნის პროცესში არსებულ სიძნელეებს, იმ როლსა და დამსახურებას, რაც გარეშე ძალას მიუძღოდა პოლონეთის, უკრაინის, ლიტვისა და ფინეთის ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და ფეხზე დაყენების საქმეში. აქედან გამომდინარე, საკუთარი ლოგიკურად სვამდა კითხვას, თუ რომელ გარეშე ძალას შეიძლებოდა დაყრდნობოდა ქართველი ხალხი "ეროვნული შენობის ასაგებად და მოსართავად" და იქვე პასუხობდა, რომ მხოლოდ "ის ქვეყანა, რომელიც დაიხმარა ამ მიზნისათვის პოლონეთმა, უკრაინამ, ლიტვამ და ფინლანდიამ– გერმანიაა."[20] თავისი პოზიციის დასაბუთე-ბის მიზნით, იმავე ა.ასათიანს შესაბამისი ფაქტები მოჰქონდა. მისი აზრით: 1)იარაღის გ'ნით დაპყრობილ ქვეყნებში გატარებული პოლი-ტიკისაგან განსხვავებით, უკრაინისა და ლიტვის მიმართ გერმანია რადიკალურად საპირისპირო კურსს ატარებდა. იგი ამ ქვეყნებში შეეიდა არა როგორც დამპყრობელი, არამედ მფარველი და დამხმარე; 2)უკრაინისა და ლიტვის ახლადშექმნილი სახელმწიფოების ფეხზე დაყენება და აღორძინება, გერმანიისათვის ხელსაყრელი იყო იმდენად, რამდენადაც მაღალ დონეზე განვითარებული უკრაინის მეურნეობა გერმანიას საჭირო პროდუქტებს მიაწვდიდა, ხოლო ეს უკანასკნელი,

უკრაინას სამრეწველო ნაწარმით მოამარაგებდა; 3)ამ ურთიერთობას საფუძვლად ედო საქონლის გაცვლა– გამოცვლაზე, მეგობრულ დახმარებაზე და მფარველობაზე დამყარებული გერმანიის საგარეო პოლიტიკა. აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, ა.ასათიანი, გერმანია– საქართველოს ურთიერთობის მოსალოდნელ დადებით შედეგებზე ამახვილებდა ყურადღებას და მკითხველ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ ა)რამდენადაც სხვა სახელმწიფოებთან შედარებით გერმანიის ინტერესის სფეროს აღმოსავლეთის რეგიონში მეტი გაავლენის მოპოვება წარმოადგენდა, ძლიერი საქართველო მისთვის ერთგული და მტკიცე პლაცდარმი გახდებოდა აღმოსავლეთისაკენ პოლიტიკურ–ეკონომიკური მსვლელობისათვის; ბ)გერმანიის მრეწველობა საქართველოდან მიიღებდა მარგანეცის, სპილენძისა და სხვა სახის წიაღისეულ სიმდიდრეს. "ასე მეგობრულად– წერდა ა.ასათიანი– შეიჭრა გერმანია ბულგარეთში. ქვეყანა რაღაც 30 წლის განმავლობაში მძლავრ სახელმწიფოდ იქცა... ამ ხნის განმავლობაში ეს სახელმწიფო საესებით სამ სახომად გაიზარდა და არ ეიცით კიდეე რამდენად გააფართოებს მას ეხლანდელი ომი. ჩვენს ეროვნულ თვისებებზე გერმანული სიმტკიცისა და დისციპლინის დამყნით და დასავლეთიდან ჩვენი ქვეყნისაკენ მომდინარე ეკონომიური ტალღების ჩვენთვის სასურველი მიმართულების მიცემით, ძლიერი საქართველოსთვის ნიადაგი მომზადდება და იქნებ მახლობელმა თაობებმა იხილონ საქართველოს მეორე ოქროს ხანა."[21]

როგორც ვხედავთ, ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთი ლიდერი ა.ასათიანი, ქართველი ერის ხსნასა და საქართველოს მომავალს გერმანიის მფარველობაში ხედავდა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ამ ურთიერთობაზე აგებას იგი აუცილებლობად მიიჩნევდა. მისგან განსხვავებით, საქართველოს მომავლის საკითხთან მიმართებაში ორიგინალური თვალსაზრისი სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის ერთ– ერთ ლიდერს გრ.რცხილაძეს გააჩნდა. ამ მხრივ, ყურადღებას მისი საგაზეთო პუბლიკაცია "საგარეო და საშინაო პოლიტიკა" იქცევს. მიმოიხილავდა რა ამიერკავკასიის გარშემო განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, იგი კანონზომიერად სვამდა კითხვას: საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური კურსით რამდენად შეიძლებოდა საქართველოს თავისუფლების დაცვა. გრ.რცხილაძის სამართლიანი მტკიცებით, ქვეყნის მომავალი ბედის დამყარება განცალკევებულად მხოლოდ საგარეო ან შინაგან ძალებზე შეუძლებელი იყო. მისი აზრით, იმ ეტაპზე არ არსებობდა ისეთი საგარეო ძალა, რომელსაც ქართველი ხალხი იმედიანად დაეყრდნობოდა. ამ პოზიციის პირველ არგუმენტად იგი რუსეთის მაგალითს იშველიებდა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთში მომხდარი მოვლენების (1917 წლის ოქტომბერი), შედეგად სამხედრო ფრონტის დაშლამ და რუსული მხედრო-

ბის მიერ საქართველოს დატოვებამ, ქართული პოლიტიკური ასრის მესაჭეებს რუსული ორიენტაციისადმი ზურგი შეაქცევინა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან გასაბჭოებული რუსეთი ქართველი ერის მფარველის როლში აღარ გამოდგებოდა. მეორე არგუმენტად გრ.რცხილაძეს ამიერკავკასიის ერთიანობის, ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის მისი საფუძვლად გამოყენების მცდელობის ექსპერიმენტის მარცხის ფაქტი მოყავდა. ამით იგი ცდილობდა, მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების ფონზე მკითხველი საზოგადოებისათვის ამა თუ იმ ქვეყნის არასტაბილურობა და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები ეცვენებინა. "ეხლანდელ პირობებში– წერდა გრ.რცხილაძე– არ არსებობს ისეთი საგარეო ძალა, რომელსაც შეეძლება იმედიანად მიეყრდნოს ქართველი ხალხი."[22] ასეთი სახის დასკვნის გამკეთებელ ავტორს ბუნებრივია, გამოსავალი ალტერნატიული გზის ნვენებაც მოეთხოვებოდა. ამ მხრივ მან ქართულ პოლიტიკურ ელიტას ქვეყნის შინაგანი ძალების განმტკიცების აუცილებლობის იდეა შესთავაზა. "რომი დაეცა მაშინ– წერდა გრ.რცხილაძე– როცა შინაური წყობილება დაუძლურდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაამხო შინაურ ძალთა გამოიშველობამ და არა საგარეო მტერმა... ერი და სახელმწიფო სიკვდილის გზას ადგება როცა ის საგარეო ძალებზე ცდილობს დაემყაროს და არა თავის შინაურ ძალთა ორგანიზაციას."[23]

ქვეყნის მომავლის იმედს გრ.რცხილაძე არა მარტო შინაური და გარეშე ძალების ურთიერთგაწონასწორებას უკავშირებდა, არამედ უპირატესობას პირველი მათგანის უსენაეს ხარისხამდე აყვანას ანიჭებდა. მხოლოდ ეს გზა მიანნდა მას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ნაყოფიერად განხორციელების რეალურ შესაძლებლობად. ძლიერი მფარველი სახელმწიფოს აუცილებლობიდან გამომდინარე, გერმანულ ორიენტაციაზე პრიორიტეტის გაკეთების დასაბუთების მცდელობას შეიცავდა სოციალ– დემოკრატ დ.ონიაშვილის სტატია "დამოუკიდებელი საქართველო." თავისი პოზიციის მიზანშეწონილობაში მკითხველი საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების დარწმუნების მიზნით იგი შემდეგ არგუმენტებს იშველიებდა: 1)მფარველი სახელმწიფოს ძიება შუასაუკუნეების ქართველი ერისათვის უცხო არ იყო, რადგან "მოსლვაეებული ველური ურდოებისადმი" გამკვლაეების აუცილებლობამ, გარეშე ძალისადმი თავშეფარებამდე მიიყვანა იგი. "როდესაც მტერი აღმოსავლეთიდან აწვებოდა– წერდა დ.ონიაშვილი– ქართველი ერი დასავლეთისკენ იყურებოდა, ხოლო თუ საფრთხე მოდიოდა დასავლეთიდან, იგი იცქირებოდა აღმოსავლეთისაკენ. თავდაცვის ინსტინქტი უკარნახებდა ნვენს ხალხს ისეთი სახელმწიფოსათვის შეეფარებინა თავი, რომელიც მაშინ მართლა რეალურ ძალას წარმოადგენდა... ასეთი იყო რუსეთი მეთვრამეტე საუკუნის დამლევს;" 2)რამდენადაც საქართველო, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინს წარ-

მოადგენდა, ამ რეგიონში პირველობის მოსაპოვებლად ძლიერ სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ამ ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დ.ონიაშვილს აუცილებლობად მიაჩნდა, მაგრამ მისი რეალობად ქცევის მიზნით, ძლიერ სახელმწიფოთა კავშირში შესვლის საკითხს აყენებდა. "მთელი ჩვენი ენერგია და ნებისყოფა— წერდა ივი— უნდა გადაეტანოთ იქეთკენ, რომ გაეარღვიოთ გარსშემორტყმული განუყოფარებელი ხალხების რკალი,... რადგან ოსმალეთი ცდილობს ნაგვიჭიროს თავის კლანჭებში;" 3)ოსმალეთის მიზნების ნაშლის ერთ— ერთ პირობად დ.ონიაშვილს საკუთარ ძალებზე დამყარებული პოლიტიკური კურსის განხორციელება მიაჩნდა. მაგრამ, რამდენადაც საქართველოს აქის შესაძლებლობა არ გააჩნდა, იმ ეტაპზე გამოსავალს მხოლოდ გარეშე ძალის მოკავშირეობაში ხედავდა. იქვე სვამდა კითხვას თუ რომელი სახელმწიფო შეძლებდა იმ ინტერესების ჯამს საქართველოსადმი რეალური მფარველის ფუნქციის გაწევას და პასუხსაც თვითონვე იძლეოდა: "ოსმალეთს ჩვენი მაწასთან გასწორება უნდა, ინგლისი შორს არის, ბოლშევიკური რუსეთი მოდის ჩვენზე მხოლოდ შურის საძიებლად. მაშასადამე, თავისთავად იხსნება საკითხი ამ სახელმწიფოთა ორიენტაციისა. დარჩა გერმანია;" 4)რამდენადაც დ.ონიაშვილი ორიენტაციას გერმანიაზე აკეთებდა, საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებიდან გამომდინარე, გერმანიის მფარველობა მას რეალურად ესახებოდა შემდეგი გარემოების გამო: ა)ომის გასაგრძელებლად გერმანიას ნედლეული სჭირდებოდა და მისი ეკონომიკური ინტერესები ამიერკავკასიაში იყო ჩადებული. ამიტომ, ოსმალეთის აგრესიას წინ გერმანიის ეკონომიკური ინტერესები ედობებოდა. ბ)გერმანიისა და ოსმალეთისადმი ინგლისის მხრიდან არსებული რეალური საფრთხის გათვალისწინებით, საქართველოს გულისათვის გერმანიის გადამტერებას ოსმალეთი არ დაუშვებდა და ამიერკავკასიის გადასანაწილებლად კომპრომისზე წავიდოდა. ამ შემთხვევაში, ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილი— აზერბაიჯანი და სომხეთი, როგორც დაპყრობილი ტერიტორიები, დ.ონიაშვილის აზრით, ოსმალეთის გაელენის სფეროში დარჩებოდა, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი, ე.ი. საქართველო— გერმანიას. გ)რამდენადაც საქართველოს საკითხი მის გარშემო არსებულ ძალთა განწყობილებით განისაზღვრებოდა, აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო საქართველოს საგარეო პოლიტიკური ხაზის არჩევაც. ამ საკითხთან დაკავშირებით, იგივე დ.ონიაშვილი გარკვევით წერდა: "დღეს ქართველ ერს მრავალ ორიენტაციებს ახევენენ თავს. მაგრამ ყველა ეს ქვაბია დაწერილი. მხოლოდ გერმანიის ორიენტაციას აქვს ნიშანი რეალობისა და შეიძლება გახდეს ფაქტი ჩვენი ეროვნული განვითარებისა. ეს... იმას არ ნიშნავს, რომ ქართველმა ერმა თავისი იმედები მხოლოდ სხვებზე უნდა დაამყაროს. პირიქით,

არასდროს არ ყოფილა საკუთარი ძალების შემოკრება ისე საჭირო, როგორც დღეს. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სუსტი და უძლური ყველას ეჯავრება."[24]

ჩვენ მიერ მოტანილი მასალებიდან აშკარად იკვეთება, რომ საქართველოს სამი წამყვანი პოლიტიკური პარტიის (სოციალ– დემოკრატები, ეროვნულ დემოკრატები, სოციალისტ– ფედერალისტები) წარმომადგენლები იმ ეტაპზე ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებას გარეშე ძალის მფარველობაში ხედავდნენ. მათი ასეთი პოზიცია, საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად უძლურებას ითვალისწინებდა და ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრუნვაზე იყო გათვლილი. სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობოდნენ ქართველი სოციალ– დემოკრატები, რიცა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე თავს იკავებდნენ და მოსალოდნელი მფარველი სახელმწიფოს გამოჩენიამდე ლოდინის ტაქტიკას მიმართავდნენ. ა რამდენადაც ამის შესახებ ჩვენ წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი, ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა პოზიციის იდენტურობამ გერმანული ორიენტაციისაკენ რეალური ნაბიჯის გადადგმის მყარი საფუძველი შექმნა.

სასავო კონფერენციის მუშაობის განახლებამ (1918 წლის 11 მაისი) ბათუმში და ოსმალეთის წარმომადგენელთა მხრიდან ბრესტის ზავის პირობებზე გაცილებით მეტი მოთხოვნების წამოყენებამ, ქართველ პოლიტიკოსებს გერმანიის მფარველობაში შესასვლელად პრაქტიკული ნაბიჯის დაუყოვნებლივი გადადგმისაკენ უბიძგა. მათი ყურადღების ცენტრში კავკასიურ პოლიტიკაში გერმანიის აქტიური ჩართვის მცდელობის ფაქტი მოექცა. ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებმა გერმანიის მიზნები და საქართველოს გამოყენების სურვილი კარგად დაინახეს და იმ ძნელბედობის ჟამს მის გამოყენებას შეეცადნენ. ამ შემთხვევაში საქართველო გერმანიის დასაყრდენი პლაცდარმი უნდა გამხდარიყო. გერმანული დიპლომატიის მისწრაფებაც სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. ქართველი ერის გადასარჩენად და ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად, პოლიტიკური სიბრძნე გერმანიის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას მოითხოვდა. გადამწყვეტი სიტყვა ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს უნდა ეთქვათ. მათზე ბევრად იყო დამოკიდებული, თუ რამდენად მოქნილ პროგერმანულ დიპლომატიურ კურსს განახორციელებდნენ და გერმანიის წარმომადგენლობას საქართველოთი დააინტერესებდნენ. იმავდროულად, მოწინააღმდეგეთა და ხელისშემშლელთა მხრიდან შექმნილი სიძნელეების გათვალისწინებაც აუცილებლობას წარმოადგენდა. ყოველივე აღნიშნულის ერთობლიობაში გააზრება, უცდომელი დასკვნების გაკეთება და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება არა მარტო გა-

ბედულებას, არამედ გარკვეულ გამოცდილებასაც საჭიროებდა. ამ მხრივ ქართული პოლიტიკური ა'ზროვნება მოწოდების სიმაღლე'ზე აღმოჩნდა. მხედველობა'ში გვაქვს ბათუმიდან აკჩხენკელის მიერ ნ.რამი'შვილისა და ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგ'ზავნილი წერილები (1918 წლის 12– 23 მაისი).[25] აკჩხენკელის 12 მაისის წერილიდან ირკვევა, რომ მას ნ.რამი'შვილისადმი 11 მაისსაც გაუგ'ზავნია წერილი. "დასამატებელი რაც გუშინ მოვიწერე –წერდა იგი –არაფერი მაქვს." ჯერჯერობით ეს წერილი მიუკვლეველია, არადა იგი საინტერესო იქნებოდა არა მარტო აკჩხენკელის ბიოგრაფიისათვის, არამედ ქართული პოლიტიკური ა'ზროვნებისთვისაც. იმ ხუთი წერილის მნიშვნელობა რომელიც მიკვლეულია, განსაკუთრებით დიდია იმ თვალსა'ზრისით, რომ მათ'ში მოტანილი დებ'ულებები და კონკრეტული მითითებები, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი საქართველოსათვის გამოსავალი გ'ზის რეალურ წინადადებებს შეიცავდა. მეორე მხრივ, აღნიშ'ნული დოკუმენტები იმის დადასტ'ურებაცაა, სახელმწიფოებრივად თუ რა მაღალ დონე'ზე ა'ზროვნებდა აკჩხენკელი.

ჩვენ მიერ გაკეთებული ეს განცხადება მკითხველისათვისაც რომ დამაჯერებელი აღმოჩნდეს, შეეცდებით აკჩხენკელის ხუთიეე წერილ'ში მოტანილი ძირითადი დებ'ულებები პუნქტობრივად ჩამოვაყალიბოთ. ამის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებ'ული, რომ 1)საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს აკჩხენკელის უარყოფითი დამოკიდებულება ოსმალეთის ხელისუფლების მიერ წამოყენებ'ული პრეტენ'ზიებისადმი; 2)ობიექტური შეფასება მიეცეს აკჩხენკელისეული ალტერნატიული წინადადებების მნიშვნელობასა და როლს პოლიტიკურად ჩიხ'ში მოქცეული საქართველოსათვის გამოსავალი გ'ზის ძიების თვალსა'ზრისით. საკითხის ამ ფორმით დასმა და მას'ზე პას'უხის გაცემა შესაძლებლობას მოგვცემს 'უკეთ იქნას წარმოჩენილი აკჩხენკელი როგორც დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური მოაზროვნე.

აკჩხენკელის ზემოაღნიშნული წერილების შესწავლიდან ირკვევა: 1)თურქეთის ხელისუფლების მიერ შემოთავა'ზებ'ული სა'ზაეო პირობები აკჩხენკელს მიუღებლად მიაჩნდა სამი ძირითადი მი'ზეზის გამო. კერძოდ: ა)საქართველოს უნდა ჩამოცილებოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები; ბ) საქართველოს საშინაო საქმეებში ოსმალების ჩარევა გარდუვალი ხდებოდა; გ)ომის მსვლელობის პირობებ'ში საქართველოს რკინიგ'ზა ოსმალების ხელ'ში გადადიოდა.

არსებ'ული რთული სიტ'უაციიდან ერთადერთ გამოსავალს აკჩხენკელი ბრესტის სა'ზაეო ხელშეკრ'ულების წინწამოწევაში ხედავდა. იგი დარწმ'უნებ'ული იყო, რომ ამ წინადადებას გერმანელები მხარს დაუჭერდნენ თუნდაც იმ ელემენტარული მი'ზეზის გამო, რომ ბრესტის პირობების დარღვევის არანაირი ნიშანი გერმანელთა მოქმედება'ში არ შეინ-

იშნებოდა. პირიქით, მათ მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები ამ ხელშეკრულების ფარგლებს არ ცილდებოდა; 2)აკიხენკელი კატეგორიულად მოითხოვდა ნ.რამიშვილისაგან, რომ ჯულფის მიმართულებით რკინიგზით მიმავალი თურქი ჯარისკაცებისათვის პრობლემები არ შეექმნათ. ყოველგვარი სახის მოსალოდნელი ინცინდენტის ასაცილებლად ქმედითი ზომები დროულად გაეტარებინათ, არაოფიციალურად მოეხდინათ ამ პროცესისადმი ხელშეწყობა, რათა თურქი ჯარისკაცების გატარება დროულად დამთავრებულიყო. მისი მტკიცებით, საზაფო მოლაპარაკების პროცესში ეს ფაქტი საქართველოსათვის სასარგებლო შედეგს გამოიღებდა; 3)ზემოაღნიშნული მოთხოვნები მკაცრად უნდა ყოფილიყო გასაიდუმლოებული. იგი საოლქო კომიტეტის ან ფრაქციის დებატების საგნად არ ქცეულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზაფო მოლაპარაკების პროცესში ოსმალეთის მხრიდან ნებისმიერი უკანდახევა გამორიცხული იქნებოდა; 4)აკიხენკელი თვლიდა, რომ ინგლისის "შორეული იმედიდან" გამომდინარე, თურქეთის მიერ წამოყენებულ პრეტენზიებს ზომხები არ მიიღებდნენ და ომს დაიწყებდნენ. მისივე აზრით, თუკი ეს ომი ამიერკავკასიის სახელით გამოცხადდებოდა, საქართველო ამ ომში არ უნდა ჩარეულიყო. იგი ნ.რამიშვილს 1918 წლის 31 მარტის მოელენებს შეახსენებდა და კატეგორიული ტონით დასძენდა: "ომი შეუძლებელია ჩვენთვის– ეს აქსიომაა." "ოსმალეთთან ომი ჩვენთვის ამ პირობებში პირდაპირ სიგიჟეს წარმოადგენს. ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით, სხვა არაფერი, ჩასაქოლნი." ამ შემთხვევაში აკიხენკელი საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა და მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი ქვეყნისათვის მოსალოდნელი პრობლემების აცილებას მაქსიმალურად ცდილობდა. "მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით– როგორც გერმანიასთან ისე თურქეთთან,– წერდა აკიხენკელი 1918 წლის 15 მაისს ნ.რამიშვილისადმი გაგზავნილ წერილში– რომ ვეცადო საქართველო მაინც გამოვიყვანო ცეცხლის ალიდან." არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იგი ზომხეთთან და ასურბაიჯანთან ერთ სახელმწიფო გაერთიანებაში ყოფნას შეუძლებლად მიიჩნევდა; 5)საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის "დემოკრატიზმისადმი კეკლუცობას" აკიხენკელი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და მასმედიაზე ზედამხედველობის დაწესებას პრინციპულად მოითხოვდა. თავისი პოზიციის დასაბუთების მიზნით იგი ნ.რამიშვილს შეახსენებდა, რომ პრესის მხრიდან "ლანძღვა– გინება გერმანიის, როცა მისი წარმომადგენლები აქ ხელს გვიწყობენ, ვერაგობაა, სხვა არაფერი. "ბორბას" და "იზვესტიას" უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევუერთდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა,

მხოლოდ თავისი იმპერიალისტური მადის დასაკმაყოფილებლად და არა რუსი ამხანაგების დამა'ხი თვალებისათვის. ოსმალებსაც ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყრან პრესაში. მე ვიცი, ეს რუსი ამხანაგები პირველად გაიქცევიან და ჩვენ კი მთელს ერს ვუსპობთ სიცოცხლეს;" 6)პრესის ყურცლებზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება— არგამოცხადების შესახებ გამართული კამათი დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო. მომხდარიყო ეროვნული საბჭოსა და საერთოდ ქვეყნის სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაცია. პრესა, ერის მაჯისცემის ინტერესებს დამორჩილებოდა. ოსმალების მხრიდან ახალი შემოტევების დაწყებამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სახღვრების მითითების გარეშე დაუყოვნებლივ მომხდარიყო. ამის საჭიროებას აკჩხენკელი ამიერკავკასიის სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი სუბიექტის არარსებობით, თურქეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის მოსალოდნელი სა'ომო ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობით ხსნიდა. იმავდროულად, ნ.რამიშვილს შეახსენებდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ოთხ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ნოტების თანახმად, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნებოდა აღიარებული. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით დაგვიანება აკჩხენკელს დანაშაულად მიაჩნდა. "ჩვენ გუნდეია დაგვიანება— წერდა იგი— ყოველ შემთხვევაში, მე მწამს, რომ პასუხისმგებლობა ისტორიისა და ერის წინაშე თავისას იქმს."

დასახული მი'ნის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში, აკჩხენკელი განსაკუთრებულ როლს სოციალ— დემოკრატთა ლიდერებს აკისრებდა. აქედან გამომდინარე, იგი ნ.რამიშვილის მისამართით წერდა: "საქართველოს დამოუკიდებლობა— აი პირველი ნაბიჯი რომელიც უნდა გადაიდგას... ოქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ. თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაიღუპება... საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას."; 7)იმ ძნელბედობის უამს, ქართველი ერის წინაშე მდგომი ურთ'ელესი პრობლემების გადასაწყვეტად აკჩხენკელი, ნ.რამიშვილისაგან კომპრომისული ტაქტიკის— "ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან" უარყოფას მოითხოვდა. "ასეთ კრიტიკულ მომენტში —წერდა აკჩხენკელი —პირდაპირ დანაშაულია ზიგ'ზაგი, შიში, საჭიროა გამჭრიახობა, სიმტკიცე და გამბედაობა, საჭიროა თვალის დახამხამება'ს ' ომების მიღება სიმ'ვიდის დასაცავად. ' ერისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ' ერისკოთ. მაშ საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა."; 8)საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში ეროვნულ საბჭოს აკჩხენკელი მინისტრთა კაბინეტის შექმნის მისეულ ვარიანტს

სთავაზობდა. მისი აზრით: ა)დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრთა კაბინეტი კოალიციურ საწყისებზე უნდა შექმნილიყო და საქმის მცოდნე ადამიანებით დაეკომპლექტებინათ; ბ)გაეუქმებინათ "პრიზრენიის" პორტფელი და მისი ფუნქციები შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაეცათ; გ)შრომისა და ვაჭრობის სამინისტროების გაერთიანებით განსაკუთრებული დეპარტამენტი შეექმნათ; დ)მიმოსვლის ყველა სახეობა რკინიგზის სამინისტროსათვის დაექვემდებარებინათ; ე)სასულიერო საქმე განათლების სამინისტროსათვის. ვ)ფოსტა–ტელეგრაფი შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის; ზ)სახელმწიფო კონტროლი რამდენადაც სამინისტროს შემადგენლბაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, დამოუკიდებელ უწყებად უნდა დარჩენილიყო; თ)პარლამენტის ფუნქცია ეროვნულ საბჭოს უნდა ეკისრა, რომლის წინაშეც პასუხისმგებელი იქნებოდა მთავრობა. 9)რაც შეეხება ახლადარჩეულ მთავრობას, პირველ ეტაპზე აკჩხენკელი შემდეგი ღონისძიებების გატარებას სთავაზობდა: ა)თხოვნით მიემართათ გერმანიისათვის საქართველოს მფარველობისა და მისი დამოუკიდებლობის დასაცავად. ამის შესახებ ოფიციალური დადგენილება საიდუმლოდ გრაფ შულენბურგისადმი უნდა გადაეცათ. შელენბურგს ეს ფაქტი შესაძლებლობას მისცემდა გერმანელი ტყეებისგან შემდგარი რაზმით ოსმალების წინსვლას წინ გადადგომოდა და ოფიციალურად განეცხადებინა, რომ საქართველო გერმანიის მფარველობაშია; ბ)მთავრობას უნდა მიეღო მეორე დადგენილება, რომ ბათუმში მყოფ თავის წარმომადგენელს ანდობდა გერმანიის წარმომადგენელთან მფარველობის შესახებ საიდუმლო შეთანხმებაზე ხელმოწერას; გ)აკჩხენკელისათვის ბათუმში დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ქართულ ენაზე დადასტურებული და კანონიერად შემოწმებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი; დ)პრესაში და პარლამენტში ცუდად არ მოეხსენიებინათ გერმანია, ოსმალეთი და მეზობელი სახელმწიფოები. მათთან კარგი ურთიერთობის დამყარების სურვილის ფონზე წარემართათ პროპაგანდა; ე)ოსმალების შემოტევების განახლების შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოეხდინათ. მტრის დასახვედრად გაეტარებინათ შემდეგი ღონისძიებები: გაეფუჭებინათ გზები, დაეკაკებინათ ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტები, მტრის წინააღმდეგ გააზრებული შეტევები განეხორციელებინათ, რუსის ჯარისადმი ნდობა არ გამოეცხადებინათ, მოეხდინათ მაოი განიარაღება და იგი ქართული შენაერთებისათვის გადაეცათ; ყ)ოსმალების შემოტევების შემთხვევაში ოფიციალურად უნდა გამოეცხადებინათ, რომ სამშობლო განსაცდელშია. "ხალხი უეჭველად შეინძრევა, ის თავის ვალს გადაიხდის." აკჩხენკელისავე მოთხოვნით, ზემოაღნიშნული ღონისძიებები პოლიტიკური პროცესების სედმიწვენით სწორად შეფასებისა და სიტუაციის მოთხოვნისამებრ უნდა განხორციელებუ-

ლიეო. იგივე აკ.ხენკელი ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე 23 მაისს გაგზავნილ წერილში, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში აჯამებდა რა თავის შეხედულებას, ერთხელ კიდევ კატეგორიული ფორმით დასძენდა: "კიდევ ვიმეორებ, ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია. ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს. ბოლშევიზმი სამშობლოს დალატია– ესაა ერთადერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუძლებელია. საჭიროა შრომის განაწილება. ლაპარაკი და რეზოლუციები დამღუპველია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია, შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას. ვისურვებ შეასრულოთ მძიმე ვალდებულება ქვეყნის წინაშე."

ჩვენ მიერ მოტანილი მასალები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ აკ.ხენკელმა, ნ.რამიშვილსა და ეროვნულ საბჭოს პრაგმატული პოზიციიდან გააზრებული საქართველოს პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანის პროგრამა შესთავაზა. ამ ფაქტით, აკ.ხენკელი ჩვენს წინაშე არა მარტო ეროვნულ სახელმწიფო მოღვაწედ, არამედ პოლიტიკურად მაღალ დონეზე მოაზროვნე პიროვნებად წარმოჩნდება.

საქართველოს გადარჩენის აკ.ხენკელისეული პროგერმანული საგარეო პოლიტიკური კურსი, საქართველოს ეროვნული საბჭოსთვისაც მისაღები აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აკ.ხენკელის 12 მაისის წერილმა, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ამის დამადასტურებლად, აკ.ხენკელის უფლებამოსილებისა და მისი სამოქმედო გეგმის ოფიციალურად მხარდამჭერი დოკუმენტის შექმნის მიზნით, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 14 მაისის სხდომისადმი გგვაზავის მიერ წარდგენილი პროექტი გამოდგება. ამ დოკუმენტის მიხედვით, 1)საქართველოს ეროვნული საბჭო გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენ. ლიოსოვს თხოვდა,რომ გერმანიას ყოველმხრივ შეეწყო ხელი საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკური საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტაში; 2)გერმანიის ჯარებს ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საზღვრებისაკენ განეგრძო სვლა, რათა მათთან ურთიერთობის დამყარება და საქართველოსათვის გარედან მოსალოდნელი საფრთხის განმუხტვა ყოფილიყო შესაძლებელი; 3)ხელი შეეწყოთ გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების სამშობლოში სამხედრო წესით დაბრუნებისათვის; 4)საქართველოში დაეტოვებინათ გერმანელი ტყვეები და ოფიცრობა, რათა ეს ჯარი საქართველოს მთავრობას საჭიროები-

სამებრ შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად გამოეყენებინა.[25]

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დადასტურებულმა ამ დოკუმენტმა აკჩხენკელს, გერმანიის წარმომადგენლობასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაღრმავების მეტი შესაძლებლობა მისცა. შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, გერმანიის მხრიდან საქართველოს მყარველობას გარდუვალს ხდიდა. მეორე მხრივ, თურქეთთან მიმდინარე სასავო მოლაპარაკების მსვლელობა ადასტურებდა, რომ ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოებრიობის არსებობის მნიშვნელობა ნორსესამდე იყო დაყვანილი. ეს აკჩხენკელის 12 მაისის წერილიდანაც კარგად ჩანს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ლიდერების (გ.გვაზავა, კ.აფხაზი, გ.ყეშაპელი, შ.ქარუმიძე, მ.მაჩაბელი, რ.გაბაშვილი) მხრიდან, ეროვნული საბჭოს 1918 წლის 14 მაისის სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხის კატეგორიული ფორმით დაყენება საკუთხით კანონსომიერი იყო. ეროვნულ– დემოკრატთა ეს მოთხოვნა ქართველი სოციალ– დემოკრატების მიერ გაზიარებული არ იქნა, რადგან ძირითადი ყურადღება ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს მოწყობისაკენ ჰქონდათ გადატანილი. მათი ეს პოზიცია აკჩენკელის 15 მაისის წერილმა რადიკალურად შეცვალა. ამის დადასტურებას ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 16 მაისის სხდომა წარმოადგენს. როგორც საოქმო ჩანაწერებიდან ირკვევა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება საგანგებოდ არსებულ კომისიას (ნ.რამიშვილი, დ.ყანჩაველი, შ.მესხიშვილი) დაეკალა.[27] ამ დოკუმენტის მიხედვით თუკი ეიმსჯელებთ, სხდომის მონაწილე ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთ თვალსაზრისსე იდგა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებლობად მიაჩნდა. აღნიშნული თვალსაზრისის ურყეობასა და ერთსულოვნებაზე ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 17 მაისის სხდომის საოქმო ჩანაწერებიც მეტყველებს.[28] დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის თვალსაზრისით, საკითხის ფართო მასაში გატანასა და ამ მხრივ საზოგადოების შემზადებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მითუმეტეს, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფო ფუნქციონირებდა. ყოველგვარი სახის ექსცესებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, საზოგადოებისათვის დასაბუთებული ფორმით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება აუცილებლობას წარმოადგენდა. მათთვის უნდა განემარტათ, თუ რამდენად იყო მისაღები იმ ეტაპზე ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს არსებობა, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერს ნ.ჟორდანიას, როდესაც თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე "ბათუმის სასა-

ვო მოლაპარაკების შესახებ" გაკეთებულ მოხსენებაში, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე ამერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს უპერსპექტივობაზე გაამახვილა ყურადღება.

რამდენადაც ამერკავკასიის სეიმი და მთავრობა ქართული სინამდვილისათვის დანამატად იქცა, პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, მისი გაუქმება სამართლებრივი ნორმების დაცვით უნდა განხორციელებულიყო. ამის შესახებ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომაზე ნაორდანია საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. მისი აზრით, ამერკავკასიის სეიმისა და მთავრობის უფლებამოსილების ოფიციალურად შეწყვეტის პროცედურის ნატარების შემდეგ უნდა მომხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მოველენთა ამ ფორმით განკითარება, ნაორდანიას მტკიცებით, ყოველგვარი სახის მოსალოდნელ ექცესებსა და გაუგებრობებს სათავეშივე მოხსნიდა. ასეთი საფუძვლიანი არგუმენტის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხადების მომხრეებმა, კენჭისყრის შედეგად (ექვსი– ოთხის წინააღმდეგ) გაიმარჯვეს. მიუხედავად ამისა, საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა, რადგან: 1)წინასწარ არ ჰქონდათ მომზადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი; 2)გაურკვეველი იყო კანონმდებლობის, ფინანსებისა და რკინიგზის საკითხი; 3)არ არსებობდა წინასწარ შედგენილი ეროვნული საბჭოს ორგანიზაციისა და მთავრობის რეორგანიზაციის გეგმა, რის გამოც ეროვნული საბჭოს 25 მაისის სხდომა აღნიშნული საკითხების დაზუსტებითა და გარკვეით აღმოჩნდა დაკავებული. მან მხოლოდ ეროვნული საბჭოს 26 მაისის სხდომისათვის შეთანხმებული დღის წესრიგისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება შეძლო. მართალია, 26 მაისისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად ყველა დოკუმენტური მასალა იყო მზად, მაგრამ რჩებოდა ფორმალური მხარე. კერძოდ, ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და მისი სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივად დაკანონება. ამ პროცედურის ნატარებას იმ ეტაპზე ის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით სომეხთა და აზერბაიჯანელთა პოზიციის ოფიციალურად გამოხატვის შესაძლებლობას იძლეოდა. მეორე მხრივ, ამ ნაბიჯის გადადგმით, საქართველოს დამოუკიდებლობას სამართლებრივი სახე მიეცემოდა და მომხდარი ფაქტი პოლიტიკური წრეების მხრიდან ნაკლებად პროტესტირებადი გახდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალ– დემოკრატებმა ამ საკითხის ამერკავკასიის სეიმის 26 მაისის სხდომაზე გატანა ამჯობინეს. საზავო მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ მოხსენება ნ.რამიშვილმა გააკეთა. ხოლო ტრაპიზონის მოლაპარაკების შედეგები აკჩხენკელმა შეაჯამა. მან ხაზი გაუსვა აზერბაიჯანელ-

თა მხრიდან ოსმალური ორიენტაციის აღიარებას, რამაც კავკასიის ერთიანობის ფრონტის დარღვევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. აქედან გამომდინარე, ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკება მან უიმედოდ გამოაცხადა და იქვე დასძინა: "ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ ამ მოლაპარაკებიდან არაფერი არ გამოვა. ამის აშკარათ აღიარება ჩვენ პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია."[29]

თუკი ნ.რამიშვილისა და აკ.ჩხენკელის გამოსვლები ინფორმაციული და ეროგვარი ანგარიშის ჩაბარების სახეს ატარებდა, მაოგან განსხვავებით, მკაცრი და რადიკალური იყო ირ.წერეთელის მოხსენება. იგი აზერბაიჯანელთა და სომეხთა მიმართ წაყენებულ პრეტენზიებთან ერთად, გასაჭირში მყოფი ქართველი ერის გამოსავალ გზასაც კონკრეტულად ასახელებდა. ირ.წერეთელის მოხსენებაში მოტანილი ძირითადი დებულებები შემდეგი სახით შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული: 1)ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებიდან გამომდინარე, სოციალ– დემოკრატიამ საერთო ნიადაგის პრინციპზე ამიერკავკასიის ერთა კონსოლიდაციას შეეცადა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით იგი ამიერკავკასიის ერთა შორის ურთიერთდაპირისპირების ნაკვლას და მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალებით შებრძოლებას ისახავდა მიზნად; 2)შემაკავშირებელ ძალებზე გამთიშველი ძალების მბლავრობამ სახელმწიფოებრივი ერთსულოვნება დაარღვია. ერთიანობის არარსებობამ განსაკუთრებით ბათუმის საზავო მოლაპარაკების პროცესში იჩინა თავი. ოსმალეთის მძლავრი შემოტევების პირისპირ მხოლოდ ქართველი ხალხი აღმოჩნდა, რადგან მას აზერბაიჯანელები და სომხები ჩამოცილდნენ; 3)რამდენადაც ქართული დელეგაცია ბათუმში ისევე განაგრძობდა საზავო მოლაპარაკებას, "დღეს უნდა ვუთხრათ ქართველ ხალხს,– ამბობდა ირ.წერეთელი– რომ შენ მარტო ხარ, შენ... საკუთარ ძალებზე უნდა დაეყრდნო, ტყვილად იკვებები ილუზიებით, შენ უნდა შექმნა საკუთარი სახელმწიფო... ჩვენი ფრაქცია ყოველთვის ერთობაზე იბრძოდა, მაგრამ დღეს... მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას... შექმნილ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადება აუცილებელი ფაქტია, ამას გვიკარნახებს დემოკრატიის ინტერესები." ამ გამოსვლით ირ.წერეთელმა ფაქტიურად განაჩენი გამოუტანა აზერბაიჯანელ და სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს. მისი ასეთი მკაცრი გამოსვლის მიუხედავად, სეიმის მონაწილეებს პირობას აძლევდა, რომ ქართველი ერის ფეხზე დადგომის შემთხვევაში იგი ამიერკავკასიის მთლიანობისათვის იბრძოლებდა. იმავდროულად, მთლიანი ამიერკავკასიის "დანგრევის," როგორც ფაქტის ფონზე, ირ.წერეთელი სეიმის მონაწილეებს მიმართავდა: "ჩვენ მეტად მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, მაგრამ მაინც უნდა ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისათვის. მეტი გზა არ დაგვრჩენია... ჩვენ ვაცხ-

ადებთ, რომ მთლიანი ამიერკავკასია დაინგრა, უნდა მიეცეთ ქართველ ხალხს უფლება თავისი თავი იხსნას და სხვების ხსნა'ხელაც ი'ხრ'ენ-ოს. ამიერკავკასიის სეიმმა დასტ'ური უნდა მისცეს ამას.''[30]

1918 წ'ლის 26 მაისის დღის სამ საათ'ზე ამიერკავკასიის სეიმმა, ამიერკავკასიის დემოკრატ'ული ფედერაციული რეს'პუბლიკა და'შლილად გამოაცხადა და თვითონაც ფუნქციონირება შეწ'ყვეტ'ა. ამ პროცედ'ურის ნატარების შემდეგ შეუდგა საქართველოს ეროვნ'ული საბჭო მუ'შაობას (4 საათი და 50 წ'უთი), რომელსაც 42 წ'ევრი და 36 კანდიდატი ეს'წრებოდა. ქართველი ერის ისტორია'ში ამ უმნი'შვნელოვანეს დღეს, ეროვნ'ული საბჭოს თავმჯდომარეობა და შესაფალი სიტ'ყვის თქმა ნ.ჟორდანიას მიანდ'ვეს. ეს შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. საქართველოს დამოუკიდებ'ლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით წარმოთქმ'ული სიტ'ყვა, მოკლე და ფართო ტ'ევადობის, პოლიტ'იკურად მოქნილი და გამართ'ული, იმავდროულად გადაჭარბებ'ული რადიკალი'ზმისაგან უნდა �ფილიყო და'ხლ'ვეული. ამ თვალსა'ზრისით იგი თითქმის უნაკლოდ გამოიყ'ურებოდა. "მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწ'მე იყავით ერთი ტ'რადიკ'ული აქ'ისა– განაცხადა ნ.ჟორდანიამ– ამ დარბა'ზში მოკ'ვდა ერთი სახელმ'წიფო და აი ახლა იმავე დარბა'ზში ეერება საფუძ'ველი მეორე სახელმ'წიფოს... საქართველოს ახალი სახელმ'წიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართ'ული არც ერთი ხალხის, არცერთი სახელმ'წიფოს წინააღმდეგ. მისი მი'სანია დღევანდელი ისტორი'ული ქარტ'ეხილ'ებისაგან დაიფაროს თავისი თავი და როცა ამას მოახერ'ხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩ'ვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდ'ელში!''[31]

ყ'ურადღ'ება უნდა მივაქ'ციოთ იმ გარემოებ'ასაც, რომ იმავე ნ.ჟორდანიამ საქართველო'ში მცხოვ'რები ეთნიკ'ური უმცირ'ესობ'ების უფლ'ებამ'ოსილ'ებ'ის საკითხ'საც შეეხო და დამოუ'კიდ'ებელი საქართველ'ოს მომავ'ალი ხელისუფ'ლ'ების მათდამი დამოკ'იდ'ებ'ულ'ება შემ'დ'ეგი ფორ'მით ნამ'ოაყ'ალ'იბ'ა: "ვაცხ'ადებ'თ, რომ ეროვნ'ული უმ'ცირ'ესობ'ანი იქ'ნ'ებ'იან ისეთ'ივე უფ'ლ'ებ'ამ'ოსილ'ნი, როგ'ორ'იც იქ'ნ'ებ'ა ჩ'ვ'ენ'ი სახ'ელ'მ'წ'იფ'ოს ეროვ'ნ'ული უმ'რ'ავ'ლ'ესობ'ა– ქ'ართ'ველ'ობ'ა.''[32] ამ'ით მ'ან ერ'თ'ხ'ელ კ'ი'დ'ე'ც ხ'ა'ხ'ი გ'ა'ვ'ს'ვ'ა ი'მ ფ'ა'ქ'ტ'ს, რ'ომ ს'ა'ქ'ა'რ'თ'ვ'ე'ლ'ო'ს დ'ა'მ'ო'უ'კ'ი'დ'ებ'ლ'ობ'ა ს'რ'ულ'ებ'ით'ა'ც ა'რ ნ'ი'შ'ნ'ა'ვ'დ'ა რ'ა'დ'ი'კ'ა'ლ'ურ'ი ნ'ა'ც'ი'ო'ნ'ა'ლ'ი'ზ'მ'ის კ'ურ'ს'ის გ'ა'ტ'ა'რ'ებ'ა'ს'ა დ'ა ქ'ვ'ე'ყ'ნ'ის შ'ი'გ'ნ'ი'თ მ'ც'ხ'ო'ვ'რ'ებ'ი ე'თ'ნ'ი'კ'ურ'ი უ'მ'ც'ი'რ'ე'ს'ობ'ებ'ის'ა'დ'მ'ი დ'ა'პ'ირ'ის'პ'ირ'ებ'ას. პ'ირ'ი'ქ'ით, დ'ა'მ'ო'უ'კ'ი'დ'ებ'ელ'ი ს'ა'ქ'ა'რ'თ'ვ'ე'ლ'ო'ს ხ'ელ'ის'უ'ფ'ლ'ებ'ა, ნ.ჟ'ო'რ'დ'ა'ნ'ი'ა'ს ს'ი'ტ'ყ'ვ'ებ'ით რ'ომ ე'თ'ქ'ვ'ა'თ, ის'ტ'ორ'ი'ულ ტ'რ'ა'დ'ი'ც'ი'ა'ს ა'რ დ'ა'ა'რ'ღ'ვ'ე'ვ'ე'დ'ა დ'ა მ'ის მ'ე'ს'ობ'ელ ე'რ'ებ'ს'ა'ც დ'ა'ხ'მ'ა'რ'ებ'ის ხ'ელ'ს გ'ა'უ'წ'ვ'ე'დ'ი'დ'ა. ი'გ'ი ა'ზ'ერ-ბ'ა'ი'ჯ'ა'ნ'ე'ლ'ებ'ს'ა დ'ა ს'ო'მ'ხ'ებ'ს მ'ო'უ'წ'ო'დ'ებ'დ'ა დ'ა'ე'ა'რ'ს'ებ'ი'ნ'ა'თ დ'ა'მ'ო'უ'კ'ი'დ'ებ'�ლ'ი ს'ა'ხ'ელ'მ'წ'ი'ფ'ო'ებ'ი, რ'ა'თ'ა ს'ა'ფ'უ'ძ'ვ'ე'ლ'ი მ'ო'მ'ზ'ა'დ'ებ'ულ'ი'ყ'ო ა'მ'ი'ერ'კ'ა'ვ'კ'ა'ს'ი'ის დ'ა'მ'ო'უ'კ'ი'დ'ებ'ელ ს'ა'ხ'ელ'მ'წ'ი'ფ'ო'თ'ა კ'ონ'ფ'ედ'ერ'ა'ც'ი'ულ'ი კ'ა'ვ'შ'ირ'ის შ'ე'ს'ა'ქ'მ-ნ'ელ'ად. რ'ომ ეს ს'ა'ხ'ელ'მ'წ'ი'ფ'ო'ებ'ი "ერ'თ'ი დ'რ'ო'შ'ის ქ'ვ'ე'შ გ'ა'ერ'თ'ი'ან'ებ-

ულნი... საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი ნაგვცენ და დაგვანგრიონ."[33]

ნ.ჟორდანიას მიერ ასეთი ფორმით წარმოთქმულ სიტყვას იმ ეტაპზე არა მარტო პოლიტიკური, არამედ იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. ქართველთა მხრიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად გაღადგმული ეს ნაბიჯი, ამიერკავკასიის ერებს მტრული პოზიციიდან არ უნდა აღექვათ და დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ იმაში, რომ დამოუკიდებელი საქართველო სრულებითაც არ აპირებდა კარჩაკეტილ ცხოვრებას და იგი უკეთ შეძლებდა მათდამი მეგობრული ხელის გაწვდენას. ეს პოზიცია სამართლებრივი თვალსაზრისით ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტითაც იქნა დადასტურებული.[34]

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის სხდომამ, საქართველოს დროებითი მთავრობის შემადგენლობა დაამტკიცა: ნოე რამიშვილი– მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი; 2)აკაკი ხიჩენკელი– საგარეო საქმეთა მინისტრი; 3)გრიგოლ გიორგაძე– სამხედრო მინისტრი; 4)გიორგი ჟურული– ფინანსთა და ეკონომიკა– მრეწველობის მინისტრი; 5)გიორგი ლასხიშვილი– განათლების მინისტრი; 6)ნიკო ხომერიკი– მიწათმოქმედების და შრომის მინისტრი; 7)შალვა მესხიშვილი– იუსტიციის მინისტრი; 8)ივანე ლორთქიფანიძე– გზათა მინისტრი.

ეს იყო დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომლის წინაშეც ურთულესი სახელმწიფოებრივი პრობლემები იდგა გადასაწყვეტად. საბჭოური ისტორიოგრაფიის სულგავლენით, ზოგიერთი მკვლევარი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ მთავრობას რატომღაც ღღესაც "მენშევიკური" ან "სოციალ– დემოკრატიული მთავრობის" კონტექსტში მოიხსენიებს. დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობისადმი საბჭოური ისტორიოგრაფიის მხრიდან "ნათლიას" როლში გამოსვლა გარკვეულ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. საქართველოს ეროვნული მთავრობის დისკრედიტაციით იგი საზოგადოებაში დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს არსებობის ფიქციამდე დაყვანას, საქართველოს ოკუპაციისა და საბჭოური ხელისუფლების გამართლებას ცდილობდა. დღევანდელი გადასახედიდან ჩვენს ამოცანას წარმოადგენს დოკუმენტური მასალების მაქსიმალურად გათვალისწინებით ამა თუ იმ პრობლემის ობიექტურად შეფასება. მითუმეტეს, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მოწონებულ და ცალკე წიგნაკის სახით 1918 წელს გამოცემულ დოკუმენტში "შემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს" შაკიი თეთრზე წერია: "საქართველოს მთავრობა ცნობილ უნდა იქნას, როგორც ეროვნული მთავრობა."[35]

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენითა და მისი ეროვნული მთავრობის დამტკიცებით, ფაქტიურად 117 -წლოვანი ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლა დამთავრდა. საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ქართული სოციალ– დემოკრატიის ერთ–ერთმა ლიდერმა ირ.წერეთელმა, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 29 მაისის სხდომაზე ამ ისტორიულ მოვლენას ლოგიკური დასკვნა უწოდა, ხოლო გაზეთ "ერთობაში" გამოქვეყნებულ სტატიაში- "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა," საქართველოს დამოუკიდებლობა, საგარეო ურთიერთობის გამწვავებით განპირობებულ ძალდატანების შედეგად იყო მიჩნეული. იმავდროულად, დასმული იყო საკითხი საერთაშორისო დემოკრატიული ძალების მხრიდან ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოსათვის მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ. ანალოგიური თვალსაზრისი იყო გამოთქმული ცნობილი გერმანელი პროფესორის ფრანც ფონ ლისეტის მიერ გერმანიის რაიხსტაგში გაკეთებულ მოხსენებაში, რომელიც ბროშურის სახითაც იქნა გამოქვეყნებული სათაურით– "საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა." იგი ხაზს უსვამდა რა საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობას, სხვა სახელმწიფოების მხრიდან მისი de facto აღიარებას აუცილებლობად მიიჩნევდა. იმავდროულად დასძენდა, რომ აღნიშნული ფაქტი რუსეთის ხელისუფლებას მის წინააღმდეგ მიმართულ "მტრულ აქტად" არ უნდა ჩაეთვალა, რადგან საბჭოთა რუსეთს ამა თუ იმ ერების თვითგამორკვევა და გამოყოფა ოფიციალურად ქონდა აღიარებული.[36]

გერმანელი მეცნიერის აღნიშნული შეხედულებების გახმოვანება, საქართველოსთან დაკავშირებით გერმანული სასოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობაზე მიგვანიშნებს. რამდენადაც დღის წესრიგში იმ ეტაპზე ახლადშექმნილი ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნებისა და ფორმირების საკითხი იდგა, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებს გერმანული ფაქტორი მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ. მითუმეტეს, მეგობარი სახელმწიფოს დაუხმარებლად იმ უმძიმეს პირობებში დასახული მიზნის მიღწევა ქართველი ერისათვის თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. გერმანიის წარმომადგენლობასთან დაწყებული დიალოგის გაღრმავების აუცილებლობისაკენ ქართველ პოლიტიკოსებს კავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი მძიმე მდგომარეობა უბიძგებდა. ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯი 1918 წლის 28 მაისს გადაიდგა, როცა ქ.ფოთში საქართველოსა და გერმანიის წარმომადგენლობას შორის წინასწარი ხელშეკრულების ტექსტს მოაწერა ხელი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ეროვნული საბჭოს 29 მაისის სხდომაზე ნ.რამიშვილმა საბჭოს წევრებს ამ ხელშეკრულების ძირითადი დებულებები გააცნო. დოკუმენტის მიხედვით: 1)გერმანია აღიარებდა

საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის დასტურადაც საქართველოში გერმანიის წარმომადგენლობას ხსნიდა, ხოლო ქ.ფოთში იგი თავის კონსულს ნიშნავდა; 2)გერმანია დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობას; 3)საქართველოს ხელისუფლებას გერმანია აღუთქვამდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა ოთხთა კავშირი და რუსეთის მთავრობაც.

ეროვნული საბჭოს იმავე სხდომამ ერთხმად დაამტკიცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი. "მოისმინა რა მთავრობის ცნობა გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ, -ეკითხულობთ დოკუმენტში- საქართველოს ეროვნული საბჭო ადასტურებს მთავრობის ნაბიჯებს, სრულიად დარწმუნებული, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უსრუნველსაყოფად."[37]

ეს ფაქტი იმის დადასტურებაა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანო მხარს უჭერდა ახლადარჩეული მთავრობის პროგერმანულ პოლიტიკურ კურსს. ამ მხრივ იგი არ შემცდარა, რადგან გერმანიის ხელისუფლება პირნათლად ასრულებდა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუხლებს. მხედველობაში გვაქვს გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1918 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულების VI თავის მეცამეტე მუხლი, რომლის ძალითაც საბჭოთა რუსეთი აღიარებდა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.[38]

საქართველოს მიმართ გერმანიის მიერ გაწეულმა ერთგულებამ, ქართულ პოლიტიკურ ასპროვენებაში მაღალი შეფასება დაიმსახურა. ანალოგიური პოზიცია უჭირავს სადად მოაზროვნე ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებსაც. აჯამებს რა გერმანია- საქართველოს ურთიერთობის შედეგებს, დ.ჯუმბურიძე საესებით სამართლიანად წერს, რომ იმ ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში პროგერმანული კურსი "დიდ რისკთან იყო დაკავშირებული." რადგან იმ ეტაპზე "გერმანიის დამარცხება- გამარჯვების საკითხი ...გარკვეული არ იყო, მაგრამ სოციალ- დემოკრატებს ყოველთვის მაინც "ანტანტის" მხარე ეჭირათ. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ... მათ უტყუარად სჯეროდათ ახალი მოკავშირის გამარჯვებისა, მაგრამ შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ, საქართველოს გარეშე მტერთაგან სრული ოკუპაციის საფრთხემ, რაც თურქეთის მხრიდან საესებით მოსალოდნელი იყო, აიძულა ისინი ეს ნაბიჯი გადაედგათ და არც არასოდეს უნანიათ იგი! გერმანია ძალიან ცოტა ხანს იყო საქართველოს მოკავშირე, მაგრამ ისეთი ერთგული პარტნიორობა გაუწია მას, ისეთი თავდადება გამოიჩინა მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნამოყალიბებაში, რომ ამას ყოველთვის იხსენებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიების წევრებიც."[39]

მართალია, საქართველოს ხელისუფლების ურყევი ორიენტაცია გერმანიისკენ იყო მიმართული, მაგრამ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, მის მიერ აღიარებული პრინციპების ოფიციალურად გაცხადებასა და დადასტურებას საჭიროებდა. ამის აუცილებლობა იმითაც იყო განპირობებული, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედების, მისი პოლიტიკური კურსის სამართლებრივად განმსაზღვრელის ფუნქცია ოფიციალურად დადასტურებულ დოკუმენტს უნდა შეესრულებინა. ასეთი სახის პროექტი საქართველოს მთავრობამ ეროვნულ საბჭოს მხოლოდ 1918 წლის 15 ივნისს წარუდგინა. იგი საქართველოს მთავრობის დეკლარაციითაა ცნობილი. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1)მთავრობის პირველი რიგის ამოცანად ქართველი ხალხისათვის უსაფრთხოების გარანტიის შექმნა და ხელისუფლების განმტკიცება იყო გაცხადებული: 2)დადებითად იყო შეფასებული გერმანიასთან დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა, მისი როლი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის გარანტიის შექმნის თვალსაზრისით: 3)შეფასებული იყო ოსმალეთთან დადებული 1918 წლის 4 ივნისის საზავო ხელშეკრულება და ის მძიმე პირობები, რომელშიც ამ დოკუმენტზე იძულებითი ხელმოწერის შედეგად აღმოჩნდა საქართველო. გამოთქმული იყო რწმენა, რომ ქართველი ერის ინტერესები ამ მხრივ მომავალში მაქსიმალურად იქნებოდა დაცული; 4)აუცილებლობად იყო მიჩნეული ქვეყნის შიგნით ყოველგვარი სახის ანარქიის გამოვლინების სათავეშივე მოსპობა და უმკაცრესი წესრიგის დამყარება, ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი ძლიერი მთავრობის არჩევა, კარგად გაწერთნილი საკუთარი ჯარის შექმნა; 5)ერთ–ერთ პირველხარისხოვან ამოცანად იყო დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში მოცემული დებულებების პრაქტიკული რეალიზაცია, ადგილობრივი საერობო თვითმმართველობის შემოღება, სასამართლო და განათლების სისტემის რეფორმების დაჩქარებული ტემპით გატარება, საეკლესიო უფასო პირველდაწყებითი სწავლების დაკანონება; 6)ეკონომიკის სფეროს გაჯანსაღების მიზნით დასახული იყო ფინანსური მეურნეობის მოწესრიგების, საკუთარი ფულის მოჭრის, აგრარული რეფორმის ბოლომდე მიყვანის, სოციალური კანონმდებლობის დახვეწის, ბუნებრივი სიმდიდრის სახელმწიფო საკუთრებად აღიარების, სახელმწიფო კონტროლის შემოღების, დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მოწვევისა და სხვა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა.[40]

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტის მიხედვით, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს სრულყოფილად ფორმირება იყო გათვალისწინებული. მართალია, მისანი კეთილშობილური იყო, მაგრამ მისი რეალურად ხორცშესხმა უდიდეს სირთულეებს უკავშირდებოდა. სწორედ ამ

დაბრკოლებათა დაძლევაში უნდა წარმოჩენილიყო გერმანიის როლი და დამსახურება. დოკუმენტის ძირითადი ტექსტიც ამ თვალსაზრისზე იყო აგებული. მიუხედავად ამისა, იგი ეროვნული საბჭოს წევრთა მხრიდან მწვავე დებატების საგანი გახდა. იმის მაგიერად, რომ ტექსტის დახვეწის, ან მასში მოტანილი დებულებების შეცვლის თვალსაზრისით უკეთესი ფორმულირებანი ყოფილიყო წარმოდგენილი, რადიკალ– დემოკრატები და ეროვნულ– დემოკრატები, სოციალ–დემოკრატებისადმი წარსულის ბრალდებებით იფარგლებოდნენ. მეტიც, იმ ეტაპზე საქართველოს თავზე დამტყდარ უბედურებას სოციალ–დემოკრატებს აბრალებდნენ. დ.ჩიქოვანმა კატეგორიულად დააყენა საკითხი: "მიეცით ბატონობა რადიკალ –დემოკრატების პარტიას და საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჭყეფს."[41] რაც შეეხება ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ერთ– ერთ ლიდერს გ.ვეშაპელს,მან ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის სახელით ცალკე პროექტი წარადგინა და საქართველოს ახალ მთავრობას ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების შეუძლებლობაში დასდო ბრალი. აქედან გამომდინარე, სოციალისტების მხრიდან ბურჟუაზიული სახელმწიფოს აშენება მიუღებლად მიიჩნია. იმავდროულად, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა და ეროვნულ– სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი პარტიების ბაზაზე საქართველოს მთავრობის შედგენის აუცილებლობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში.[42]

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული პრეტენზიები საფუძველს იყო მოკლებული და არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა, რადგან: 1)მთავრობის ოპონენტები ამ შემთხვევაში შეგნებულად ივიწყებდნენ იმ ფაქტს, რომ 1918 წლის 26 მაისის ეროვნული საბჭოს სხდომის მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა (ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი) ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოავლინა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის დამტკიცებისას; 2)1918 წლის 26 მაისიდან– 15 იენისამდე (შუალედი 20 დღე), დროის ამ მცირე მონაკვეთში არა თუ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, არამედ ახლადშექმნილი მთავრობის აპარატის მოწესრიგებაც კი შეუძლებელი იქნებოდა; 3)დ.ჩიქოვანი და გ.ვეშაპელი არ ითვალისწინებდნენ იმ რეალურ სინამდვილეს რა მდგომარეობაშიაც იმ ეტაპზე საქართველო იმყოფებოდა. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოებრივი მშენებლობის დასაწყებად შესაბამისი ფუნდამენტის არარსებობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი ნულიდან უნდა დაწყებულიყო; 4)ქვეყნის დამფუძნებელი კრების მოწვევა (რასაც ოპონენტები კატეგორიულად მოითხოვდნენ) პირველ რიგში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას საჭიროებდა. ამ პროცედურის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და იმის

გარკვევა თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას ან როგორი სახის მთავრობას მიანიჭებდა უპირატესობას საქართველოს მოსახლეობა.

რამდენადაც მთავრობის მიერ ეროვნული საბჭოსადმი წარდგენილ დეკლარაციაში ძირითად იდეად დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვა და მისი განმტკიცება იყო ნადებული, დისკუსიის დროს, სოციალ- დემოკრატებს განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ ამ მიმართულებით ჰქონდათ გადატანილი. იმავე სხდომაზე ნ.ჟორდანია ოპონენტების მისამართით ოფიციალურად აცხადებდა, რომ დეკლარაციაში საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაა "მთავარი საგანი... სხვა დანარჩენ მუხლებს ჩვენ ვუკავშირებთ ამ მთავარ საგანს. თუ ეროვნულ- დემოკრატებს საქართველოს დაცვა მიაჩნიათ მთავარ საგნად... მხარი უნდა დაუჭიროთ... მთავრობას."[1]

რაც შეეხება ეროვნულ- დემოკრატების შიშს- სოციალ- დემოკრატების მიერ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ, იმავე სხდომაზე ნ.ჟორდანია მათი მისამართით გარკვევით მიუთითებდა, რომ "არის პოლიტიკური წყობილება, რომლის აგებაში სოციალისტები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ყოველ ქვეყანაში. ეს წყობილება სხვადასხვანაირია; გერმანიის, შვეიცარიის, ინგლისის, ამერიკის... თუმც მათი ეკონომიური საძირკველი ერთია- კაპიტალიზმი. თქვენ შეიძლება გინდათ, რომ იყოს წყობილება გერმანიის, ჩვენ გვინდა რომ აქ იყოს წყობილება შვეიცარიის. თქვენ შეიძლება მომხრე ხართ მონარქისტული კონსტიტუციის, ჩვენ მომხრე ვართ დემოკრატიული პარლამენტური წყობილების.- საქართველო ან იქნება დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, ან სრულიად არ იქნება..."[2]

ამ ამონაწერებიდან კარგად ჩანს, რომ ხელისუფლებაში სოციალისტების მოსვლა კაპიტალიზმის უარყოფას სრულებითაც არ ნიშნავდა. პირიქით, ნ.ჟორდანია უპირატესობას ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანასა და წყობილებას ანიჭებდა, როგორიც შვეიცარია იყო. აქედან გამომდინარე, ეროვნულ- დემოკრატების შიში უსაფუძვლო იყო, რადგან ქართველი სოციალ- დემოკრატები საზოგადოების განვითარების ევოლუციური გზის უარყოფას არ აპირებდნენ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ახლადშექმნილი საქართველოს მთავრობისაგან ეროვნულ- დემოკრატებმა დაწესებულებათა დაუყოვნებლივი ნაციონალიზაცია მოითხოვეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი სოციალ- დემოკრატების ლიდერებს თავიანთი შეუცვალი პოზიცია გააჩნდათ. მათი მტკიცებით, აღნიშნული რეფორმის გატარება საფუძვლიან სამზადისსა და საზოგადოებაში სათანადო ნიადაგის შემზადებას საჭიროებდა. ასეთი სახის არგუმენტზე დაყრდნობით ირ.წერეთელი ეროვნულ- დემოკრატების მისამართით აცხადებდა: "სახელმწიფოებრივი ენა ქართული... იქნება, მა-

გრამ ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი შრომა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ... ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ... განა შეიძლება იმგვარად ახალი სახელმწიფოს აშენება, როგორც თქვენ გსურთ? გვაქვს თუ არა იმდენი საკუთარი ძალა, რომ ჩვენ მოვიშოროთ ყველა ის, ვისითაც სარგებლობა შეგვიძლიან? იცით თუ არა, რომ ასეთი აქტით ვაგრძნობინებთ მრავალ უცხოელ ერს ნაციონალურ პოლიტიკას?"[45]

ამ შემოხვევაში ირ.წერეთელი საკუთარ მართალს ამბობდა, რადგან დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველო ქართული ენის მცოდნე კადრების დეფიციტს განიცდიდა. მეორე მხრივ, დაწესებულებებიდან არაქართული ელემენტის ეროი ხელისდაკვრით განდევნა ქვეყნის შიგნით ქაოსის დაწყების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. მითუმეტეს, რუსული გაზეთები "სოციალ– დემოკრატი" და "ზნამია ტრუდა" საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ნაციონალურ– შოვინისტური პოლიტიკის გატარების გარდუვალობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას და რუსული მოსახლეობის საქართველოდან შესაძლო განდევნაზე მსჯელობდნენ. საბჭოთა რუსეთის მხრიდან ასეთი ფონი ხელოვნურად იქმნებოდა. ბუნებრივია, ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს რუსი და ქართველი ბოლშევიკები არა მარტო იდეოლოგიური პროპაგანდისათვის, არამედ ეთნიკური უმცირესობების საქართველოს ხელისუფლებისადმი დასაპირისპირებლად და შიდასახელმწიფოებრივი არეულობის შესაქმნელად გამოიყენებდნენ. იმ ეტაპზე შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, პრობლემისადმი მიდგომას ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნების პოზიციიდან საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, ამ მნიშვნელოვანი რეფორმის გასატარებლად გარკვეული ნიადაგი უნდა შემზადებულიყო და, რაც მთავარია, სახელმწიფოს იმდენი ძალა მაინც უნდა ჰქონოდა, რომ ქართული ენის გასახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგე შინაური თუ გარეშე ელემენტებისაგან განპირობებული მოსალოდნელი საფრთხის ალაგმვა შეძლებოდა.

რაც შეეხება გრ.ვეშაპელის მიერ სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის ქართველი ხალხისათვის უბედურებად გამოცხადებას, ირ.წერეთელმა ოპონენტს პათეტიკური ტონით უპასუხა: "მე ვიტყოდი, –ამბობდა ირ.წერეთელი– რომ ეს სწორედ უბედურებაა... ჩვენ ვიკისრეთ მძიმე საქმე, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ არცერთ ერს არ ჰყოლია ისეთი ლაჩარი, ისეთი სუსტი და გაუბედავი ბურჟუაზია, როგორიც ჩვენს ერს და სამწუხაროთ, არცერთ ბურჟუაზიას არ ჰყოლია ისეთი წინდაუხედავი პოლიტიკოსები, როგორიც ჩვენს ბურჟუაზიას. აქ ბრძანებენ, რაკი ბურჟუაზიული წყობილების აღმშენებლობა უნდა დავიწყოთ, თქვენ უნდა გადადგეთო. კი ბატონო, მაგრამ მე გეკითხებით,... სახელმწიფოებრივი საქმის გაძღოლა რომ შეძლოს, მოიპოვება ვინმე თქვენში? განა თქვენი ბურჟუაზია შექმნის მაგარ მთავრობას და განამტკიცებს დემოკრატიულ წყობილებას?... ჩაუფიქრდ-

ნენ ყოველივე ამას ეროვნულ– დემოკრატები. ნაუფიქრდნენ რად ჰქვია-ათ მათ ეროვნულ– დემოკრატები, ნუთუ იმიტომ რომ, როდესაც ერის და სახელმწიფოს ბედი გარედან ირყევა– მათ ნუთუ მარტო არანაკლებრივი კილო უნდა შეითვისონ და გამოვიდნენ ჩვენი ერის და დემოკრატიის შიგნიდან დამრღვევებად და საყლაეის გამთხრელებად?"[46]

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული საბჭოს 15– 16 ივნისის სხდომების მასალების შესწავლამ ნათლად დაადასტურა; არსებული პოლიტიკური სიტუაციის სიღრმისეული ფლობითა და სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ასროვნებით რა მაღალ დონეზე იდგნენ იმ ეტაპზე ქართული სოციალ– დემოკრატიის ლიდერები. მეორე მხრივ, ისინი ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს ემსახურებოდნენ და მისი სახელმწიფოებრივად ნამოყალიბებისათვის შესაბამისი საშუალებების გამოძებნას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ურთულესი გზის გაკვლის პერიოდში შეცდომები არ ჰქონდათ. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რეალობას, –იმ ეტაპზე საქართველოში არსებობდა თუ არა ისეთი საზოგადოებრივ– პოლიტიკური ძალა, რომელიც სოციალ– დემოკრატებს გაუწევდა კონკურენციას და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწყობას უკეთესად წარმართავდა. ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, მიუდგომელ პასუხს სოციალისტ– ფედერალისტთა პარტიის ერთ– ერთი ლიდერი ვ.კოტეტიშვილი იძლევა წერილში -"საქართველო და გერმანია." მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზისა და საქართველოს რეალური მდგომარეობის გათვალისწინების ფონზე იგი ეროვნულ– დემოკრატების მისამართით წერდა: "შიუხედავად იმ მოუწყობლობისა, რომელსაც საქართველოში ვხედავთ, მაინც სჩანს... სახელმწიფოებრივი განმტკიცების ნიშნები. არ უნდა დაგვაეიწყდეს, რომ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია. ირგვლივ უკულტურო უდაბნო გვახვევია. ისლამის რკალში ვართ მოქცეული და მაინც ვაწესრიგებთ სახელმწიფო შენობას. საქართველოს სუვერენიტეტს მაინც ვიცავთ, თუმც ხელისშემშლელებიც ბევრი გვყავს. **რა ვუყოთ, რომ ოპოზიცია ბევრს ლაპარაკობს მთავრობის უსუსურობაზე. შემოქმედებითი მუშაობა მათ ვერ შეძლეს და ნაკლთა ჩვენებითღა კმაყოფილდებიან. "პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთო"- სთქვეს იმ დროს, როდესაც საქართველოს არსებობის საკითხი დაისვა გადასაწყვეტად."**[47]

ვ.კოტეტიშვილს, ამ შემთხვევაში ეროვნულ– დემოკრატების მხრიდან დამოუკიდებელი საქართველოს კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე უარის თქმის ფაქტი ჰქონდა მხედველობაში. ამასთან დაკავშირებით გრ.ურატაძე წერდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კოალიციურ მთავრობაში "ეროვნულ– დემოკრატებს მიეცათ ორი

ადგილი, მაგრამ... უარი განაცხადეს. ის ერთი ადგილი, რომელიც მათ ეჭირათ, მოხდა მათი სურვილის წინააღმდეგ. ეს იყო გუურული, წევრი ეროვ. დემოკრატ. პარტიისა, რომელიც შეეიდა მთავრობაში წინააღმდეგ თავისი პარტიის ხელმძღვანელთა სურვილისა და მან ეს საჯაროთაც განაცხადა. ამ ურნობისათვის ის გაბაშვილ– ვეშაპელმა იმით დასაჯეს, რომ, როდესაც პირველი მთავრობა წარუდგა ეროვნულ საბჭოს თავისი დეკლარაციით და მთავრობის შემადგენლობა გააცნო... გამოვიდა ვეშაპელი და თავისი ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ მისი ფრაქცია წინააღმდეგ აძლევს ხმას მთავრობის დეკლარაციას და ამავე დროს აცხადებს, რომ ეროვნული არ არის ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და არაკითარ პასუხს არ ვაგებთ მის მოქმედებაშიო.'"[48] იმავე გვეშაპელის განცხადებით, მთავრობას კრიტიკას გაუწევდნენ მანამდის, სანამ ძალთა განწყობილება ეროვნულ– დემოკრატების სასარგებლოთ არ შეიცვლებოდა.

ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ იმ ძნელბედობის ჟამს, საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხის დასმის პირველი საფეხურიდანვე, მოსალოდნელი შედეგების პასუხისმგებლობას ეროვნულ– დემოკრატები განერიდნენ. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში სტერცხალაკას, როდესაც 1919 წელს გამოქვეყნებულ წერილში "დამფუძნებელ კრებაზე." ხასგასმით მიუთითებდა: "სოციალ– დემოკრატიულმა პარტიამ თავს იდვა ჩვენი დამოუკიდებლობა, ერის აღორძინება და არავის ეხედავთ დღესდღეობით მისი მაგივრობა სხვა რომელიმე ძალამ გასწიოს. ამიტომ, ჩვენს მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს სოციალ– დემოკრატიამ ხელიდან გაუშვას სახელმწიფოს საქმე. არ გვინდა რომ იგი წაიქცეს დღესაც მისგან შემდგარი მთავრობა."[49]

აღნიშნული ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ სოციალ– დემოკრატიის ხელმძღვანელობა იმ ურთულეს პირობებში ერთად– ერთი პოლიტიკური ძალა იყო, რომელმაც თავის თავზე საქართველოს დამოუკიდებლობის გადარჩენისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მთელი პასუხისმგებლობა აიღო. აქედან გამომდინარეკამ პარტიის ლიდერები ამა თუ იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას, ბუნებრივია იმ ფორმითა და საშუალებებით ცდილობდნენ, რომელიც მათ ყველაზე პერსპექტიულად ესახებოდათ. მიუხედავად ამისა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ძნელბედობის პირობებში მყოფი საქართველოს სამშვიდობო გზაზე გამოყვანის, ან მისი სახელმწიფოებრიობის ფორმირების სრუნვის საქმეში, ეროვნულ საბჭოში გაერთიანებული რომელიმე პოლიტიკური ძალა იქნას დაკნინებული. პირიქით, ეროვნული საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების შესწავლა ადასტურებს, რომ ქართული პოლიტიკური ასრის მესვეურთა განუშო-

რებელი ფიქრის საგანს დამოუკიდებელი საქართველოს სიძლიერე და გარეშე მტრისგან მისი დაცვის მექანიზმის ძიება წარმოადგენდა.

თუკი საქართველოს ეროვნულ საბჭოში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები ქვეყნის მომავალზე ამ კუთხით ფიქრობდნენ, მათგან განსხვავებით, საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ ქართველი ბოლშევიკები. დჯუმბერიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ესენი იყვნენ ვლადიმირის იდეური მხარდამჭერი ქართველი ბოლშევიკების (სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ორახელაშვილი, ოკუჯავა, ქავთარაძე ელიავა და სხვები) გუნდი,[50] რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ფიზიოლოგიურად ვერ იტანდნენ. ამიტომ, საქართველოსთან მიმართებაში მათი თვალსაზრისი ცალმხრივობით და ტენდენციურობით გამოირჩეოდა. ამ შემთხვევაში, ისინი თავიანთი "მასწავლებლის" მიერ საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში გამოთქმულ მკცდარ შეხედულებებს ემყარებოდნენ. მხედველობაში გვაქვს სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 29 ივლისის სხდომაზე ვ.ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვა. "საქართველოს ეს დამოუკიდებლობა– ამბობდა იგი– ყოვლად აშკარად მოტყუებად იქცა,– სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან, ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ."[51]

ეს ყალბი შეხედულება საყოველად დაედო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რუსი და ქართველი ბოლშევიკების მხრიდან მიმართულ საგაზეთო– პროპაგანდისტულ საქმიანობას. მათი ხელშეწყობით, ამ მიმართულებით რუსული ნაციონალისტური პრესაც აქტიურად მოქმედებდა. აღნიშნულმა პროცესმა იმდენად საშიში სახე მიიღო, რომ ეს საკითხი საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 15 ივლისის სხდომის მსჯელობის საგანიც კი გახდა. ამ მხრივ ყურადღებას შ.ქარუმიძის გამოსვლა იქცევს. იგი საქართველოს ტერიტორიაზე გამომავალ რუსულ გაზეთებს "ბორბა"-სა და "ხნამია ტრუდა"-ს ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდისტულ საქმიანობას შეეხო და საქართველო– გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავების მცდელობაში დაადანაშაულა. რაც შეეხება რადიკალ– დემოკრატ ფანქოვანს, მისი სამართლიანი მტკიცებით, რეჟოლუციის ხანაში პრესის სრული თავისუფლება დაუშვებელი იყო. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი გაზეთების დახურვას, უკიდურეს შემთხვევაში მასზე მკაცრი ცენზურის დაწესების აუცილებლობის საკითხს აყენებდა.[52]

ამ სამართლიან მოთხოვნას, სამწუხაროდ, სოციალ –დემოკრატიის ერთ– ერთმა ლიდერმა ირ.წერეთელმა მხარი არ დაუჭირა იმ მოტივით, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში პრესის თავისუფლება ერთ– ერთ პრიორიტეტად უნდა ყოფილიყო აღიარებული. მისი მტკიცებით, ამა

თუ იმ პარტიული ორგანოს მიმართ უმკაცრეს ზომებს მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა სისხლის სამართლის კანონს დაარღვევდნენ. "მთავრობა მათ გაასამართლებს,– ამბობდა ირ.წერეთელი– რეპრესიებსაც მიმართავს, მაგრამ როცა ეს პარტიები აწარმოებენ უბრალო პარტიულ ბრძოლას, მაშინ ჩვენ პოლიტიკურ იარაღს მივმართავთ და პრესის საშუალებით გაეცემთ... პასუხს. ჩვენ იმდენად არ დავსუსტებულვართ, რომ... ყოველგვარი გამოლაშქრება რეპრესიებით მოვიგერიოთ. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობის განცხადებას პრესის თავისუფლების შესახებ."[3]

ხელისუფლების მხრიდან პრესისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ უარეყოფითი შედეგი გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი, თავიანთ შეხედულებებს რუსულ ენაზე ბეჭდავდნენ და მას საერთაშორისო რეზონანსის სახეს აძლევდნენ. რაც შეეხება პასუხს, იგი ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა და ძირითადად ქართულენოვანი მკითხველისათვის იყო ხელმისაწვდომი. ამიტომ, რუსულ პრესაში დაბეჭდილი ანტიქართული პუბლიკაციები თავის დანიშნულებას უკეთ ასრულებდა, ვინემ ქართულ პრესაში დაბეჭდილი პასუხები. ამის დადასტურებას რუსი ესერების გაზეთის "ტრუდოვოე ზნამია"-ს საქმიანობა წარმოადგენს. ეს გაზეთი არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ ბეჭდავდა წერილებს, არამედ იგი სომეხ– ქართველთა შორის ურთიერთობის დაძაბვისა და საომარი დაპირისპირების ნაპერწკლის გაღვივებასაც ცდილობდა. მხედველობაში გვაქვს იმავე გაზეთის მიერ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიული გადამიჯვნის საკითხზე გაკეთებული დასკვნა. რამდენადაც ბორჩალოს მაზრა სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული, ამ მაზრის შეერთებისა და მასზე იურისდიქციის გავრცელების უფლება, გაზეთის აზრით, საქართველოს არ ჰქონდა. ამ შემთხვევაში,დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერების მსგავსად, გაზეთი მხოლოდ დემოგრაფიულ ფაქტორს ეჭიდებიოდა და არა ტერიტორიის ისტორიულ კუთვნილებას. ასეთი სახის იდეოლოგიურ -პროპაგანდისტული საქმიანობა, სომეხ– ქართველთა ურთიერთდაპირისპირების გაღრმავების მცდელობად უნდა შეფასებულიყო და ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ აღკვეთილიყო. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა გაზ. "ერთობა," როცა ხელისუფლების მისამართით წერდა: "როდესაც ერის არსებობა საფრთხეშია... მთავრობა რადიკალური ზომების მიღებას არ უნდა მოერიდოს... საჭიროა მეტი სიჩქარით სწარმოებდეს იმ ელემენტების თავიანთ ქვეყანაში დაბრუნება, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკისათვის ზედმეტი ბარგი არიან და ხელსაც კი ეშლიან მის განმტკიცებას."[4]

სანამ საქართველოს ხელისუფლება,დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, პრესის თავისუფლების აუცილებლობის ტყვეობაში იმ-

ყოფებოდა, საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი მტრულად განწყობილი გაზეთები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. ამ მხრივ რუსული გაზეთი "სოციალ– დემოკრატი" გამოირჩეოდა. ამ გაზეთის ყოველი სტრიქონი, როგორც გაზეთი "ერთობა" წერდა, საქართველოს დამოუკიდებლობას სადაოდ ხდიდა, ქვეყნის 'მიგნით მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქართველთა წინააღმდეგ ამხეცურებას ცდილობდა. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის მისეულ შეფასებას, იგი ქვეყნის დამანგრეველად და მცირე ერების მოძულედ იყო გამოცხადებული. "ასეთი ბრალდების წამოყენება– წერდა გაზეთი "ერთობა"– მხოლოდ გადამეტებული გაბოროტებით აიხსნება."[55]

ზემოაღნი'შნული ფაქტები იმაზე მიგვანი'შნებს, რომ ქართველი ერის არაკეთილმოსურნეები, ძალისმიერი მეთოდის გამოყენების მცდელობის პარალელურად, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებითაც დაუპირისპირდნენ. ძირითად მიზანს ადგილობრივ მოსახლეობაში საქართველოს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების შექმნა და საერთაშორისო არენაზე მისი დისკრედიტაცია წარმოადგენდა. რამდენადაც, დასახელებული გაზეთები საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის ფონზე ახლადშექმნილი სახელმწიფოს იმიჯის საერთაშორისო არენაზე დასამარებას ისახავდნენ მიზნად, ასეთი მიმართულების პრესა, ხელისუფლების მხრიდან უმკაცრესი ზომების გატარებას იმსახურებდა. თუკი დემოკრატიზმის მოტივაციიდან გამომდინარე ამ მიმართულებით ადექვატური ნაბიჯი არ იდგმებოდა, იგი ხელისუფლების საქმიანობის უდაო ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ისეთ პირობებში, როგორშიდაც მაშინდელი საქართველო აღმოჩნდა, "დემოკრატიზმისადმი კეკლუცობა" ყოვლად დაუშვებელი იყო.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა: 1)ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეთა მხრიდან მიმდინარე პროცესების საღი გონებით შეფასებამ და ობიექტური დასკვნების გაკეთებამ, იდეურად მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები კონსესუსის აუცილებლობამდე მიიყვანა. საქართველოს პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანის რეალური გზების ძიების პირველ საფეხურს ისინი ურთიერთშეთანხმებაში და ერთობლივ მოქმედებაში ხედავდნენ; 2)საქართველოს სამი ძირითადი პოლიტიკური პარტიის (სოციალ– დემოკრატები, ეროვნულ– დემოკრატები, სოციალისტ– ფედერალისტები) ლიდერებს, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უძლურების აღიარებიდან გამომდინარე, ოსმალური ბატონობისაგან თავის დახსნის რეალურ გზად ცივილიზებული სახელმწიფოს თანადგომა და მფარველობა მიაჩნდათ. მათი პროგერმანული ორიენტაცია, იმ ეტაპზე

სწორად გათვლილ პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა. იგი ქართულ და გერმანულ სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრას ეფუძნებოდა; 3)აკ.ჩენკელის მიერ ნ.რამიშვილისა და ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისათვის გაგზავნილ წერილებში (1918 წლის 12– 23 მაისი) მოცემული დებულებები და კონკრეტული მითითებები სწორად გათვლილ, პოლიტიკური ჩიხიდან საქართველოს გამოსაყვან მოქმედების პროგრამას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტების მიხედვით, აკ.ჩხენკელი არა მარტო ეროვნულ მოღვაწედ, არამედ სახელმწიფოებრივად მაღალ დონეზე მოაზროვნე პიროვნებად წარმოჩნდება; 4)აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიტიკური ელიტის მხრიდან აშკარა ღალატმა და უმძიმესი ტვირთის ქართველებზე გადატანამ ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭეებს ძალთა კონსოლიდაციისა და ერთიანი ამიერკავკასიის ძლიერი სახელმწიფოს შექმნის ილუზია დაუმსხვრია. ამ ფაქტმა აღნიშნული გაერთიანების დაშლის ოფიციალურად დადასტურებას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1918 წლის 26 მაისი) შეუწყო ხელი. 1918 წლის 26 მაისის აქტში საქართველოსა და გერმანიის ხელისუფალთა ერთობლივი ინტერესი იყო ჩადებული. იგი 117- წლოვანი ისტორიის შემდეგ ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საფუძველი გახდა.

მითითებული წყაროები და ლიტერატურა

შესავალი

1. 26 მაისი. 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თბ.1919 წ; მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს. თბ. 1918 წ; документы и материалы по внешней политике ЗАКАВКАЗЬЯ И ГРУЗИИ. ТБ. 1919.
2. ა.სილაგაძე, ეგზარული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917- 1918. თბ. 1998 წ.გვ. 62– 166
3. ს.გერგედავა- ჭელიძე. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი- ნოემბერი) თბ. 1999 წ.
4. უ.ბახტაძე. აკაკი ჩხენკელის უცნობი წერილები. იხ. ჟურნ. "ცისკარი" 1990 წ. №7
5. პროგრამა რუსეთის სოციალ- დემოკრატიული პარტიისა. თბ.1917 წ; სოციალისტ- ფედერალისტთა პარტიის პროგრამა; პროგრამა საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიულ პარტიისა; ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ- დემოკრატიული პარტიის პროგრამა. თბ.1917 წ; საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა. თბ.1917 წ; პროგრამა მინიმუმი სოციალისტ- რევოლუციონერთა პარტიისა. თბ.1917 წ.
6. ნ.ჟორდანია. ეროვნული კითხვა. თბ. 1922 წ; რ.არსენიძე. დემოკრატიული რესპუბლიკა. თბ. 1917 წ; ა.ჩხენკელის სტატია წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბიორსედ საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულის საბჭოს სახელით. თბ.1917 წ; გრ.რეხილაძე. ამიერკავკასიის თვითმმართველობა. თბ.1917 წ; ივ.ჯომართელი. საქართველოს ტერიტორიული ავტონომია ანუ ეროვნულ- ტერიტორიული თვითმმართველობა. თბ. 1917 წ. მისივე. დამფუძნებელი კრება თბ. 1917 წ; გ.ეკეხავა. საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. თბ.1917 წ. მისივე. საქართველო და ეროვნულ- დემოკრატიული პარტია (წერილი მესამე) პარიზი. 1929 წ. თ.ლლონტი. ავტონომია და ფედერაცია. წიგნი I. თბ.1817 წ.
7. უ.სიდამონიძე. საქართველოს ბურჟუაზიულ- დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. თბ.1970 წ.
8. უ.სიდამონიძე. ოქტომბრის ჰორიზონტზე გარდაქმნით დაბრუნებული. იხ. გაზ. "კომუნისტი" 1988 წ. 25 მაისი. მისივე. ეროვნული საბჭო- საქართველოს პარლამენტი. იხ. გაზ. "კომუნისტი" 1990 წ. 26 მაისი.
9. ა.ბენდიანიშვილი. საქართველოს რესპუბლიკა (1918- 1921 წწ.) თბ. 2001 წ.
10. მ.ვანნაძე. ქართული სოციალ- დემოკრატია 1905– 1918 წლებში. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.1998 წ; ეგზარული. მ.ვანნაძე. ქართული სოციალ- დემოკრატიის ისტორია (1892- 1918) თბ. 1999 წ.

11. ა.სილაგაძე. ეგურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდ-ბლობის აღდგენა (1917- 1918) თბ. 2000 წ.
12. შ.ჯაფარიძე. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდ-ბლობის აღდგენისათვის 1918- 1921 წწ. ბათუმი. 1994 წ.
13. ნ.ზოსიძე. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა ბათუმის ოლქში 1918- 1921 წლებში. ბათუმი. 1995 წ.
14. მ.სიოროძე. სამხრეთ- დასავლეთი საქართველო 1914- 1918 წლებში. (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება). ბათუმი. 2002 წ.
15. ე.მეესხია. სამხრეთ- დასავლეთი საქართველო 1918- 1921 წლებში (ს ზოგადოებრივ- პოლიტიკური ისტორია). სადოქტორო დისერტაცია (ხ-ელნაწერი). თბ. 2004 წ.
16. ო.გოგოლიშვილი. სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900- 1021 წლებში. ბათუმი. 2005 წ.
17. რ.გრძელიძე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910–1924) თბ. 1998 წ.
18. გ.საითიძე. სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი) თბ. 1997 წ.
19. ო.ჯანელიძე. ნარკვევები ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის ისტორი-იდან. თბ. 2002 წ.
20. დ.ჭუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ- განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს- ის დასაწყისში 1918– 1921 წლები. თბ. 2003 წ.
21. შ.ვადაჭკორია. პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917) თბ. 1998 წ. მისივე. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917- 1921 წლებში. თბ. 2001 წ.

თავი I

რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის იდეა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

1. რ.არსენიძე. დემოკრატიული რესპუბლიკა. თბ. 1917 წ. გვ.4
2. იქვე. გვ.8
3. იქვე. გვ.18
4. იქვე
5. იქვე. გვ.20
6. იქვე. გვ.23
7. იქვე. გვ.55
8. ივ.გომართელი. დამფუძნებელი კრება. თბ. 1917 წ. გვ.9
9. იქვე. გვ.4
10. გრ.რცხილაძე. ამიერკავკასიის თვითმმართველობა. თბ. 1917 წ. გვ.5– 6
11. იქვე. გვ.4–5
12. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 16 იელისი. №1
13. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 28 მაისი № 113
14. იქვე

15. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 10 ენკენისთვე. №199
16. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 16 იელისი №1
17. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 26 აგვისტო №132
18. გაზ. "საქართველო" 1917 წ. მარიამობისთვის 23. №185
19. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 5 ენკენისთვე №195
20. გაზ. "სახალხო საქმე"' 1917 წ. 5 თებერვალი №788
21. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 7 თებერვალი №789
22. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 22 აგვისტო №31
23. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 11 აგვისტო № 23
24. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 16 იელისი №1
25. გრ.რცხილაძე. ამიერკავკასიის თვითმმართველობა. გვ.8– 9
26. იქვე. გვ.9
27. ნ.ჯორდანია. ერთიანული კითხვა. თბ. 1922 წ. გვ. 275
28. იქვე. გვ.260
29. იქვე. გვ. 261
30. იქვე. გვ. 263
31. იქვე. გვ.269
32. გრ.რცხილაძე. ამიერკავკასიის თვითმმართველობა. გვ. 28
33. იქვე. გვ. 35
34. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 20 აპრილი №84
35. იქვე

თავი II.

ქართული პოლიტიკური აზრი რუსეთის დემოკრატიულ- ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ავტონომიურ ერთეულად მოწყობის შესახებ

1) ნ.ჯორდანია. ერთიანული კითხვა. თბ. 1922 წ. გვ.256
2. იქვე
3. იქვე. გვ.256– 257
4. გაზ. "ალიონი" 1917 წ. 25 ივნისი №17
5. გაზ. "ალიონი" 1917 წ. 2 მაისი №1
6. იქვე
7. იქვე
8. გაზ. "ალიონი" 1917 წ. 10 ივნისი №12
9. გაზ. "ალიონი" 1917 წ. 18 ივნისი №15
10. გაზ. "ალიონი" 1917 წ. 25 ივნისი №17
11. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 17 ივნისი №74
12. შ.ვადაჭკორია. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. (XX საუკუნე) წიგნი I. თბ. 2003 წ. გვ.421
13. იქვე. გვ421– 422
14. გაზ. "სახალხო ფურცელი" 1917 წ. 27 იანვარი №781
15. იქვე

16. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 14 ოქტომბერი №76
17. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 8 სექტემბერი №47
18. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 22 აგვისტო №31
19 გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 8 სექტემბერი №47
20. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 14 ოქტომბერი №76
21. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 29 ოქტომბერი №89
22. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 20 აპრილი №84
23. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 23 აპრილი №87
24. გაზ. "საქართველო" 1917 წ. თიბათვის 7 №121
25. გაზ. "საქართველო" 1917 წ. მარიამობისთვის 10 №175
26. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 9 მარტი №814
27. საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა. თბ. 1917 წ.
28. უ.სიდამონიძე. ეროვნული საბჭო საქართველოს პარლამენტი. იხ. გაზ.'კომუნისტი' 1990 წ. 26 მაისი
29. სცსსა. ფ.1823. აღწ. 1. საქ. 1. ფურც. 19
30. იქვე. საქ. 2. ფურც. 4
31. შ.ვადაჭკორია. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. (XX საუკუნე) წიგნი 1. თბ. 2003 წ. გვ.83– 84; ო.ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ. 2002 წ. გვ.291
32. შ.ვადაჭკორია. პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917). თბ. 1998 წ. გვ.17
33. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 9 აგვისტო
34. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 6 ივლისი
35. გაზ. "საქართველო" 1917 წ. თიბათვის 11 №125
36. იქვე
37. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 30 მაისი №114
38. გაზ. "საქართველო" 1917 წ. 6 თებერვალი №29
39. სცსსა ფ. 1823. აღწ. 1. საქ. 1. ფურც. 26
40. აკ.ჩხენკელის სიტყვა წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიულის საბჭოს სახელით. თბ. 1917 წ. გვ.2
41. იქვე. გვ.3
42. ლ.ალექსიძე. საქართველო– რუსეთის საერთაშორისო– სამართლებრივი ურთიერთობა XV– XVIII საუკუნეებში. თბ. 1983 წ. გვ.244
43. ვ.მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. თბ. 1983 წ. გვ.23
44. აკ.ჩხენკელის სიტყვა წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიულის საბჭოს სახელით. თბ. 1917 წ. გვ. 4
45. უ.სიდამონიძე. საქართველოში ბურჟუაზიულ- დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. თბ. 1970 წ. გვ.187– 188
46. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 18 აგვისტო №28
47. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 22 აგვისტო №31
48. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 14 ოქტომბერი №76

49. გაზ. "სახალხო საქმე" 1917 წ. 18 ოქტომბერი №79
50. ივ.გიომართელი. დამოუკიდებელი კრება. თბ. 1917 წ. გვ.30.
51. სცსსა ფ. 1823. აღწ. 1. საქ. 2. ფურც. 31
52. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 21 ნოემბერი №201
53. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 23 ნოემბერი №202
54. იქვე
55. იქვე
56. იქვე
57. იქვე
58. გ.ქიქოძე. ეროვნული ენერგია. თბ. 1919 წ. გვ.116
59. სცსსა ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 29. ფურც. 23
60. შ.ვადაჭკორია. პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ერილობა (1917). თბ. 1998 წ. გვ38; მისივე. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე) წიგნი 1. თბ. 2003 წ. გვ. 217
61. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 26 ნოემბერი №207
62. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 25 ნოემბერი №204
63. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 24 ნოემბერი №203
64. იქვე
65. იქვე
66. იქვე
67. გაზ. "ბრძოლა" 1917 წ. 21 ნოემბერი № 40; გაზ. "ბრძოლა" 17, 24 დეკემბერი №58, №64
68. სცსსა ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 2. ფურც. 5
69. სცსსა ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 2. ფურც. 14

თავი III

ამიერკავკასიის ერთიანი დემოკრატიული- ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი

1. შ.ვადაჭკორია. ქართული სოციალ– დემოკრატია 1917– 1921 წლებში. თბ.2001. გვ.44; მისივე. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II. თბ. 2006. გვ43–44
2. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 24 მარტი №9
3. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 3 აგვისტო №113
4. გ.გვაზავა. საქართველო და ეროვნულ– დემოკრატიული პარტია (წერილი მესამე). პარიზი. 1929. გვ.11
5. შ.ვადაჭკორია. ქაროული სოციალ– დემოკრატია 1917– 1921 წლებში. თბ.2001. გვ.47
6. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 2 ნოემბერი №186
7. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 10 ნოემბერი №193
8. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 14 ნოემბერი №196

9. იქვე
10. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 15 ნოემბერი №197
11. იქვე
12. იქვე
13. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 19 ნოემბერი №200
14. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 17 ნოემბერი №202
15. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 24 ნოემბერი №203
16. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 26 ნოემბერი №205
17. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 10 დეკემბერი №209
18. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 29 ნოემბერი №207
19. იქვე
20. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 30 ნოემბერი №208
21. შ.ვადაჭკორია. ქართული სოციალ– დემოკრატია 1917– 1921 წლებში. თბ.2001. გვ.57
22. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 28 დეკემბერი №226
23. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 30 დეკემბერი №228
24. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 32. ფურც.152– 153
25. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 132. ფურც. 3– 4
26. გაზ. "ერთობა" 1917 წ. 17 დეკემბერი №219
27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.VI. თბ. 1972. გვ. 550
28. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 1 იანვარი №1
29. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.55
30. გ.ვეფხვია. საქართველო და ეროვნულ– დემოკრატიული პარტია (წერილი მესამე). პარიზი. 1929. გვ.10
31. იქვე. გვ.11
32. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 24 იანვარი №18
33. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.27– 28
34. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 24 იანვარი №18
35. იქვე
36. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 30 იანვარი №23
37. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.30
38. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 1 თებერვალი №26
39. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.30
40. იქვე
41. იქვე. ფურც.31
42. იქვე. ფურც.31– 32
43. იქვე. ფურც.32– 33
44. იქვე. ფურც.33
45. იქვე. ფურც.34
46. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 27 იანვარი №21
47. იქვე
48. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 30 იანვარი №158
49. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 27 იანვარი №156
50. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 21 იანვარი №151
51. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 17 თებერვალი №174

52. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.32
53. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 1 თებერვალი №26
54. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 17 თებერვალი №174
55. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 1 თებერვალი №26
56. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 27 თებერვალი №182
57. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 17 თებერვალი №174
58. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 22 თებერვალი №43
59. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.28
60. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 17 თებერვალი №174
61. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 27 იანვარი №156
62. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 11 მაისი №88
63. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 27 იანვარი №21
64. დ.ჯუმბურიძე. საქართველო– სომხეთის ურთიერთობა 1918– 1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი. თბ.1999. გვ.39– 40, 58– 59; შ.ყადაჯაია. საქართველო –სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1918– 1920) თბ.1999. გვ.41– 43; მისივე. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. (XX საუკუნე) წიგნი 1. თბ. 2003. გვ.289- 291;
65. სცსსა. ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 2. ფურც.59
66. იქვე. საქ. 5. ფურც.120
67. იქვე
68. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 7 აპრილი №75
69. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.28– 29
70. იქვე. ფურც.31
71. იქვე. ფურც. 30
72. იქვე. ფურც.31
73. იქვე. ფურც.33
74. იქვე. ფურც. 34
75. იქვე. ფურც. 27
76. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.VI. თბ. 1972. გვ.556
77. გაზ. "ალიონი" 1918 წ. 22 თებერვალი №14
78. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 22 თებერვალი №43
79. იქვე
80. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.VI. თბ. 1972. გვ.557; კ.ინასარიძე. პატარა ოქროს ხანა. მიუნხენი. 1984. გვ.71
81. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 18 მარტი №63
82. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.77
83. იქვე. ფურც.84
84. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 27 თებერვალი №82
85. გ.ქიქოძე. ერთიანი ენერგია. თბ. 1919 წ. გვ. 194
86. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 9 მარტი №52
87. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 7 აპრილი №75
88. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 18 თებერვალი №40
89. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 25 თებერვალი №46
90. იქვე

91. იქვე
92. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ.3. ფურც.14
93. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 11 აპრილი №218
94. იქვე
95. документы и материалы по внешней политике ЗАКАВКАЗЬЯ И ГРУЗИИ. ТБ. 1990. ст. 229
96. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 15 აპრილი №87
97. იქვე
98. იქვე
99. იქვე
100. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 17 აპრილი №88
101. იქვე
102. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 15 აპრილი №87
103. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 11 აპრილი №78
104. გაზ. "საქართველო" 19187 წ. 7 აპრილი №75
105. документы и материалы по внешней политике ЗАКАВКАЗЬЯ И ГРУЗИИ. ТБ. 1990. ст.24-25
106. იქვე. გვ. 253; გაზ. "ერთობა" 1918 წ. 17 აპრილი №88
107. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 30 იანვარი №158
108. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 27 იანვარი №156
109 იქვე
110. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 17 თებერვალი №174
111. სცსსა. ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 2. ფურც.59
112. სცსსა. ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 5. ფურც.61– 62
113. იქვე. ფურც.105
114. იქვე
115. იქვე. ფურც.106
116. იქვე. ფურც.107
117. იქვე. ფურც.110
118. იქვე
119. იქვე
120. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 16 მაისი №97
121. შ.ჟადაჭკორია. ქართული სოციალ– დემოკრატია 1917– 1921 წლებში გვ. 73
122. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 27 იანვარი №156
123. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 22 თებერვალი. №43
124. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 17 აპრილი. №88
125. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 8 აპრილი. №75
126. სცსსა. ფ.1836. აღწ. 1. საქ. 1. ფურც.6– 7
127. იქვე. ფურც.7
128. მ.სვანიძე. ბრესტის ზავი და საქართველო. იხ. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 3. თბ.1996 წ. გვ.290
129. მ.სვანიძე. დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918– 1921 წლებში. იხ. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 10. თბ.2003 წ. გვ.154

130. მ.სვანიძე. ბრესტის ზავი და საქართველო. იხ. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 3. თბ.1996 წ. გვ.189
131. შვადაკორია. ქართული სოციალ– დემოკრატია 1917– 1921 წლებში. თბ.2001. გვ.95– 96
132. რ.ქაერელიშვილი. თურქული საარქივო წყაროები ბრესტ- ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ. იხ. მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე. 2000 წ. გვ.62, 63, 64
133. იქვე. გვ.63
134. ვ.ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ. 1989 წ. გვ.22
135. სცსსა. ფ.1836 აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 49– 58
136. სცსსა. ფ.1836 აღწ. 1 საქ. 1. ფურც. 19
137. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 18 თებერვალი. №175
138. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 26 მარტი №193
149. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 18 თებერვალი. №175
140. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 28 მაისი. №107
141. იქვე
142. იქვე
143. იქვე

თავი IV

საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

1. ო.ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ– დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ.2002 წ. გვ.274
2. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 4 თებერვალი №28
3. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 6 თებერვალი №29
4. იქვე
5. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 5. ფურც. 110
6. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 16 მაისი №97
7. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 11 მაისი №88
8. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 12 მაისი №89
9. იქვე
10. გაზ. "სახალხო საქმე"1918 წ. 30 იანვარი 3158
11. იქვე
12. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 12. ფურც. 64– 65
13. Документы и материалы по внешней политике Закавказъя и Грузии. ТБ. 1990. стр. 227_ 228
14. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 17 მაისი №98
15. იქვე
16. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 18 მაისი №99

17. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 28 მაისი № 107
18. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 6 თებერვალი №29
19. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 11 აპრილი №78
20. გაზ. "საქართველო" 1918 წ. 12 მაისი №89
21. იქვე
22. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 30 მაისი №244
23. იქვე
24. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 28 მაისი №107
25. სცსსა ფ. 1861 აღწ. 2. საქ. 232. ფურც. 2– 15
26. სცსსა ფ. 1836 აღწ. 1. საქ. 2. ფურც. 67
27. ა.სილაგაძე. ვ.ბურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არდგენა 1917– 1918. თბ. 1998. გვ127
28. იქვე. გვ.129
29. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 28 მაისი №107
30. იქვე
31. 26 მაისი. 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ტფილისი. 1919. გვ.5
32. იქვე. გვ.7
33. იქვე. გვ.6
34. იქვე. 8–9.
35. მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს. 1918 წ. გვ.9
36. გაზ. "საქართველო" 1918 წ. ივნობისთვის 8. №188
37. სცსსა ფ.1836. აღწ. 1. საქ. 43. ფურც.8
38. Документы внешней политики ссср. Т. 1. М.1957. стр. 443
39. დ.ჯუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ– განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს–ის დასაწყისში. 1918– 1921 წლები. თბ. 2003. გვ.119
40. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 16 ივნისი. №123
41. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 18 ივნისი. №124
42. იქვე
43. სცსსა ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 1. ფურც.17
44. იქვე. ფურც. 18– 19
45. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 20 ივნისი №126
46. იქვე
47. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 6 ივლისი №274
48. გ.ურატაძე. ნამდვილი და ყალბი ისტორია. პარიზი. 1958 წ. გვ. 51- 52
49. გაზ. "სახალხო საქმე" 1918 წ. 24 ოქტომბერი №600
50. დ.ჯუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ– განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს–ის დასაწყისში. 1918– 1921 წლები. თბ. 2003. გვ.106
51. ვ.ლენინი. თხზ. ტ.28. გვ.7– 8
52. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 17 ივლისი № 148
53. იქვე.
54. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 8 ივლისი №141
55. გაზ. "ერთობა" 1918 წ. 24 ივლისი №154

დამატება

გიორგი გვაზავა
საქართველო და ეროვნულ- დემოკრატიული პარტია

(წერილი მესამე)*

პარიზში დაარსდა ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას" უწოდებს. გამოვიდა მისი ბეჭდვითი ორგანოც "სამშობლო." ჯგუფი ებრძვის მთლიან, ეროვნულ ფრონტს და ამტკიცებს, რომ ქართველ სოციალისტებთან თანამშრომლობა შეუძლებელია.

უმთავრესი დებულება ასეთია: ქართველი ერის იდეალების გამომხატველი იყო მესამოცეიანთა თაობა; შემდეგი თაობის იდეალები მას პრინციპიალურად ეწინააღმდეგება, ის უარყოფითია; მას უნდა შეებრძოლოთ და დაეუბრუნდეთ ისევ მესამოცეიანთა იდეალებს. "საქმე ჰგავს ჰეგელისებურ ტრიადას, რაც ქართული სინამდვილის მიხედვით ასეთ ფორმულაში ჩამოიხსმება: ილია ჭავჭავაძე— ეორდანია— ილია ჭავჭავაძე".

ასეთია პრობლემის ფილოსოფიური გაშუქება, რომელიც, როგორც ჰხედავთ არაფერს აშუქებს და ყველაფერს კი აბნელებს. მართლა, თუ ჭავჭავაძე არის თეზა, ეორდანია— ანტითეზა, რიგორ მოხდა, რომ მესამე აღგილი ტრეადაში დაიჭირა ისევ ჭავჭავაძემ, ე.ი. ისევ თეზამ? რა იქნა სინთეზი? გამოდის ისტორია ჰდგას ხან ერთ ფეხზე, ხან მეორეზე და ჰტკეპნის მიწას. სად არის აქ მუდმივი და განუწყვეტელი გაშლა და განვითარება "იდეიისა," როგორც ახსნა ისტორიის და მსოფლიო ეყოლუციისა? აქ ჰეგელისებური არაფერია.

რასაკვირველია, ასეთი ფილოსოფიით აღჭურვილი ადამიანი სინამდვილეს ვერა ჰხედავს და ფაქტებს ვერა ჰხსნის. და როცა ეს ფაქტები ვერ იხრებიან მისი სურვილისამებრ, ვერ ჰლაგდებიან მის ყალბ თეორიაში და აშკარად არღვევენ და უარჰყოფენ მის იდეოლოგიას. იმას გული მოსდის,ჰჯავრობს და ილანძღება... ლანძღვა არგუმენტაცია ჰგონია.

ჩვენ იმას არ მიებაძავთ; ლანძღვა- გინებაზე პასუხს არ გაეცემთ, ხოლო პრინციპიალური მხარე საჭიროდ მიგვაჩნია ცოტათი გავაშუქოთ.

|* გ.გვაზავას მიერ გამოთქმული ზოგიერთი მნიშვნელოვანი შეხედულების თვალსაჩინოების მიზნით, შესაბამისი ტექსტი, წინამდებარე პუბლიკაციაში ბოლდით გამოვეყვეთ. შ.ე.

ამისთვის საჭიროა ჯერ მოკლეთ განვიხილოთ ისტორიული პერსპექტივები.

დიდი ხანია, რუსეთი მიიწეოდა სამხრეთისაკენ, ჯერ კავკასიაში მას არ ჰქონდა ერთი ნაჭერი მიწაც, როცა გააბა საქართველოსთან პატარა ბილიკი და დაიჭირა თბილისი– ნერვიული ცენტრი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა.– და ჯერ საქართველო დაპყრობილიც არ იყო, როცა მედგრად შეეჯახა სპარსეთსა და ოსმალეთს. საქართველო და მასთან მთელი კავკასია ხელში რომ ჩაეგდი ის თავდაპირველად შეეცადა თავიდან მოეშორებინა ყოველი ნარევი ან გაეკლენა ამ სახელმწიფოებისა კავკასიაში. ამ მიზნით შეუდგა გარდაუვალი ხლუდის შემორტყმას. პირველი საძირკველი ამ ხლუდისა იყო გულისტანის ხელშეკრულება, დადებული სპარსეთთან 1813 წელს. ეს იყო ხანა საქართველოს თავგანწირული ბრძოლისა რუსეთის ვერაგობის წინააღმდეგ. აჯანყება კახეთში, ქართლში, მთიულეთში. ალექსანდრე ბატონიშვილის შემოკრა სპარსეთის ჯარით... გულისტანის ხელშეკრულებით სპარსეთმა ქედი მოიხარა და დასდო პირობა, რომ ამიერიდან არავის მისცემდა დახმარებას კავკასიაში. ალექსანდრეს გმირულ ეპოპეას მოეღო ბოლო.

ამ საძირკველს მიემატა ახალი სიმაგრე– თურქმანჩაის ხელშეკრულება, დადებული ისევ სპარსეთთან 1828 წელს, რომლის ძალით რუსეთის საზღვარი იქმნა არაქსამდე და რუსეთის ხელში გადავიდა კასპიის ზღვა მთლიანად. ამ მხრივ კედელი ამოყვანილი იყო, თუმცა ჯერ დაპყრობილი არ იყო არც საქართველო მთლიანად, არც კავკასია.

უფრო მეტი შრომა და სისხლი შეიწირა იმავე მუშაობამ ოსმალეთის მიმართ. აქაც ამოყვანილი იქმნა საშინელი ხლუდე: ანდრიანოპოლის ხელშეკრულება დადებული ოსმალეთთან 1829 წელს. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთმა გაიყვანა "თავისი საზღვარი" საქართველოს სამხრეთით, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ იბრძოდა და გურია, სამეგრელო და აფხაზეთი ფორმალურად მაინც თავისუფალი იყვნენ. მით უფრო ირდილო კავკასია. მიუხედავად ამ თავისუფლებისა, რუსეთმა ხელში ჩაიგდო ეს "თავისი საზღვარი" და მთელი სანაპიროები შავი ზღვისა აჭარიდან მოყოლებული ვიდრე ყუბანამდე.

ეს ზღუდე იყო მართლა გარდაუვლელი, რომლის გადაფრენა ვერ შესძლო ვერავინ, მაშინაც კი, როცა გარემოება ხელს გვიწყობდა. 1856 წელს, პარიზის კონგრესსე, საქართველოზე კრინტიც არ დაძრულა, თუმცა სამეგრელო იყო თავისუფალი და მთავრის (ეკატერინეს) ხერგის უკან იდგა ისეთი მამაცი შვილი, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი. მან ვერ შეაბედა- რა, ან ვერ მოახერხა ვერაფერი.

ამნაირად, საქართველო მოექცა რუსეთის იმპერიალიზმის საპერობილეში. გამოსავალი იყო ერთადერთი: დანგრევა ამ იმპერიალიზმის... ან თავზე ხელის აღება.

II

საქართველო თავზე ხელს ვერ აიღებდა...

საქართველო მდებარეობს აზიის და ევროპის შუა, მაგრამ უფრო ევროპაა, ვიდრე აზია. აქ არ არის რუსეთის სტეპი, არაბეთის უდაბნო, ინდოეთის ჰიმალაია. აქ სამშენი არა ჰქრის, მზე არა გეწვავს, სამთარი არ გეინავს. აქ ადამიანიც არ არის დაშინებული და დამონებული ბუნების ძალებით. აქ ბუნება იკინის, მდინარე მღერის, მთები და კორდი თითქო თაიგულია. აქ ადამიანი ახლო არის ბუნებასთან, მისი გული ღიაა, მისი გონება ფხიზელი. ის არ არის ფატალისტი, ის უფრო ოპტიმისტია ვიდრე პესიმისტი; უფრო მხიარული ვიდრე დალეგმილი; უფრო მახვილი, ვიდრე ჩლუნგი; უფრო სრდილობიანი და პატიოსანმკვეხი, ვიდრე უხეში და უდიერი; უფრო მხნე და გამბედავი, ვიდრე მშიშარა და მხდალი... მას უნდა ლხენა,დროს გატარება,გაშლილი ცხოვრება, უნდა იგემოს ის სიუხვე, რომლითაც საესეა ბუნებით გაშლილი სუფრა– და აქ ის ძმაა, მეგობარი, სტუმრის მოყვარე... თუ აქ ვინმე შემოიჭრება და ხელს შეუშლის, იგი შეეხვეჭება მტერს. ხშირად ხმალი თავისთავად ამოდის ქარქაშიდან, მაგრამ ფხიზელი გონებაც ხშირად ეუბნება: "სადაც არა სჯობს –გაცლა სჯობს!"- რაც სულ არ ჰნიშნავს ხმლის ხელიდან გაგდებას, არამედ მხოლოდ ბრძოლის გადადებას. იქცევა როგორც ისეთი ადამიანი, რომელმაც კარგად იცის თავის ღონე და სისუსტეც. ეს კარგად არის გამოხატული მის ემბლემაში. ეს ემბლემა არ ჰგავს რამ საშიშროებას; არც ჩინეთის დრაკონს, არც რუსეთის არწივს,არც სპარსეთის ლომს: წმინდა გიორგი– ახალგაზრდა მხედარი, რომელიც სპორტსმენს უფრო წააგავს, ვიდრე თავსარდამკვეთ მეომარს... ქართველიც ახალგაზრდაა, მიუხედავად მისი ისტორიული "სიბერისა"– მკეირცხლი, მოქნილი და ყოჩაღი. ის ციხეშიდაც რომ იყოს, ვერ ისვენებს, ის ეძებს გამოსავალს.

რა გამოსავალი იპოვა ქართველმა ერმა?

III

ჯერ ეხეთქა შემოჭრილ მტერს. მთელი მეცხრამეტე საუკუნე საესეა აჯანყებებით და მასიური მოძრაობით, რომელიც თანდათან ჰკვხრება და გადადის პიროვნულ თავგანწირვაზე. უსახელო გმირები თითო-თითოდ ავსებენ ციხეებს ან მიემგზავრებიან ციმბირში. ქვეყანას

ბინდი გადაეკრა, ხალხურ შემოქმედებას გამოჰყავს ასპარეზზე თავისი გმირი "არსენა", რომელიც ებრძვის რუსებს, სომხებს, მებატონეებს, ყველა დამსაგვრელ და შემხუთველ ძალებს, მაგრამ სჩანს, ხალხი კიდევ დაფოთიალებს და კარგად ვერ ჰხედავს, თუ სადა ჰდევს სათავე უბედურებისა. აი მაშინ მოვიდა მესამოციანთა თაობა და გაუწია ერს დაუვიწყარი სამსახური. მან წამოანთო კერა გონებრივ მოძრაობისა, გაანათა ცხოვრება, დაანახვა ხალხს ის დაბრკოლებანი, რომელნიც აღმარტულნი იყვნენ მის კულტურულ და ეკონომიურ განვითარების გზაზე და ნათლად აგრძნობინა ყველას, რომ ეროვნული განთავისუფლების გარეშე არ არის ხსნა და შველა. თვით ბუნება ამ მუშაობისა მკვეთრად აყენებდა ტრაღიკულ კითხვას: "მერე? რა უნდა მოხდეს კიდევ? კიდევ აჯანყება?"

არ ვიცი, არსებობს თუ არა "ეროვნული სული" ან "ეროვნული ინსტიქტი". ალბად არსებობს რაღაც მისტერიული ძალა, რომელსაც ერი მიჰყავს ხშირად ისეთი გზით, რომელიც ბევრ დამჯდარ გონებას შეცდომად და სახიფათოდ მიაჩნია.

სულიერი განცდა მომწიფებული იყო. ქვეყანა სავსე მოგონებით და წარსული დიდების ლანდებით, თავისუფლების პოსტულატი იჭრებოდა შეგნებაში თავისთავად, ბუნებრივად,- როცა გაისმა ახალი სახარება. ამ სახარებას მისი თეორეტიკოსები უწოდებენ სოციალიზმს. საქმე სახელწოდებაში არ არის, არც მის მეცნიერულ ჭეშმარიტებაში. სოციალიზმი გადაიქცა რელიგიად, რელიგიაში ხალხი ჭეშმარიტებას კი არ ეძებს. საქმე იმაში კი არ არის თუ რა ჭეშმარიტება მოიტანა სოციალიზმმა, საქმე იმაშია, თუ რა შინაარსი ჩაჰსდო მასში ხალხის რწმენამ და მის ქვენა- შეგნებიდან აჭრილმა პოსტულატებმა... ხალხმა დაინახა, რომ მისებრ ტანჯული და წამებული სხვებიც ბევრია და შეიძლება მხოლოდ შეერთებული ძალებით იერიშის მიტანა იქ, სადაც არის სათავე მისი უბედურებისა. სოციალიზმს ყოველმა ერმა ჩაჰბერა თავისი სული და მისცა თავისებური ხასიათი. გერმანიაში ჩვენ მივიღეთ სოციალ- დემოკრატიზმი, ინგლისში- ტრავაიზმი, საფრანგეთში- სინდიკალიზმი, რუსეთში- ბოლშევიზმი, საქართველოშიდაც მოჰხდა მისი "გაქართველება"- ხალხმა მას უწოდა "ერთობა".

ამბობენ საქართველოში ერთი ფაბრიკაც არ იყო და მარქსიზმიც იქ მიუღებელი იყოო,– საცოდავი მოსაზრებაა! რა შუაშია აქ ან ფაბრიკა, ან მარქსიზმი?! ხალხი იტანჯებოდა: მას ჩამოართვეს მშვენიერი ქვეყანა, აუარებელი სიმდიდრე, მისი მიწა- წყალი დაურიგეს სხვებს, შეუგინეს სარწმუნოება, მოუსპეს განათლება, შეუკრეს საერთაშორისო გზები... ჩააგდეს ციხეში და გარს შემოარტყეს გარდაუვალელი ზღუდე. –ნუთუ

ეს არ კმარა, რომ თავისუფლების მოყვარე ხალხის ბუნებამ დაიწყოს ინსტიქტურად ძებნა ხსნისა და განთავისუფლების? ხალხმა ეს ხსნა დაინახა "ერთობაში" და თავის ბედიც გადაბა ამ მოძრაობას. შეცდომა იყო? არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ ფაქტი და ფაქტი კი ასეთია: ქართველი ერი დაჟინებით ჰგზავნიდა სახელმწიფო დუმაში სოციალ- დემოკრატ. პარტიის წარმომადგენელს და მერე თვალი მიჭედილი ჰქონდა პეტერბურგის ჰორიზონტზე: იქ მიჰქონდათ იერიში საიმპერიო ტახტის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ ტახტის დამხობა მოასწავებდა იმპერიალიზმის დამხობას და მაშასადამე გახეთქას იმ ზღუდისას, რომელიც ერტყა საქართველოს.

დიდმა ომმა დააჩქარა ეს პროცესი. რუსეთი დაინგრა. ბრძოლის ცენტრი გადმოვიდა თბილისში.

IV

1918 წელს, როცა მეტად გამწვავებული იყო მდგომარეობა, ერთი მხრივ გვაწვებოდა ბოლშევიკური რუსეთი, მეორე მხრივ ოსმალეთი და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებელი ჰხდებოდა, მე ვუთხარი ნ.ჟორდანიას:

—ეხლა ჩვენს პარტიას უნდა გამოჰყვეთ- მეთქი. —რად გინდათ მე რომ გამოგყვე, თუ ხალხი არ გამოგყვათო? მიპასუხა მან.

მომყავს ეს სიტყვა. შეიძლება აქ იყოს გასაღები ბევრი გაუგებრობის.

მართალია, ბევრია მენშევიკი, რომელიც საქმეს სულ სხვანაირად უყურებს, ბევრი ჰფიქრობს, რომ ცენტრი თვითონ არის და ქვეყანა მის ირგვლივ ჰტრიალებს. იფიქროს, ჩვენ რა? კაცობრიობაც დიდხანს ჰფიქრობდა, რომ მიწა დგას და მზე მის ირგვლივ ჰტრიალებს. დღე მენშევიკური შანტეკლერიც დარწმუნებული იყოს, რომ მზე მის ყიყლიყონს ამოჰყავს. საქმე იმაში კი არ არის, თუ რას ჰფიქრობს ესა თუ ის მენშევიკი, როგორია მისი სუბიექტური განცდა. არამედ იმაში, თუ რა მოხდა ცხოვრებაში, როგორი იყო ობიექტური პროცესი?

ეხლა, როცა ჩვენ ცოტაი მაინც მოეშორდით ამ ამბებს და განვლილი ხანა უკვე შევიდა ახალი თვლებით ისტორიულ ნაქსოვში, ჩვენ შეგვიძლია მთელ ამ ნაქსოვს თვალი გადავაყოლოთ და ეხლანდელი მოელენაც ჩავაყენოთ ისტორიულ პერსპექტივაში. ეს ჩაგვაფიქრებს.

ბევრი ჰფიქრობს, რომ ქრისტიანობამ შექმნა ქართველი ერი, ჯვარი რომ არ ყოფილიყო, ამბობენ, ის გაითქვიფებოდა და წაიშლებოდა მუსლიმანურ ზღვაშიო. ეს მართალი არ არის. მართალია მხოლოდ ფაქტი, რომ საქართველო იყო ქრისტიანული ქვეყანა, მაგრამ რეალურად ჯვარს კი არ მიჰქონდა ქვეყანა, ქვეყანას მიჰქონდა ჯვარი. ქვეყანას

ეგონა— ჯვარს ემსახურება, ჯვარი კი ემსახურებოდა ქვეყანას. მუსლიმანურ მთავრეს წინ აღუდგებოდა ჯვარი, რომლის უკან იდგა ერი, მისი თავისუფლება, მისი მიწა- წყალი. ამ სარწმუნოებრივ იარაღით იბრძოდა ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და შეინარჩუნა კიდეც თავისუფლებაც და მიწა- წყალიც. შემდეგ დრო გამოიცვალა, მტრის და მოპირდაპირის ადგილი დაიჭირა ქრისტიანულმა რუსეთმა და... ჯვარს წინ აღუდგა ისეთივე ჯვარი, მტერი არ სსინდა. ნვენს ჯვარსაც დაეკარგა სასწაულთმოქმედი მადლი... საქართველოში სარწმუნოების დაცემას უფრო ღრმა საფუძველი აქვს, ვიდრე ეს ბეურსა ჰგონია.

დრო გამოიცვალა კიდევ. რუსეთმა ჯვარი გადააგდო და ააფრიალა წითელი დროშა. აქ კი ქართველი ხალხი აღმოჩნდა უფრო ფხიზელი და... გადაუხადა: იმანაც ააფრიალა წითელი დროშა! და როცა დადგა საშიშროება, როცა ასი ათასი მშიერი და თავზე ხელაღებული ლაშქარი მოჰწყდა ოსმალეთის ფრონტს და მოადგა თბილისს, მის წითელ დროშას საქართველომ წინ დაუყენა წითელივე დროშა. თბილისი გადარჩა განადგურებას. ეს იყო დიდი ეროვნული საქმე. თბილისის აკლებით და დაკარგვით რუსები და სომხები არაფერს ჰკარგავდნენ, საქართველო კი ჰკარგავდა ყველაფერს.

რა ჭკუაა ვიდაოთ მაზე— არის თუ არა ჭეშმარიტება ან ჯვარში, ან წითელ დროშაში? დაფასების კრიტერიუმი სულ სხვაგან ჰდევს.

V

თბილისს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. აქ არის ნერვიული ცენტრი ორგანიზმისა. რუსებმა ეს კარგად იცოდნენ და პირველიად აქ დარტყეს, რომ დამბლა დასცემოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებს: ამოაგდეს დინასტია, დაანგრიეს სასახლეები (გადარჩა მხოლოდ ერთი, მეტეხი და ისიც საპყრობილედ გადააქცეს), მიწა დასტრეს და დაურიეს უცხოელებს... თბილისი გახდა ციტადელი რუსეთის იმპერიალიზმის. საჭირო იყო მისი აღება, უამისოდ საქართველო ვერ იცოცხლებდა, როგორც ადამიანი უთავოდ. რა ძალა გექონდა ნვენ?

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მოხდა ქალაქის არჩევნები. დაახლოებით მივიღეთ შემდეგი ხმები: ეროვნულ-დემოკრატიულმა სიამ— 3500, სომხების სიამ— 24000, სოც.დემოკ. პარტიამ— 50000. საიდან მოგროვდა ეს 50000, როცა მთელი ქართველობის რიცხვი (ბავშვებიანად) არ აღემატებოდა 30000?! აშკარაა, ამ პარტიამ მიიღო 20000 მაინც არაქართველების, უცხოელების ხმა.

დავით აღმაშენებელს დასჭირდა 20000 დაქირავებული უცხოელების ჯარი თბილისის ასაღებად. "ერთობამ" კი ეს 20000 იპოვა თბილისშივე, ერთი კაპეიკი არ დაუხარჯავს, სისხლი არ დაუღვრია,– ქალაქი კი აიღო და ქართველობას ჩააბარა. ქალაქმაც მალე მიიღო ქართული სახე. ეს ისტორიაა. არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის თქმისა. ამიერ თბილისს საქართველოს სუვერენობიდან ვერავინ ამოშლის.

რითი ეწინააღმდეგება ეს გამარჯვება მესამოციანთა თაობის იდეალებს?

VI

ეროვნულ ორგანიზმს გაუმრთელდა თავი. იგი გამოცოცხლდა. სისხლის მოძრაობა ამიერ უნდა ყოფილოყო უფრო მშვიდობიანი და სიცოსხლის მყოფელი. მაგრამ რა მშვიდობიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ირგვლივ ირყევა დედამიწა, ჰღელავს ცხოვრების ოკეანე, ტალღა ტალღაზე გადადის? მსოფლიო ომი ჯერ არ იყო გათავებული, სამხრეთით ჯერ კიდევ სცემდა მისი ტალღა, ჩრდილოეთით რუსეთის რევოლუცია მოაგორებდა უფრო საშინელ ზვირთებს. განა შესაძლებელი იყო, რომ საქართველოს ტბას შერჩენოდა სარკესავით სწორი და შეურხეველი ზედაპირი? რა საკვირველია, იყო ექცესები... მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე იმაშია, რა გზით წავიდა ხალხი ამ გაჭირვების დროს? ვის მიჰმართა მან? სად ეგულებოდა შესაძლებელი ხსნა და შველა? მიჰმართა ისევ "ერთობას."

საყოველთაო არჩევნებში სოციალ- დემოკრატიამ მიიღო 600000 ხმა. საიდან მოვიდა ეს საშინელი რიცხვი? ნუთუ ეს სასწაული მოახდინა "გაღატაკებულმა აზნაურობამ?" ან შეიძლება ეს შედეგია იმ გარემოების, რომ "სოციალიზმმა ქართულ მესტებში წაჰყო ფეხი?" საცოდავი მოსაზრებაა, რომელიც ვერაფერს ჰხსნის და ვერაფერსაც ვერ ახსნის. დავით სარაჯიშვილი არ იყო არც ღატაკი, არც მესტებიანი, ის იყო განათლებული კაპიტალისტი, პირადი მეგობარი ილია ჭავჭავაძის, ხმას კი ყოველთვის არჩევნებში გამუდმებით აძლევდა მენშევიკებს და არც ჰმალავდა ამას. კოტე აფხაზი არ იყო არც ღატაკი, არც მესტებიანი, ის იყო მარშალი და ერთ დროს ჩვენი პარტიის თავმჯდომარეც, მაგრამ მთელი ქონება თავადაზნაურობისა გადასცა სახელმწიფოს, თუმცა იცოდა, რომ მთავრობა იყო მენშევიკური... სჩანს, სულ სხვა მოტივები ამოქმედებდა ამ პირთ და არა მარქსის თეორია.

მერე რამდენი იყო ასეთი? ათასი, ათი ათასი, თითქმის მთელი ერი. ჩავუკვირდეთ ციფრებს. მენშევიკურ ორგანიზაციას ჰყავდა (თუ არ ვცდები 18000 წევრი) ვთქვათ, თითეულმა წევრმა არჩევნების დროს მოიყვანა კიდევ შუა რიცხვით ხუთ ხუთი კაცი. ჯამი მაინც არ აღემატება 100000. საიდან მოვიდა დანარჩენი ნახევარი მილიონი ხმა? ნუთუ მთელი ხალხი, მთელი გლეხობა, კაცი და დედაკაცი სულ მარქსისტები იყვნენ? ნუთუ ყველამ შეისწავლა თეორია დამატებითი ღირებულების ან ეგზისტენც-მინიმუმისა?.. არა, ეს სისულელეა. ხალხის მოძრაობის მიზეზი უფრო ღრმადა ჰსდევს: ის უნდა ვეძიოთ არა სოციალურ იდეოლოგიაში, არამედ ეროვნულ პსიხოლოგიაში. ხალხი გაიტაცა არა სოციალისტურმა დოქტრინამ, რომლის მას არაფერი გაეგებოდა, არამედ მისივე გულის ნადებმა:- თავისუფლების წყურვილმა და იმ ეროვნული ღირებულების ახმაურებამ, რომელიც ჩაქსოვილი იყო მის გულში თვითონ ბუნებით და წარსული საუკუნეებით... ხსნა ისევ "ერთობაში" დაინახა ე.ი. მთელი ერის შეერთებულ მოძრაობაში თავისუფლების მოსაპოვებლად.

ამან თავის ნაყოფიც გამოიღო. მოხდა საყოველთაო არჩევნები, რომელიც არასდროს არ მომხდარა; დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, რაც არა დროს არ ყოფილა; გაერთიანდა მთელი საქართველო, რასაც არ ჰქონია ადგილი თამარ მეფის შემდეგ,— და ეს საქართველო შევიდა საერთაშორისო განწყობილებაში: ააყრევინა რუსეთს შემორტყმული ზღუდე და თვით იქმნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რითი ეწინააღმდეგება ეს გამარჯვება სამოციანთა თაობის იდეალებს?!... დეე მენშევიკური შანტეკლერი ჰფიქრობდეს, რომ მზე მის ყიყლიყომ ამოიყვანა... ჩვენ ხომ ვიცით, რომ სულ ეს იყო შედეგი ეროვნული ბრძოლის და შემოქმედებისა? ეს ისტორიაა. ქართველი ერის ისტორიაა. ვიმ გაჰბედავს მის წაშლას ან უარყოფას?!

VII

სამწუხაროდ ამასაც ჰბედავენ. "სამშობლო" წერს: "მენშევიკებმა ერი კი არ გამოაცხადეს სახელმწიფოდ, არამედ პარტიაო."

თუ ეს პოეტური სტილია, სჯობია ავტორმა ამისთანა სტილი თავისთვის შეინახოს და გარედ არ გამოაჩინოს: თუ ეს სერიოზული სიტყვაა, ის ეწინააღმდეგება ფაქტს, მაშასადამე არის სიცრუე. ყოველ ქართველს ალბად ზეპირად ახსოვს ის ისტორიული აქტი, რომელსაც ჰქვიან "დამოუკიდებლობის

დეკლარაცია." პირველი მუხლი აცხადებს: "ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა." ეს არის პარტიის სახელმწიფოდ გამოცხადება?!

ეს დეკლარაცია ერთხმად იყო მიღებული და დამტკიცებული დამფუძნებელი კრების მიერ. მაშასადამე ის არის არა აქტი რომელიმე პარტიის, არამედ აქტი ეროვნული ნებისყოფისა.

დეე ბოლშევიკებმა იყვირონ, რომ საქართველოში იყო მხოლოდ ბრძოლა მეორე და მესამე ინტერნაციონალის. ჰყვირიან კიდეც. კარგად იციან, რომ ბევრია გულუბრყვილო ხალხი, რომელიც ადვილად აყვება მათ ფეხის ხმას. მართალია, თუ "სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული პარტია და არა ერი", მაშინ სახელმწიფოც არა ყოფილა, და თუ სახელმწიფო არ იყო, მაშინ რაღა უნდა ვუსაყვედუროთ რუსეთს?! სად არის მაშინ მისი საერთაშორისო დანაშაული?! სად არის შელახვა საქართველოს სუვერენულ უფლებათა?! რამ აღაშფოთა მთელი განათლებული კაცობრიობა?!...

აი ამზეა ნათქვამი: "ღმერთი რომ კაცსს გაუწყრება, პირველად ტვინს გამოაცლისო."

VII

ასეთი "ღვთის გაწყრომა" სამწუხაროდ ხშირია. მეტადრე ჩვენს ყოფაში. უკუღმართმა მდგომარეობამ გააძწვავა შეგნება ბევრი მამულიშვილისა. ამ სიმწვავეში ბევრი გულწრფელად ეძებს ქვეყნის ხსნის ახალ მეთოდებს და სწორ გზებს. ზნეობრივი სიმაღლე მოტივებისა ეჭვის გარეშეა, მაგრამ, სამწუხაროდ ბევრი ვერ ჰწვდება ისტორიით დაყენებულ პრობლემას, ვერა ჰშორდება კლასობრივ პსიხოლოგიას და ვერ გაუგია ნამდვილი შინაარსი ისტორიული პროცესისა.

აი რასა სწერს "სამშობლო": "მთავრობამ ომიც წააგო. ტერიტორიაც დაჰკარგა... მთავრობას რომ ნახევრად წაეგო საქმე, ის მთლიანად დაემხობოდა. მთავრობამ მთლიანად წააგო საქმე და ნახევრად დარჩა! მან თავისი თავი არ გააუქმა და საზღვარგარეულ ეროვნული მთავრობის სახელით წამოვიდა."

აი ნიმუში აზრის არევ- დარევისა. ომის წაგება თურმე მთავრობის დამარცხება ყოფილა და არა ერის; ტერიტორიის დაკარგვა თურმე მთავრობის დამხობა ყოფილა და არა დამხობა სახელმწიფოსი... ავტორს სრულებით ეკარგება თვალსაზრისიდან ეროვნული მომენტი: გაურბის თავიდან, როგორც მუჭიდან ვერცხლის წყალი.

ყალბი დებულებიდან დასკვნაც რასაკვირველია ყალბი გამოდის: ის ურჩევს მთავრობას არა ბრძოლის გაგრძელებას, არამედ... თავის თავისვე გაუქმებას ე.ი. დეზერტირობას და ღალატს.

აი მართლა თავდაყირა დაყენება ყოველი შემეცნების: უფლების და მორალის, ვალდებულებისა და სინდისისა.

IX

დავასკვნათ: ეს ახალი ჯგუფი, რომელიც თავის თავს "ეროვნულ- დემოკრატიულ პარტიას" ეძახის, არც ეროვნულია, არც დემოკრატიული.

ის არ არის ეროვნული, რადგანაც უარს ჰყოფს ეროვნულ მომენტს ისტორიული პროცესის დაფასებაში და შეაქვს განხეთქილება ქართველობაში; ის არ არის დემოკრატიული, რადგანაც "დემოსი" იმას მხოლოდ თავისი თავი ჰგონია და არა ერი; არა აქვს პატივისცემა ეროვნული ნებისყოფის და პირდაპირ ებრძვის ჩვენი კონსტიტუციის

აღდგენას, თუმცა იცის, რომ კონსტიტუციის აღდგენა ჰნიშნავს ეროვნული სუვერენობის აღდგენას.

ამისთანა "'პარტია" ჩვენთვის ახალია. იმას წარსული არა აქვს, მომავალიც არ ექნება.

გიორგი გვა'სავა.
პარიზი 1929 წ.

შინაარსი

შესავალი. საკითხის დაყენებისათვის, ძირითადი წყაროების მიმოხილვა და ისტორიოგრაფია. ——————— 3

თავი I. რუსეთის დემოკრატიულ– ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის იდეა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში —— 8

თავი II. ქართული პოლიტიკური აზრი, რუსეთის დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ავტონომიურ ერთეულად მოწყობის შესახებ ——————— 30

თავი III. ამიერკავკასიის ერთიანი დემოკრატიული– ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი ——————— 62

თავი IV. საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ——————— 128

მითითებული წყარეები და ლიტერატურა ——————— 165

დამატება

გ.გვაზავა. საქართველო და ეროვნულ- დემოკრატიული პარტია (წერილი მესამე) ——————— 175

შოთა ილიას ძე ვადაჭკორია

ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. ნაკვეთი I (1917- 1918 წწ.)

კორექტორები: ილია ვადაჭკორია
ლია მურვანიძე ვადაჭკორია

საბეჭდი ქაღალდი 60 X 84 1/16
სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 11,5

თბილისი
2008